

644 /  
1961 / 3

р  
НАЦИОНАЛ  
БИБЛИОТЕКА

Оммузунга

4

# საბჭოთავო

ლიტერატურულ-მხატვრული და  
საზოგადოებრივ-პოლიტიკური  
შურნალი  
საპარტიზელოს ალკა ც, ძ-სა და  
მწიგნობრთა კავშირის ორგანო

ტ. 458



## შინაჯარსი

# 4

## 1961

აკრილი

გამომცემლობა  
„საბჭოთა  
მწიგნობრობა“

ბ. ბერულავა — ვლადიმერ ლენინს (ლექსი)	2
ბ. აბაშიძე — მოგზაურობა სამ დროში (პიესა სამ მოქმედებად)	4
ბ. შივჩინაძე — ანდერძი (ლექსი. თარგმნა ს. ჩი- ქოვანშა)	56
თ. ჯანაშვილი — დნებრისპირელი დილო პაპაი (ლექსი)	56
შ. ამისულაშვილი — ვარდისფერი დილა (ლექ- სი)	57
ბ. ჯაბახბაძე — ლექსები	58
ბ. კობახიძე — შრიალეხენ წნორები (ლექსი)	60
მ. ძვლივიძე — ლექსები	61
ბ. ზურაბოვი — პატარა თანამგზავრი, პირველი ყვარული (მოთხრობები. თარგმნა ე. ყი- ფიანშა). ტრამალი. (თარგმნა რ. ინა- ნიშვილი)	64
რ. აგაშვილი — ლექსები	71
ს. ნარიშკინი — ლექსები	73
შ. ქავთარაძე — ლექსები	74
ი. ბუნიინი — პატარა რომანი (მოთხრობა. თარგ- მნა თ. სვინტიძემ)	75
ბ. შინაშვილი — ლექსები (თარგმნა რ. მარგინ- მა)	82

უ. ბეღია — საქართველო (ლექსი) . . . . .	84
ბ. გიბაური — ლექსები . . . . .	85
ბ. მილერი — კომივოიაჟერის სიკვდილი (პიე- სა. დასასრული. თარგმნა ც. კარბელა- შვილმა) . . . . .	86

**მომონებიანი**

ს. კლდიაშვილი — „ლექსები იყო მისი საგზა- ლი“ . . . . .	115
---	-----

**კრიტიკა და პუბლიცისტიკა**

ბ. ბახტაძე — ლენინი და გორკი . . . . .	119
ლ. მბანდიძე — პარიზის კომუნა ქართულ პრე- საში . . . . .	124
ბ. გვერდუთელი — სოციალისტური რეალიზ- მის ლიტერატურის ნოვატორული ხასია- თი . . . . .	130
დ. შინგელაძე — ტიცოან ტაბიძე . . . . .	141
თ. შილაძე — ლექსი — შეწუერი . . . . .	143
ნ. ტაბიძე — ქართული პრესა ცენზურის რეალ- ში . . . . .	147
რ. მებრეველი — ივანე ჯავახიშვილი და ქართუ- ლი მუსიკის ისტორიის საკითხები . . . . .	154

**სრული მხრიდან**

კრიტიკა . . . . .	159
-------------------	-----



რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე

ხარედაქციო კოლეგია:

თ. ბადურაშვილი, რ. თვარაძე (პ/მგ მდივანი), კ. კალაძე, გ. შატერაშვილი,  
ო. ჩხეიძე, გ. ციციშვილი, ნ. ჭავჭავაძე, ს. ჭილაია.

რედაქციის მისამართი: თბილისი, შახარაძის ქ. № 14, ტელ. № 3-87-02.

ბელმოწერილია დასაბეჭდად 21/IV-61 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით  
ფორმათა რაოდენობა 13,7. შეყვ. № 534 უე 03513. ქალაქის ზომა 70x108. ტიპაჰ 6.500.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფამოცემლობის ბეჭდვის  
სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры  
Грузинской ССР, Тбилиси, ул. Марджанишвили. № 5.



ხუჩა ბეჟუღაძე

ვლადიმერ ლენინს


დასაბამიდან ამგვარად ხდება:

ადამიანი როდესაც კვდება,  
ორი თარიღი დარჩება საფლავს:  
ერთი აღნიშნავს მის დაბადებას,  
მეორე — მისი სიკვდილის ამბავს.

დასაბამიდან ამგვარად ხდება!

შენ კი... სიცოცხლის დიად თავდებად  
ერთი თარიღი გარგუნა ბედმა,  
რადგან სიკვდილი

შენს დაბადებას  
გვერდით დადგომას ვერ გაუბედავს!..



# მობსაყრობა სამ



მობსაყრობა სამ

პიესა სამ მოქმედებად

მოქმედნი

გურამი — ახალგაზრდა მხატვარი.  
დედა.

გიორგი — მოწინავე მუშა, გურამის უფროსი ძმა.

ლევანი — მეცნიერი, გურამის ძმა.

თამარი — გურამის სატრფო.

პავლე — გურამის მეზობელი.

მხატვარი — პორტრეტიდან.

ზურაბი — მხატვარი წარსულში.

ნუგზარი — მხატვარი მომავალში.

მეფე.

დედოფალი.

გვანცა — მეფის ასული, ზურაბის სატრფო.

რობოტი — სოკრატე-33 მანქანა-ენციკლოპედია.

რობოტი — ჰიპოკრატე-17.

არმაზი.

ნინო — ნუგზარის სატრფო.

პროფესორი — ნინოს მამა.



ქორო, ვაზირები, მეფის მცველები, შიკრიკები, მოქალაქეები, ახალგაზრდები.

**შენიშვნა:** გურამის, ზურაბისა და ნუგზარის, ისევე როგორც მათი სატრფობის — თამარის, გვანცასა და ნინოს როლები უნდა შეასრულონ ერთმა და იმავე მსახიობებმა.

## მოქმედება I

ნათელი ოთახი ახალ სახლში. კარი ფართოდ იღება და შემოდინს საოჯახო ბარგით დატვირთული დედა, გიორგი და ლევანი.

**გიორგი** — ესეც ჩვენი ახალი ბინა. (ყველანი ძირს დებენ ბარგს და ათვალეობენ ბინას).

**ლევანი** — კარგი ოთახია, ნათელი და ფართო!

**გიორგი** — აბა, ახლა სხვა ოთახებიც ვნახოთ. (აღებს კარს მარჯვნივ, ყველანი იხედებიან).

**დედა** — ეს უფრო პატარაა.

**ლევანი** — ფანჯარაც მხოლოდ ერთი აქვს.

**გიორგი** — (მიდის მარცხნივ და აღებს მესამე ოთახის კარს) ესეც მაგ ოთახის ტოლია. (ყველანი იხედებიან მესამე ოთახში, ათვალეობენ).

**დედა** — ვის რომელი გინდათ, აირჩიეთ და გაინაწილეთ, შვილებო. (გიორგის) ბინა შენია, გიორგი, არჩევანიც შენ გეკუთვნის.

**გიორგი** — არა, დედა, აქ ასარჩევი რა არი. ეს ოთახი ფართოა და ნათელი...

**ლევანი** — ფანჯარებიდანაც შესანიშნავი ხედია (აღებს ფანჯარას).

**დედა** — (გაპყურებს ფანჯრიდან) მთელი ქალაქი ხელისგულივით მოჩანს.

**გიორგი** — ეს ოთახი თითქო მხატვრისთვის აუშენებიათ საგანგებოდ. სწორედ გურამისთვისაა ზედგამოჭრილი. შენ რას იტყვი, ლევან?

**ლევანი** — მეც შემოსვლისთანავე ეგ გავიფიქრე, მხატვარი ამაზე უკეთეს ოთახს ვერ ინატრებდა.

**დედა** — (გაპყურებს ფანჯრიდან) წინ მშვენიერი მოედანია. ამ მოედანზე ოდესმე, ალბათ, ძეგლებს დადგამენ.

**ლევანი** — ვის ძეგლებს, დედა?

**დედა** — ქვეყნის საუკეთესო ადამიანების ძეგლებს და ვინ იცის. მათ შორის იქნებ ჩემი შვილების ძეგლებიც დადგან...

**გიორგი** — (ღიმილით შეპყურებს ოცნებაში წასულ დედას, მერე შემობრუნდება) ეს ოთახი (უჩვენებს მარცხნივ) დედასი იყოს, სამზარეულო გვერდითა აქვს და მოხერხებული იქნება. ესეც — მე და შენ, ლევან! (აღებს მარჯვენა ოთახის კარს) აქ ჩვენ ვიცხოვროთ, მგონი დავეტევით.

**ლევანი** — დავეტევით კი არა, მეტიც მოგვივა. დღისით არც მე ვარ შინ და არც შენ, გიორგი. საძინებლად კი ორისთვის დიდიც არი. მით უფრო, რომ ფართო ცხოვრებას მიჩვეული არა ვართ.

- გიორგი** — ჩვენი ბინა ამ ერთი ოთახის ოდენაც არ იყო და ოთხნი ვცხოვრობდით.
- ლევანი** — არც ისე ცუდი იყო ჩვენი ბინა. გარედან აკლდა სინათლე, მაგრამ შიგნიდან რალაც უხილავი შუქით იყო განათებული. (მთელი ამ საუბრის მანძილზე სამივენი აწყობენ ავეჯსა და ბარჯს).
- გიორგი** — მაინც როგორ ვეტყვოდი ოთხნი იმ პატარა ბინაში: დედა კერავდა, შენ მიკროსკოპს ჩაჰკირკიტებდი, გურამი ხატავდა.
- ლევანი** — შენ კი შუალამემდე შინ არ იყავი. შენ ერთი ყველასათვის მუშაობდი. მთელი დღე დაზგასთან ტრიალებდი, რომ მე მიკროსკოპში მეტყვირა და გურამს სურათები ეხატა.
- დედა** — ეეჰ, როგორ გვიჭირდა ერთ ხანს! მამათქვენი რომ გარდაიცვალა და ჩვენი ორი ნათელი ოთახიდან იმ ნახევრად სარდაფში გადავედით, ასე მეგონა, ცოცხლად ვიმარხებოდით და ველარასოდეს მზის შუქზე ველარამოვიდოდით.
- გიორგი** — პირველად მეც გამიძნელდა სწავლის მიტოვება და ქარხანაში წასვლა, მაგრამ შენმა და გურამის ბეჯითობამ გამახალისა, ლევან. ვხედავდი, როგორ თავაუღებლად მეცადინეობდით, როგორ დღითიღვე წინ მიდიოდით; ჩემს შრომას ნაყოფი მოჰქონდა და გული არ მწყდებოდა, რომ მე ველარ ვსწავლობდი. შემდეგ კი, ახალ პირობებს რომ შევეჩვიე, შრომა და ცხოვრება გაადვილდა. კარგი ადამიანები მხარში ამომიდგნენ და მარტო ოსტატობას კი არა, თავიანთ კეთილშობილებასა და გულწრფელობასაც მაზიარეს.
- დედა** — შენც კარგი იყავ, შვილო, საქმის ერთგული და ამხანაგებში პირგაუტეხელი. სხვების დასახმარებლად მუდამ მზად იყავი და საკუთარი გაჭირვებით არავის აწუხებდი. შენმა ამხანაგებმა ქარხანაში ისიც არ იცოდნენ, როგორ ბინაში ცხოვრობდი.
- ლევანი** — ავად რომ არ გამხდარიყავი და თქვენი ქარხნის ხელმძღვანელები შენს სანახავად არ მოსულყვენენ, ბინას, ალბათ, არასოდეს არ ითხოვდი და ვინ იცის, როდის ველირსებოდით სინათლეზე ამოსვლას!
- გიორგი** — ხომ მშვენიერ ბინაში გადმოვდივართ, მაგრამ გული მაინც იქ მრჩება, ჩვენს ბნელ ოთახში.
- ლევანი** — მეც, გიორგი. ასე მგონია, ყველაზე ახლობელი, ყველაზე ლამაზი რაც ჩვენს ცხოვრებაში იყო, იქ, იმ ბნელ ოთახში მრჩება. ჩვენ ხომ ჩვენი ცხოვრების, ჩვენი ახალგაზრდობის საუკეთესო წლები იქ გავატარეთ. (შემოდის პავლე ხელში ღვინიანი ბოთლითა და ჭიქით, გაცოცხლებული უსმენს ლევანს) ეს ბინა რა არი, ოდესმე მზითა და ჭაღებით გაბრწყინებულ სასახლეშიც რომ მომიხდეს ცხოვრება, მაინც იმ ნახევრად სარდაფის მკრთალი შუქი იქნება ჩემთვის საოცნებო.
- პავლე** — შე კაი კაცო, დაბრუნდი იმ სარდაფში, თუ ასე გენანება მისი დატოვება!
- ლევანი** — პავლეს გაუმარჯოს! საიდან გაჩნდა, პავლე?
- პავლე** — გამარჯობათ... გამარჯობათ! მეც ამ სახლში გადმოვედი, ახლა გავიგე, რომ თქვენ ყოფილხართ ჩემი უშუალო მეზობლები და მართალი გი-

თხრათ, ძალიან გამეხარდა! (ხელს ართმევს ლევანს და ეხვევა) მგონია, დედაშენმა ველარ მიცნო, ლევან. რას იხამ, პურმარილის დაძვირებამ აგრე იცის.

**ლევანი** — პავლეა, დედა, ჩემი სტუდენტობის ამხანაგი. ხომ გახსოვს, ერთად რომ ვმეცადინებოდით.

**დედა** — როგორ არა, შვილო, მაგრამ ველარ ვიცანი. მას მერე ოც წელზე მეტი გავიდა და რა გასაკვირია, დაებერდი...

**პავლე** — დაბერდი კი არა, ახლა ხართ გასათხოვარი, ბატონო, მაგრამ რომ ველარ მცნობთ, იმის ბრალია, რომ თქვენი შვილი აღარც ჩემთან დადის და აღარც მე მპატიჟობს. რაც ინსტიტუტი დავამთავრეთ, თქვენსას აღარ ვყოფილვარ. უჩემოდ ქეიფობთ, ბატონო, და რა ვქნა.

**დედა** — უი, შვილო, რას ამბობთ. ნაქეიფოდ კი არა, დასაძინებლად ძლივს მოდის შინ ლევანი.

**პავლე** — მერე კარგია ეგ, ბატონო? კლინიკა და ლაბორატორია ჯობს კარგ სუფრას? ნამეტანი არაფერი არ ვარგა. მაგრამ ამის დრო არ არი ახლა. ახალ ბინას დალოცვა უნდა და გაინძერით რომელიმე, რომ ამ ჩემი ღვივით მაინც დამლოცოთ!

**დედა** — მოგიკვდეთ ჩემი თავი, როგორ დავიბენი! ახლავე, ახლავე იქნება ყველაფერი. (აწყობს სუფრას).

**პავლე** — როგორა ხარ, გიორგი ბატონო? ამას წინათ შენი სურათი ვნახე გაზეთში. ისევ დამკვრელი ხარ თუ კომუნისტური ბრიგადა გქვია ახლა...

**გიორგი** — დიახ, კომუნისტური შრომის ბრიგადა.

**პავლე** — რომელი წლის გეგმას ასრულებ ახლა ან, თქვენებურად რომ ვთქვათ, რომელ წელში ცხოვრობ?!

**გიორგი** — 1970 წლის გეგმას ვასრულებ.

**პავლე** — ოო, შესულხარ პირდაპირ კომუნისზმში და ეგ არი. ახლა ეს მითხარი, გიორგი, შენი ძმის ძველი მეგობარი ვარ და სხვას არ ვეტყვი, — რომ მიიხედ-მოიხედე იმ კომუნისზმში, ძალიან მოგეწონა?

**გიორგი** — შენ ძველებურად ხუმრობ, პავლე, წლები არ შეგტყობია.

**პავლე** — როგორ? ხუმრობაა კომუნისზმი? თუ ხუმრობდით, ადრევე გეთქვათ, შე კაი კაცო, წელში რაღას გვწყვეტდით. სიტყვას ბანზე ნუ მიგდებ, შენ კითხვაზე მიპასუხე. იმ კომუნისზმში რომ უჩვენოდ შეხვედი და მიიხედ-მოიხედე, მოგეწონა თუ არა? იქნებ არ მოგეწონა და შე რაღას შეგყავარ, დამტოვე აქ, ამ სოციალიზმში, არც აქ ვარ ცუდად.

**ლევანი** — (ასხამს ღვინოს) აბა, მიირთვი, დაილოცეთ.

**პავლე** — (იღებს ჭიქას) — გაუმარჯოს თქვენს ახალ ფუძეს და კერას. თქვენს დასახლებას გაუმარჯოს ახალ ბინაში. კეთილი ყოფილიყოს ჩემი ფეხი ამ სახლში. აბა, შევესვით! იხარე, ქერო, მოკვდი მტერო! (სვამს).

**გიორგი, ლევანი** — გმადლობთ, პავლე, ახალი ბინა დაილოცოს, შენ გაგიმარჯოს!

**დედა** — დასხედით, შვილებო, ფეხზე რას დგახართ. (სხდებიან).

**პავლე** — მართლა, შენი პატარა ძმა სად არის, გურამი? ახლა, ალბათ, დიდი იქნება.

**ლევანი** — დიდი! ოცდარვა წლისაა. მხატვარია, გაგონილი გექნება.



**პავლე** — კი, როგორ არა! მაგრამ იმდენი არიან ეგ მხატვრები და ისე გვიან ერთიმეორეს, რომ ერთმანეთში მერევიან. როგორი მხატვარია? ბავშვობაში ნიჭიერი იყო და მერე რა ღმერთი გაუწყებოდა. მაგრამ ეს მითხარი, ლევან, ყრია რამე მაგ მხატვრობაში?

**ლევანი** — ვერ გავიგე, პავლე, რას მეკითხები!..

**პავლე** — თუ აძლევენ რამეს ხატვაში?

**ლევანი** — კი, როგორ არა!

**პავლე** — მაინც რამდენზე გამოდის თვეში, ათი მანეთი ექნება?

**ლევანი** — ათი მანეთი რა ფულია, პავლე, ხუმრობ?

**პავლე** — უი, შენ როგორ პირდაპირ გესმის ყველაფერი! ამ ქვეყანაში არ ცხოვრობ თუ, როგორ არი შენი საქმე? ათი მანეთი ათი ათასია, კაცო. მანეთი რომ ათას მანეთს ჰქვია, არ იცოდი?

**ლევანი** — არა, არ ვიცოდი!

**დედა** — გურამის საწოლს აქ დავდგამ (დგამს საწოლს), თუ არ მოეწონება, თვითონ გადადგას, საითაც მოისურვებს (საწოლის გვერდით დგამს შირმას). ეს სურათი კი აქ დამაკიდებინეთ, მის ლოგინთან. რამდენჯერ მიწახავს, მარტო დარჩენილი, ცოცხალივით ესაუბრება ხოლმე თავის საყვარელ მასწავლებელს.

**პავლე** — ანდრო მხატვარია, არა? გურამის მასწავლებელი! (იღებს ხელში მხატვრის პორტრეტს წინ სამი წითელი ვაშლით) რა კეთილი და ჰკვიანის კაცი იყო. ცოცხალი კაცს არ ახსოვდა, საწყალი. რომ მოკვდა, ყველა მისი ჭირისუფალი გახდა, უდიდეს მხატვრად გამოაცხადეს და მისი სურათები მამასისხლად იყიდება. იმისთანა ხალხი ყიდულობს, თავის დღეში პირადობის მოწმობისთვის გადაღებული სურათის მეტი რომ არაფერი ჰქონია. ერთმანეთს ეჯიბრებიან მეტის გადახდასა და შექენაში.

**ლევანი** — ახლაც გუშინდელივით მახსოვს ის დღე, ანდრო მხატვარმა რომ გამოუცხადა დედას — თქვენს შვილს ხატვის იშვიათი ნიჭი აქვს, შეგირდად ავიყვან და სამხატვრო აკადემიისთვის მოვამზადებო.

**დედა** — იმ დღიდან გურამმა თითქოს მამა იპოვა, აღმზრდელი და მზრუნველი მამა.

**გიორგი** — ანდრო მხატვარი მარტო მასწავლებელი როდი იყო გურამისთვის, მისი ნამდვილი მეგობარი და თავგამოდებული ქომაგიც იყო.

**ლევანი** — ამ უკანასკნელ ტილოს რომ ამთავრებდა, ბევრჯერ უთქვამს, სამუშაოს დასრულება აღარ მახარებს, რადგან ის, ვინც ყველაზე კარგად გამოიგებდა, აღარ არისო.

**დედა** — ამ დღითაც, სურათი რომ მიჰქონდა, ყოყმანობდა, ღირს თუ არა წაღებაო.

**გიორგი** — გურამი მუშაობისას ძალიან თავდაჯერებულია, მაგრამ როგორც კი დამთავრებს და ნამუშევარი სამსჯავროზე გამოაქვს, ბავშვივით ეშინია. კრთის და ნერვიულობს.

**ლევანი** — ეგ, ალბათ, ყველა შემოქმედის თვისებაა, გიორგი; როცა მხატვარს თავისი ფიქრისა და ოცნების ნაყოფი სამსჯავროზე გამოაქვს, ყველამ — ღირსეულმაც და უღირსმაც — სულში უნდა ჩახედოს. სულში სხვების ფათური კი არც თუ ისე სასიამოვნო უნდა იყოს.

**გიორგი** — მე ერთს ვამჩნევ ამ ბოლოს გურამს და, მართალი გითხრა, არ მომწონს: თავის თავში იმდენად დაჯერებულია, რომ აღარავის აზრსა და შეხედულებას ანგარიშს არ უწევს.

**დედა** — დღესაც ასე ამბობდა, ტყუილად მიმაქვს სურათი, სულერთია, მაინც ვერ გაიგებენო. რომ მოიწონონ კიდეც, მათს აზრს ჩემთვის არავითარი ფასი არ აქვსო.

**გიორგი** — აი, სწორედ ეგ არ მომწონს. საზოგადოებრივი აზრის ანგარიშგაუწველობა მხატვრისთვისაც ისევე დამღუპველი უნდა იყოს, როგორც ყველა მოქალაქისათვის. ეგ პირველი ნიშანია ცხოვრებისაგან მოწყვეტის, ხალხისა და ცხოვრებისაგან მოწყვეტილ ადამიანს კი თავის დღეში ღირსეული არაფერი შეუქმნია.

**ლევანი** — ტყუილად ღელავთ, გურამი ეგრე უშქუო არ არის და მისი ნამუშევარიც ჩვეულებრივს არა ჰგავს. მაგ ტილოს ორ წელიწადზე მეტს ხატავდა და მერე რა შთაგონებითა და გულმოდგინებით. სულაც არ მაფიქრებს მისი ბედი, წინასწარ მჯერა, რომ დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს და გაიმარჯვებს.

**დედა** — ღმერთმა ჰქნას, მაგრამ რატომღაც მეშინია, დილიდან წასული აქამდე არ მობრუნებულა. (ისმის კარზე კაკუნია).

**ლევანი** — ალბათ, გურამია! (კარი იღება. შემოდის გურამი, მოწყენილი, მხრებჩამოყრილი).

**დედა** — გურამ, შვილო. (გურამი გვერდზე მიაგდებს მოზრდილ ტილოს).

**პავლე** — გურამს ვახლავართ ოცდაათი ცხენოსნით. რამოდენა კაცი გაზრდილხარ! (ესალმება, გურამი უხალისოდ ართმევს ხელს. მიდის საწოლისკენ და შირშის იქით მძიმედ ეშვება ლოგინზე).

**გიორგი** — რა მოხდა, გურამ? მოწყენილი რათა ხარ?

**გურამი** — მოწყენილი კი არა, ლამის ბრახმა დამახრჩოს.

**გიორგი** — რათა, ისეთი რა მოხდა?

**გურამი** — საგამოფენო კომისიამ სურათი არ მიიღო.

**დედა, გიორგი, ლევანი** — არ მიიღო?

**გურამი** — არ მიიღეს. დაწუნება არ მაკმარეს, საჯაროდ გამკიცხეს, დღევანდლობისაგან მოწყვეტილი ხარ, წარსულისკენ იხედები და ჩვენი დროის უპირატესობას ვერ ამჩნევო.

**გიორგი** — მერე სამაგისო საბუთი რა ჰქონდათ?

**გურამი** — საბუთი ჩემი ნამუშევარია — მე ამ ტილოზე ძველი ბერძნული მითის მსგავსად სამი ლამაზი ასულის სახით სამი დრო გამოვხატე — წარსული, აწმყო და მომავალი (ყველანი აცქერდებიან სურათს). ეს მწყემსი ჩემი ორეულია, რომელმაც ამ სამ ასულში ერთ-ერთი უნდა აიარჩიოს და ოქროს ვაშლი უნდა მიაკუთვნოს. მე, ბერძნული მითისაგან განსხვავებით, არც ერთს არ მივაკუთვნე სადავო ვაშლი, თუმცა ჩემს ორეულს აშკარად ეტყობა, რომ მისი არჩევანი წარსულისა და მომავლისაკენ უფრო იხრება, ვიდრე აწმყოსაკენ.

**გიორგი** — მერე სწორია შენი არჩევანი?

**გურამი** — ყოველ კაცს და მით უფრო მხატვარს არჩევანის თავისუფლება უნდა ჰქონდეს. ჩემი სურათის შემფასებლებს ეს არ ესმით. ისინი უხეშად, პრიმიტიულად მიუდგნენ ჩემს ნამუშევარს. ჯერ იქიდან დაიწყეს, მითო-

ლოგიური სიუჟეტი რად აიღე, განა ჩვენს დროში ცოტა ამბები ხდება, რომლებიც შთაგონებისათვის საინტერესო მასალას იძლევიანო? მერე ეს მითხრეს, როგორც ყოველთვის ასეთ შემთხვევაში ამბობენ — ჩვენს ახალ ცხოვრებას არ იცნობო.

**გიორგი** — იქნებ არ სტყუიან და მართლა არ იცნობ ცხოვრებას?

**გურამი** — საქმეც ის არის, რომ ძალიან კარგად ვიცნობ ჩვენს ცხოვრებასა და დროს. მაგრამ მე იმ თანამდებობებზე მლოცველი თუთიყუშებისაგან განსხვავებით ჩვენი დროის ნაკლაც ვხედავ, მის ლაქებსაც ვამჩნევ.

**პავლე** — ვინ იყვნენ საგამოფენო კომისიაში, გურამ, გეთქვა ჩემთვის, შე კაცო, ჩამოვურეკავდი და სულ ტაშით მივაღებინებდი შენს ნახატს. მაგრამ არა უშავს, კიდევ ეშველება მაგ საქმეს. გული არ გაიტეხო. შენი სადღეგრძელო იყოს, გურამ, იცოცხლე.

**გურამი** — (ხელებში თავჩარგული, უხალისოდ) გმადლობთ. (გიორგი და ლევანი სვამენ უხმოლ).

**პავლე** — გიორგი, თავი მოგაწყინეთ, მაგრამ მარტო დასალოცავად კი არა ვარ შემოსული, საქმეც მაქვს მოსალაპარაკებელი.

**გიორგი** — ბრძანეთ, გისმენთ.

**პავლე** — ჩემი და თქვენი ბინა ზუსტად ერთნაირია, გიორგი, სამ-სამი ოთახი ყველა სიკეთით.

**გიორგი** — დიახ, ეგრა.

**პავლე** — ამ ორი ბინის შუა, მედიცინის ენაზე რომ ვთქვათ, სოლივით არი შემოჭრილი უცხო სხეული ანუ, ამ შემთხვევაში, ერთოთახიანი ბინა, და ეს გარემოება წარმოშობს კონფლიქტს, რომელიც თავისი არსით მოგვავიწვინებს გურამის ამ სურათს.

**გიორგი** — როგორ, რა კონფლიქტია, ან გურამის სურათი რა შუაშია?

**პავლე** — ჩვენს ბინებს შორის, ჩემი მეცადინეობით, განთავისუფლდება ერთ-ოთახიანი ბინა, და ეს ბინა იმ ვაშლზე გაცილებით მეტი ღირს, რომლისთვისაც გურამმა სამი დრო — წარსული, აწმყო და მომავალი წაახსუბა ერთიმეორეს.

**გიორგი** — ვის შორის არი მოსალოდნელი ჩხუბი და კონფლიქტი?

**პავლე** — რამდენადაც მაგ ბინაზე მე მიჭირავს თვალი...

**გიორგი** — რათა, თქვენი ბინა განა პატარაა?

**პავლე** — არა, პატარა კი არაა, მაგრამ... ეს თქვენი მომავლის, ამ ოჯახის გამრავლების სადღეგრძელო იყოს. ვერა ხართ კარგი ქართველები: სამი ვაჟკაცი ისე ბერდებით, არც ერთს შეილი არა გყავთ.

**დედა** — მეც მაგას ვწუხვარ, შეილო. სულ იმის ხვეწნაში ვარ, ცოლი მოიყვანონ და შეილიშვილებს მომასწრონ.

**პავლე** — ჩემი არ იყოს, თქვენც არ ხართ ცუდი მამულიშვილები, მაგრამ ჩვენს პატრიოტობას ფასი არ ექნება, თუ ამ მხრივაც არ დავეხმარებით ჩვენს პატარა ქვეყანას.

**დედა** — თქვენ რამდენი ბავშვი გყავთ, ბატონო?

**პავლე** — მე... ერთი, მაგრამ ცოლის ბრალია და აწი მაგ საქმეს აღარ ეშველება. მალე ქალიშვილს გავათხოვებ და შვილებს თუ არა, შვილიშვილებს მაინც გავაჩენ ბლომად!

**ლევანი** — ეგ უკვე შენზე აღარაა დამოკიდებული, ჩემო პავლე.

**პავლე** — ჰოდა იმას ვამბობდი, გიორგი: მაგ ოთახზე მე მიჭირავს თვალი, თუ თქვენ არ შემეცილებით.

**გიორგი** — ჩვენ რად უნდა შეგეცილოთ, ჩვენ ეს ბინაც გვეყოფნის.

**პავლე** — ეგ ოთახი პირდაპირ ჩემთვისაა ზედგამოჭრილი. ცალკე შესასვლელი აქვს, ისე მოვა და წავა ავადმყოფი, რომ კაცი ვერ გაიგებს.

**ლევანი** — ისევ მისდევ პრაქტიკას, პავლე?

**პავლე** — მივსდევო? აბა რითი ეცხოვრობ! ის დღე რა დღეა, ხუთიოდე აბორტი რომ მაინც არ გავაკეთო!

**გიორგი** — დიდი მუშაობა გქონია!

**პავლე** — ცოტა სიბერეში შევედი და ვიღლები, თორემ მეტსაც გავაკეთებდი... ხელი მაქვს იმისთანა, რომ ბუზივით მეხვევიან პაციენტები.

**ლევანი** — სიტყვით გამრავლებას ქადაგებ, პავლე, მაგრამ საქმით რომ გამრავლებას უშლი ხელს, რალა პატრიოტობა გამოდის...

**პავლე** — არა, აქ პატრიოტობა რა უშაშია... ყველა რომ იმას აკეთებდეს, რასაც ლაპარაკობს, რა უჭირდა ჩვენს ქვეყანას, ჩემო ლევან, მაგრამ მარტო მე რომ გამოვიდო თავი, თავსაც შიმშილით მოვიკლავ და სხვების სასაცილოც გავხდები. იმას ვამბობდი, გიორგი: ბინას აქამდისაც მივიღებდი, მაგრამ ამ ქუჩიდან გადასვლა არ მინდოდა, ჩემს მისამართს მიჩვეული იყვნენ და ხომ იცი პრაქტიკისთვის ამას მნიშვნელობა აქვს. ეს სახლი ჩემი ძველი ბინის პირდაპირ ააშენეს და შემთხვევა აღარ გავუშვი.

**ლევანი** — როგორც მახსოვს, შენი ძველი ბინაც არ იყო ცუდი.

**პავლე** — ჰო, არა უშავდა, სამი ოთახი კი იყო იქაც. მაგრამ არც ის დამიკარგავს, ჩემს ცოლიმას დაუტოვებ. ახალგაზრდა კაცს ცოლი მოჰყავს და მე თუ არ შევეუწყებ ხელი, ვინ დაეხმარება. მაგრამ (ისხამს ლენოს) ლაპარაკს შევყევი და უდიდესი შეცდომა დავუშვი.

**ლევანი** — რა შეცდომა?

**პავლე** — უდიდესი შეცდომა! დედაშენი არ მიდღეგრძელებია! (წამოდგება ფეხზე) ღმერთო მომკალი, ეს როგორ დამემართა! დიდი ბოდიში, დედაბატონო! უდიდესი ბოდიში! მაპატიეთ, თქვენი ჭირიმი!

**დედა** — რა ბრძანებაა, შვილო, როგორ გეკადრებათ!

**პავლე** — დილიდან ვსვამ, ჩემო ბატონო, რაც ამ სახლში შემოვდგი ფეხი, ხან ჩემთან დავლიე, ხან ასე მეზობლებთან და გამოვჩერჩეტდი, მაგრამ, იმედია, მაპატიებთ. მე მარტო გინეკოლოგი კი არა ვარ, ეს დალოცვილი ლენოც მიყვარს და ზოგი ხუმრობით ლენეკოლოგსაც მეძახის. მაგრამ კიდევ ბოდიში, ბატონო, დიდი ბოდიში! თქვენი დღეგრძელობა და კარგად ყოფნა ბატონო! (სვამს) დალიე, გიორგი! მარტო მე მასმევ, შე კაცო?!

**გიორგი** — ქარხანაში ვარ წასასვლელი. ძალიან ბოდიშს ვიხდი, მაგრამ უნდა დაგტოვოთ.

**პავლე** — დღისით არ გიმუშავნია თუ? ღამე რა გინდა ქარხანაში? კომუნისტში ხალხს ცოტა მუშაობაც ეყოფათ და შენ ღამეც მუშაობ?

**გიორგი** — არა, ღამის ცვლას მინდა დავხედო.

**პავლე** — ნება თქვენია, მიბრძანდით, მაგრამ საბოლოო პასუხი მინდა ფეხბურთელის ოთახზე...

**გიორგი** — ის ოთახი მე არ მეკუთვნის და არც რაიმე პრეტენზია მაქვს, თუ კი მოგეცემნ.

**პავლე** — ეგ ჩემზე იყოს, გიორგი... შენთან ვერაფერს ვახდება კაცი ფულით, თორემ... (გიორგი დგება, მიდის გურამთან).

**გიორგი** — გურამ, შენთან ლაპარაკი მინდოდა, მაგრამ მარტო როცა ვიქნებით.

**გურამი** — ვილაპარაკოთ, როცა გინდა, ოღონდ შენ მაინც ნულა დამიწყებ და რიგებას — ჩვენი დროის უპირატესობაზე, ცხოვრებისაგან ჩამორჩენაზე.

**გიორგი** — სწორედ მაგაზე უნდა გელაპარაკო, გურამ, და ძალიან სერიოზულადაც. შენ მართლა არ იცნობ ცხოვრებას.

**გურამი** — ვინ იცის? ვანა შენ კი იცნობ? აი, ვინ იცნობს ცხოვრებას შენზეც, ჩემზეც და ლევანზეც კარგად (უთითებს პავლეზე). ეგ და მაგისთანა ადამიანები ხალხისა და ცხოვრების შუაგულში ტრიალებენ, მათ იციან ის, რაც ფარდის იქით ხდება და რასაც ვერც შენ ხედავ შენი ქარხნის კორპუსიდან, ვერც ლევანი თავისი ლაბორატორიიდან და ვერც მე — ჩემი სახელოსნოდან.

**გიორგი** — ნუთუ მაგისა და მაგისთანების ცხოვრება გიზიდავს და მოგწონს, გურამ?

**გურამი** — რომ არ მომწონს, საქმეც ეგ არის, გიორგი. მე ჩვენს დროში და ჩვენს ცხოვრებაში სწორედ ის ნაკლი და ჭუჭყი დავინახე, რაც შენ და შენს ამხანაგებს გძულთ და გეჯავრებათ. ამიტომ შევაქციე ზურგი ჩემს დროს.

**გიორგი** — ნაკლს გამოსწორება შევლის, გურამ, ჭუჭყს მოცილება უნდა და არა ზურგის შექცევა. შენ მარტო ცუდს ხედავ და დიდ სიკეთეზე თვალს ხუჭავ. მაგრამ ამაზე შემდეგ ვილაპარაკოთ. (გადის).

**პავლე** — შენც წასასვლელი ხარ, ლევან, თუ რას დაჩერებიხარ წამდაუწუმ საათს?

**ლევანი** — ჰო, კლინიკაში უნდა შევირბინო.

**პავლე** — მორიგე ხარ თუ?

**ლევანი** — არა, დღეს რთული ოპერაცია გავაკეთე და ავადმყოფი უნდა ვნახო.

**პავლე** — მართლა, შენ რაღაც საიდუმლო ექსპერიმენტებს აწარმოებო.

**ლევანი** — არა, საიდუმლო რა არი, კიბოს წინააღმდეგ წარმოებულ ექსპერიმენტებს ვხელმძღვანელობ.

**პავლე** — მერე, გამოდის რამე?

**ლევანი** — გამოვა, პავლე... მოთმინება და მუშაობა უნდა...

**პავლე** — ღმერთმა ქნას მაგ საქმეში რომ გაიმარჯვებდე, ერთი მაღარიჩი ჩემზე იქნება. აღარა ვარ მაგ კიბოსგან.

**ლევანი** — შენ, რათა?

**პავლე** — მომკლა ამ პანაშვილებზე და გასვენებებზე სიარულმა, მთელი დღეები მაგას ვუნდები. ახლა თუ ვინმე კვდება, კიბოთი კვდება, მეტით არაფრით.

**ლევანი** — აგრეა, ძალიან ვაგრცელებულია, მაგრამ მალე მოედება ბოლო, ცდები წარმატებით მიმიწარეობს და მალე დიდ შედეგსაც მივიღებო.

**პავლე** — (დგება) მასპინძელი რომ წასასვლელად წამოდგება, სტუმარს რაღა დასარჩენი პირი აქვს.

**ლევანი** — რა ვქნა, პავლე, რომ აუცილებელი არ იყოს...

**პავლე** — კარგი, კაცო, გეხუმრები. რა ბოდიშს იხდი... გურამ, შენ მაგრად იყავი... ხვალ შენი კომისიის სია მომეცი და ნახავ, როგორ შევატრიალებ საქმეს. (გურამი გაბრაზებული წამოვარდება).

ლევანი — პავლე, დაეხსენ... (მოსწევს მკლავში და ძალით მიჰყავს).  
 პავლე — ნახვამდის... ნახვამდის, ტკბილო მეზობლებო... ჩემი იმედი გქონ-  
 დეთ... (გადიან).

გურამი — საძაველი... ყველაფერი ნაძირალების ენაზე გადააქვს.

დედა — დამშვიდდი, შვილო, გეხუმრებოდა.

გურამი — კარგი ხუმრობაა! ჯანდაბას მაგის თავი. აქ აღარ ვნახო შემოსული  
 (ჯღებდა) დედა, თამარმა თუ იცის, ახალ ბინაზე რომ გადმოვედით?

დედა — რა გითხრა, შვილო, შენ თუ არ გითქვამს...

გურამი — არა, მე კაი ხანია არ მინახავს.

დედა — გაბუტულები ხომ არა ხართ?

გურამი — გამაბრაზა და მეც ვაწყენინე...

დედა — რად გაგაბრაზა, ან შენ რაღად აწყენინე?

გურამი — ისიც სხვების ლაპარაკს აპყვა, სადაც ჩემს ნამუშევრებზე ცუდს  
 იტყოდნენ, ყველაფერი უმალ ჩემთან მოჰქონდა. ბოლოს მეტიჩრულად  
 ჭკუის სწავლება დამიწყო: შენი კრიტიკოები მართალნი არიან, ხალხის  
 ხმას ყური უგდე, ცხოვრებას უფრო ღრმად ჩაუკვირდი და გასაგებად  
 ხატეო.

დედა — მეტიჩრობით კი არ მოსვლია, შვილო, შენი სიყვარულით უთქვამს.

გურამი — ერთხანს ვუთმინე, მაგრამ მოსვენება რომ აღარ მომცა, კარგა შე-  
 მომელანძღა — მეტიჩარაც ვუწოდე და ფეხისხმას აყოლილიც.

დედა — არ გეკადრება, შვილო.

გურამი — მას შემდეგ კაი ხანი გავიდა, აღარ მინახავს. დღეს ჩემი ნამუშევრე-  
 ბის გარჩევაზე მოვიდა, დაუპატიებლად. თავს რომ მესხმოდნენ, თვალეზ-  
 გაბრწყინებული მომჩერებოდა. როცა ჩემი განქიქებით გული იჯერეს  
 და ჩემი ორი წლის ნამუშევარი უკან მომიგდეს, ერთი გვერდით ჩამო-  
 მიჭროლა და ისე შემომხედა, თითქოს გახარებული ნიშნს მიგებდა.

დედა — შენი წყენა როგორ გაახარებდა, შვილო, უყვარხარ და იმიტომ მო-  
 სულა.

გურამი — არა, მე არავის არ ვუყვარვარ, არც თამარს, არც სხვას... არავის...  
 არავის... (დაეცემა ლოგინზე და თავს ჩარგავს ბალიშში).

დედა — დაწყნარდი, შვილო. დაღლილი ხარ, დღეს, ალბათ, ბევრი იდეღვე-  
 ტანთ გაიხადე და მოისვენე. დაიძინე, შვილო... (ალაგებს სუფრას და გა-  
 დის მეორე ოთახში).

გურამი — (გადმობრუნდება და მიაჩერდება მხატვრის პორტრეტს). ყველა ჩემი  
 წინააღმდეგია, ყველა მე ამიმხედრდა — სატრფოც და მეგობარიც. შენ  
 მაინც იყო ჩემთან, ახლა. (შუქს აქრობს, საღამურ ლამფას რთავს, საღა-  
 მური ლამფის მკრთალ შუქზე ვხედავთ გურამის წინაშე აღმართულ  
 მხატვარს პორტრეტიდან).

მხატვარი — მე შენთან ვარ, გურამ.

გურამი — რა კეთილი ხარ, ოსტატო, რა კარგი ჰქენ, რომ მომინახულე.  
 შენს გარდა ქვეყანაზე აღარავინ მყავს, რომ გული გავუხსნა, ფიქრი და  
 ნადღელი გავუზიარო...

მხატვარი — რა მოგივიდა, გურამ, გული რათ გაგტეხია?

გურამი — ეს ერთი ხანია ნიშანში ამომიღეს, მკილავენ და თავს მესხმიან. ჩემი  
 დახატული აღარაფერი მოსწონთ. დღეს ხომ სულ გამანადგურეს — ჩემი  
 ყველაზე საყვარელი ტილო, რომლის შექმნაზეც ამდენი მიფიქრია, რო-

მელიც ჩემი აზრისა და შთაგონების ყველაზე სრულქმნილ ნაყოფად მი-  
მაჩნდა, დამიწუნეს და გამოსაფენად არ მიიღეს.

**მხატვარი** — ეგ რომელი ტილოა, მე მინახავს?

**გურამი** — როგორ არა. ჯერ კიდევ შენს დროს მქონდა დაწყებული. აი, ეს,  
„მხატვრის მსჯავრი“.

**მხატვარი** — „მხატვრის მსჯავრი“. მახსოვს, მომწონდა შენი ჩანაფიქრის სიღრმე,  
ფანტაზიის გაქანება.

**გურამი** — სწორედ ეგ არ მომიწონეს — მითოლოგიიდან და თქმულებებიდან  
რად იღებ სიუჟეტებს, როცა ჩვენი თანამედროვეობა საესეა მღელვარე,  
მიმზიდველი ამბებითო...

**მხატვარი** — (ავვირდება ნახატს) ბერძნული მითოსის მიხედვით, პარისს უნდა  
გამოეტანა მსჯავრი, თუ სამი ქალღმერთისაგან ვისთვის მიეკუთვნებინა  
სადავო ვაშლი. პარისმა ვაშლი სილამაზის ქალღმერთს — აფროდიტეს  
მიუძღვნა. პარისის მაგივრად შენ შენი ორეული მხატვარი გამოიყვანე,  
რომელიც სამი დროისაგან — წარსულის, აწმყოსა და მომავლისაგან ირ-  
ჩევს — წარსულს, ან მომავალს... ხოლო აწმყოს... აწმყოს უარპყოფს, არა?

**გურამი** — ჩემი მსჯავრი მთლად გარკვეული და გადაწყვეტილი არ არის.

**მხატვარი** — ოღონდ ეს კია, რომ შენს ტილოზე წარსული და მომავალი აწმყო-  
ზე უფრო მიმზიდველი და მშვენიერი ჩანან.

**გურამი** — მე ასე მეჩვენებია ისინი — წარსული განუმეორებლად ლამაზი  
რომანტიკით, ხოლო მომავალი — მიუწვდომლად ამაღლებული მშვენიე-  
რებით.

**მხატვარი** — აწმყო? აწმყოს სილამაზე სადღა არი?

**გურამი** — აწმყოს მშვენებაში მე ბევრ ჩრდილსა და ლაქას ვხედავ.

**მხატვარი** — იქნებ იმიტომ, რომ იგი ახლოა შენთან?

**გურამი** — არა, ჩვენი დროის კალთებზე მე ლაქებს ვამჩნევ, იგი მკაც-  
რია და სასტიკი.

**მხატვარი** — იქნებ სწორედ ამაშია მისი მშვენება. განა სიმკაცრეს არა აქვს თა-  
ვისი დიდი სილამაზე?

**გურამი** — ჩვენს დროს ჭუჭყიკა აქვს, ყოველდღიურობის მოსაწყენი ჭუჭყი.

**მხატვარი** — მაგრამ შენი დროის საუკეთესო ადამიანები მაგ ჭუჭყის მოსაშო-  
რებლად, შენი აწმყოს კიდევ უფრო გასამშვენიერებლად იბრძვიან.

**გურამი** — ჩემს აღმაფრენას ფრთას აკეცს ჩვენი დროის სიძნელეები და სიმ-  
კაცრე. სული მეხუთება და მისგან შორს ყოფნა მინდა.

**მხატვარი** — მაგრამ შენ ხომ შენი დროის შვილი ხარ.

**გურამი** — ჩემი უბედურებაც ეგ არი. ბედი რომ მქონოდა, მაშინ ვაგჩნდე-  
ბოდი, როცა წარსულის უდიდესი მხატვრები დიდებულ ტაძრებსა და  
სასახლეებს ხატავდნენ. ან უფრო გვიან, რამდენიმე საუკუნის შემდეგ  
დავებადებოდი, როცა ადამიანები ყველაფრით ბედნიერები იქნებოდნენ,  
ცხოვრებას სისხლი და ჭუჭყი აღარ ექნებოდა და მხატვრის შთაგონებას  
თავისუფალი გასაქანი მიეცემოდა. ყველაფერს მივეცემდი იმისთვის, რომ  
სხვა დროში მეცხოვრა, წარსულისა და მომავლის ბედნიერება განმეცადა.

**მხატვარი** — შენ ვაგწყდებ, გურამ, რომ არ არსებობს აბსოლუტური წარსუ-  
ლი, აწმყო და მომავალი. ის, რაც შენთვის წარსულია, იმ დროის ადამი-  
ანებისათვის აწმყო იყო, ხოლო ის, რაც შენთვის შორეული მომავალია,  
მომავლის თაობებისათვის აწმყო იქნება. ყოველი ადამიანი თავის დროს



- ეკუთნის. მას შეუძლია გარდაქმნას და გადააკეთოს ის, რაც აქვს, ხოლო იმას, რაც იყო, ან რაც იქნება, ვერ შეცვლის და ვერ გარდაქმნის.
- გურამი** — მე სამყაროს გარდაქმნისათვის არა ვარ გაჩენილი, ოსტატო, სიამაგი-სო არც ღონე მაქვს და არც სურვილი. მე მისი ჰერეტიკა მინდა, მისი სი-ლამაზის აღქმა და ფერებში გადმოცემა — ჩემი დრო საამისოდ არ არის მოწყობილი და ამიტომ ვცდილობ, ოცნებაში მაინც მისგან გაქცევას.
- მხატვარი** — კარგად არ იცნობ შენს დროს, გურამ, მის ყველა სიკეთესა და მშვენიერებას. შორს ისწრაფი და ახალს ველარ ხედავ.
- გურამი** — შენც ჩემი კრიტიკოსებივით გაზეპირებულ სიტყვებს მეუბნები, ოს-ტატო. შენ, ვინც წარსული საუკუნეების სიყვარულს მასწავლიდი. მე შენს სახელისნოში შევიყვარე წარსული, თქმულებებითა და მითებით დასახლებულ შენს სამყოფელში, სადაც ირგვლივ მუდამ გარდასულ დრო-თა აჩრდილები მერტყმოდნენ.
- მხატვარი** — მართალია, გურამ! (პაუზა) მაგრამ განა სხვამ იცის, თუ რას ფიქ-რობს კაცი სიკვდილის უამს? მეც მქონდა ეს მძიმე ფიქრები სიკვდილის წინა წუთებისა, მეც ვფიქრობდი ჩემს განვლილ ზბასა და შემოქმედებაზე და ყველაფერს მივხვდი... მივხვდი, რომ დრომ მეც ისევე შემაქცია ზურგი, როგორც ადრე მე გავეჩეცი მას. თავის დროისაგან გაქცეულს კი, თურმე მარტოობის სევდა და სასოწარკვეთა ეწვევა — ყველა უბედურებაზე ძნელი და აუტანელი უბედურება.
- გურამი** — მაგრამ შენ ხომ სიკვდილის შემდეგ დაგაფასეს...
- მხატვარი** — ვეჭვობ, რომ არა, განა ახლა მოსწონთ ჩემი ის ნამუშევრები, რომ-ლებიც ჩემს სიცოცხლეში არ ესმოდათ? ან მე მომწონს დღეს ისინი? შენ ამბობ, რომ დღეს მაფასებენ, მაგრამ ეს ის დაფასება როდია, რომელზედაც მე ვოცნებობდი. მე ჩემი თაობის, ჩემი დროის დაფასება მინდოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ცხოვრება არც მე ვიცოდა.
- გურამი** — რა არის ცხოვრების ცოდნა... უკვე აღარ მესმის...
- მხატვარი** — ღრმა ცოდნასა და დაკვირვებაზე გეუბნები. ადამიანმა რომ თავისი დრო უკეთ დააფასოს, უნდა სხვა დროც ნახოს და განიცადოს. შენამდეც ყოფილან და, ალბათ, შენს შემდგომაც იქნებიან თავისი დროის უკმაყო-ფილო ადამიანები.
- გურამი** — მხატვრები და შემოქმედები...
- მხატვარი** — მეოცნებე ადამიანები, რომლებიც თავის დროს გაქცევიან. მაგრამ თავისი დროისაგან გაქცევას სინანულისა და გულის გატეხის მეტი არა-ფერი მოჰყოლია.
- გურამი** — მე არ ვინანებდი ჩემი დროიდან წარსულში ან მომავალში გადა-სვლას. ერთ წუთსაც არ ვინანებდი, ოღონდ შესაძლებელი ყოფილიყო.
- მხატვარი** — შენ ამას შესძლებ, გურამ, მაგრამ ბოლოს ინანებ და იმ სინანული-საგან ველარავინ განაკურნავს! მე შენ მოგცემ სამ ჯალოსნურ ვაშლს (იღებს სამ ვაშლს).
- გურამი** — რა ლამაზებია!
- მხატვარი** — მაგრამ მათ ჰიები აქვთ...
- გურამი** — მაინც ძალიან ლამაზებია!..
- მხატვარი** — ერთ ვაშლს რომ შესჭამ, შენ გადახვალ შორეულ წარსულში...
- გურამი** — (უწვდის ხელს გამოსართმევად) შორეულ წარსულში?
- მხატვარი** — სწორედ იმ შორეულ წარსულში, როცა უდიდესი მხატვრები ხა-ტავდნენ დიდებულ ტაძრებსა და სასახლეებს.
- გურამი** — ნუთუ ეს შესაძლებელია?



**მხატვარი** — მეორე ვაშლს რომ შესჭამ, შენ აღმოჩნდები შორეულ მომავალში.  
**გურამი** — შორეულ მომავალში?

**მხატვარი** — სწორედ იმ შორეულ მომავალში, როცა ადამიანები ყველაფრით ბედნიერები იქნებიან და ცხოვრებას სისხლი და ჭუჭყი აღარ ექნება.

**გურამი** — ღმერთო, რა ბედნიერებაა!

**მხატვარი** — ეს მესამე ვაშლი კი იმ შემთხვევისათვის გქონდეს, როცა წარსულზე და მომავალზე გული გაგიტყდება, შენი დროისაგან გაქცევა დაგნანება და გულს განუჟურნელი სევდა შემოგაწვება.

**გურამი** — ეგ, ალბათ, არასოდეს არ მოხდება.

**მხატვარი** — ვინ იცის, შემოქმედის ბუნება ცვალებადია! შეუძლებელი არაფერია!

**გურამი** — მერე ეს ვაშლი რომ ვიგემო, ჩვენს დროში დავბრუნდები?

**მხატვარი** — არა, ეგ უკვე შეუძლებელი იქნება. შენს დროს უკვე ვერასოდეს ვეღარ დაუბრუნდები, მაგრამ ამ ვაშლის შეჭმა გაგათავისუფლებს ყოველგვარი სურვილისაგან. იგი დაგაბრუნებს არყოფნაში, სადაც არც წარსულია, არც აწმყო და არც მომავალი.

**გურამი** — დე, აგრე იყოს, ადამიანის ბოლო მიინც არყოფნა არის...

**მხატვარი** — უკანასკნელად კიდევ დაფიქრდი, გურამ, ვიდრე საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდე. ნუთუ არაფერი და არავინ გრჩება შენს დროში დასანანებელი და გულის დასაწყვეტი?!

**გურამი** — დასანანებელი და გულის დასაწყვეტი... (ისმის კარზე კაკუნი. მხატვარი შირმას ამოეთარება). მობრძანდით!

(შემოდის პავლე).

**პავლე** — გურამ, ბოდიში რომ გაწუხებთ... მგონი, თქვენთან უკვე მუშაობს ტელეფონი. თუ შეიძლება, ერთი წუთით.

**გურამი** — დარეკეთ...

**პავლე** — მე კი არ მინდა, ერთ ქალიშვილს გავუკეთე ოპერაცია და შინ უნდა დარეკვა.

**გურამი** — მოვიდეს.

(პავლე გადის, გურამი შირმას უკან შედის. შემოდის პავლე და თამარი. თამარი მიდის ტელეფონთან და კრეფს ნომერს. მხატვარი უახლოვდება გურამს და ეჭვის თვალთ აკვირდება თამარს).

**მხატვარი** — (ჩურჩულთ) ეს ხომ თამარია... შენი სატრფო?

**გურამი** — ის არი...

**მხატვარი** — მერე გინეკოლოგთან რა უნდოდა?

**გურამი** — სს.. მაცალე..

(მხატვარი ისევ იმალება).

**თამარი** — (ტელეფონის მიღში) დედა ხარ? ჰო, თამარი ვარ. ყველაფერი კარგად გათავდა. კი, საკმაოდ ძნელი იყო. ჰო, მალე მოვალ... ნუ გემინია. (კიდებს მილს და პავლესთან ერთად გადის).

**გურამი** — აი, თურმე რატომ აღარ მოსწონდა ჩემი აღარაფერი! ჩემი თვალთ მიინც არ შენახა და ჩემი ყურით არ გამეგონა. ესეც ჩვენი დროის სიყვარული! ფიცის სიწმინდე და პატიოსნების ერთგულება!.. არა, მეტის ატანა აღარ შემიძლია... ჭუჭყი მახრჩობს, ჩემი დროის ჭუჭყი. რა მრჩება, ვინ მრჩება გულის დასაწყვეტი და დასანანებელი. აღარაფერი და აღარავინ. უნდა გავეცალო ყველას, ყველაფერს. ისტატო, სადა ხარ?

**მხატვარი** — (გამოდის სამალავიდან) — აქა ვარ, გურამ!

**გურამი** — სად არი შენი ვაშლები? მომეცი... ახლავე მომეცი! (მხატვარი იღებს

სამ ვაშლს და აძლევს, გურამი აცქერდება, სინჯავს ვაშლებს) აი, მე ვიწყებ მათ შექმას... (შეჩერდება) მაგრამ ისეთი რა ძალა აქვთ ამ ვაშლებს?..  
**მხატვარი** — მათი ძალა შენს შთაგონებაშია, შენს თვითდაჯერებაში. შესკამ ამ ვაშლებს და იმოგზაურებ წარსულსა და მომავალში, არა რაიმე ჯადოსნური ძალის დახმარებით, არამედ შენივე ოცნებისა და შთაგონების ძალით. და შენთან ერთად წარსულსა და მომავალში იმოგზაურებს ეს ხალხი. (ხელს იშვერს მაყურებლებისკენ).

**გურამი** — როგორ? ეს ხალხიც ჩემთან იმოგზაურებს?

**მხატვარი** — მთელი ეს დარბაზი, ეს მაყურებლები.

**გურამი** — როგორ? ნუთუ მათაც უნდა გავუნაწილო ეს ვაშლები?

**მხატვარი** — არა. ისინი თავიანთ წარმოდგენაში გამოგყვებიან შენ. ისინი ოცნებას გამოჰყვებიან შენთან ერთად. აგერ, ხედავ? დარბაზში დადის ოცნება, უჩინმაჩინას ქუდი ხურავს და მაყურებლები ვერ ხედავენ. ის ყველასთან მიდის სათითაოდ, ყველას თავისი უხილავი ფრთით ეხება და შენთან ერთად შორეული მოგზაურობისთვის ამზადებს.

**გურამი** — ვხედავ... ზღაპრული ფრინველივით ტრიალებს დარბაზში და მაყურებლებს ფრთებს ასხამს.

**მხატვარი** — მამ მივდივართ შორეულ წარსულში.

**გურამი** — მივ-დი-ვართ.

ფ ა რ დ ა



მომქმედება II

მარჯვნივ მეფის სასახლე.

ისმის ზარების გაბმული რეკვა და ქოროს შორეული სიმღერა. იღუმალეგზით მოცულ ცარიელ ქუჩაში მოდის ზურაბი.

**ზურაბი** — რა ამბავია? რატომ რეკენ გაბმით ზარები, არც მოედნებზე, არც ქუჩებში კაცი არა ჩანს.

2. ეისყარი, № 4.



- ქორო — შორით მოდიხარ შენ, ალბათ, და მიტომ არ იცი,  
 დღეს რა დღეც ადგას ჩვენს ქალაქს და მთელ ჩვენს სამეფოს.
- ზურაბი — სწორედ ეგარეა, აქაური არა ვიცი რა.
- ქორო — მტერი აპირებს შემოსევას სამხრეთ საზღვრიდან.  
 და სატახტოსკენ მომავალ გზის ჩასაკეტავად  
 კლდეკარის ციხის აშენებას შეუდგა მეფე;  
 ციხე ისედაც მიუღლომელ ვიწრო ხეობას  
 შეუვალს გახდის, მას მტრის ჯარი ვერას დააკლებს,  
 თუ იგი მტკიცედ აიგება და თანაც დროზე.  
 საშური იყო აშენება ციხე-სიმაგრის  
 და დღედაღამე მუშაობდნენ ქვეთხუროები...  
 მაგრამ ამოდ დაშვრა ყველა. ციხის შენებას  
 ბოლო არ უჩანს, არ დაადგა დღემდე საშველი.  
 როგორც კი მალლა აიყვანენ სამხრეთის კედელს,  
 რაღაც მიზეზით უცარი ბზარი უჩნდება  
 და დასრულებას ვერ ასწრებენ, ისე ინგრევა.
- ზურაბი — იქნებ ხუროებს ანგარიში სადმე ეშლებათ,  
 ან უფარგისი ქვა და კირი...
- ქორო — რა სათქმელია!  
 ციხის შენებას თავს ადგანან ხუროთმოძღვრები,  
 კალატოზებიც გამოცდილი ოსტატებია.  
 ქვაცა და კირიც რჩეული აქვთ, საუკეთესო.
- ზურაბი — მაშ, რაღა მოსდის, რად ინგრევა ციხის კედელი?
- ქორო — სწორედ მავ კითხვამ შეაშფოთა სამეფო კარი  
 და რაკი იყო სხვა ამოღონე ყოველი,  
 მეფემ გაგზავნა საკითხავად ხატში კაცები.
- ზურაბი — მერე რა ბრძანა? რა უჩიია ხატმა ხელმწიფეს?
- ქორო — ქადაგის პირით ასე ბრძანა ძლიერმა ხატმა:  
 სამ ადლზე კიდევ ღრმად მოსთხარეთ საძირკველიო.
- ზურაბი — ეგ ადვილია.
- ქორო — მაგრამ ვაი, ეგ რომ არ კმარა  
 და უფრო ძნელის უძნელდება ბაგეს წარმოთქმა.
- ზურაბი — ძნელი რაღაა?
- ქორო — ხატმა ბრძანა ციხის კედელში  
 ცოცხალი კაცის ჩატანება!
- ზურაბი — ღმერთო, რა მესმის.
- ქორო — ეგეც გვიბრძანა, ვინ იქნება ის უბედური.
- ზურაბი — ვინ იქნებაო, ბედისწერა ვის ირჩევს მსხვერპლად?
- ქორო — ამ სამ დღეშიო, ვიდრე მალლა ავა კედელი,  
 ჩვენს სატახტოში ბოროტება მოხდება მძიმე  
 და ვინც იქნება დამნაშავე, ცოდვის ჩამდენი,  
 ის ცოცხლად უნდა ჩაატანონ ციხის კედელში.
- ზურაბი — ვაი, რა მძიმე, რა საძნელო განაჩენია.
- ქორო — უკვე ორი დღე გასულია დათქმული ვადის,  
 დღეს რომ მზე ჩავა, ხატის ვადაც მიიწურება...
- ზურაბი — ვადა თავდება და ჯერ არ ჩანს ბოროტმოქმედი?



**ქორო** — არა, მძიმე რამ ბოროტება ჯერ არ მომხდარა, მაგრამ მოხდება. ბოროტება აქ დადის ახლა, სადღაც ჩვენს შორის დატრიალებს იგი უჩინრად და მსხვერპლს დაექებს, რომ ცოდვა რამ ჩაადენინოს.

**ზურაბი** — ცუდ დროს მოვსულვარ.

**ქორო** — მართლაც ცუდ დროს ხარ აქ მოსული.

**ზურაბი** — გული მიგრძნობდა, არ მინდოდა აქეთ წამოსვლა.

**ქორო** — წადი, სალოცავს შეეფარე, ღმერთი დიდია,

ცოტალა დარჩა მზის ჩასვლამდე, შენც ღმერთს ევედრე.

(ზურაბი ჩამოჯდება დაღონებული. შემობრბის გვანცა ბატონიშვილი, თავზე ყვავილების გვირგვინით, ხელში ყვავილებით).

**გვანცა** — მესამე დღეა, კაცი გარეთ აღარ გამოდის და ყვავილებსაც არავინ კრეფს გზების ნაპირას.

მინდვრად იების ლურჯი ტბა დგას და ალაგალაგ

გზაზე ბალახსაც თავი მწვანედ წამოუყვია.

საოცარია, მე მათ აღრე ვერც კი ვამჩნევდი,

თუმცა ყვავილებს ფიანდაზად მიფენდნენ ფეხქვეშ,

მათი სიტუტფის თითქმის არა გამეგებოდა;

მაგრამ მას შემდეგ, რაც ქვეყანას დავუწყე ცქერა

მისი თვალებით, თვალს მტაცებენ ახლა ფერები

და თითქო ჩაეწვდი სილამაზის ბედნიერებას.

**ზურაბი** — ღმერთო, აგერ ის, ჩემი ფიქრი, ჩემი ოცნება...

**გვანცა** — როგორ გოდებენ ეს ზარები გულის საკლავად!

იმიტომ რეკენ, მწუხარება რომ აგვაცილონ,

მაგრამ მათ მოთქმას თვითონ მოაქვს მეტი წუხილი.

ეს დღეც თავდება, მესამე დღე, ცოდვა რამ დიდი

ჯერ არ მომხდარა, იქნებ გვიხსნას ცოდვისგან ღმერთმა.

თუმცა, ვინ იცის, მზის ჩასვლამდე ვის რა მოელის!

მე რა მაშფოთებს, აქედან ხომ ჩემი ზურაბი

შორს არი ახლა და ეს საფრთხე არ ემუქრება.

აღბათ, ზის თავის საოცნებო ტაძარში ახლა

და მის კედლებზე ცად გაფრენილ ანგელოზს ხატავს,

ხატავს და თვითონ ფიქრით ამ დროს ჩემთან დაფრინავს.

რამდენჯერ უთქვამს, იმ დღის შემდეგ რაც შენ ვნახეო,

რასაც ვხატავო, ყველაფერი შენ გემსგავსება,

მინდვრის ყვავილიც, ირმის ნუკრიც, ცის ანგელოსიც...

**ზურაბი** — ბატონიშვილო!

**გვანცა** — ზურაბ, შენ ხარ! აქ როგორ გაჩნდი?

**ზურაბი** — მე ვარ, რად შეკრთი? ჩემმა ნახვამ არ გაგახარა?

**გვანცა** — ო, როგორ არა! (ეხვევა) სხვა უფრო რა გამახარებდა,

თუმცა აქ ახლა შენს დანახვას რომ არ ველოდი,

გულს ელდა მეცა... ხომ კარგად ხარ?.. მაგრამ შენ ამ დროს,

იმ სიშორიდან სატახტოში არ მოხვიდოდი

და ტაძრის ხატვას უმიზეზოდ არ მოცდებოდი.

**ზურაბი** — შენ მართალი ხარ! თუმცა შენი ერთი დანახვა

მთელ ქვეყნად მიდიხს, ტაძარს მაინც არ დავტოვებდი,

კარს რომ უეცრად განსაცდელი არ მომდგომოდა.

**გვანცა** — რა განსაცდელი? ჩქარა მითხარ, რაღას აყოვნებ.

**ზურაბი** — ტაძრის მოხატვას ვამთავრებდი, ცოტაღა მაკლდა, მეფემ ინება მობრძანება მოულოდნელად.

**გვანცა** — ვინ? მამაჩემმა?

**ზურაბი** — მამაშენმა, ხელმწიფემ ჩვენმა.

თან ახლდნენ მეფეს დედოფალი, კათალიკოსი,  
დიდებულნი და უხუცესი მხატვარი კარის...

**გვანცა** — ალბათ, ძალიან მოეწონათ შენი მხატვრობა.

**ზურაბი** — მაგას ყველაზე ვერ ვიტყვოდი, მხატვართუხუცესს თვალები ჰქონდა აღტაცებით გაბრწყინებული. მეფე გულგრილად შეჰყურებდა ირგვლივ ყველაფერს, მაგრამ შფოთავდა თავიდანვე კათალიკოსი.

**გვანცა** — ნუთუ მას ერთს არ მოეწონა? ყველა მნახველი დღემდე შენს ნახატს ერთსულოვნად ქებას ასხამდა.

**ზურაბი** — მოეწონაო? ცოტა არი არ მოწონება, წვერი იგლოჯა და თვალთავან სულ ცეცხლი ჰყარა.

**გვანცა** — რათა, რა ჰპოვა იქ ისეთი?

**ზურაბი** — რაღას არ მისწვდა,

ეკვით აღძრულმა ჯერ ეშმაკებს დაადგა თვალი —  
მიმზიდველები, ლამაზები რად დახატეო,  
მერე წმიდანებს დააკვირდა: ცოცხლებს გვანანო,  
ხელში მიცქერენ, როგორც ხარბი ერისკაცები  
და სამოთხეში შეშვებისთვის ვერცხლსა მთხოვენო.

**გვანცა** — ეგ როგორა თქვა, მკრეხელობა როგორ იკადრა?!

**ზურაბი** — უცებ ღვთიშობლის ხატისაკენ აღაპყრო თვალი და შემობრუნდა წამსვე, როგორც ისარნაკრავი, პირჯვარს იწერდა, ცახცახებდა და გაჰყვიროდა... ღვთიშობელ დედას მკერდი როგორ გაუშიშვლეო, ან სხეულს მისას რად მიეცო ფეროვანება...

**გვანცა** — მეფეს ესმოდა და ანჩხლ ხუცესს არა უთხრა რა?

**ზურაბი** — ხელმწიფე სდუმდა ერთხანს, შემდეგ მხატვართუხუცესს მიუახლოვდა და ეს უთხრა ჩემს გასაგონად: თუმცა ბევრი რამ ჩემთვის არის გაუგებარი — ზეშთაგონებას ვერა ვხედავ ამ მხატვრობაში — სარწმუნოებით ამადლებულ ღვთის კაცთა ნაცვლად მას დაუხატავს ჩვენი დროის ხალხს უბრალო... შევცდით, რომ ჰუბუკს, მსგავს საქმეში ჯერ გამოუცდელს, ვანდეთო ეგზომ კეთილნაშენ ტაძრის მოხატვა.

**გვანცა** — ეგ როგორა თქვა, მან მხატვრობის არა იცის რა.

**ზურაბი** — მხატვართუხუცესს ჩემსკენ არც კი მოუხედაია, მეფეს სიტყვის თქმაც ვერ შეხებდა ჩემს დასაცავად, თავი დახარა და ტაძრის სვეტს ამოეფარა. მეფის ნათქვამით კიდევ უფრო გულმოცემულმა კათალიკოსმა ჩემსკენ რისხევით ხელი აღმართა: რატომ შებილწე, უბედურო, ღვთის საყდარიო, როგორ დახატე წმიდაები მეძვე ქალებად და მოწამენი — გემოთ მიმყოლ ერისკაცებად.

— განვედ, წარმართო! — შემევირა და კარზე მანიშნა, რომ ცოდვილივით გავსულიყავ წმიდა ტაძრიდან. მერე ხელმწიფეს მიეახლა და შეჰღალადა: ახლავ უბრძანე, წაშალონო ეს მკრეხელობა...

**გვანცა** — ნუთუ მხატვრობის წაშლა ბრძანა?..

**წურაბი** — სწორედ ეგ სურდა,

კვერთხი თვითონვე დაუშინა ჩემს ნაოცნებარს. თვალთ დამიბნელდა, მარჯვენაში ვეცი ბერიკაცს და გაანჩხლებულს კვერთხი იქვე გავაგდებინე. გაცოფებულმა მომხედა და წყევლა აღმოხდა, მუხლზე დაეცა ხელაპყრობით...

**გვანცა** — ჰოი, უფალო!

**წურაბი** — მეფეც გაცეცხლდა, შეჩოქოლდა მეფის ამაღა და არვინ იცის, თავს რა რისხვა დამატყდებოდა, რომ დედოფალი ჩვენს შორის არ აღმართულიყო; კურთხევა სთხოვა კათალიკოსს, წამოაყენა და წამსვე მოღბა მკაცრი მეფეც.

**გვანცა** — მუდამ აგრეა,

დედოფლის ერთი გამოხედვა მეფისთვის კმარა.

**წურაბი** — ხელმწიფეს სთხოვა დედოფალმა სათნო ვედრებით, რომ განაჩენი ჩემთვის იქ არ გამოეტანათ და დამშვიდებულ გუნებაზე სხვა დროს ემსჯელათ, ჩემი მხატვრობის წაშლასა თუ დატოვებაზე. დედოფლის თხოვნას იქვე დასცა მეფემ დასტური, მანაც ფერწასულ კათალიკოსს მოუბოდიშა, მხარში შეუდგა და ტაძრიდან სწრაფად წაბრძანდა.

**გვანცა** — გადარჩენილხარ, თუმც კერპია კათალიკოსი, აზრს არ შეიცვლის, ერთხელ ნათქვამს აღარ გადათქვამს.

**წურაბი** — ვიცი, ეგრეა, ჯერ არ მეთქმის გადარჩენილი, მაგრამ მე მისი არ მაშინებს ისე მუქარა, როგორც წყალობა დედოფლისა...

**გვანცა** — სთქვი, ეგ რას ნიშნავს?

**წურაბი** — მეფემ იმდღესვე დამიბარა და მომილოცა, გადავწყვიტეთო შეგიწყნაროთ, რადგანაც შენთვის იშუამდგომლა დედოფალმა ჩვენს წინაშეო. ახლა სურვილი ჩვენი არის, მაღლი მივაგოთ მას, ვინც შენ გიხსნა სასჯელისგან და შენთან ერთად შენი ქმნილების გადარჩენა ჩაგვაგონაო: უნდა დახატო დედოფალი, შენი მფარველი, უნდა გვაჩვენო შენი ნიჭი, ხელოვნებაო.

**გვანცა** — კიდევ დედოფლის სურათს ნატრობს, ვითომ ცოტა აქვს!

**წურაბი** — ფეხთ ჩაეუვარდი დედოფალს და თაყვანი ვეცი, მეფე წამოდგა და წასვლისას ასე მიბრძანა:

გტოვებთ, ახლავე შეუდექი დედოფლის ხატვას; ერთი გახსოვდეს, შენი ბედი შენს ხელთვე არი, შენი ნახატი თუ დედოფალს მოეწონება, ჩემგან წყალობას მოელოდე კიდევ მრავალგვარს,

- მაგრამ თუ ყალბით ვერ გადმოსცემ მშვენებას მისას,  
მაშინ ჩვენგანაც კათალიკოსს ხელი ესხნება.
- გვანცა** — მუქარასა ჰგავს ეგ პირობა და შენი ბედი  
ახლა უმეტეს საფრთხეშია, რადგან დედოფლის  
ნება-სურვილზე მიუგდია ხელმწიფეს იგი.
- ზურაბი** — შევუდექ ხატვას, დედოფალი ვნებით მიცქერდა  
და გამომწვევად მილიმოდა მაცთურ ღიმილით.
- გვანცა** — მისგან არ მიკვირს! სარეცელი დედაჩემისა  
უნდა სირცხვილით წითლდებოდეს, ხელმწიფის გვერდით  
როცა ეგ წება — უნამუსო სიძვის დიაცი.
- ზურაბი** — კაბიდან შიშველ ხორცს აჩენდა ზომაზე მეტად,  
მძიმედ სუნთქავდა, მიბნედილი მეუბნებოდა:  
როგორც განახეო, უცნაურმა მაგ თვალთა ცეცხლმა  
მეც თითქო ცეცხლი წამიკიდეს და წამსვე მიგხვდი,  
რომ თვალთა შენთა სილამაზის ფასი იცინა.
- გვანცა** — ჰოი, მაცდურო, უსინდისო დედინაცვალო!  
რად არ გხედავდა ბრმა თვალებით მაგ დროს ხელმწიფე,  
რად არ გისმენდა მამაჩემის ყური დახშული.
- ზურაბი** — შემდეგ ეს მითხრა: შენს დედოფალს თუ აამებო,  
მას შეუძლია მოგანიჭოს ამქვეყნიური  
ყველა დიდება...
- გვანცა** — ჰოი, კახბა, გრძნობით ვაჭარი!
- ზურაბი** — თავდახრით ვუთხარ, რომ ბუნებით ხარბი არა ვარ,  
სახელისა და ქონებისთვის არ ვარ მზრუნველი,  
ოღონდ მე ჩემი სამუშაო მქონდეს ულევად,  
ძვირი არა ღირს საღებავი და მხატვრის ფუნჯი.  
მას გაეცინა: სამუშაოს სხეებს თვითონ მისცემ,  
სამეფოს მხატვართუხუცესად როცა დაგვამო,  
ბინას იქ მოგცემ, მეფის კარზე, რომ ხელმწიფესთან  
და შენს მწყალობელ დედოფალთან ახლო იყო.
- გვანცა** — მერე რა უთხარ? ნუთუ მიეც ვერაგს თანხმობა?
- ზურაბი** — არა, დაგდუმდი, მოვარიდე შიშველ მკერდს თვალი,  
თავი დავხარე დარცხენილმა, მაგრამ ამაოდ —  
მის დაუფარავ მუხლისთავებს ვერ დავემალე.  
თავბრუ მესხმოდა, არ ვიცოდი რა მომელოდა,  
რომ დედოფალი არ მიეხმო ხელმწიფეს ამ დროს.
- გვანცა** — დმერთმა უშველოს! ლამის გაწყდა მოთმენის ძაფი,  
ცოტა კიდევ და მე ხმამალლა ავტირდებოდი.
- ზურაბი** — იმ დღესვე მეფე-დედოფალი აქეთ დაბრუნდა  
და ხმა გავრცელდა, ელიანო მტრის შემოსევას.  
მეგონა, ალბათ, დავავიწყდი გვირგვინოსნებს-თქო,  
მაგრამ ყოფილა ნაადრევი ეს დამშვიდება.  
გუშინ საღამოს ჩემთან გაჩნდა მეფის შიკრიკი  
და მან სასწრაფოდ მომახსენა მათი ბრძანება —  
დაუყოვნებლივ სატახტოსკენ წამოვსულიყავ,  
რათა სურათი დავამთავრო დედოფლის ჩვენის.
- გვანცა** — ეგ მახე არი, დედოფალი მაგით გიტყუებს.

**ზურაბი** — მაგას მეცა ვგრძნობ, მაგრამ რა ექნა, რა გზას დავადგე.

**გვანცა** — შენც იცი, ალბათ, რა ცბიერი, ავხორციე არი სპარსთა ასული, აწ კი ჩემი დედინაცვალი; როდესაც სათნო დედაჩემი გარდაიცვალა, შაჰის ბრძანებით მამამ იგი შეირთო ცოლად. იმ დღიდან მეფეს მეფე ჰქვიან, მაგრამ ნამდვილად სამეფოს მართავს დედოფალი მისი სახელით. და მისი ერთი წამისყოფა კმარა, რომ მეფემ უძლიერეს კაცს სამეფოსას თავი წარკვეთოს.

**ზურაბი** — თუ აგრე არი, ჩვენს ხალხს ცუდი დღე დადგომია.

**გვანცა** — თუ შენი დასმა საყვარლად სურს ვერაგ დედოფალს, ცეცხლთან თამაშობს, რადგან მეფეს ეპვიც ეყოფა, რომ მისი სატრფოს ხელმყოფელი უმალ გააქროს. ესეც არ იყოს, ჩვენს დედოფალს დიდხანს არავის ტრფობა გაჰყვება, მალე იცის კაცის მოწყენა და თუ საყვარლად მოგიძულა, შენც სხვების მსგავსად დაღუპვა გელის.

**ზურაბი** — ნუ მაწითლებ, მაგას რათ ამბობ, ცოცხალი თავით მე შენს ღალატს როგორ ვიფიქრებ?

**გვანცა** — თუ კიდევ შეგრჩა სიყვარული ჩემი მცირელი, წადი, დედოფალს განერიდე, ნუ ეჩვენები.

**ზურაბი** — ეგ არ იქნება, მე მათ რისხვას სად გავეძევი; სჯობს დავრჩე, ჩქარა დავამთავრო სურათი მისი, რომ აღარ ჰქონდეს კვლავ მიზეზი ჩემთან შეხვედრის.

**გვანცა** — მიზეზს ათასგვარს მოიგონებს შენს სანახავად, ტრფობის მახეში — ვერც გაიგებ — ისე გაგაბამს.

**ზურაბი** — თუ კვლავ მაცთუნა და ნამუსზე აიღო ხელი, სხვა რა ვიღონო: არ დავფარავ, პირდაპირ ვეტყვი, რომ ერთმანეთი წრფელი გულით გვიყვარს მე და შენ და წმიდა ფიცით შეკრული ვართ.

**გვანცა** — მაგას ნუ ეტყვი, ეგ რომ გაიგოს, მაშინ შური უფრო გადარეცს, ისედაც მტრად მთელის და ორივეს ერთად დაგვლუპავს.

(სასახლიდან გამოდიან მეფე-დედოფალი, ვაზირები, დიდებულნი.)

**მეფე** — ცოტადა დარჩა მზის ჩასვლამდე და რაც დრო გადის, შევბას არა ვგრძნობ, დროს მიწურვა არ მიხარია; შიში მატულობს, თითქო უფსკრულს ვუახლოვდები.

**დედოფალი** — ეგ მღელვარების ბრალი არი, მადლობა უფალს, ხატის დათქმული ვადა მალე მიიწურება და შენს ღელვასაც მოედება, ხელმწიფევ, ბოლო, (ზურაბი წინ წამოდგება, მუხლებზე დაეცემა და მეფე-დედოფალს ეთაყვანება).

**ზურაბი** — მეფე-დედოფალს სალამს ვკადრებ უღირსი მონა.

**მეფე** — სალამი შენდა! ამ საერთო მწუხარების ეპმს სწორედ გვაამა შენმა ღრით მოსვლამ, მხატვარი. (წამოაყენებს ზურაბს)



შენ უკვე იცი, თუ რისთვისაც გიხმეთ სასწრაფოდ, ომი კარს გვადგას, მალე დიდი მოგველის გარჯა. მე ჩქარა უნდა საზღვრებისკენ დავძრა ლაშქარი და სატახტოდან ძალიან შორს დავიბანაკო. თუმცა დედოფალს ჩვენთან სურდა ბანაკად ყოფნა, ნება არ დავრთე, ბრძოლის ველზე თან ვერ წავიყვან. მაგრამ უმისოდ ყოფნაც ჩემთვის ძნელი იქნება და განშორების დარდი ოდნავ რომ განვიქარვო, ჩვენ განვიზრახეთ თან წავილოთ სურათი მისი. იქნება ხვალეე ავიყაროთ, დრო ცოტა გვრჩება, უნდა მოასწრო ჩვენს წასვლამდე მისი დახატვა. ახლავ შეუდექე, დრო ძვირად ღირს, და თუ მზადა ხარ, წაპყე დედოფალს, განმარტოვდით მის პალატებში.

**გვანცა** — მეფევე, ბატონო!

**მეფე** — შენც აქა ხარ, მეფის ასულო?

**დედოფალი** — აქ რას აკეთებ ამ ცოდვის დღეს, ბატონიშვილო, რატომ საყდარში არ ლოცულობ შენც სხვებთან ერთად?

**გვანცა** — სათქმელი რამ მაქვს ხელმწიფესთან.

**დედოფალი** — მერეც მოასწრებ,

ახლა ისა სჯობს ღმერთს ევედრო ეკლესიაში.

**მეფე** — ჰო, წადი, შვილო, სჯობს ილოცო უფლის წინაშე,

მზის ჩასვლის შემდეგ მითხარ, თუ რამ გაქვს სათხოვარი.

(გვანცას მხარზე ხელს ხვევს და მიაცილებს. მობრუნდება დედოფლისა და ზურაბისკენ).

თქვენც ნუ აყოვნებთ... ჩქარა ველი სურათს, მხატვარო.

(დედოფალი და მხატვარი თავს უკრავენ და შედიან სასახლეში).

**ქორი** — მზე შუბის ტარზე დაიხარა და დასაველით,

თითქო იწვისო, სისხლისფერმა ალმა შელება;

ყორნები დაბლა ჩამოდიან და ყაშყაშებენ

სისხლის და ცოდვის საშინელის მომასწავებლად.

მზე ჩადის, მაგრამ როდი ძინავს ბოროტებასაც,

იგი ჩვენს შორის დატრიალებს ახლა უჩინრად

და მსხვერპლს დაეძებს, რომ ცოდვა რამ ჩაადენინოს.

უფალო, გვიხსენ, კალთა შენი გადაგვაფარე,

შენს ერს მახვილი ააცილე ბედისწერისა.

**მეფე** — უფალო, გვიხსენ საშინელი განსაცდლისაგან,

გადმოუვლინე ჩემს სამეფოს წყალობა შენი

და ჩემს სატახტოს ბოროტების ხელი ამორე.

(შემოდის ვ ა ზ ი რ ი, თაყვანით მიესალმება)

მითხარ, ვაზირო, ჩვენს ქალაქში რა ამბავია.

**ვაზირი** — მთელი სატახტო უბან-უბან შემოვიარე,

სიმშვიდე სუფევს ჩვენს ქალაქში, რადგანაც ხალხი

სულ ერთიანად საყდრებშია ლოცვად შესული.

**მეფე** — იქნებ ისმინოს მათი ლოცვა უფალმა ჩვენმა

და სასწაულით იხსნას ერი ბოროტისაგან.

(ხელს აღაპყრობს და იწერს პირჯვარს)

დღეს სატახტოში თუ რამ მოხდა კიდევ ახალი,



- ცოდვა რამ ვისმე სადმე ხომ არ ჩაუდენია?
- ვაზირი** — არა, მეფეო, გულმხურვალედ მლოცველი ხალხი ეკლესიებში დანაშაულს ვით ჩაიდენდა?
- მეფე** — თუ ამ ცოტა ხანს მზის ჩასვლამდე არა მოხდა რა, მაშინ ის ქურდი განწირულა, ოქროსმპარავი, დიდვაჭრის ბინა რომ გასტეხა გუშინ საღამოს.
- ვაზირი** — მართალსა ბრძანებთ, ამ სამ დღეში სხვა უფრო მძიმე დანაშაული არ მომხდარა ჩვენს სამეფოში.
- მეფე** — ციხის კედელში ჩაყოლება ცოცხალი კაცის, ვინც უნდა იყოს, სათქმელადაც ზარდამცემია, მაგრამ ვინ შეცვლის, ვინ გადავა ხატის ბრძანებას?! მხოლოდ ერთიღა მიმსუბუქებს ამ მძიმე განცდას, რომ განწირული ავაზაკი დიდხანია იყო ხალხის და მთელი ქვეყნის შემწუხებელი. და რაკი მისი გასწორება სხვა გზით არ იქნა, ხალხსაც ნაკლებად დააღონებს მისი დაღუპვა.
- ვაზირი** — მისი დაღუპვა ერს სარგებელს მოუტანს ორგვარს — ვით ხატმა ბრძანა, აშენდება ციხე კლდეკარის და ხალხსაც შიში ავაზაკის აღარ ექნება.
- (შემოდის მეორე ვაზირი)
- II ვაზირი** — მეფეს დიდება, დღეგრძელობა ხელმწიფეს ჩვენსას.
- მეფე** — საღამი შენდა! შეშფოთებას გატყობ, ვაზირო, მითხარ, რა მოხდა.
- II ვაზირი** — უჩვეულო ამბავი, მეფეც, მებადის ძროხამ ხბო მოიგო ორთავიანი.
- მეფე** — ცუდს მოასწავებს, ალბათ, ეგეც.
- II ვაზირი** — აგრე ამბობენ, ღვთისწყრომის ნიშნად აღიარეს ბერ-მონაზვნებმა.
- მეფე** — ღმერთო, გვიღბინე, ცოდვათაგან გვიხსენ, უფალო!
- II ვაზირი** — გზად ზედაუნის სალოცავში გამოვიარე და იქ შევიტყე უფრო დიდი საშინელება.
- მეფე** — მზის ჩასვლის ქამი ახლოვდება, ცოდვა მატულობს. რა მოხდა უფრო საშინელი, სთქვი, რა შეიტყე?!  
**II ვაზირი** — ღმერთი უგმია ქვრივ დედაბერს ეკლესიაში.
- მეფე** — ღმერთი უგმია? მერე რათა, რამ აიძულა?
- II ვაზირი** — არავინ იცის იმ ხნის ქალი რამ გაამწარა, ოღონდ ეს კია, სრულ ჭკუაზე არა ყოფილა.
- მეფე** — აგრე იქნება, როცა ღმერთს სურს ადამიანის დასჯა, გონებას დაუბნელებს უპირველესად.
- II ვაზირი** — მე თვითონ ვნახე უბედური, მართლა შეშლილა, ზოგნი ამბობდნენ ეს არისო ის დიდი ცოდვა, რომლის ჩამდენიც დიდებული ხატის ბრძანებით ციხის კედელში უნდა იქნას ჩატანებული.
- მეფე** — ღვთის გმობა მართლაც ცოდვათაგან უდიდესია, მაგრამ სასჯელად იმ უბედურს ისიც ეყოფა, რომ უფალს მისთვის უკვე ჭკუა წაურთმევია. უჭკუოს ჭკუა ჩვენგან აღარ მოეთხოვება და გიყის დასჯა სიგიჟეზე მეტი იქნება.

- I ვაზირი** — ბრძნულად სჯის მეფე, ჩვენ რომ კიდევ გავეწიროთ იგი, უგუნო შემოიღოს არ მიიღებს მსხვერპლად უფალი.
- II ვაზირი** — მზე უკვე ჩადის, რაკი ღმერთმა თვით არ ინება სხვა უფრო დიდი მომხდარიყო დანაშაული, ჩანს ოქროსმპარავს ეს სასჯელი აღარ აცდება.
- მეფე** — ჩვენც აგრე ვფიქრობთ. უკვე ჩადის მზე სისხლიანი. დიდება უფალს...
- (დანებობა პირჯვრის წერით).
- ვაზირები** — (ისინიც დაემხობიან) დიდება ღმერთს, უფალს დიდება! (შემოვარდება ტანსაცმელშემოხეული, გაწეწილი დედოფალი).
- დედოფალი** — ღმერთო ძლიერო, რა შეგცოდნე მე ამის ფასი ან ამ შავდღემდე რად მაიცოცხლე მე უბედური, რად შემასწარი ამ შერცხვენას და დამცირობას.
- (დაეცემა ტირილით).
- მეფე** — (მივარდება) რა ამბავია, დედოფალო, მითხარ, რა მოხდა?!
- დედოფალი** — მე დედოფალი აღარა ვარ, ყველა პატივი, ყველა ღირსება ხელმწიფური თუ რამ გამაჩნდა, ამიეროდან აყრილი მაქვს, სჯობს აქვე მომკლა, ვიდრე მიყურო დამდაბლებულს, შეურაცხყოფილს.
- მეფე** — მითხარ, რა მოხდა, დედოფალო, რამ შეგაშფოთა, ცრემლი რას ნიშნავს ან სამოსი ვინ შემოგძარცვა? მაღალ ღმერთს ვფიცავ, თუ კაცთაგან ვინმემ გაბედა, ერთიც რა არი უპატიოდ შენი შეხედვა, შენს ფერხთქვეშ დასცემს მას უსულოდ ჩემი მახვილი.
- დედოფალი** — უპატიოო?! ცოტა არის უპატიობა, ჩემს ნამუსს ხელჰყვეს, სარეცელი შენი მეფური, წმინდა ლოგინი გაიმეტეს შესაგინებლად.
- მეფე** — ჰოი, რა მესმის?! ვინ გაბედა, ჩქარა მითხარი... (მცველებს შემოჰყავთ ხელფეხშეკრული ზურაბი) მხატვარი?! ნუთუ მან გაბედა ეს თავხედობა?
- დედოფალი** — მაგის წყეულ ხმას, თუ ღმერთი გწამთ, ნუ გამაგონებთ, ნურც თვალით სადმე დამანახებთ მის მახინჯ სახეს, რადგანაც მარტო შეხედვაზეც გული მერევა.
- I მცველი** — ჩვენი დედოფლის პალატის კარს ჩვენ ვგუშავობდით, რომ მყუდროება მისი ვისმეს არ დაერღვია; უცებ გაისმა სიჩუმეში ჭალის კვილი და დედოფალმა შევლად გვიხმო პალატებიდან. წამსვე შევცვივდით და ნეტავი არ დაგვენახა...
- II მცველი** — იდგა მტირალი დედოფალი, თმაგაწეწილი და ტანთ მეფური სამოსელი შემოხეოდა.
- I მცველი** — ეს კაცი სარკმელს მიწყდომოდა გადასახტომად.
- II მცველი** — მაშინვე მივხვდით, ბოროტება რაც მომხდარიყო, არ შევდგომივართ დაკითხვას და გამოძიებას, მყისვე მივცვივდით ამ უცხო კაცს, რომ დამნაშავე არ წასულიყო და ხელიდან არ დაგვსხლტომოდა.
- I მცველი** — წამსვე შევკარით და როდესაც აქეთ მოგვყავდა, თან სამოსელიც წამოვიღეთ, მისი კურტაკი.
- (აჩვენებს მეფეს).

II მცველი — ეს სარეცელთან დარჩენოდა, როცა ილტვოდა...

დელოფალი — მეფევ მე შენი მორჩილება მუდამ მჩვევია,  
შენი ბრძანებით შევიყვანე ჩემს პალატებში  
შენივე მონა უბირი და ეგზომ თავხედი.  
მე რა ვიცოდი, რა განზრახვით შემოდოდა;  
ჯერ სელზე დამსვა და სურათის ხატვას შეუდგა,  
ტბილად დამიწყო ჯერ მაცთური მან საუბარი,  
ბოლოს კურტაკი გაიხადა და საწოლისკენ  
გაბედა მასთან დასაწოლად ჩემი მიწვევა.  
თვალსა და ყურს არ ვუჯერებდი, ბრაზი მახრჩობდა  
და ვიღრე ურცხვად ხელით არ მწვდა, ხმას არ ვიღებდი,  
მაშინ კი ყველა დამავიწყდა, ჩემი ღირსებაც,  
თავმოყვარებაც, ხალხის ჭორის მსხვერპლად გახდომაც,  
ტირილი მოვრთე და საშველად ვუხმე ვუშაგებს.  
შეშინდა მონა, მიხვდა როგორ შორს შეეტოპა,  
• ილტვოდა, მაგრამ ვერ მოასწრო სარკმლის გაღება,  
მაშინვე შეჭკრეს ამ ერთგულმა მცველებმა ჩემმა.

მეფე — ჰოი, მდებალო გულმეფიწყო უმადურებავ!  
შენ ეს მომაგე ესოდენი სიკეთისათვის,  
მაგრამ ღირსი ვარ უფრო მეტი ლაფის დასხმისა,  
რომ ვერ მიცვნია უკეთური შენი ბუნება.  
უსაშინლესი სასაჯელისგან მიტომ დაგხსენ,  
მიტომ მოგიხმე კარის მხატვრად, აღსაწვევლად,  
რომ ჩემი მადლი ასე ბილწად გადაგხადა?!  
მაგრამ აწ ნახე, რა უხვი ვარ სისასტიკეშიც,  
რა დიდი ზომით შემიძლია ავის მიგებაც!  
აქვე მოგკლავდი, ამ მახვილით მკერდს გაგიპობდი,  
მაგრამ არ გავსერი ქვეწარმავლის სისხლით იარაღს, —  
მე უფრო მეტი სატანჯველით მინდა დაგსაჯო,  
ამ სასაჯელისთვის თვით განგებას აურჩევინარ.  
ისმინოს ყველამ! ჩვენ ვასრულებთ ხატის ბრძანებას —  
ჩადენილია უდიდესი დანაშაული,  
უბირმა მონამ ხელჰყო მეფის პატივს უდიდესს,  
თავხედად სცადა შეგინება ჩვენი საწოლის.  
ამაზე დიდი ბოროტება ჩვენს სამეფოში  
არა თუ მართო ამ სამ დღეში, დასაბამიდან  
არასდროს არც ერთ ქვეშევრდომს არ ჩაუდენია...  
დანაშაული მოხდა სწორედ დათქმულ ვადაში,  
როცა მზის ჩასვლას კიდევ აკლდა ორიოდ წუთი.  
ამაო იყო ჩვენი ხალხის ლოცვა-ვედრება,  
ერთმა უღირსმა მთელი ერი ცოდვით გასვარა  
და რომ სამეფო განიწმინდოს ამ ბიწისაგან,  
უნდა აღსრულდეს ყოველივე, რაც ხატმა ბრძანა:  
ციხის კედელში უნდა იქნას ჩატანებული  
ეს მოლაღატე, უდიდესი ცოდვის ჩამდენი...

ქორი — ჰოი, უფალო, რა სასტიკი განაჩენია!

მეფე — ახლავ დაიწყო ამოყვანა ციხის საძირკვლის,  
სიღრმე სამ აღლზე გაუთხარონ, ვით ხატმა ბრძანა.

**I ვაზირი** — ახლავ ვაცნობებ თქვენს ბრძანებას, მეფეე ბატონო. (გადის).  
**მეფე** — ვიდრე საძირკველს მორჩებიან, ბოროტმოქმედი  
 საპყრობილეში დაამწყვდიონ ბოცილგაყრილი.

**II ვაზირი** — (ზურაბს) ბედკრულო, რატომ ხმას არ იღებ, მეფის წინაშე  
 თავი იმართლე, ნუთუ არ გაქვს სიტყვა სათქმელი?!

**ზურაბი** — ვისთან ვიმართლო, რა აზრი აქვს თავის მართლებას,  
 როცა სიმართლეს მსჯავრს სდებს თვითონ უსამართლობა,  
 როცა მტარვალის ერთი ეჭვიც კმარა მცირელი,  
 რომ ნიჭიერი დაიღუბოს ადამიანი,  
 თავისი ხალხის და ქვეყნისთვის თავდადებული.

მე რომ მეცხოვრა იმ წარსულში, როდესაც ჩვენში  
 იყო მეფობა გონიერი ხელმწიფეების,  
 როცა სამშობლო იყო ჩვენი თავისუფალი,  
 ალბათ, ჩემს სახელს ჩემი საქმე უკვდავს გახდიდა!  
 ნეტავი ქვეყნად მაშინ მაინც გავჩენილიყავ,  
 იმ მომავალ დროს გყოფილიყავ, როცა მტარვალებს  
 აღარ ექნებათ შემოქმედზე ძალაუფლება;  
 მაშინ მეც, ალბათ, ჩემი ნიჭით ავმალღებოდი  
 და მომავალი ჩემს სახელსაც გააბრწყინებდა...

**მეფე** — რაღას აყოვნებთ?! წაიყვანეთ საპყრობილეში.  
 (მცველებს გაჰყავთ ზურაბი).

ჩემო ღვთაებაე, თვითონ ნახე, რა განაჩენიც  
 გამოვეტანე მას, ვინც შენი შეურაცხყოფით  
 მეც შეურაცხმყო და პატივი ვეხქვეშ გათელა.  
 მე მისი დასჯით დავანახებ მთელს ჩემს სამეფოს,  
 თუ მათ დედოფალს როგორ კრძალვით უნდა მოეპყრან.

**დედოფალი** — გმადლობ, ხელმწიფეე, პატივს რომ სცემ ღირსებას ჩემსას,  
 სხვაგვარ მოქცევას მეფისაგან არც მოველოდი...

რაც დღეს ვადამხდა, სიკვდილს უდრის სუსტი ქალისთვის,  
 გონს ვერ მოვსულვარ, დაღლილობით თავბრუმეხვევია...

**მეფე** — გთხოვ, მოისვენო, დამნაშავის დასჯამდე დრო გვაქვს.

**დედოფალი** — არა, ხელმწიფეე, გახსენებაც მისი სახელის  
 კმარა, რომ ძრწოლამ დამიაროს, ცეცხლი მომედოს;  
 გთხოვ, ნუ მაჩვენებ მისი დასჯის საშინელებას.

**მეფე** — როგორც გენებოს...

**დედოფალი** — მისი ტანჯვა ისე არ მზარავს,  
 როგორც დანახვა ან ხსენება მისი სახელის,  
 ამიტომ, მეფეე, ნება დამრთე, აქ აღარ დავრჩე  
 და ქალაქგარეთ დავისვენო შენს აგარებში.

**მეფე** — შენი სურვილი კანონია ხელმწიფისათვის.

**დედოფალი** — რაკი ნებას მრთავ, ახლავ წავალ, აღარ დავიციდი,  
 თუმც გულს მტკიავა, შენთან ახლოს რომ არ ვიქნები.  
 (ეამბორება, გადის).

**მეფე** — ხედავთ? აქედან კარგად მოჩანს ციხე კლდეკარის —  
 უკვე მალღებდა, მიწას ასცდა მისი კედლები...

**II ვაზირი** — ათასზე მეტი კალატოზი თავს ახვევია  
 და თუ უშველა ხატის რჩევამ, აღარ დაირღვა,  
 ათიოდ ღლეში მზად იქნება ციხე-სიმაგრე.



**მეფე** — დმერთმა ჰქნას! მაშინ სამხრეთიდან დაძრული მტრების  
ესოდენ შიში ჩემს სამეფოს აღარ ექნება,  
რადგან მთავარ გზას მიუვალი ციხე ჩაჰკეტავს.  
(შემორბის შიკრიკი).

**შიკრიკი** — დიდება მეფეს!

**მეფე** — რა ამბავი მოგაქვს, შიკრიკო?!

**შიკრიკი** — ხალხში გავრცელდა უცნაური ხმა, თითქო მხატვარს  
ზეშთაგონებულს უპირებენ ცოცხლად დამარხვას  
სამგზის დარღვეულ, ბედუკუღმართ ციხის კედელში.  
მყისვე დასტოვეს მლოცველებმა ეკლესიები  
და კლდეკარისკენ გაეშურნენ შფოთით, ყაყანით...

**მეფე** — რასა შფოთავენ, რა გვინდაო?!

**შიკრიკი** — ეგრე ამბობენ,

მხატვარს არა აქვს ჩადენილი დანაშაული,  
შურით და მტრობით შეაბეზლეს ხელმწიფესთანო.

**მეფე** — მაგას ვინ ბედავს? ბოროტმოქმედს ვინ ესარჩლება?  
მე მათ ვაჩვენებ, როგორც უნდა შფოთის ატეხვა...  
(გაზირს).

ახლავ წაუძებ კლდეკარისკენ, დასძარ ლაშქარი  
და ციხისაკენ მიმავალი უმალ გარეკე...  
(გაზირი თავისდაკვრით გადის).

ჰმ! ჩადენილი არა აქვსო დანაშაული!  
განა არსებობს უფრო დიდი სხვა ბოროტება,  
ვიდრე მონისგან მწყალობელი მეფის ღალატი  
ანდა ხელყოფა გვირგვინოსნის პატიოსნების?!  
(შემორბის მეორე შიკრიკი).

**II შიკრიკი** — დიდება მეფეს!

**მეფე** — კიდევ რამე ხომ არ მომხდარა?

**II შიკრიკი** — როგორც გაიგეს, მხატვარს მეფემ რაც მიუსაჯა,  
ახლაგზრდებში გამოუჩნდა ბევრი ქომაგი  
და გადაწყვიტეს ხელოვანის გადასარჩენად  
თვით ჩაიღინონ უფრო დიდი დანაშაული.

**მეფე** — როგორ ბედავენ? ყველას მკაცრად გავუსწორდები.

**II შიკრიკი** — ერთმა ჭაბუკმა დაიჭირა უცნობი ქალი,  
ძალა იხმარა და ნამუსი იქვე აჰხადა.

**მეფე** — თუმცა დიდია მაგ ჭაბუკის დანაშაული,  
მაგრამ მხატვრისას ბოროტებით ვერ უსწორდება.

**II შიკრიკი** — მეორემ მგზავრი მოქარავენ მოჰკლა და ითხოვს  
მხატვრის მაგივრად ჩააყოლონ ციხის კედელში.

**მეფე** — მოქარავენთა ხელმყოფელებს მე სასტიკად ვსჯი,  
მაგრამ ვერ მივა ვერც ეგ მხატვრის ბოროტებასთან.

**II შიკრიკი** — მესამემ ცეცხლი წაუკიდა მეფის ქარვასლას...

**მეფე** — მაგასაც დავსჯი, თუმცა მხატვარს ვერც ეგ დაიხსნის,  
რადგანაც ცოდვა მისი ყველას აღემატება.

არ მომწონს ხალხის მღელვარება, უნდა დაჩქარდეს  
ხატის ბრძანების შესრულება, ბოროტის დასჯა.

ახლავე წაველ, კალატოზებს თავს დავადგები.

(მეფე გადის ამალით).

ქორო — ცოდვა ტრიალებს, საშინელი ტრიალებს ცოდვა,  
 არ დამშვიდდება, არ შეწყდება ღვთის წყრომა ჩვენზე,  
 ვიდრე მთავარი ბოროტება არ დაისჯება.  
 ძრწოდე, სატახტოვ, გარდუვალი არის განგება,  
 მრისხანე არის განაჩენი ბედისწერისა!  
 (შემობრბის ხალხი ყაყანით).

I მოქალაქე — მეფე სად არის?

II მოქალაქე — სად წავიდა?

III მოქალაქე — სად არის მეფე?

ქორო — კლდეკარს წაბრძანდა...

I მოქალაქე — ჩვენც იქითკენ ვიყავით, მაგრამ  
 წინ არ გაგვიშვეს, დაგვიყენეს გზაზე ლაშქარი...

ქორო — მეფემ ისურვა თავს დაადგეს ციხის მშენებლებს,  
 რათა დაჩქარდეს მხატვრის დასჯა, ბოროტმოქმედის.

II მოქალაქე — ჯერ კიდევ არი გასარკვევი, მხატვრისგან მართლა  
 არის თუ არა ჩადენილი დანაშაული.

III მოქალაქე — ამ ღიღ ცოდვაში აჩქარება არვის შეპვერის —  
 რადგან მართალი კაცის დასჯა ასე სასტიკად  
 ცოდვა იქნება, ცოდვათაგან ყველაზე დიდი.

I მოქალაქე — ამგვარ საქმეში თავიდან სჯობს ადრე გაზომვა  
 და როცა მოსჭრი, არ გექნება სასინანულოდ.  
 ზურაბ-მხატვარი სასარგებლო კაცია დიდად  
 და აჩქარებით რომ დავლუპოთ, მტრების დასმენით,  
 ამით ჩვენ ვნებას მივყავნებთ ჩვენსავ ქვეყანას.

II მოქალაქე — გასამართლონ, ბრალი დასდონ, ხალხის წინაშე  
 უფლება მისცენ, როგორც ყველას, თავის მართლების.

ქორო — ხატის ბრძანებით, მესამე დღეს, მზის ჩასვლის შემდეგ,  
 უნდა დასაჯონ უდიდესი ცოდვის ჩამდენი.

III მოქალაქე — ცოდვა სხვაც ბევრი ჩაიდინეს მხატვრის საშველად,  
 ციხის კედელში ჩაყოლონ სხვა დამნაშავე.

ქორო — მეფემ არც ერთი არ ჩათვალა ეგ ბოროტება  
 მხატვრის ცოდვასთან ოდნავ მაინც გასატოლებლად.

I მოქალაქე — ჩვენ აქ რას ვმსჯელობთ, უკვე ისმის ხმა განწირულის.  
 (ისმის შორი გუგუნი და განწირულის ყვირილი. ყველანი გასცქერიან)

II მოქალაქე — უკვე კედელი მალლა ადის...

III მოქალაქე — უკვე მთავრდება  
 ციხის კედელში ჩაყოლება ცოცხალი კაცის.  
 (ისმის შორეული გუგუნი და მოთქმა).

ქორო — ასრულდა ხატის ნაბრძანები: ციხის კედელი  
 მალლა ავიდა, შეიწირა მსხვერპლი უფალმა...  
 (შემოვარდება გვანცა ბატონი შვილი ხელში დანით).

გვანცა — მეფე სად არის, მამაჩემი მაჩვენეთ ჩქარა,  
 ჩადენილია უდიდესი დანაშაული.

ქორო — ჰოი, უფალო, კიდევ ცოდვა, კიდევ ბოროტი!

გვანცა — მეფის მხატვარი სატრფო იყო, საქმარო ჩემი,  
 ჩვენ ფიცი გექონდა მიცემული ერთმანეთისთვის.  
 ის დედოფალმა დაიბარა აქ, მეფის კარზე.

რათა სურათი დაეხატა მისი საჩქაროდ.

ზურაბს დედოფლის შიში ჰქონდა, რადგან უმძიმდა დედოფლის ახორც ცთუნებისგან თავის დაფარვა, რომლითაც იგი მოუხმობდა აშკარად მხატვარს.

როცა გავიგე მე ზურაბის დაბატირება, საპყრობილეში ვინახულე იგი ფართულად და ყოველივე გამოვკითხე, როგორც მომხდარა.

**მოქალაქენი** — როგორ მომხდარა? აღიარა დანაშაული?

**გვანცა** — არა! რას ამბობთ?! იგი ცამდე არის მართალი! როგორც დედოფლის პალატებში შესულან ერთად და ზურაბს ხატვა დაუწყია მისი სურათის, ჩემს დედინაცვალს აუღია ნამუსზე ხელი, ურცხვად იწვევდა თურმე მხატვარს სარეცლისაკენ; დედოფალს თვითონ გაუხდია მისთვის კურტაკი და როცა ხვევნით მოუნდომა საწოლზე დასმა, ზურაბი მყისვე დასხტომია, კარს მისწყდომია. თავის შერცხვენის დედინაცვალს შეშინებია, შემოუძარცვავს ტანსაცმელი, თმა გაუშლია და გუშაგები მოუხმია ვითომ საშველად.

**მოქალაქენი** — ჰოი, სირცხვილო! უნამუსო დაუნდობლობა!

**გვანცა** — ზურაბის შეეკრა მცველებისთვის უბრძანებია და ხელმწიფესთან გამოსულა თავათ ტირილით: ნახე რა მიყო შენმა მონამ, ეს რა შემკადრა, შემომახნია ტანსაცმელი, ძალა იხმარა და ნამუსს მხდიდა, გუშაგები რომ არ მეხმო.

**ქორი** — ჰოი, კაცთ მოდგმის დამღუბველო, ეშმაკის თესლო, შენს ვერაგობას ვერ მისწვდება კაცის გონება!

**გვანცა** — მეფემ მაშინვე დაუჯერა თურმე დედოფალს; სიყვარულით და ეჭვით ერთად გაშმაგებულმა — მხატვარს სასჯელი მიუსაჯა უსაშინლესი.

როგორც შევიტყე, რომ მართალი იყო ზურაბი, სხვა გზა ვერ ვნახე სასჯელისგან მის დასახსნელად, თვით ჩავიდინე უდიდესი დანაშაული...

**ქორი** — რა ჩაიდინე, რა შესცოდე ღმერთს, უბედურო?!  
**გვანცა** — ამ დანით მოვკალ უნამუსო დედინაცვალი!

**ქორი** — ჰოი, საბრალოვ, ეგ ცოდვა რამ ჩაგადენინა!

**გვანცა** — ახლა აქ მოველ, რომ ხელმწიფეს თვით მოვახსენო: ჩადენილია უდიდესი დანაშაული —

საბედისწერო აღასრულონ ხატის ბრძანება, ციხის კედელში ჩამაყოლონ ზურაბის ნაცვლად დედოფლისა და დედინაცვლის ბედშავი მკვლელი.


**ქორი** — ჰოი, ბედკრულო, გვიან იყო თავის განწირვა, მხატვარი უკვე ჩააყოლეს ციხის კედელში...

(საერთო ზარი და მოთქმა).

დაბნელება. დაბნელებიდან:

უცხოოდ მოხატული ტაძრის კედლები. შემოცვივდებიან შუბოსანი მეფის მკვლელები, გაცოფებით იწყებენ კედლებიდან მხატვრობის წაშლასა და ფხეკას.

— შეჩერდით! რას სჩადით!.. შეჩერდით!..





გაისმის გურამის ყვირილი... იგი თავგანწირული ეცემა შუბოსნებს. ისევ ბნელდება. დაბნელებიდან ვხედავთ სინათლის წრეში მარტო მდგარ შემოფოთებულ გურამს.

**გურამი** — ჰოი, რა ვნახე! რა ცხოვრება! რა ბოროტება!

აქ გაჩერება აღარ ძალშიძს... უნდა გავეჭე, უნდა გავშორდე წარსულის ამ საშინელებას.

(გარბის — წინ გადაუდგება მხატვარი).

**მხატვარი** — რა მოხდა, გურამ! სად მირბიხარ?

**გურამი** — საშინელება. ენით უთქმელი საშინელება... ნეტავი თვალთ არ მენახა, არ განმეცადა.

**მხატვარი** — ახლა რას ფიქრობ, გურამ? შენს ვადაწყვეტილებაზე დგახარ ისევ თუ არა? გინდა თუ არა მომავლის ნახვაც?

**გურამი** — (გამოცოცხლდება) მომავალი! ჰო, მომავალი უნდა ვნახო... აუცილებლად... უნდა ვნახო.


**მხატვარი** — შენ კიდევა გაქვს ორი ვაშლი...

**გურამი** — ჰო, მართლა... აღარც მახსოვდა (იღებს ვაშლს) კიდევ კარგი რომ არ წამართვეს შუბოსნებმა...

**მხატვარი** — შენ შესჭამ მეორე ვაშლს და გაფრინდები მომავლისაკენ...

**გურამი** — მომავლისაკენ... ჩქარა, მომავლისაკენ! (სჭამს ვაშლს) შორეულა მომავლისაკენ!..

(ფარდა)



მოქმედება III

დილა თბილისში ხუთი საუკუნის შემდეგ. გურამი და მხატვარი სხედან სასტუმროს წინ მოედანზე. იქვე დგას რობოტი.

**გურამი** — ქვეყანაც სხვანაირია... ხალხიც სხვანაირი... დავიღალე, ამდენი შობეკუდილებით თავი მიბრუსი...

- მხატვარი** — იქნებ დაისვენო, ცოტა წაიძინო?
- გურამი** — არა, რა დამაძინებს! სასტუმროში დამტოვეს და ვერ გავჩერდი, ბალში გამოვედი. ყველაფერი მაინტერესებს, ყველაფერის გაგება მინდა.
- მხატვარი** — ეს ვინ არი? (უჩვენებს რობოტზე).
- გურამი** — ეს რობოტია — მანქანა ენციკლოპედია, რომელიც სპეციალურად ჩემთვის დაუმზადებიათ და მე მომამაგრეს. იგი უნივერსალური ცნობარია, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ამბებისთვის გათვალისწინებული, შესანიშნავი მეხსიერება აქვს და სწორად დასმულ კითხვებზე ზუსტად პასუხობს.
- მხატვარი** — კარგია... როგორ მოგწონს ჩვენი თბილისი, ახლა იგი უკვე ორი ათასი წლისაა...
- რობოტი** — მიმდინარე წლის მწიფობისთვის...
- გურამი** — მწიფობისთვის რომელია?
- რობოტი** — თქვენს დროს ოქტომბერს ეძახდნენ. ჩვენმა ხალხმა აღადგინა თვეების ძველი სახელწოდებანი... მიმდინარე წლის მწიფობისთვის ჩართველი ხალხი ზემოთ აღნიშნავს თავისი დედაქალაქის თბილისის ორი ათასი წლისთავს.
- გურამი** — ღმერთო ჩემო! როგორ სიზმარით გაუბრუნია ხუთას წელიწადს! ნუთუ ხუთასი წლის წინათ ვიდღესასწაულეთ თბილისის ათას ხუთასი წელი? წარმოდგენაც არ მაქვს, როგორ მოხდა.
- რობოტი** — სრულიად უბრალოდ. ხუთასი წლის წინათ თქვენ გაფრინდით კოსმოსში რაკეტით, რომელიც სინათლის სხივის სისწრაფესმიახლოებული სიჩქარით მიფრინავდა. ამ სიჩქარით ფრენისას დროის ქროლვა, ასე ვთქვათ, „ნელდება“ და კოსმონავტს სიცოცხლე უგრძელდება იმ ვადით, რომელიც დედამიწის დროის ასეულ და ათასეულ წელიწადს უდრის. თქვენ რამდენიმე წელიწადში მიაღწიეთ შორეულ პლანეტას და დაბრუნდით უკან, დედამიწაზე, სადაც ამ დროისათვის თქვენი თანამედროვეების ძალიან შორეული შთამომავლები ცხოვრობენ.
- გურამი** — საოცარია! ძალიან გამოცვლილა თბილისი...
- მხატვარი** — ჰო, ძალიან გამოცვლილა!
- გურამი** — ნარიყალა და მეტეხი რომ არ იდგნენ ძველებურად, ალბათ, უცხო ქალაქში მეგონებოდა თავი... თუმცა ჩემთვის იგი მაინც უცხოა, ვეღარავის ვცნობ, მათი აღარაფერი მესმის.
- მხატვარი** — რათა? განა თბილისში ისევე ქართულად არ ლაპარაკობენ?
- რობოტი** — ქართველები თბილისსა და მთელ საქართველოში ლაპარაკობენ ქართულად. ახალი ქართული ლექსიკურად ოდნავ განსხვავდება მეოცე საუკუნის ქართულისაგან, გრამატიკული სტრუქტურა იგივე აქვს შენარჩუნებული.
- გურამი** — როგორ? მეოცდახუთე საუკუნის ქართველს შეუძლია „ვეფხისტყაოსნის“ გაგება?
- რობოტი** — შეუძლია და უფრო ადვილად, ვიდრე მეოცე საუკუნის ზოგიერთი მწერლის ნაწარმოების გაგება.
- (ისმის ხმაური. ყველანი მაღლა იხედებიან).
- გურამი** — მგონი კაცი მოფრინავს...
- რობოტი** — ეს არმაზია, თქვენზე დაკვირვების ინსტიტუტის ხელმძღვანელი.
- გურამი** — იგი ფრინველივით ფრთებით მოფრინავს, უმანქანოდ.
- რობოტი** — მცირე მანძილებსა და სიმაღლეებზე საფრენად ჩვენი დროის ადა-

მიანები თვითმფრინავებს აღარ იყენებენ, ისინი ხელოვნური ფრთებით დაფრინავენ.

**გურამი** — მაგრამ ენერგია? ენერგიას საიდან ღებულობენ?

**რობოტი** — ადამიანები ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივ საწვავს არ ხმარობენ. ისინი იყენებენ წმინდა ადამიანურ ენერგიას — მათ თავიანთი ალტაცება ან სიხარული გადაჰყავთ ენერგიაში.

**გურამი** — და ალტაცებას ფრთები მოჰყავს მოძრაობაში?!

**რობოტი** — დიახ... ადამიანმა მიიღწია ბედნიერებისა და სიხარულის განცდით გამოწვეული ალტაცების ან აღფრთოვანების ენერგიად გადაქცევას. თქვენი დროისათვის ამ უცნობი ენერგიით დაფრინავენ ოცდამეხუთე საუკუნის ადამიანები.

**გურამი** — რა საინტერესოა! ენერგიად გარდაქმნილი სიხარულითა და ბედნიერებით გამოწვეული ალტაცება და აღფრთოვანება!

(შემოდის არმაზი. მხრებიდან უზარმაზარ ფრთებს იხსნის და ეცავს. მხატვარი ამოეფარება ძეგლს).

**არმაზი** — გამარჯობათ, პატივცემულო ასტრონავტო!

**გურამი** — გამარჯობათ!

**არმაზი** — როგორ გრძნობთ თავს, ხომ კარგად?

**გურამი** — გმადლობთ, ჩინებულად! თქვენ, თუ არ ვცდები, ჩემზე დაკვირვების ინსტიტუტის ხელმძღვანელი ხართ.

**არმაზი** — დიახ! აგერ ერთ კვირაზე მეტია, რაც თქვენზე დაკვირვებისათვის საგანგებოდ შექმნილი ინსტიტუტის ხელმძღვანელი ვარ.

**გურამი** — მერე ერთ კვირაში ხმის გამოცვლა როგორ ვერ მოასწარი?

**არმაზი** — არ მესმის, რა ხმის გამოცვლაზე მეკითხებით?

**გურამი** — ჩემს დროს, როგორც კი ვისმეს პასუხსაგებ თანამდებობაზე დანიშნავდნენ, მაშინვე გამოიცილებდნენ ხმას, დაიბოხებდნენ და ტყუპით ლაპარაკობდნენ, უბრალო ხალხს სალამს ამადლიდნენ და ძველ ნაცნობებს აღარ ცნობდნენ.

**არმაზი** — ჩვენს დროში თანამდებობებზე აღარავის ნიშნავენ და ადამიანების ასეთი გარდაქმნაც წარმოუდგენელია. (ისმის ხმაური) ვილაკები მოდიან... სასურველი არ არის მათთან თქვენი შეხვედრა... გთხოვთ, ამოეფაროთ ამ კედელს.

**გურამი** — რათა? რისთვისაა ეს საჭირო?

**არმაზი** — ამაზე შემდეგ... ჩქარა... ჩქარა, ვიდრე შემოვლენ... (თითქმის ძალით მიჰყავს კედელს იქით. შემოდინ ახალგაზრდები ზურგით მაყურებლისაკენ, ბლოკნოტებიან ხელებს მაღლა იშვერენ და გზას უღობავენ. ნუგზარს, რომელიც ძალით მოიკვლევს გზას ხელში მოღბერტით).

**I ახალგაზრდა** — მხოლოდ ავტოგრაფი... მეტი არაფერი!

**II ახალგაზრდა** — მარტო ხელისმოწერა... სულ ერთი ხელის მოსმა!

**III ახალგაზრდა** — მე ყველაზე ადრე გთხოვთ, ჯერ მე დამიწერეთ...

(ყველანი უწვდიან ბლოკნოტებს, უბის წიგნაკებს).

**ნუგზარი** — გაიგეთ, რომ მე არა ვარ ხუთასი წლის წინანდელი მხატვარი...

**I ახალგაზრდა** — გვატყუებთ, თავიდან უნდა მოგვიშოროს!

**II ახალგაზრდა** — არც კი გრცხვენია, ტყუილს როგორ კადრულობ. ჩვენს დროში!

**III ახალგაზრდა** — სიცრუე ხომ ჩვენს დროში წარმოუდგენელია!

**ნუგზარი** — გეფიცებით, რომ საერთო არაფერი მაქვს იმ მათუსალასთან...

- II ახალგაზრდა — თქვენ თვითონა ხართ ის მათუსალა...
- III ახალგაზრდა — აგრე ადვილად როდი ვტყუებდებით.
- I ახალგაზრდა — განა კოსმოსიდან დაბრუნებული ასტრონავტის გარდა სხვა ვინმე დადის ხუთასი წლის წინანდელ ტანსაცმელში გამოწყობილი?
- ნუგზარი — ღმერთო, რას გადავეკიდე! ხუთასი წლის წინანდელ ტანსაცმელს ასტრონავტის ჩამოფრენამდისაც ვატარებდი. ამით ჩემს ალტაცებას გამოვხატავდი იმ გმირული დროისა და ადამიანებისადმი, როცა დედამიწაზე დიდი გარდაქმნები ხდებოდა.
- II ახალგაზრდა — ისევ გვატყუებს და გზას გვიბნევს. ეს ხომ დაუშვებელი და ჩვენს დროში გაუგონარი ქცევაა! მაშ ეგ სურათი რაა? (უთითებს მოლბერტზე), ეგ ხომ ასტრონავტის ცნობილი სურათია — „მხატვრის მსჯავირი“.
- ნუგზარი — ჩემი სურათია... სულ ახლახან დავიწყე და ჯერაც არ დამიმთავრებია.
- III ახალგაზრდა — ასტრონავტსაც დაუმთავრებელი დარჩა ის სურათი...
- ნუგზარი — ეს მხოლოდ იმავე თემის ჩემებული დამუშავებაა, მხატვრები ხშირად ხატავენ ერთსა და იმავე თემასა და სიუჟეტზე.
- არმაზი — (გადაუდგება წინ ახალგაზრდებს) შეჩერდით, ახალგაზრდებო! თქვენ გეშლებათ...
- I ახალგაზრდა — ბიჭებო, არმაზი!
- II ახალგაზრდა — არმაზია, ასტრონავტზე დაკვირვების ინსტიტუტის ხელმძღვანელი.
- არმაზი — გარეგნულმა მსგავსებამ თქვენ შეცდომაში შეგიყვანათ. ეს ახალგაზრდა ჩვენი დროის მხატვარია, ნუგზარი.
- I ახალგაზრდა — მგონი მართლა ნუგზარია!
- II ახალგაზრდა — მაშ, ასტრონავტი სად არის?
- არმაზი — ასტრონავტი ამჟამად ისვენებს...
- I ახალგაზრდა — ჩვენ მხოლოდ ავტოგრაფი გვინდა...
- III ახალგაზრდა — ავტოგრაფი მოგვეცეს და აღარ შევაწუხებთ.
- არმაზი — დამიტოვეთ თქვენი ფურცლები და წიგნაკები. საღამოს შემოიარეთ ინსტიტუტში და მიიღებთ ავტოგრაფებს.
- I ახალგაზრდა — დავეტოვოთ!
- II ახალგაზრდა — დავეტოვოთ და საღამოს მოვაკითხოთ!  
(აწვდიან ფურცლებს და წიგნაკებს)
- III ახალგაზრდა — გმადლობთ დახმარებისათვის.
- I ახალგაზრდა — გვაპატიეთ შეწუხება... (გაღიან)
- ნუგზარი — (ჩამოჯდება, იწმენდს ოფლს) საშველი აღარ მაქვს მაგ ასტრონავტთან მსგავსების გადამიტდეს. არ ვიცი, სად წაივს...
- არმაზი — ამ მსგავსებას თქვენ კიდევ ხაზს უსვამთ იმით, რომ მასავით მეოცე საუკუნის ტანსაცმელს ატარებთ.
- ნუგზარი — ამით მე მხოლოდ ჩემს ალტაცებასა და სიმპათიას გამოვხატავ მეოცე საუკუნის დიდი გარდაქმნებისადმი, იმ დროის გმირი ადამიანებისადმი. (დგამს მოლბერტს, იწყებს ხატვას).
- არმაზი — (აკვირდება სურათს) თქვენს ამ კომპოზიციასაც ზოგი რამ საერთო აქვს შორეული პლანეტიდან დაბრუნებული მხატვრის ცნობილ სურათთან.
- ნუგზარი — დიახ... მეც იმავე სიუჟეტს ვამუშავებ.
- არმაზი — ეს სამი ასული თქვენს ნახატშიაც სამ დროს გულისხმობს?

- ნუგზარი — დიახ, სამ დროს — აწყყოს, წარსულს და მომავალს.
- არმაზი — ვის მიაკუთვნებს თქვენი მწყემსი თუ მხატვარი სადავო ოქროს ვაშლს, რომელ დროს აირჩევს სამთავან?
- ნუგზარი — რა თქმა უნდა, წარსულს...
- არმაზი — ნუ თუ აგრე მიმზიდველად გეჩვენება წარსული?
- ნუგზარი — უაღრესად მიმზიდველად, არაჩვეულებრივად რომანტიულად...
- არმაზი — განა ჩვენს დროს აღარა აქვს რომანტიკა?
- ნუგზარი — ალბათ, აქვს; მაგრამ მე მას ვერ ვგრძნობ. მე მეჩვენება, რომ ჩვენ შეზღუდულნი ვართ.
- არმაზი — რას ამბობ, ჩვენს დროში შეზღუდვას რა უნდა?!
- ნუგზარი — მე სხვა შეზღუდვაზე ვამბობ; შეიძლება ეს სიტყვა სწორად ვერც გადმოცემდეს აზრს. ჩვენ თავისუფლები ვართ, როგორც არასოდეს არ ყოფილა ადამიანი თავისუფალი. მაგრამ ჩვენი თავისუფლება შეგნებულნი აუცილებლობაა. ჩვენ ყველანი ამ შეგნებულ აუცილებლობას ვემორჩილებით. იგი საზღვრავს ჩვენს ფიქრსა და მოქმედებას, ჩვენს ყოველ სურვილსა და ნაბიჯს.
- არმაზი — მერე ვგრძნობთ განა რაიმე უხერხულობას ან უსიამოვნებას, როცა აუცილებლობის შეგნებას ვემორჩილებით და მისი კარნახით ვმოქმედებთ?
- ნუგზარი — არა, თქვენ სრულიად არ გრძნობთ რაიმე შეზღუდვას და თქვენი თავი თავისუფლად და ბედნიერად მიგაჩნიათ, მაგრამ მე ვხედავ და ვგრძნობ, მე მხატვარი ვარ, თუმცა შესაძლოა მე ეს იმიტომ მეჩვენება, რომ ფიქრით და ოცნებით წარსულში ვცხოვრობ.
- (შემოდის პ რ ო ფ ე ს ო რ ი ხელში ფანქრითა და უბის წიგნაკით).
- პროფესორი — სავარაუდებელია, რომა იგი შორს არ წავიდოდა, რაკი მისი აქ ყოფნა სათანადოდაა დამოწმებული... ეგების სასტუმროში იყოს, მაგრამა... (მიიხედ-მოიხედავს), აგერ, აქა ყოფილა!.. (მიდის ნუგზართან) დილა მშვიდობისა, პატივცემულო ასტრონავტო... ნება მომეცით თქვენთან ბაასში გავარკვიო რიგი საკითხებისა.
- ნუგზარი — დაბრძანდით, ბატონო პროფესორო, მაგრამ საბედნიეროდ მე ასტრონავტი არა ვარ და სამწუხაროდ რიგი საკითხების გარკვევაშიც ვერ დაგეხმარებით.
- პროფესორი — (იხსნის სათვალეს, აკვირდება) დალახვროს ღმერთმა... შენა ხარ, ნუგზარ?! როგორი მსგავსებაა, პირდაპირ ასტრონავტი ხარ, პირწავარდნილი გურამი...
- ნუგზარი — მაგ მსგავსებამ ლამის თავი მომაკვლევივოს.
- პროფესორი — კარგია, რომ შენა განახე... შენთანა საჩხუბარი მაქვს, კარგად უნდა გაგჯორო.
- ნუგზარი — რას მერჩით, ბატონო პროფესორო?!
- პროფესორი — შენიშნულია, რომა ჩვენთან აღარ დადიხარ ამ ბოლო დროსა, წაიჩხუბეთ განა ნინოსთანა. წუხელ მთელი ღამე არ ეძინა, ძლიერა ჯავრობს...
- ნუგზარი — იმას სხვისი დარდით არ სძინავს...
- პროფესორი — რაო, რა სთქვი...
- ნუგზარი — არაფერი, თქვენს ქალსაც იმ ხუთასი წლის წინანდელ კაცში შევეშალე და ბოლოს ჩემს თავს ის ამჯობინა...
- პროფესორი — მაგას რათ ამბობ, ეგეთი ხუმრობა სად გავონილა.

- ნუგზარი** — მე არა ვხუმრობ. მალე თქვენ იქნებით მსოფლიოში ყველაზე ხნიერი სიძის — ხუთასი წლის კაცის სიმამრი...
- პროფესორი** — (წამოდგება გაჯავრებული) ნებას არ მოგცემთ ასე მეხუმროთ, ნუ სარგებლობთ ჩემი თქვენდამი კეთილ განწყობილებითა. დიახ... დიახ... მე ნებას არ მოგცემთ... თქვენ ჩემი ტოლი არა ხართა და ასეთი სისულელე ჩემთან აღარ გაიმეოროთ. (გადის გაბრაზებული).
- არმაზი** — რატომ გააწიწმამტეთ, ეგრე რათ ეხუმრეთ?
- ნუგზარი** — სამწუხაროდ სიმართლე ვუთხარი.
- არმაზი** — როგორ, თქვენ და ნინო...
- ნუგზარი** — მე და ნინო დავშორდით ერთმანეთს...
- არმაზი** — რათა, ისეთი რა მოხდა?
- ნუგზარი** — ასტრონავტმა ისარგებლა ჩემთან გარეგნული მსგავსებით, გააბრუნა ნინო კოსმოსის ზღაპრებით და თავი შეაყვარა...
- არმაზი** — ეს შეუძლებელია... ასტრონავტს ამის უფლება არა აქვს...
- (შემოდის ნინო, ზურგიდან ნუგზარს ფეხაკრეფით ეპარება და თვალებს ხელით უხუჭავს).
- ნინო** — როგორ მომენატრე... ასე მგონია მთელი საუკუნე არ მინახავხარ.
- ნუგზარი** — მეც ველარ გავძელი უშენოდ, ნინო, რომ არ მოსულიყავი, არ ვიცოდი, რას ვიზამდი...
- ნინო** — მთელი ღამე არ მეძინა, სულ შენზე ვფიქრობდი, დილით გათენებას არ დავუცადე, ფეხზე წამოვხტი და შენსკენ გამოქცევა მინდოდა...
- ნუგზარი** — მჯეროდა რომ ასე იქნებოდა, ნინო, ვიცოდი, რომ ეს გაუგებრობა გაივლიდა და შენ ისევ ჩემთან მოხვიდოდი (ეხვევა).
- ნინო** — (გონს მოდის, უშვებს ხელს) ნუგზარ! ნუგზარი ყოფილა! გამიშვი (წამოხტება) მე შენ ხმას არ გცემ... როგორ მიბედავ... რატომ სარგებლობ იმის მსგავსებით... მე ხომ შენთან საერთო აღარაფერი მაქვს... მე ხომ ის მიყვარს...
- ნუგზარი** — მე კი არა, ის სარგებლობს ჩემი მსგავსებით, შეგიჩვია და თავი შეგაყვარა, მაგრამ ეს დროებითია. მალე დარწმუნდები, რომ ეს სისულელეა და ისევ მე დამიბრუნდები.
- (ნინო გარბის. ნუგზარი ხელს არ უშვებს, მისდევს).
- ნინო** — გამიშვი, თორემ, ვიყვირებ... შენ ძველებური რომანების გაწბილებული შეყვარებულებით იქცევი... გამიშვი...
- ნუგზარი** — არა, არ გაგიშვებ... ისევ ჩემი უნდა იყო...
- არმაზი** — ნუგზარ, გაუშვი, როგორ გეკადრება, ნუგზარ... შენ მართლა წარსულის ადამიანივით იქცევი!.. (ცდილობს გააშოროს, სამივენი გადიან. გამოდიან გურამი და მხატვარი).
- მხატვარი** — სიანტერესო ახალგაზრდაა! შენ მას უბედურება მოუტანე, ნუგზარ.
- გურამი** — მაგრამ ეს ჩემი ბრალი როდია. უცნაური ახალგაზრდაა. მეოცე საუკუნეში ცხოვრებაზე ოცნებობს. აუხირებია, წარსულის რომანტიკოსი ვარო, ჩვენი დროის ტანსაცმელი ჩაუცვამს და ისედაც რომ ძლიერ გვაგდით ერთმანეთს, ახლა სულ ველარ გვარჩევენ.
- მხატვარი** — ამ მსგავსებით მოგებული ჯერჯერობით შენა ხარ, შენ ხომ ნინო ამის გამო დაგიახლოვდა.
- გურამი** — განა საქმე მხოლოდ მსგავსებაა! მე ნინომ მარტო ნუგზართან მსგავსების გამო როდი შემიყვარა.

**მხატვარი** — საქმე სწორედ მსგავსებაშიც არის და განსხვავებაშიც. შენ ადამიანი ხარ იმ წარსულიდან, რომელსაც ნუგზარი აღმერთებს. ნუგზარი იმ დროის რომანტიკოსია, რომლის ნამსხვრევიც შენა ხარ. ნუგზარმა შეაყვარა ნინოს შენი თავი.

**გურამი** — მაინც რატომ არის უკმაყოფილო თავისი დროით, მერე როგორი დროით, — რომელზედაც მთელი კაცობრიობის წინაისტორია ოცნებობდა!

**მხატვარი** — ეგ უკმაყოფილება შენსას არა გავს. ეს მიღწეულით დაუკმაყოფილებლობაა. დაუკმაყოფილებლობა კი წინსვლის საწინდარია. ადამიანები რომ სრულიად კმაყოფილნი იყვნენ, წინსვლა აღარ იქნებოდა, განვითარება შეჩერდებოდა.

(შემოდის პროფესორი, მოიხსნის სათვალეს, აკვირდება იჭაურობას. მხატვარი ისევ ამოეფარება კედელს).

**პროფესორი** — ეს კი დანამდვილებით ასტრონავტი უნდა იყოს, ხუთასი წლის წინანდელი ადამიანი. (ჩაახველებს).

**გურამი** — გამარჯობათ.

**პროფესორი** — დილა მშვიდობისა! ეგების ნება მომცეთ, მოვთავსდე მაინცადამაინც თქვენს გვერდითა.

**გურამი** — დაბრძანდით, მაგრამ რატომ მაინცადამაინც?..

**პროფესორი** — ეს არაფერი. მეცნიერული მსჯელობის სტილია და ეგების თქვენ არ გესმოდეთ... დიახ... იმას მოგახსენებდით, რომა მე გახლავართ პროფესორი...

**გურამი** — ალბათ, ისევ მეცნიერული საუბარი! ღმერთმანი, აღარ შემიძლია. თუ თქვენც შორეული პლანეტის ფლორასა და ფაუნაზე გსურთ საუბარი, მე უკვე განვაცხადე რადიოთი და გაზეთებშიც ეწერა, რომ ჩვენს მიერ დაპყრობილ პლანეტაზე სიცოცხლე არ არსებობს და, მაშასადამე, არც რომელიმე ენაზე მოლაპარაკე ადამიანები არიან.

**პროფესორი** — დიახ... დიახ... ეს უკვე ცნობილია... თუმცა მე გაზეთებს არა ვკითხულობ და რადიოსაც არ ვუსმენ, რომ არ გადავიღალო. მაგრამ ეგების თქვენ არ იცოდეთ, რომ მე ენათმეცნიერი ვარ...

**გურამი** — აი, ეს სასამოვნოა.

**პროფესორი** — დიახ... დიახ... ენათმეცნიერი ქართველოლოგი და ნამეტნავად დიალექტოლოგი... ჩემი კვლევისა და მეცნიერული შესწავლა-დაკვირვების ობიექტებია ქართული ენის აწ უკვე მკვდარი დიალექტები, რომლებიც სავარაუდებელია, რომ თქვენს დროში, ანუ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში წარმოიშვენ.

**გურამი** — სახელდობრ, რომელი დიალექტები?

**პროფესორი** — სახელდობრ, მე ვიკვლევ მეგრულისა და სვანურის კვალს კახურში, იმერულისას მესხურში, რაჭულისას ტრაპიზონურში... მე გავანალიზე დიდძალი მასალა, როგორც დოკუმენტური, ისე ნარატიული. ამ მასალის შეწამებისა და შეჯერების შედეგად ჩვენ მივაკვლიეთ და დავადგინეთ, რომ იმერლების ჩასახლება მესხეთში და სახელდობრ, ახალციხე-ახალქალაქის რაიონებში, უნდა მომხდარიყო მიახლოებით მეოცე საუკუნის ორმოციან წლებში.

**გურამი** — მაგას რა მიკვლევა უნდოდა. ჩემი დროის გაზეთებსა და წიგნებში საკმაოდ ბევრი ეწერა ამის თაობაზე.

**პროფესორი** — მაღლობას მოგახსენებთ საინტერესო ცნობის მოწოდებისათვის



(იწერს უბის წიგნაკში). მე თქვენს გვარს სათანადოდ მოვიხსენიებ ჩემს შრომაში.

**გურამი** — ნუ შეწუხდებით, მე მგონია, ისეთი არაფერი მითქვამს.

**პროფესორი** — არა, რათა... რათა... მეცნიერული კეთილსინდისიერება მოითხოვს რომა... დიახ... იმას მოგახსენებდით, იმავე პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს იმერლობის მოძალემა კახეთში და საერთოდ დასავლური ელემენტის გაძლიერება აღმოსავლეთ საქართველოში.

**გურამი** — დიახ, ეგრე გახლავთ.

**პროფესორი** — საფიქრებელია რომა შემდგომში, ეგების ამ მოძალეების შედეგად, ქართლ-კახეთის მოსახლეობის ნაწილი აყრილა და დასახლებულა იმ დროისათვის უკვე ამოშრობილ კოლხიდის ნაჭაობარზე.

**გურამი** — ეს, როგორც ჩანს, ჩემს შემდეგ მომხდარა...

**პროფესორი** — დიახ... დიახ... საგარაუდებელია, რომ ეგრე იქნებოდა. ტომთა ამ დასახლება-გადასახლებების შედეგად წარმოიშვა რამდენიმე ახალი დიალექტი, სახელდობრ — სამეგრელოს ქართლ-კახური, კახეთის — მეგრულ-სვანური, მესხეთის — იმერული და ტრაპიზონის — რაჭული.

**გურამი** — ახლა თუღა ლაპარაკობენ მაგ დიალექტებზე?

**პროფესორი** — ახლა აღარა. სამწუხაროდ, აღარა.

**გურამი** — სამწუხაროდ, რათა?

**პროფესორი** — სამწუხაროდ, ჩვენთვის, ენათმეცნიერებისთვის ახალ პირობებში მოხდა ქართველი ტომების ისეთი შემკიდრობა, რომ დიალექტებმა მნიშვნელობა დაკარგეს და ხალხის მეტყველებაში დამკვიდრდა ერთიანი ლიტერატურული ენა... დიახ... დიახ...

(მთელი ამ დიალოგის მანძილზე პროფესორი წარამარა იხსნის სათვალეს, სწმენდს ცხვირსახოცით და ისევ იკეთებს. ამას იგი ასრულებს დიდის გაზვიადებით).

**გურამი** — ასე ხშირად რატომ იხსნით და სწმენდთ სათვალეს? ძალიან გაწუხებთ თვალები?

**რობოტი** — მეოცე საუკუნის ბოლოდან მთელი დედამიწის ზურგზე ლიკვიდირებულია თვალის ყოველგვარი დაავადება.

**პროფესორი** — დიახ... დიახ... ქეშმარიტებაა. მაგრამა მე სათვალეს თვალის რაიმე დეფექტის გამო როდი ვატარებ. სათვალის ერთგვარი კულტი ქართულ ჰუმანიტარულ მეცნიერებაში დამკვიდრებულია თქვენი დროიდან ეგების რუსთაველის ინსტიტუტის დაარსების პირველი წლებიდანაც. სათვალის წარამარა მოხსნა, შუშის დაორთქლება და გაწმენდა ჩვეულებად ჰქონდათ იმ დროის ცნობილ ფილოლოგებს, რომელთაც თვალის ტკივილი ნამდვილად აწუხებდათ. შემდგომში მათმა მოწაფეებმა მასწავლებლების პატივისცემითა და მიზაძვით შემოიღეს სათვალეების გაკეთება სრულიად ჯანსაღ თვალებზე. სათვალის წარამარა მოხსნა და ცხვირსახოცით წმენდა, ისევე როგორც მეცნიერული მეტყველების, ასე ვთქვათ, კლასიკური მანერაც, ეგების იმ შორეული დროიდან მომდინარეობდეს.

**გურამი** — საინტერესოა... ეს მითხარით, ჯანსაღ თვალებზე სათვალეების გაკეთება მხედველობას არ აზიანებს?

**პროფესორი** — თქვენი შეკითხვა საფუძვლიანია და მისი პასუხიც ადვილად მოიძებნება. როგორც ამბობენ, ავტორიტეტების პატივისცემელთა და მიზაძველთა პირველ თაობებს თითქმის სრულიად გადაუგვარდათ თურმე მხედველობა.



- გურამი — შემდეგმა თაობებმაც განაგრძეს ეს უცნაური კულტი?
- პროფესორი — დიახ, განაგრძესა და განაგრძეს კიდევაცა... შემდგომში სათვალეების ტარება მეცნიერულ ტრადიციად დამკვიდრდა და საზოგადოებაში პროფესორის უსათვალეებოდ გამოჩენა მიუღებლად ითვლებოდა.
- რობოტი — პატივცემულო, პროფესორო! მე გაფრთხილებული ვარ, არ დავუშვა ასტრონავტის გადაღლა მომამზერებელი კითხვებითა და ამბებით. ასეთ კითხვებსა და ამბებს შეუძლიათ გამოიწვიონ მისი დაავადება ადამიანისათვის ყველაზე საშიში სნეულებით, რომელსაც „მოგონებებში წასვლა“ და „სინანული“ ეწოდება.
- პროფესორი — დიახ... დიახ... მე ეს არ ვიცოდი, მაგრამა, ეგების ამიხსნათ ამ სიტყვების ახალი სემანტიკა...
- რობოტი — „მოგონებებში წასვლა“ და „სინანული“ არის მეოცდახუთე საუკუნეში მოხვედრილი მეოცე საუკუნის ადამიანის მწუხარება იმის გამო, რომ იგი თავის დროში არ ცხოვრობს; ეს არის სეგდა თავისი დროისა და ახლობლების გამო.
- პროფესორი — სავარაუდებელია, რომა...
- რობოტი — სავარაუდებელია, რომ პატივცემული მეცნიერი მხედველობაში მიიღებს ექიმების გაფრთხილებას და არ გახდება პირველი მიზეზი ასტრონავტის დაავადებისა.
- პროფესორი — რაღა თქმა უნდა... რაღა თქმა უნდა, მაგრამ ეგების...
- რობოტი — არავითარი ეგების! გთხოვთ დატოვოთ ასტრონავტი.
- პროფესორი — დიახ... დიახ... დიდად მადლობელი ვარ სასარგებლო საუბრისათვისა და მოწოდებული ცნობებისათვის. უთუოდ მოგიხსენიებთ ჩემს შრომაში.
- გურამი — მაგისტვის ნუ შეწუხდებით...
- პროფესორი — არა, რათა, მეცნიერული კეთილსინდისიერება მოითხოვს რომა...
- რობოტი — არავითარი რომა! გთხოვთ, დაგვტოვოთ...
- პროფესორი — დიახ... დიახ...
- რობოტი — დაუყოვნებლივ მიბრძანდით! წადით, ახლავე!..
- პროფესორი (რობოტს) — თქვენ მეტისმეტად თავხედობთ, მე თვითონ ვიცი, როდის უნდა წავიდე... უზრდელი... ბრძიყვი... (გადის).
- გურამი — როგორი გაწიწმამებული გაიქცა... როგორც გაბრაზდა, მაშინვე დაივიწყა მეცნიერული მსჯელობის სტილი და ნორმალურ ლაპარაკზე გადავიდა. საკვირველია, ჩემი დროის მეცნიერებსაც ასე ემართებოდათ. როგორც კი აღელდებოდნენ და ერთმანეთზე საჩხუბრად გაიწვიდნენ, საზეიმო, გაპრანჭულ მეტყველებას დაივიწყებდნენ და ერთმანეთს ჩვეულებრივი სიტყვებით ლანძღავდნენ ხოლმე... ახიარებული მოხუცია...
- რობოტი — მეცნიერებაში ტრადიცია მეტად ძლიერია... ჩვენი დროის ზოგიერთ მეცნიერს გადანაშთის სახით დღემდე შემორჩა თქვენი საუკუნის მეცნიერთა მეტყველების მანერა და ხასიათის ზოგიერთი თავისებურება.
- გურამი — რამდენი მეცნიერი ჰყავს ამჟამად ჩვენს ქვეყანას?
- რობოტი — თქვენ, ალბათ, საკითხის ისტორიაც გაინტერესებთ. მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლებისათვის საქართველოში მეცნიერთა რიცხვის ზრდას ისეთი გაქანება მიეცა, რომ ერთგვარად საშიში ხასიათიც კი მიი-



დო სახელმწიფოსათვის. ამ დროისათვის საქართველოში ყოველი მეორე კაცი მეცნიერების კანდიდატი იყო, ხოლო ყოველი მეოთხე — დოქტორი. გურამი — რას ამბობთ? ნუთუ აქამდე მივედით?!

**რობოტი** — უხარისხო კაცი, საერთოდ, კაცად აღარ ითვლებოდა და სამუდამოდ უცოლოდ რჩებოდა, ისევე, როგორც უხარისხო ქალი — გაუთხოვარი. კოლმეურნეობაში აღარავინ რჩებოდა, გახურებული თესვის, ან მოსავლის აღების დროს მეცნიერული ხარისხის მაძიებლები იყრებოდნენ და უმადლეს სასწავლებლებში მირბოდნენ დისერტაციების დასაცავად.

**გურამი** — ეს ტენდენცია ჩემს დროსაც შეინიშნებოდა.

**რობოტი** — მეცნიერებისაკენ ასეთმა ლტოლვამ მოქმედა შრომის ნაყოფიერებაზე და განსაკუთრებით მოსახლეობის გამრავლებაზე. კატასტროფიულად იკლო ქართველთა გამრავლებამ, რადგან სიბრძნის გზაზე დამდგარ ქალებს ეროვნული მეცნიერებისთვის საზიანოდ მიაჩნდათ ერთ ბავშვზე მეტის გაჩენა. მთავრობა იძულებული შეიქნა ხარისხების მინიჭებაში ერთგვარი შეზღუდვაც კი შემოეღო. კომუნისტურ თანდათან გადასვლის შედეგად, როცა გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის ზღვარი წაიშალა და ყოველგვარი შრომა სასიამოვნო და მიმზიდველი გახდა, მეცნიერების ძველ გზას მხოლოდ ისინი მიჰყვებიან, ვინც ამისთვის არიან მოწოდებულნი. ამჟამად სწავლულთა რაოდენობა ჩვენში იმ ასტრონომიულ რიცხვზე ბევრად ნაკლებია, რომელიც მეოცე საუკუნის ბოლოსთვის გვქონდა. მაგრამ, ხარისხი მისი გაცილებით მაღალია და სავსებით პასუხობს, როგორც თანამედროვე მეცნიერების დონეს, ისე ქვეყნის საჭიროებას.

**გურამი** — სასიამოვნოა, რომ ასეა. ზომაზე მეტი არაფერი არ ვარგა... მაგრამ რა ამბავია, ეს ხალხი რატომ მოაწყდა ღობეს?

**რობოტი** — მათ იციან, რომ თქვენი საუზმის დრო მოვიდა და უნდათ შორიდან მაინც ნახონ, როგორ ჭამთ სხვადასხვა ფრინველისა და ცხოველის ხორცს.

**გურამი** — მერე ეგ რა სანახაობაა, განა ისინი არ ჭამენ ფრინველისა და ცხოველის ხორცს?

**რობოტი** — არა, ჩვენი დროის ადამიანები სულ პაწაწინა აბებს ან ტაბლეტებს ღებულობენ, აი ისეთებს, თქვენ რომ თავის ტკივილის დროს ყლაპავდით. ამ პაწაწინა აბებში კონცენტრირებულია ორგანიზმისათვის საჭირო ყველა ვიტამინი.

**გურამი** — მაშ, თქვენი დროის ადამიანებს სუფრასთან დაჯდომაც აღარ დაჰქირდებათ, — აბის გადაყლაპვას რა სუფრა უნდა.

**რობოტი** — სრული სიმართლეა, ჩვენს დროში სუფრას მხოლოდ სასაუბროდ უსხედან.

**გურამი** — მაშ აღარც ახალი სუფრა ეცოდინებათ, ქვიდის შემდეგ ხელახლა რომ შლიდნენ ჩემს დროს.

**რობოტი** — არა, რაკი ძველი აღარ არი, აღარც ახალი სუფრა იციან.

**გურამი** — რამდენი ბავშვია! ღობეზე აღიან და ხელს ჩემსკენ იშვერენ... როგორ ეუცხოებათ ჩემი ჩაცმულობა... ერთი თავიდანვე შევნიშნე: ბაღებსა და ქუჩებში უამრავი ბავშვია.

**რობოტი** — ბავშვების სიკვდილიანობა ჯერ კიდევ თქვენი საუკუნის სამოციან წლებში იქნა ნოლამდე დაყვანილი ბავშვთა ინფექციური დაავადების მოსპობით.

**გურამი** — რა დიდი მიღწევია! ქართველები რამდენი არიან ამჟამად?

- რობოტი** — უკანასკნელი აღწერით ქართველობის რიცხვი ოც მილიონს აღწევს.
- გურამი** — მართლა? ჩემს დროს ხუთი მილიონიც ოცნება იყო. ალბათ აბორტები მოსპეს... (რობოტის შუბლზე სამგზის ინთება წითელი შუქი).
- რობოტი** — გთხოვთ, სწორად დამისვით კითხვა. ეგ სიტყვა ჩვენს დროში აღარ იხმარება და, როგორც ჩანს, ჩემს კონსტრუქტორებს არ გაუთვალისწინებიათ, როცა თქვენგან მოსალოდნელი კითხვებისა და პასუხების მარაგს ადგენდნენ.
- გურამი** — აბორტი მუცლის მოშლას, ოპერაციის გზით ნაყოფის მოსპობას ნიშნავდა.
- რობოტი** — ვსაგებია. ასეთი ოპერაცია ჩვენს დროში საჭირო აღარ არის, რადგან ყველაფერი და, მათ შორის გამრავლებაც, გეგმაზომიერად ხდება.
- გურამი** — აბორტზე გამახსენდა... ჩემს მეზობლად რომ გინეკოლოგი ცხოვრობდა, მის შესახებ ხომ ვერაფერს მეტყვიან?
- რობოტი** — თქვენს მეზობელს ოპერაციის დროს ფეხმძიმე ქალი შემოაკვდა. ერთხანს სასჯელს იხდიდა. გათავისუფლების შემდეგ ქეიფში საჰემელს მიძღვია და ნაწლავების გადანასკვით მომკვდარა.
- გურამი** — გამიგონია, დიდი მკამელი და იშვიათი თამადა ყოფილა. ახლა ვინ არი ცნობილი თამადა?
- რობოტი** — (ისევ ინთება მის შუბლზე წითელი შუქი) ისევ არა სწორ კითხვებს მისვამთ. ეგ სიტყვა ჩვენს დროში ხმარებიდან გამოსულია და ჩემს კონსტრუქტორებს არ გაუთვალისწინებიათ.
- გურამი** — თამადა... ეს იგივეა, რაც ტოლუმბაში — ღვინის სმაში სუფრის მეთაური. ჩემს დროში თამადობა დიდად საპატიოდ ითვლებოდა. თამადას მოეთხოვებოდა კარგი ორატორობა, მიმდინარე პოლიტიკაზე საკუთარი მსჯავრის უნარი, ახალი ჭორისა და ანეკდოტის ცოდნა და, რაც მთავარია, ბევრი ღვინის სმა.
- რობოტი** — მეოცდაერთე საუკუნიდან, რაც ადამიანებმა უმადლესი შეგნების საფეხურს მიაღწიეს, მაგარი სასმელები ხმარებიდან იქნა ამოღებული.
- გურამი** — მაშ წინანდალი და ჰაჰა, ვისკი და კონიაკი აღარ არსებობს!
- რობოტი** — დიდი ხანია, მათი ხსენებაც აღარ არი.
- გურამი** — ნუთუ აღარც სამტრესტია?
- რობოტი** — აღარც სამტრესტი არსებობს.
- გურამი** — მაშ სამტრესტის გუნდიც აღარ იქნება! რა კარგად მღეროდნენ!
- რობოტი** — გუნდი დღესაც არი და სახელიც სამტრესტისა აქვს მისი პირველი ორგანიზატორების პატივსაცემად.
- გურამი** — ყოჩაღ, ეგ მაინც რომ შეგინარჩუნებიათ! ახლა ეს მითხარით, მაგარი სასმელების მაგივრად რას სვამენ თქვენი დროის ადამიანები?
- რობოტი** — (ხრიალბებს, თავს აქნევს, ბორძიკით) უუუუუა-ც-რავაად... ეენნა მმმმმის... ააარ ვივიციი რაა მმმმმართება... თთქვენს კიკითხვაზე პაპასუხს ვეერ ვპოოუულოობ... თთავს ცუდაად ვვგრძნობ (ჩაჰკიდებს თავს) ეეტყოობაა თთქვენს მიმიეერ ცუცუდაად დასდასმულმა კიკითხვებმა იიმოოქმეედეეს... თთავი მიმიბრუის და სსსკლე-სსკლეროზის აააშკაარა ნნნიშნებს ვვგრძნობ. ააღარააფეერი მმმაგოგონდება...
- გურამი** — (შეწუხებული) ნუთუ აგრე ცუდადა ხართ? ჩემი ბრალია, ძალზე დაგქანცეთ დაუსრულებელი კითხვებით... ჩამოჯექით... დაისვენეთ... (ეხმარება ჩამოჯდომასი) რა ვიღონო, ვის დაეუძახო?..



**რობოტი** — აარაფეფერიია. თქვევენ ნუუ დაარლოობთ... ეენიის ბობორ-  
ძიკმა მიიკლოო. მეხსიერებაც მამალე დამიბრუნდება. (იღებს ჯიბიდან  
ტელემიკროფონს) ალოო, ალოო... ლაპარაკობს რობოტი სოკრატე 33...  
ლა-ლაპარაკობს რორობოტი — სო-სოკრატე 33. მე ვხედავ ასტრონა-  
ნავტზე და-დაკვირვების იინსტიტუტის მომორიგეს... მხედავთ თუთუა-  
რა თთთქვენც? მე თთქვენი მე-მეს-მის, გე-გესმით თუ არა ჩე-ჩემი?

**მორიგეს ხმა** — გიპასუხებთ ინსტიტუტის მორიგე... მე თქვენ გხედავთ და გის-  
მენთ...

**რობოტი** — სასაჰიროოა სასსსწრაფოო დაახმაარებება.

**მორიგეს ხმა** — რა მოხდა? ასტრონავტს ხომ არაფერი შეემთხვა?

**რობოტი** — აარაა... სასწწრაფოო დაახმაარებება მუიირდებება მე თვით-  
თონ... ასტრონავტის მიმიეერ კიკითხვების აარაასსწოოაად  
დაასმის შეედევგად ვეგრძნობ მეესიიეერების შეესუსტებებს.  
რაც თანდათან მათულოობს და შეეიძლება მაალე მმმნიშენე-  
ლოვან დედეფექტად გა-გადამეექცეეს...

**მორიგეს ხმა** — შესძლებთ ინსტიტუტში მოსვლას თუ ადგილზე აღმოგიჩინოთ  
დახმარება.

**გურამი** — უთხარით, რომ შესძლებთ, მე თვითონ წაგყვებით... მიგაცილებთ.

**რობოტი** — დიიიახ, შეევძლებ... ახლავეე მანდ ვივიქნები... (ინახავს ჯიბე-  
ში ტელემიკროფონს) ვაიითთუ მმმეხსიეერების შეესუსტების შე-  
ედევად გგზა დამებენეს და ინსტიტუტს ვეერ მიივაგნოო.

**გურამი** — მე გაგაცილებთ... ინსტიტუტში ისეც მინდოდა შევლა...

(გურამი ამოუდგება მხარში, მიდიან ნელი ნაბიჯით).

**გურამი** — (შეჩერდება) სოკრატე... არ ვიცი რა მემართება. მგონი, მართლა  
შეყვარებული ვარ...

**რობოტი** — ვივიდრე სასაკუთარ თათავს აან საატრფოს სისიყვარულში გაა-  
მოუტყდებოდეთ, ჯეჯეერ სასაჰიროა, გავარკვიოთ, შეშეგიძლიათ  
თუუარაა სისიყვარული.

**გურამი** — განა ეს საეჭვოა?

**რობოტი** — დიდიიახ, თთთქვენიი ეეს შეშესააძლებლობა ეეშქვეეშაა და-  
დაყენებული და თთთქვენზე დააკვირვების იინსტიტუტის იიმაასაც  
სსსწავლოობს, შეშეგრჩაათ თთთუ არა თთთქვენ სსიყვარულის  
უუნაროი.

**გურამი** — უცნაურია... საოცარია... (გადიან).

დაბნელება.

დაბნელებიდან: ასტრონავტზე დაკვირვების ინსტიტუტი, უცნაური  
მანქანები, აპარატები, მექანიზმები, ეკრანები... დროდარო ეკრანებზე  
ინთება სხვადასხვა ფერის შუქი — წითელი, მწვანე, ლურჯი და სხვ.  
მიკროსკოპებთან და სხვადასხვა მექანიზმებთან სხედან რობოტები, ცენ-  
ტრალურ პულტთან — არმაზი. ავანსცენაზე, გრძელ სკამზე, სხედან  
პ რ ო ფ ე ს ო რ ი და ნ ი ნ ო.

**ნინო** — (ქვითინით) დმერთო, რა უბედური ვარ... უგურამოდ ცხოვრება აღარ  
შემიძლია. მე სიტყვა მივეცი ნუგზარს, მაგრამ ფიცი გავტეხე. თქვენ შე-  
გიძლიათ ჩამთვალოთ ადამიანად, რომელიც ინსტინქტებს ემორჩილება.  
შეგიძლიათ გამგზავნოთ მარსზე გამასწორებელ ორანჟერაში, მაგრამ  
გურამი ხომ იმ წარსულის წარმომადგენელია. რომელზედაც ნუგზარს

მხოლოდ ოცნება შეუძლია. ძალა აღარ მაქვს, გურამი მიყვარს... მიყვარს...

**პროფესორი** — რა საშინელებას ამბობ, შვილო! ეგ გურამი რომ არა, როგორი ბედნიერები ვიყავით შენცა, ნუგზარიცა, მეცა, რა მოსვენებულადა ვცხოვრობდით, სანამ ის მათუსალა გამოჩნდებოდა...

**არმაზი** — ჩვენი ბრალია, პატივცემულო პროფესორო, ჩვენ შევცდით, რომ ხუთასი წლის წინანდელ ადამიანთან ნადრეველ დავუშვით ჩვენი დროის ადამიანები და ისიც გამოუცდელი ახალგაზრდები, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ზოგი რამ ვიცოდით მის აღრინდელ ქცევაზე. იმის მაგივრად, რომ კოსმოსიდან დაბრუნებული მეოცე საუკუნის ადამიანი ალგვემალელებინა ჩვენი დროის უმაღლესი მორალის გაგებამდე, ჩვენი ახალგაზრდები თვითონ დაავადდნენ მისი დროის ისეთი მანკიერებით, როგორცაა ეჭვი და უნდობლობა; ეს გრძნობა ასტრონავტის დედამიწაზე დაბრუნებამდე უკვე რამდენიმე საუკუნეა გადანაშთის სახითაც აღარ არსებობდა.

**პროფესორი** — (ნინოს) ეგების გაიხსენო, ნინო, როგორ დაგეწყო ეს ავადმყოფობა?

**ნინო** — მახსოვს. სულ რამდენიმე დღის წინ ასტრონავტთან ერთად ხეივანში ვსეირნობდი. გურამმა მოულოდნელად მკითხა, თუ ვინმე გიყვარსო. მე ვუპასუხე, ნუგზარი-მეთქი. დარწმუნებული ხარ, რომ ნამდვილად გიყვარსო? აბა კარგად ჩაუკვირდი შენს თავს, იქნებ არც ისე ძლიერ გიყვარსო. ეს იყო და ეს... იმ დღიდან ამეკვიატა ეჭვი და ჩემს თავს სულ იმას ვეკითხებოდი, იქნებ მართლა არ მიყვარს ნუგზარი-თქო. ამას კიდევ ის დაერთო, რომ ნუგზარმაც თავის მხრივ დაიწყო ეჭვიანობა. როგორც კი ასტრონავტთან დამინახავდა, გონებას კარგავდა, ბრაზი ახრჩობდა.

**არმაზი** — თქვენც, ალბათ, აძლევედით საამისო საბაბს...

**ნინო** — რა გითხრათ... ასტრონავტის მიმართ ეს ერთი ხანია განსაკუთრებულ სიახლოვეს ვგრძნობ... უმისოდ ველარა ვძლებ... მე ის მიყვარს! (ქვითინებს).

**არმაზი** — სიყვარული ჯერ ნადრევეია. ცალმხრივი სიყვარული უბედურების მეტს არაფერს მოგიტანს.

**ნინო** — მგონი მასაც ვუყვარვარ...

**არმაზი** — ეს ჯერ კიდევ დასადგენია, აქვს თუ არა მას საპასუხო სიყვარულის უნარი... ვიდრე ეს არ გაირკვეოდა, მას უფლებაც არ ჰქონდა თქვენთვის თავი შეეყვარებინა...

**ნინო** — როდის გაირკვევა... მეტი ლოდინი აღარ შემიძლია...

**არმაზი** — მთელი ინსტიტუტი ახლა მაგაზე მუშაობს... აგერ თვითონაც მოდის და მასაც ლაბორატორიულად შევამოწმებთ... თქვენ აქ ნუ დახვდებით... აგერ, აივანზე დაიცადეთ... როცა პასუხი იქნება, მე თვითონ დაგიძახებთ. (ნინო და პროფესორი წამოდგებიან, პროფესორს გაჰყავს ნინო. არმაზი კარამდე მიაცილებს და ისევ პულტთან ბრუნდება. შემოდიან გ უ რ ა მ ი და რ ო ბ ო ტ ი).

**არმაზი** — მობრძანდით, პატივცემულო ასტრონავტო, მობრძანდით. როგორ გრძნობთ თავს, ხომ კარგად?

**გურამი** — მე — ჩინებულად! მხოლოდ ჩემი მეგობარი სოკრატე-33 უჩივის თავის ტკივილსა და მეხსიერების შესუსტებას. როგორც ჩანს, ვერ გავუფრთხილდი, დაექანე, და არასწორად დასმული კითხვებით მეხსიერების ცენტრი დავუზიანე.

**არმაზი** — არაფერია, ეგ ადვილად გამოსწორდება. (დააქერს ღილაკს, ერთ-ერთი რობოტის წინ ინთება შუქი) ჰიპოკრატე-17.

**ჰიპოკრატე** (წამოდგება) — გისმენთ რობოტი — ჰიპოკრატე-17.

**არმაზი** — აღმოუჩინეთ სასწრაფო საექიმო დახმარება რობოტ სოკრატე-ოცდაცამეტს. იგი თავის ტკივილსა და მენსიერების შესუსტებას უჩივის.

**ჰიპოკრატე** — (მიდის სოკრატესკენ, ესალმება გურამს) მე თქვენს მეგობარს თავის ქალას მოვხედი.

**გურამი** — ნუთუ?

**ჰიპოკრატე** — სულ ერთ წამში გავუკეთებ ტრეპანაციას.

**გურამი** — ნუ თუ ეს აუცილებელია? მერე გადაიტანს ასეთ ძნელ ოპერაციას?

**ჰიპოკრატე** — თავის ქალის მოხდა ჩვენთვის იოლი ოპერაციაა... ამას ახლავე თქვენი თვალით ნახავთ...

**გურამი** — არა, მე ამის ყურება არ შემძლია. ცოცხალი ადამიანივით შევეჩვიე და მისი ტანჯვის ცქერას ვერ ავიტან...

**არმაზი** — თქვენ მაინც საამისოდ არ გცალიათ... წამობრძანდით მორიგ პროცედურაზე... ჩვენ ამჟამად ვმუშაობთ თქვენი სიცვარულის კოეფიციენტის დადგენაზე...

**გურამი** — სიცვარულის კოეფიციენტის დადგენაზე? ეგ რას ნიშნავს?

**არმაზი** — მიბრძანდით, მიბრძანდით... ახლავე გაიგებთ... (მიჰყავს სიღრმეში და აყენებს ეკრანის უკან. ეკრანზე ვხედავთ გურამის სილუეტს, რომელიც შემდგომი დიალოგის მანძილზე ახდენს რეაგირებას. არმაზი ბრუნდება ისევ პულტთან).

**ჰიპოკრატე** — (უჭერს ხრახნებს სოკრატის თავზე) — სულ ცოტა კიდევ... ცოტაც გაუძელით...

**სოკრატე** — აააიი... ააიი...

**ჰიპოკრატე** — სულ უმნიშვნელო გადახრა გქონიათ... მორჩა... თქვენ უკვე განკურნებული ხართ...

**სოკრატე** — ბოლოს ძალიან მტკივნეული იყო... (წამოდგება) გმადლობთ, როგორმე გადავიხდით...

**ჰიპოკრატე** — აბა, ეგ რა სათქმელია ჩვენს დროში! თქვენც გურამის ენაზე ლაპარაკობთ! ეს ზომ ჩემი მოვალეობაა... (უბრუნდება თავის ადგილს. შემოდის ნუგზარი, დგამს მოლბერტს და იწყებს ხატვას, არმაზი მიდის მისკენ, აკვირდება ნახატს).

**არმაზი** — თქვენ ისევ ხატავთ, ნუგზარ...

**ნუგზარი** — ისევ, სამწუხაროდ...

**არმაზი** — სამწუხაროდ რათა? მხატვრობაში სამწუხარო რა არის?

**ნუგზარი** — ჩვენს დროში მხატვრობას ინტერესი აღარა აქვს. მხატვრისათვის ეს დრო ძალიან მოსაწყენია.

**არმაზი** — არ მესმის, რას გულისხმობთ.

**ნუგზარი** — ჩვენს დროს აღარა აქვს მიწასთან სიახლოვე, ინსტინქტების პირველყოფილობა. შთავონებას დასაბამიდან ასაზრდოებდა სიცვარულისა და მტრობის, ბოროტისა და კეთილის, გამირობისა და ლაჩრობის დაპირისპირება. რაც ადამიანის ცხოვრებაში ახალი ერა დაიწყო, ეს დაპირისპირება მოხსნილია: აღარც ბოროტებაა, აღარც შური და მტრობა.

**არმაზი** — მერე მაგაზე კარგი რა უნდა იყოს? განა გამირობა ახლა ყველასათვის მისაწვდომი არ არის?

**ნუგზარი** — გამირობა ძველი გაგებით ჩვენს დროში აღარ არსებობს.

- არმაზი — მაგრამ გმირობა მეცნიერებისათვის თავდადებული ადამიანებისა. კოსმოსის უსაზღვრო საიდუმლოთა ამხსნელებისა?
- ნუგზარი — ლაბორატორიებში ჩაქეტილ მეცნიერთა გმირობა მე დიდად არ მიზიდავს. რაც შეეხება კოსმოსის დაპყრობას, ამაში არის რომანტიკა და გმირობა, მაგრამ...
- არმაზი — მაგრამ რა?
- ნუგზარი — დღემდე მეც რომანტიკულად მეჩვენებოდა სხვა უფრო შორეულ სამყაროებში გაფრენა, მაგრამ აგერ ხუთასი წლის წინათ გაფრენილი მსატყარი დაბრუნდა დედამიწაზე.
- არმაზი — მერე?
- ნუგზარი — მის დაბრუნებას რა ხანია დიდი ამბით ელოდნენ. მასზე დასაკვირვებლად სპეციალური მანქანები მოამზადეს, საგანგებო ინსტიტუტი დაარსეს, რომლის ხელმძღვანელიც თქვენა ხართ, ნამდვილი გმირის ნახვას დანატრებული უამრავი ხალხი დახვდა. აღტაცებულები თვალს არ უჯერებდნენ, ზღაპრული გმირი ეგონათ და ხელში კი ჩვეულებრივი ხუთასი წლის წინანდელი ადამიანი შერჩათ.
- არმაზი — ჩვეულებრივი? როგორი?
- ნუგზარი — ესე იგი, გმირი კი არა, თავისი დროისგან გაქეუული, მოწუწუნე. პატარა ადამიანი...
- არმაზი — რად გაქევეია თავის დროსო?
- ნუგზარი — როგორც ჩანს, თავისი მკაცრი დროის სიდიადე ვერ გაუგია, დიადი მიზნებისათვის გაღებულ მსხვერპლს შეუშინებია და შორეულ ვარსკვლავზე გაფრენილა, რომ იქიდან დაბრუნებული მომავლის უკეთეს ადამიანებს შეხვედროდა... გულუბრყვილო ყოფილა.
- არმაზი — გულუბრყვილო რათა?
- ნუგზარი — მომავლის ღირსი ადამიანები თავის დროშივე, თავის გვერდით ჰყოლია და ვერ შეუშინებია. ჩვენს დროს ის ვერ გაიგებს და ვერ შეეგუება. არც ჩვენი დრო მიიღებს, რადგან მომავალი მხოლოდ მას ეკუთვნის, ვინც მას ქმნიდა.
- არმაზი — მას კი არაფერი გაუკეთებია ამ მომავლის მოსახლოებლად, არა?
- ნუგზარი — არაფერი. პირიქით, გაექცა, ზურგი შეაქცია მათ, ვინც ამ მომავლისათვის ოფლსა და სისხლს ღვრიდნენ. ეს მომავალი მისმა ძმებმა და მოწინავე თანამედროვეებმა დაიმკვიდრეს, რადგან მის შექმნასა და მოახლოებაში თავიანთი წილი დაიდეს!
- არმაზი — მაშ, ამაო ყოფილა მისი ოცნება.
- ნუგზარი — ამაო და უნიადაგო.
- არმაზი — მაგრამ იგი თავის დროის ლაქებს ჩვენზე უკეთ ხედავდა — მის სისხლსა და ჭუჭყს.
- ნუგზარი — იმ დროის ლაქებს — სისხლსა და ჭუჭყს ჩვენ ვეღარ ვხედავთ ახლა. ისინი იმ დიდ ნათელში დაინთქნენ, რომელიც დღესაც ბრწყინავს ჩვენთვის და რომელსაც იმ დროის დიადი მიზნები და საქმეები ჰქვია.
- არმაზი — მაგრამ იგი ხომ ჩვენი თვალით არ უყურებდა თავის დროს.
- ნუგზარი — საქმეც ეგ არის. ოცნებას კაცი იყო და ამიტომაც თავისი თავი ჩვენს ადგილზე უნდა წარმოედგინა, ის დრო ჩვენი თვალით უნდა დაენახა. მაშინ იმ მცირე ჭუჭყსა და ლაქებს აღარ გააზვიადებდა, თავისი დროის ნათელს დაინახავდა და მის კიდევ უფრო გასაბრწყინებლად იბრძოლებდა. რა ჰქონდა გასაქცევი თავისი დროისაგან. მე მის მიერ უარყოფილი



ბედი მშურს... სიამოვნებით დავსახლდებოდი იმ წარსულში, ხუთი საუკუნის წინ, როცა ესოდენ დიდი და საგმირო საქმეებით კაცობრიობის შებრუნება ხდებოდა ახალი ცხოვრებისაკენ.

**არმაზი** — თქვენ ფიქრობთ, რომ მას ჩვენი დრო ვერ მიიღებს და ისიც ვერ შეეგუება ჩვენს დროს...

**ნუგზარი** — მე ეს მჯერა... მისი ცხოვრება ჩვენს დროში გაუგებრობაა, გაუმართლებელი ანაქრონიზმია... როგორ ამალდება იგი ჩვენს დონემდე, როცა ხუთასი წლის წინანდელ ადამიანებზეც დაბლა იდგა თავისი აზროვნებით. მას შემდეგ კაცობრიობამ გაიარა დიდი გზა, მისი გრძნობები და გონება განვითარდა. როგორ შესძლებს იგი სულ რამდენიმე წლის განმავლობაში გაიაროს განვითარების ეს გზა, ხუთასი წლის მანძილზე გავლილი გზა?! ეს მისთვის წარმოუდგენლად დიდი დატვირთვა იქნება, რომელსაც ვერც გული გაუძლებს მისი და ვერც გონება...

**არმაზი** — შესაძლოა, მართალი იყო... მეც მათევეებს მისი ზოგიერთი შესძლებლობა... თუნდაც მისი სიყვარულის უნარი...

**ნუგზარი** — ეგ ხომ გამორიცხულია... მას ეგ გრძნობა არა თუ ჩვენს დროში, თავის დროშიც არ აღმოაჩნდა და ხელი ჰკრა ჰეშმარიტ სიყვარულს, რომელიც დღემდე მაგალითად დარჩა...

**არმაზი** — სწორედ ახლა ვადგენთ მისი სიყვარულის კოეფიციენტს... იგი აქ არი, ლაბორატორიაში...

**ნუგზარი** — კარგი იყო, ადრე დაგედგინათ, მე და ნინოს აგვედებოდა ზოგიერთი უსიამოვნება...

**არმაზი** — ნინო აქ არის, ნუგზარ... გამოკვლევის შედეგს უცდის... გინდა მასთან შეხვედრა?..

**ნუგზარი** — მინდა... წავიდეთ... (გადიან).

(გამოდიან გურამი და მხატვარი).

**გურამი** — ბევრი მწარე სიმართლე თქვა ჩემზე... ჰკვიანი ახალგაზრდა ჩანს.

**მხატვარი** — თუ დაგაჯერა ნათქვამში?

**გურამი** — სამწუხაროდ, დამაჯერა. ჩემი დიადი დრო მართლაც ვერ გამიგია და ჩემი გაქცევა ახლა მევე მეჩვენება სასაცილოდ.

**მხატვარი** — ნანობ, გურამ?

**გურამი** — ვნანობ, ძალიან ვნანობ. ხუთასი წლის შემდეგ ოცნებობენ ჩემი დროის სიდიადესა და ბრწყინვალებაზე. მე კი ისე ბრმა აღმოვჩნდი, რომ ვერ დავინახე. უმნიშვნელო წვრილმანები, მცირე ლაქები გავაზვიადე. სისხლისა და მსხვერპლის აზრი ვერ გავიგე.

**მხატვარი** — იქნებ ამ დროში ჰპოვო ბედნიერება?

**გურამი** — არა, ეს დრო ჩემგან ძალიან შორს არი, თუმცა როგორღაც მოვახერხე მასში გადმოხტომა. მე მას ვერ შეეგუეები და იგი მე ვერ გამიგებს. ამ დროის ადამიანებისთვის მე მხოლოდ დაკვირვების ობიექტი ვიქნები და ვერავეთარ კვალს ვერ აღვებქდავ მათ ცხოვრებაზე.

**მხატვარი** — შენ შეგეძლო კვალი აღვებქდა მხოლოდ შენი დროის მსვლელობაზე, მონაწილეობა მიგელო მის გარდაქმნასა და 'გაუმჯობესებაში', შენი თაობის მოწინავე ადამიანებთან ერთად.

**გურამი** — მერე რა კარგები ყოფილან ისინი! ხუთი საუკუნის შემდეგაც თავდადებისა და ერთგულების მაგალითებად დარჩენილან.

**მხატვარი** — სწუხარ, გურამ, შენი დროისგან გაქცევას?

**გურამი** — ვწუხვარ, ძალიან ვწუხვარ.



**მხატვარი** — ისევ მოდიან... (ორივენი ქრებიან სიღრმეში).

(შემოდის **არმაზი**, **პროფესორი**, **ნინო** და **ნუგზარი**).  
**არმაზი** — დასხედით, მე ახლავე მოვალ... პასუხი, ალბათ, უკვე იქნება (მიდის სიღრმეში).

**ნინო** — აღარ შემიძლია... მეტი ლოდინი აღარ შემიძლია... რატომ ერევა მეც-ნიერება ადამიანის გრძნობებში?

**ნუგზარი** — მხოლოდ იმისთვის, რომ დაადგინოს — მოჩვენებითია თუ არა ეს გრძნობები. ცოტაც კიდევა და შენ ისევ ბედნიერი იქნები... ძველებურად ბედნიერი...

**ნინო** — როგორ? რას გულისხმობთ?..

**ნუგზარი** — შენი სიზმარი გათავდება... თვალი აგეხილება და...

**ნინო** — ნუ ამბობ მაგას... არ მინდა მაგის მოსმენა...

**პროფესორი** — დაწყნარდი, შვილო... დამშვიდდი... ცოტა კიდევ და...

(გამოდის **არმაზი** ხელში ნახაზებით, შკალებით, სინჯარებით).

**არმაზი** — უკვე მზად არი! (ჯდება პულტთან, მიცვივდება ნინო და პროფესორი. **ნუგზარი** განზე დგას გულგრილად) გურამის სიყვარულის უნარი დადგენილია!

**ნინო** — ხომ დადებითია?!

**პროფესორი** — დააცა... ნუ უშლი...

**არმაზი** — გამოსავლად ავიღეთ რა გურამის ცხოვრების ხუთი საუკუნის წინანდელი პერიოდი, ჩვენ შევისწავლეთ მისი დამოკიდებულება სიყვარულის ყველა იმ გამოვლენისადმი, რომელიც ხუთასი წლის წინ იყო ცნობილი. სიყვარულის ეს გამოვლენებია: თავისი დროის, სამშობლოს, ქალის, ნათესავ-მეგობრების სიყვარული, გამოკვლევის შედეგად მივიღეთ ასეთი სურათი — სამშობლოს სიყვარულის ჩვენება აღმოჩნდა ნეიტრალური ან ნაკლებად აქტიური...

**პროფესორი** — ეს ცუდია...

**ნინო** — აცალე, მამა... ნუ უშლი...

**არმაზი** — თავისი დროის სიყვარულის ჩვენება აღმოჩნდა უარყოფითი...

**პროფესორი** — ესეც ცუდია...

**ნინო** — აცალე, მამა...

**არმაზი** — ნაკლებ აქტიური აღმოჩნდა ნათესავ-მეგობრების სიყვარულის ჩვენება, ხოლო რაც შეეხება ქალის სიყვარულს, აქ მისი უნარი აღმოჩნდა ექვითა და უნდობლობით დაჩლუნგებული და თითქმის გადაგვარებული. ამ მონაცემებიდან გამოყვანილი გურამის სიყვარულის საერთო კოეფიციენტი უდრის ნოლს...

**ნინო** — ვაი... (გული შეუწუხდება და ეცემა. მიცვივდება იან ყველანი).

**პროფესორი** — წყალი... ჩქარა წყალი...

**არმაზი** — გავიყვანოთ აივანზე (გაპყავთ აყვანილი. **არმაზი** ბრუნდება) არ მეგონა თუ ასე იმოქმედებდა... (შემოდის **გურამი**).

**გურამი** — თუ თქვენი, დასკვნა სწორია...

**არმაზი** — სამწუხაროდ სწორია... ზედმიწევნით სწორი...

**გურამი** — მაშინ ჩემს სიცოცხლეს აზრი აღარ ჰქონია.

**არმაზი** — არა, რათა...

**გურამი** — ადამიანს თუ სიყვარულის უნარი აღარ გააჩნია, მის ცხოვრებას აზრიც აღარა აქვს...

არმაზი — არა... რათა... თქვენი სიცოცხლე საჭიროა მეცნიერებისათვის... დაკვირვებისათვის...

გურამი — მე მარტო მუზეუმისა და ლაბორატორიისთვის სიცოცხლე არ მინდა.

არმაზი — თქვენ დროებით ჩამოგაშორებთ ჩვენი დროის ადამიანებს...

გურამი — ეგ რაღა საჭიროა?

არმაზი — ნუთუ ვერ ხვდებით?! თქვენთან ურთიერთობამ ჩვენი დროის ზოგიერთი ადამიანი კინაღამ უბედური გახადა. თქვენ მათ ჩაუნერგეთ მათთვის უცნობი გრძნობა ეჭვისა და უნდობლობისა. როცა ჩვენს პლანეტაზე ჩამოსვლის პირველ დღესვე ჯიბიდან ფული ამოიღეთ, რათა წყლის მომწოდებლისათვის გადაგეხადათ, იქ მყოფები მეოცე საუკუნის ფულს არქეოლოგებივით დააშტერდნენ. არც მათ იცოდნენ მისი დანიშნულება და აღარც ფულს ჰქონდა ჩვენს დროში ძალა. მაგრამ როცა თქვენ ეჭვისა და უნდობლობის მარცვალი დათესეთ ჩვენი დროის გულუბრყვილო ახალგაზრდების შეგნებაში, ეს ხმარებიდან გასული ფულის ნიშნებზე ძლიერი აღმოჩნდა, მათი ფსიქიკა აამღვრია და ბედნიერ ადამიანებს მოსვენება დაუქარგა.

გურამი — მე ეს არ მინდოდა... ჩემი ბრალი არ არის...

(შემოვარდება პ რ ო ფ ე ს ო რ ი).

პროფესორი — მიშველეთ არმაზ!.. ნინო გაფრინდა...

არმაზი — სად გაფრინდა?

პროფესორი — გონს რომ მოვიდა, პატიება მთხოვა, მე აქ გაძლება აღარ შემიძლია, ერთხანს აქაურობას უნდა მოვშორდეთ, მითხრა, ფრთები გაიკეთა და გაფრინდა.

არმაზი — თავისი ფრთებით გაფრინდა? მარტო?

პროფესორი — ჰო, თავისი ფრთები გაიკეთა, გაფრინდა და ნუგზარიც თან მიჰყვა.

არმაზი — ეგ კარგია, რომ ნუგზარიც გაჰყოლია. ნინოსათვის ამ მდგომარეობაში ფრენა სახიფათოა.

პროფესორი — სახიფათო, რა მხრივ?

არმაზი — მან სულ ახლა გადაიტანა ძლიერი ფსიქიური ტრავმა, საექვთა, რომ ეყოს სიხარულით და ბედნიერებით გამოწვეული ალტაცება. შეიძლება სადმე მალლა გაუთავდეს ენერგიად გარდაქმნილი ალტეროვანება და ალტაცება.

პროფესორი — და მერე რა მოხდება?

არმაზი — შესაძლოა უბედურება მოხდეს... საჭიროა სასწრაფოდ მიშველებს, მომეცით ფრთები! (რობოტებს მიაქვთ ფრთები). სათადარიგო მოტორი! (მოაქვთ მოტორი).

გურამი — მეც მომეცით ფრთები, მეც გავფრინდები...

არმაზი — ეს შესაძლებლობა გამორიცხულია, საკუთარი ფრთებით ვაფრენას ალტაცება და ალტეროვანება სჭირდება, რომელიც ფრენის დროს ენერგიად გარდაიქმნება. თქვენ ხუთასი წლის წინათაც არ გაგაჩნდათ სიხარულისა და ბედნიერების განცდით გამოწვეული ალტაცება და ალტეროვანება. თქვენ მიდრეკილება უფრო მწუხარებისა და უარყოფისაკენ გქონდათ, ხოლო მწუხარებას ფრთები არა აქვს... მაგრამ ახლა ამის დრო არ არის... მე მივიღვივარ... (გაღის).

პროფესორი — ყველაფერი კი თქვენი ბრალია... თქვენ რომ არ გადმოფრენილიყავით ხუთი საუკუნის იქედან, ყველანი ბედნიერები და მოსვენებულ-

ლები ვიყავით. ჩემს ერთადერთ ქალს რომ თქვენს გამო რამე მოუვიდეს, არ ვიცი რას ვიზამთ! წადით აქედან, გაშორდით აქაურობას! ხომ ხედავთ, რომ ვერც თქვენ იპოვეთ ბედნიერება და სხვებსაც დაუყარავთ მოსვენება... წადით... სადაც გინდათ, წადით... გინდ მოგონებებში და გინდ ჯანდაბაში...

(გადის. გამოდის მხატვარი).

გურამი — მართალს ამბობს — მე სხვებსაც დავუყარავ მოსვენება.

მხატვარი — და ვერც თვითონ ჰპოვე ბედნიერება.

გურამი — სწორედ ეგუება... მე მართლა უნდა წავიდე... მაგრამ საით?..

მხატვარი — იქნებ სწორი გზა გირჩია მაგ პროფესორმა...

გურამი — მოგონებებში წასვლა? ეს ყველაზე სახიფათო უნდა იყოს ჩემთვის, როგორც არა ერთხელ გამაფრთხილეს... მაგრამ ახლა იქნებ ესლა იყო ერთადერთი გზა... წავიდეთ მოგონებებში... (იღებს ნუგზარის მოღებრტს. გადის).

(დაბნელება. დაბნელებიდან: მოედანზე სასტუმროს წინ. რობოტი, გურამი და მხატვარი).

რობოტი — როგორც უკვე გითხარით თქვენი სახლი აი აქ იდგა.

გურამი — ჩვენი სახლი! ნეტავ რამდენ ხანს გასძლო.

რობოტი — მხოლოდ ათიოდე წელს, როგორც შემდეგ გამოირკვა, უხარისხო ბლოკებითა და ეგრეთწოდებული ჩქაროსნული მეთოდით იყო აშენებული. მიწისძვრის პირველივე ბიჭვი საკმაოდ აღმოჩნდა, რომ სახლი ავარიულად ეცნოთ და მდგმურები სხვაგან გადაეყვანათ.

გურამი — ეს ჩვენი სახლის წინა მოედანია. ჩემი ფანჯრები სწორედ აქ გამოდიოდა... მაგრამ ეს ძეგლი ვისია? (უახლოვდება, უვლის ირგვლივ) ლევანი! ჩემი ძმა ლევანი!

რობოტი — თქვენმა ძმამ ლევანმა აღმოაჩინა თქვენს დროში გავრცელებული ყველაზე საშიშელი სენის, კიბოს საწინააღმდეგო საშუალება. მის მიერ დამზადებული ვაქცინა საბჭოთა მთავრობამ უფასოდ დაუთმო მსოფლიოს ყველა ქვეყანას. დედამიწის ზურგზე კიბო მთლიანად იქნა მოსპობილი. მაღლიერმა შთამომავლობამ ეს ძეგლი დაუდგა ლევანს.

გურამი — მშვენიერი ძეგლია, ძალიან გავს. ასე მგონია ცოცხალს ვუყურებდე.

რობოტი — ლევანის ძეგლები დგას მოსკოვსა და ლენინგრადში, კიევსა და ტაშვენტში, მელბურნსა და სანტიაგოში, მსოფლიოს ყველა დიდ ქალაქში.

გურამი — რა ბედნიერებაა!

მხატვარი — გასოვს, დედაშენმა რომ პირველად გადმოხედა ამ მოედანს? (წინა სცენაზე შემოდის პირველი მოქმედების დეკორაცია. დედა, გიორგი და ლევანი).

დედა — (გაპყურებს ფანჯრიდან) რა მშვენიერი მოედანია, ოდესმე, ალბათ, ამ მოედანზე ძეგლებს დადგამენ.

გიორგი — ვის ძეგლებს, დედა?

დედა — ქვეყნის საუკეთესო ადამიანების ძეგლებს და ვინ იცის... მათ შორის იქნებ ჩემი შვილების ძეგლებიც დადგან.

(პირველი მოქმედების დეკორაცია მიდის. ლევანის ძეგლთან დგანან გურამი, მხატვარი და რობოტი).

მხატვარი — როგორ ამხდარა დედის ოცნება!

გურამი — რა ბედნიერი ვყოფილვარ მაშინ!

(სცენა ნელა მოძრაობს. განაგრძობენ სეირნობას).



- რობოტი** — ძეგლების ამ რიგს მეოცე საუკუნის ხეივანი ეწოდება.
- გურამი** — (ჩერდება ძეგლის წინ) ეს ძეგლი რას გამოხატავს?
- რობოტი** — თქვენს დროში, მეოცე საუკუნის სამოციან წლებში მოხდა ნაციონალური ჩაგვრის საბოლოო ლიკვიდაცია. ძეგლი გამოხატავს უკანასკნელი კოლონიების გათავისუფლებას იმპერიალიზმის უღლისაგან.
- გურამი** — ეს პროცესი ჩემს დროს მიმდინარეობდა.
- რობოტი** — ხალხთა გათავისუფლების პროცესი დასრულდა თქვენი თაობის ადამიანების უშუალო მონაწილეობით.
- გურამი** — რა დიდი პატივია! რა სასახლო ღვაწლია!  
(სცენა ისევ მოძრაობს. აგრძელებენ სეირნობას).
- გურამი** — (ჩერდება ძეგლთან) ეს რაღას აღნიშნავს?
- რობოტი** — ეს ჩვენს პლანეტაზე მომხდარი უკანასკნელი რევოლუციის გამარჯვებისა და ტირანიის დამხობის სამახსოვროდ დადგმული ძეგლია. ამ რევოლუციით დასრულდა რევოლუციების ეპოქა და დაიწყო კაცობრიობის ბედნიერების ერა.
- გურამი** — ეს რომელ საუკუნეში?
- რობოტი** — უკანასკნელი რევოლუცია მეოცე საუკუნის სამოცდაათიან წლებში მოხდა.
- გურამი** — ესეც ჩემს დროში მომხდარა!
- რობოტი** — დიხს! უკანასკნელი რევოლუცია თქვენმა თანამედროვეებმა მოახდინეს.
- გურამი** — რა სასახლო გმირობაა! (განაგრძობენ სეირნობას. სცენა მოძრაობს, ჩერდება ძეგლთან) ეს დამსხვრეული იარაღი და კაცის ამართული ხელი რაღას ნიშნავს?
- რობოტი** — მეოცე საუკუნის ორმოციან წლებში შეიქმნა ნგრევისა და სიცოცხლის მოსპობის ფანტასტიური საშუალებები. მშვიდობისა და განიარაღებისათვის ბრძოლას სათავეში ჩაუდგა საბჭოთა ხალხი. გონიერებას სძლია უგუნურება, ხალხებმა აიძულეს თავიანთი მთავრობები აეკრძალათ ატომური იარაღი, მოეხდინათ სრული განიარაღება და დაემყარებინათ სამარადისო მშვიდობა. ეს მოხდა მეოცე საუკუნის სამოციან წლებში.
- გურამი** — (ამოიოხრებს) ესეც ჩემს დროს მომხდარა!
- რობოტი** — ამ მიღწევასაც თქვენი თაობის ადამიანებს უმადლის კაცობრიობა.
- გურამი** — რა კეთილშობილი ღვაწლია, რამოდენა ბედნიერებაა! ძეგლების ეს ხეივანი დილია?
- რობოტი** — იგი კილომეტრობით გრძელდება. მაღლიერმა შთამომავლობამ ამ ხეივანში ძეგლებით უკვდავყო თქვენი დროის ყველა ის მიღწევა, რომელთაც ესოდენ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდათ კაცობრიობის დღევანდელი ბედნიერებისათვის. აქ არის ძეგლები — ადამიანთა ძმობისა და თანასწორობისა, დედამიწაზე შიმშილის მოსპობისა, სახელმწიფოს კვდომისა და კიდევ ვინ მოთვლის!
- გურამი** — რა დიდი მიღწევებია, რა გრანდიოზული გამარჯვებები!  
(სამივენი შემობრუნდებიან. სცენა ისევ განაგრძობს ნელა ტრიალს.)
- გურამი** თავდახრილი, ჩაფიქრებულ მოაბიჯებს).
- გურამი** — (ჩერდება ძეგლთან თავდახრილი) დავიღალე... ჩამოვსხდეთ, ცოტა შევისვენოთ... (სხდებიან).
- მხატვარი** — გურამ, აბა ერთი მაღლა აიხედე. (გურამი თავს მაღლა სწევს შეპყურებს ძეგლს, სახეზე თანდათან გაოცება ეტყობა).
- გურამი** — ღმერთო, ამას რას ვხედავ!

**მხატვარი** — იცი, ვის ძეგლთან ზიხარ?

**რობოტი** — ამ ძეგლის სახელწოდებაა „ერთგულება“. მის მოდელად მოქალაქეს აუღია თქვენი თანამედროვე ქალიშვილის — თამარის სახე, მისი ერთგულება სატრფოსადმი.

(გურამი წამოდგება, გაშტერებული აკვირდება ძეგლს. წინასცენაზე შემოდის პირველი მოქმედების დეკორაცია. კუთხე, სადაც გურამია, ბნელდება. დედა შემფოთებული გადი-გამოდის. ისმის კარის კაკუნი).

**დედა** — მობრძანდით...

(კარი იღება, შემოდის თამარი).

**თამარი** — დედა!

**დედა** — თამარ! (ეხვევა).

**თამარი** — აი, თურმე სად ცხოვრობთ. თქვენ არ შემატყობინეთ, მაგრამ მე უკვე ვიყავი თქვენს ბინაში.

**დედა** — როდის, თამარ?

**თამარი** — სამი დღის წინ. შაბათ ღამეს...

**დედა** — რა დროს? რატომ ვერ გავიგე?

**თამარი** — მე არც ვიცოდი, თუ თქვენ აქ ცხოვრობდით. თქვენს ნეზობლად, გინეკოლოგთან მოვეყვი ნათესავს. ოპერაციისა ეშინოდა და შემეხვეწა დაესწრობოდი. ოპერაცია კარგა ხანს გაგრძელდა და ჩვენებს რომ არ შეშინებოდათ, ექიმს ვთხოვე ტელეფონით დავეკავშირებინე. ექიმმა აქ შემომიყვანა და დედას ამ ტელეფონით ველაპარაკე. (სცენის ეს კუთხე ბნელდება და ნათდება ის ნაწილი, სადაც გურამია).

**გურამი** — ღმერთო, ჩემო! როგორ მოვტყუებულვარ! რა ბრმად ავყოლივარ ექვს, როგორ ავჩქარებულვარ.

(სცენის ეს კუთხე ისევ ბნელდება. ნათდება ისევ პირველი მოქმედების სცენა).

**დედა** — გურამი აქ არ იყო?

**თამარი** — არა... აქ არ იყო, თორემ როგორ შემოვიდოდი, ხომ გაბუტულები ვართ.

**დედა** — იმ ღამიდან გურამი გაქრა...

**თამარი** — როგორ გაქრა?!

**დედა** — მესამე დღეა აღარა ჩანს, არავინ იცის როდის და სად წავიდა, რა მოუვიდა...

**თამარი** — ღმერთო, ჩემო, რა უნდა მოსვლოდა?!

**დედა** — ვინ იცის, შვილო. მეგონა შენ მაინც რამე გეცოდინებოდა...

**თამარი** — მე რა უნდა ვიცოდე. რა ხანია გამებუტა და ხმას არა მცემს...

**დედა** — ამ ბოლოს ყველა გაებუტა და გადაუდგა.

**თამარი** — ჩემი ბრალი არ არი, დედა...

**დედა** — ეგ სულ ერთია, ვისი ბრალიც უნდა იყოს... მეგობარს განსაცდელში უნდა დაუთმო, არ უნდა მიატოვო.

**თამარი** — მართალია, დედა... ჩემი ახირებული თავმოყვარეობის ბრალია... იმ დღეს, როცა ყველამ ზურგი შეაქცია, ჯიუტი თავმოყვარეობა უნდა გადამეღახა, გვერდი არ უნდა ჩამეგლო, მკლავში ხელი უნდა გამომედი. და წამომეყვანა.

**დედა** — ეგრე რომ არ მოიქეცი, ყველაზე მეტად ის აწუხებდა.

**თამარი** — (სასოწარკვეთილი) რა ვქნათ, დედა, რა ვიღონოთ?!


**დედა** — არ ვიცი, შვილო... აღარ ვიცი რა გზას დავადგე...



- თამარი — რა გვეშველება, დედა... (ქვითინებს).
- დედა — გურამს რომ რამე მოუვიდეს, ჩემი სიცოცხლე რაღა იქნება.
- თამარი — ან ჩემი სიცოცხლე რაღად ეღირება... (ტირის)
- (სცენის ეს ნაწილი ბნელდება. ნათდება კუთხე, სადაც გურამია).
- გურამი — როგორ ვყვარებივარ! რა გულწრფელად ვყვარებივარ!
- (რობოტი) გათხოვდა თუ არა თამარი და იყო თუ არა ბედნიერი?
- რობოტი — შენი დაკარგვის შემდეგ თამარი დამგლოვიარდა. უარი უთხრა ცოლად გაყოლაზე ბევრ კარგ ვაჟკაცს და ბოლომდე შენი ერთგული დარჩა. საცხოვრებლად დედაშენთან გადავიდა. მთელი სიცოცხლე შენს სურათებს აგროვებდა და შენს გამოფენებს აწყობდა.
- გურამი — როგორ ვყვარებივარ, რა წრფელი სიყვარულით!
- რობოტი — მისი ერთგულება იმდენად ცნობილი იყო ყველასათვის, რომ ნიკიერმა მოქანდაკემ მისი სახით გამოჰკვეთა ერთგულების ქანდაკება.
- გურამი — რა ბრმა ვყოფილვარ, რა უმადური! (წამოდგება).
- მხატვარი — ნანობ, გურამ, არა?
- გურამი — ვნანობ, ძალიან ვნანობ.
- მხატვარი — გახსოვს შენი სურათი — „მხატვრის მსჯავრი“?
- გურამი — მახსოვს. რა დამავიწყებს ჩემთვის ესოდენ საბედისწერო ტილოს?!
- მხატვარი — რომ შეიძლებოდეს მისი ხელახლა, თავიდან დახატვა?
- გურამი — სულ სხვაგვარად გადავწყვეტიდი...
- მხატვარი — აგერ, ნუგზარის მოლბერტი... ჯერ მხოლოდ მოხაზულია შენი სიუჟეტი... შენ კიდევ გეძლევა საშუალება საბოლოო სიტყვის თქმისა...
- გურამი — სიამოვნებით... სიამოვნებით ვიტყვი ამ სიტყვას, ყველას გასაგონად და დასანახავად! (იღებს ფუნჯს. იწყებს გატაცებით ხატვას). თურმე კაცმა შორიდან უნდა მოიხედოს, რომ თავისი ბედნიერება დაინახოს.
- მხატვარი — შენ ახლა ხედავ ხუთი საუკუნის წინანდელ შენს ბედნიერებას?
- გურამი — ვხედავ და ძალიან ნათლადაც. აი ჩემი მსჯავრი ან საბოლოო სიტყვა (აჩვენებს ნახატს) — ხედავ? ჩემი ორეული მხატვარი, უძღები შვილის მსგავსად, თავის დროის წინაშე დაჩოქილი, მისი ხამლის მკოცნელი დაეხატე.
- მხატვარი — (აკვირდება ნახატს) გაბედული გადაწყვეტაა. სამი დროისაგან აწმყო აგირჩევია და არა მარტო სადავო ოქროს ვაშლი მიგიკუთვნებია მისთვის, პატიების მთხოვნელივით ფეხქვეშ ჩავარდნიხარ.
- გურამი — ჰო, მე პატიებას ვთხოვ ჩემს ღიღსა და გამირულ დროს... მე ამ სურათს სახელსაც გამოვუცვლი.
- მხატვარი — რას დაარქმევ, გურამ?
- გურამი — „გიყვარდეს შენი დრო!“
- მხატვარი — „გიყვარდეს შენი დრო!“ კარგი სახელია!
- გურამი — მე მინდა მოვიწინაო ჩემი დროის წინაშე, ფეხქვეშ ჩავარდნილმა ვთხოვო მას უკან დაბრუნება.
- მხატვარი — ეგ უკვე შეუძლებელია, გურამ. თავიდანვე გაგაფრთხილე, რომ შენი დროისგან გაქცევა დაგენანებოდა.
- გურამი — ეს სინანულზე მეტია, ოსტატო. გულს საოცარი სევდა შემომამწვა.
- მხატვარი — მე შენ ისიც გითხარი, რომ ეგ სევდა განუკურნელი იქნებოდა. შენ უკვე შენს დროს ველარასოდეს ველარ დაუბრუნდები.
- გურამი — აღარ შემიძლია... ჩემი დროის გარეთ სიცოცხლე აღარ მინდა.

- მხატვარი** — მაგრამ შენ კიდევ გაქვს ერთი ვაშლი...
- გურამი** — მართლა... მესამე ვაშლი! (იღებს ჯიბიდან ვაშლს).
- მხატვარი** — აი, შენ იწყებ ვაშლის ჭამას... ის გაგათავისუფლებს ყოველგვარი სურვილისა და ნატვრისაგან, დაგაბრუნებს არყოფნაში.  
(მხატვარი ქრება. გურამი ნელ-ნელა ეშვება ერთგულების ქანდაკებასთან).
- რობოტი** — (იღებს ჯიბიდან მიკროფონს) სოს! სოს! სოს! ლაპარაკობს რობოტი სოკრატე-33. ლაპარაკობს რობოტი სოკრატე-33. მე ვხედავ და ვუსმენ ასტრონავტზე დაკვირვების ინსტიტუტის მორიგეს.
- მორიგეს ხმა** — გისმენს და გხედავს ინსტიტუტის მორიგე. ხომ არ დაუშვით რაიმე უყურადღებობა?
- რობოტი** — როგორც ჩანს, ასტრონავტი, ჩემთვის შეუმჩნევლად, მოგონებებში წავიდა. მას აშკარად ეტყობა სიმპტომები სინანულით დაავადებისა.
- მორიგეს ხმა** — ახლავე მანდ ექნებით. მიიღეთ წინასწარი ზომები. მოაშორეთ მოგონებებში წამყვან საგნებსა და ადგილებს.
- რობოტი** — არის მოვაშორო მოგონებებში წამყვან საგნებსა და ადგილებს! (დაიხრება. აიყვანს გურამს და გაჰყავს სცენიდან).
- (ისმის ხმაური. სცენაზე მოძრაობს უზარმაზარი ფრთების ჩრდილი, შემოდინან ნინო და ნუგზარი. მხრებიდან იხსნიან ფრთებს).
- ნუგზარი** — რა სწრაფად ვიფრინეთ! როგორ მოგვედევინენ, მაგრამ ერთიც ვერ დაგვეწია.
- ნინო** — მართალი ვიყავი, არ მეგონა თუ ენერგია არ გამომელოდა, დარწმუნებული ვიყავი, ალტაცების ძველი მარაგი არ მეყოფოდა და ჩამოვვარდებოდი. სწორედ ამ მიზნით გაფრინდი, მაგრამ საკმაო იყო შენი წამოწევა! მაღლა, ღრუბლებში, ქვეყნისაგან მოშორებით თავი შენთან ერთად ვიგრძენი თუ არა, ყოველგვარი ეჭვი და უნდობლობა გაჰქრა. მე ისევ ბედნიერი ვარ შენთან, ძველებურად ბედნიერი.
- ნუგზარი** — მეც ბედნიერი ვარ... უსაზღვროდ ბედნიერი... (აკვირდება მოლბერტზე ნახატს) ღმერთო ჩემო! ჩემი მოლბერტი... ინსტიტუტში დამჩნა და აქ როგორ გაჩნდა? ჩემს მაგიერად ვილაცას სხვას დაუხატია...
- ნინო** — მხატვარი ფეხქვეშ ჩავარდნილი ეხვევა თავის დროს.
- ნუგზარი** — საინტერესოა, ნინო, არა?
- ნინო** — საინტერესოა! ოსტატურად შესრულებულია! სახელწოდებაც ზედ მიუწერია: „გიყვარდეს შენი დრო!“
- ნუგზარი** — კარგი სახელწოდებაა! რას იტყვი, ნინო, დავტოვო თუ გამოცევალო?
- ნინო** — არა, რათ უნდა გამოცევალო, განა ამაზე ამაღლებული და კეთილშობილი სიყვარული არსებობს, ვიდრე შენი დროის სიყვარულია.
- ნუგზარი** — არა, არ არსებობს... მაგრამ ვინ დახატა ასე ოსტატურად?
- ნინო** — ალბათ, იმ კაცმა დახატა, წელან რომ აქ იყო...
- ნუგზარი** — განა აქ ვინმე იყო? მე მალედიდან არავინ დამინახავს?
- ნინო** — იყო, მაგრამ იქნებ არც იყო...
- ნუგზარი** — ჰო, ნინო, იყო, მაგრამ იქნებ არც იყო...

ფ ა რ დ ა





### ზაკას შვიკინკო

მიმდინარე წლის მარტში მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებით საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს ხალხებმა შეიძინა აღნიშნულ დიდი უკრაინელი პოეტი-დემოკრატისა და მხატვრის ტარას გრიგოლის-ძე შევჩენკოს გარდაცვალებიდან ასი წლის იუბილე. ქართველი ხალხი, რომლის სხაიქადულო პოეტი აკაკი წერეთელი ახლო მეგობრობით იყო დაკავშირებული დიდ კობზართან, განსაკუთრებული პატივისცემით გამოეხატურა ამ დიარსშესანიშნავ თარიღს. ჩაგრული ხალხების ქომაგი ტარას შევჩენკო წრფელი ხმით უმღეროდა კავკასიის ქედზე მავაჭრული პროპეთეს უკვდავებს. და დღეს, თავისუფალი და ბედნიერი ჩვენი ქვეყანა მოკრძალებით ინახავს დიდი პოეტისა და მოქალაქის ხსოვნას, როგორც ქართველი და უკრაინელი ხალხების ურღვევი მეგობრობის სიმბოლოს.

#### ანდერძი

როცა მოვედე, მიმაბარეთ  
მე კურგანზე სამარხს,  
საყვარელი უკრაინის  
ფართოდ გაშლილ ტრამალს,  
რომ მოჩანდეს ველი ვრცელი,  
ხრამი დნებრის პირას,  
შევყურებდე და ვუსმენდე  
დნებრს, მარადის მყვირალს.  
თუ წალეკა უკრაინის  
მიწით სისხლი მტრების  
და ლურჯ ზღვაში თუ ჩაღვარა  
მაშინ ავფრინდები,  
მე დავტოვებ მთას და მინდორს,  
ღმერთთან გავწვივ ერთი  
და ვილოცებ, მანამდის კი —  
მე უარყვავ ღმერთი.  
დამმარხეთ და დაამსხვრიეთ  
ბორკილები რისხვით,  
თავისუფალ ბედს ასსურეთ  
მტრის ბოროტი სისხლი,  
და იმ ახალ დიდ ოჯახში  
შვებით თუ დამკვიდრდით,  
მეც გახსოვდეთ, მომიგონეთ  
სათნო, წყნარი სიტყვით.

თარგმნა სიმონ ჩიქოვანმა





## თეიმურაზ ჯანგელაშვილი

### დნებრისპირელი დიდო პაპაო!

ისევ ვკითხულობ შენს უკვდავ ანდერძს  
შეფიცებული ამ მიწას, ამ მზეს,  
წლების მიღმიდან მოარხვე ანძებს,  
შეუმუსვრელი სიმღერის ანძებს.

დნებრისპირელი დიდო პაპაო,  
უკუნ ღამეში გზების მკაფავო,  
კაცო ნამდვილო, კაცო ზღაპარო,  
მკერდით შეხლილო აქვარს და ავდარს;  
ეგ შენი სიტყვა ცის ქუხილს ჰგავდა,  
მთის არწივების იყო ყივილი,  
გწვავდა მშობელი მიწის ტკივილი  
და კავკასიის ტკივილიც გწვავდა.

გადაიქროლა ოქტომბრის ქარმა,  
თავისუფლების დარეკა ზარმა,  
თავი აიხსნეს დნებრმა და მტკვარმა.  
დაგვიღეწია ბორკილი ყველა!  
შენი სიმღერის ნათელი ელავს,  
ასრულებული ანდერძი შენი, —  
ახალ ოჯახში გიგონებთ ლხენით  
და თავზე გადგას მზის ცისარტყელა.

რეკს შენი კობზრის გუგუნე მძლავრი,  
კაცო სიმღერავ, კაცო ზღაპარო,  
ქართულ ყვავილებს მოგართმევ კრძალვით,  
დნებრისპირელი ჩემო პაპაო!





### შალვა აბისუაშვილი

#### ვარდისფერი დილა

ცხრაას ოცდაერთი...  
ვარდისფერი დილა...  
— ხეში წყალი ჩადგა! —  
მივიმღერით წყვილად.  
დილაა და  
მაინც  
ისე თბილა, თბილა,  
რომ თებერვლის დილა  
ჰგავს თიბათვის დილას.

თბილა, მხოლოდ მთები  
არ იცვლიან იერს,  
ალბათ თოვლში ყოფნა  
ჰყვარებია ძლიერ.  
შე ენძელებს ვეძებ,  
შენ —  
ლურჯთვალა იებს,  
სად ბუჩქები ჰფარავს  
მინდვრის დასალიერს.

გამოჩნდება გზაზე  
ცხენოსანი ორი,  
ჩქამს გაიღებს ქვაზე  
დაცემული ტორი...  
გამოჩნდება კიდეც  
განა ერთი-ორი?!  
მოაქვთ დროშების ტყე  
წითლად ანათროლი!


დრო გავა და ფრთხილად  
ქალამნიან ყმაწვილს  
ცხენზე შემომისვამს  
ჯამუხა ჯარისკაცი;  
არც შენ რჩები ისე —  
ცქრიალა და ანცი,  
წითელ თავსაფარით  
შენც მომყვები მარცხნივ!

ორიოდე წამიც...  
მისრულდება ნატერა:  
ძლივსლა მიცნობს დედა  
ალაყაფის კართან;  
ელიმებათ მხედრებს —  
მხედარს ჰგავსო მართლა,  
მიკეთებენ გულზე  
ხუთქიმიან ვარსკვლავს!

— დროშად გამოდგება  
თავსაფარი შენი,  
პატარაა, მაგრამ  
შინდისფერი შენის! —  
გეუბნები ჩუმად  
ჩემს პატარა დობილს  
და მაწოდებ კიდეც  
უტყუარი ნდობით!...

სიხარულით გართმევ, —  
და სულ მცირე დროში  
ალვის კენწეროზე  
შუქი დგება დროშის...  
სიამით და ლხენით  
მიფრინავენ დღენი, —  
და ფრიალებს ხეზე  
თავსაფარი შენი!...

... ცხრაას ოცდაერთის  
ვარდისფერი დილა  
თმებდაჭირხლულს ახლაც  
მაგონდება ტკბილად;  
მაგონდება, —  
და თან  
ისე თბილა, თბილა,  
თითქოს ისევ ისე  
მივიმღერით წყვილად, —  
და თებერვლის დილაც  
ჰგავს თიბათვის დილას!...





### პახანგ ჯახახაძე

ძალიან ცოტას ნიშნავს სურვილი,  
 მაგრამ თუ მაინც რაიმეს ნიშნავს,  
 მე მინდა:  
 წყარო ჰპოვოს მწყურვალმა;  
 მოგზაურებმა აასწრონ რიქრაცს;  
 დალანდონ დილის შუქი პირველი  
 და როცა სახლში მშვადობით მივლენ,  
 მენავენი და მონადირენი  
 თავს აწონებდნენ ცოლებს და შვილებს;  
 ვეებერთელა ხიდის მშენებელს  
 სასიამოვნო სიზმრები ჰქონდეს;  
 ზღვაში გასული დიდი გემები  
 დაჰბრუნებოდნენ თავიანთ პორტებს;  
 მფრინავები და მეზღვაურები  
 იმედის თვალით უმზერდნენ მიწებს;  
 დაჰკრილ მებრძოლებს დედაბუნებამ  
 დაულეველი სიცოცხლე მისცეს;

დავიწყებოდეთ ომები იმათ,  
 ვინც მოვა ჩვენი თაობის შემდეგ;  
 კარგი შვილები წერილებს ხშირად  
 გაუგზავნიდნენ საყვარელ დედებს;  
 პირველი ბიჭის მახარობლები  
 გზაზე ყოველგვარ სიავეს ასცდნენ;  
 გვირაბებს ვასცდნენ მატარებლები  
 და მიაკვივლონ მძინარე ვაგზლებს;  
 კარგი ამბები მოჰქონდეს ფოსტას  
 და საყვარელი ქარები ჰქროდეს;  
 ვისაც ლამაზი ოცნება ჰქონდა,  
 უფრო ლამაზი ცხოვრება ჰქონდეს;  
 თავს ევლებოდეს ქალაქებს ქარი;  
 მშვიდად ეძინოს მიწაში ვულკანს;  
 მე კი — მიყვარდეს პატარა ქალი,  
 რომელსაც... თეთრი გვირილა უყვარს.

მე მივატოვებ მდუმარე ოთახს,  
 გამოვექცევი ტყვიისფერ სახლებს,  
 ავედევნები ასფალტის ქუჩებს,  
 გადავაბიჯებ ფოლადის ხიდებს,  
 არ დავყოვნდები გარეუბნებში,  
 გამიტაცებენ გზები და გზები,  
 გამაქროლებენ ლიანდაგები,  
 ვერ გაჩერდები მატარებლებში,  
 ნავსადგურებშიც ვერ დავეტევი,


ხომალდებზედაც ვერ მოვისვენებ,  
 გადავუქროლებ მტვრიან ქალაქებს,  
 გადავევლები შორეულ ქვეყნებს,  
 ოკეანეებს,  
 ზღვებსა და  
 მიწებს,  
 და როცა გზები გამითავდება,  
 მე შენ გიპოვნი.

გათენებამდე ღვიძავთ ნათურებს,  
გათენებამდე თველმენ ჩრდილები,  
შესახვევებში მთვარე ფათურობს  
და ჩრდილებს რჩებათ ქვაფენილები.  
მხოლოდ ქარი თუ გამოალვიძებს  
და ერთადერთი ვერხვი იხრება  
და წვიმასავით გაზრდილ ნაბიჯებს  
გამოუცნობი მოაქვთ კითხვები...  
დღისით კი ფეხზე დგანან სახლები,  
დღისით ხმაურობს ქუჩა ძალიან,  
და დიდ ქალაქში ჩვენ ვიკარგებით,  
ერთმანეთისთვის არა გვცალია,  
სახურავები ელფერს კარგავენ,  
სანაპირონი ივსება რვალით

და ღრუბლებივით გაბმულ მანქანებს  
არ შეიძლება მოსწყვიტო თვალი;  
უნდა დააცხრო მუხლი ამაყი,  
თორემ სიცოცხლის ფასად დაგიჯენს.  
დღისით ცის ნაჭერს ვინ დაგანახებს,  
ვინ გაგაგონებს დაღლილ ნაბიჯებს?!  
ახლა კი ძალა ანდამატური  
ფიქრს აღვიძებს და ფიქრი სწრაფია.  
მერე ვიღაცა აქრობს ნათურებს,  
მერე ჩრდილები სადღაც გარბიან,  
და მდუმარება მიძინარე რკინის,  
რომ გაუსალტავს დუმილის ღვედებს,  
ჰგავს გაოცებას,  
რომელიც კვიის  
სიკვდილის წინ თუ სიცოცხლის შემდეგ.

როდესაც წარსულ დღეებს ვაფასებ,  
მე მაგონდება განვლილ შარაზე  
ქალი, რომელიც იყო ლამაზი  
მხოლოდ იმიტომ, რომ არ ვიცნობდი.  
იღგა სიჩუმე დღეთა ნეტართა —  
ახლადგაცნობილ გოგონებივით,  
თვალი ძალიან ახლოს ხედავდა,  
სულს არა ღლიდნენ მოგონებები.  
მაშინ არ ჰქონდა ფერი ქვაფენილს,  
ცა იყო დიდი,  
მზე იყო ერთი,  
სდუმდნენ ქარები — და ყველაფერი  
ან იყო შავი, ან იყო თეთრი.

ხოლო რაც ცუდი არ ჩანდა, მაგრამ  
კარგიც არ იყო, — ითხოვდა სახელს.  
მე დავაკვირდი ქვაფენილს კარგად  
და უსახელო ფერები ვნახე.  
ბევრმა დაკარგა ეშხი ხალასი,  
ზოგმა — ხალისი,  
ზოგმა — ხარისხი,  
ის კი, რომელსაც ამე არ ვიცნობდი,  
მხოლოდ ამიტომ დარჩა ლამაზი.  
წამომეწია ოცნების გზაზე,  
დასავეწყებლად აღარ მიმეტებს  
და გაუხსნელი წერილის მსგავსად  
ეძახის სულის პირველ იმედებს.



პაკრო კობაკიძე

შრიალეხენ წნორეზი

ისევ შენ და ისევ შენ, —  
ჩემი სოფლის მზეო;  
ვენახებო ქვევითა  
და ღრუბელო ზემოთ.  
მთიბავეების ცელებო,  
ბალახების რძეო;  
დედაჩემის ცრემლებო, —  
მამაჩემის ძვლებო...

ქალაქიდან მოვალ,  
ვუბრუნდები ქალაქებს  
და თვალეზი გარბის,  
ნან იქით და ხან აქეთ.

...  
მთები ცივგომბორისა  
და კახეთის ზერები;  
ტყემ ფოთოლი მოისხა,  
სული თბება მზერით;  
უპირველეს ყოვლისა, —  
ფიქრები და გზები.

...  
გამარჯობა, ჩემო სახლო,  
ჩემი ეზოს ნუშო!  
გამარჯობა, ძეძვის ღობეც,  
წაქცეულო უშნოდ!  
გამარჯობათ, ალუბლებო,  
საზაფხულო ვაშლო!  
გამარჯობა, სკოლისაკენ  
მიმავალო ბავშვო!


...  
ისევ შენ და ისევ შენ, —  
ჩემი სოფლის მზეო;  
ვენახებო ქვევითა  
და ღრუბელო ზემოთ.  
მთიბავეების ცელებო,  
ბალახების რძეო;

დედაჩემის ცრემლებო, —  
მამაჩემის ძვლებო.

...  
შრიალეხენ ძეძვები,  
მიიმღერის წყარო:  
მე ქალაქში გეძებდი,  
აქ საიდან, ძმაო?!

...  
შრიალეხენ წნორეზი  
და ძეძვებიც ისევ;  
დავდივარ და ცხოვრების  
მაჯისცემას ვისმენ.  
აუკი გნებავთ, ინებეთ,  
ფერუხვია დღესა:  
იები და იები  
და სიცოცხლე ესე...  
ჩემი მიწის ხმაური,  
სითბო ჩემი მხარის;  
სიცოცხლე და მამული, —  
ხან ესა და ხან ის.

სწორედ ისე უბრალოდ,  
როგორც დედის სუნთქვა,  
ჩემი მზის და ღრუბელის  
სიყვარული მთუთქავს.  
ველი, როგორც მეგობარს,  
აბრისა და მაისს;  
ეს სიცოცხლე მეყოფა,  
მეტს არ ვითხოვ მაინც.  
ვერ წამართვას ვერავინ,  
რაც არ უნდა მოხდეს, —  
სურნელება ველებს,  
მერე სითბო ქობთა.  
შრიალეხენ წნორეზი,  
მეც დავდივარ ისევ  
და ლამაზი ცხოვრების  
მაჯისცემას ვისმენ.



მისილ ქვინიძე

ღმესები

უჩემოდ ქვეყნად რაღაცა ხდება:  
ვიღაცა ჩნდება. ვიღაცა კვდება.  
ვიღაცა იღბენს. უჭირს ვიღაცას.  
და ვიღაც ციხის სარკმლის მიღმა ცას  
გასცქერის ჩუმი სასოწარკვეთით...  
სადღაც ომია. სადღაც მშვიდობა.  
სადღაც ხანძარი თუ წყალდიდობა...  
სადღაც თოვს. სადღაც საოცრად ყინავს.  
სადღაც ზღვის ფსკერზე ნიჟარა ბრწყინავს  
და თანამგზავრი სივრცეში მიჰქრის...  
სადღაც იღებენ ახალ მოსავალს,  
მინდვრის ყვავილთა დაჰქრის სურნელი...  
მე კი — ყველაფრის ამის მსურველი,  
ყველაფერს ამას მონატრებული,  
რა პატარა ვარ და რა შორსა ვარ!..  
მე მხოლოდ ვწუხვარ და ბედს ვემდური,  
რომ მის უცნაურ დამცინავ ძალით  
მაქვს მხოლოდ ორი ყური და თვალი...  
განთიადიდან დაღამებამდე,  
ტრამალებიდან მაღალ მთებამდე,  
გადაჭიმულა ქვეყანა ვრცელი...  
სად მიმიწვდება მე, უძლურს, ხელი —  
დავიმორჩილო ჟამი და სივრცე,  
ენახო ყოველი, ყველაფერს მივწვდე  
და მონაწილე გავხდე ყველაფრის...  
უჩემოდ სადღაც რაღაცა ხდება...  
ო, როგორ მტანჯავს ამის შეგნება!

ლამია. რეკავს ტელეფონი კედლის გადაღმა.  
თავდავიწყებით, გაშმაგებით რეკავს და რეკავს.  
იქ, იმ ბინაში, რახანია არავინ ცხოვრობს.  
ეხლა კი რეკავს ტელეფონი. რაღაც გიჟური

თავდავიწყებით, გაშმაგებით რეკავს და  
 რეკავს,  
 ჩერდება წამით... მერე უცებ, თითქო რაღაცა  
 გაახსენდაო, შეშფოთებით აწკრიალდება,  
 და ისევ: გაბმით, უნუგეზოდ, სასოწარკვეთით,  
 მოთქმით, ჰუდარით, ეინიანად და ჭირვეულად  
 რეკავს და რეკავს ტელეფონი... თავსხმაა  
 გარეთ...

თავსხმაა გარეთ და ვიღაცა დარბის ქუჩებში  
 და ავტომატის ჯიხურების კედლებს აწყდება  
 და სადარბაზო შესასვლელთა ბნელში ინთქმება,  
 გამორბის ისევ და სველდება და ნერვიული  
 ხელის ფათურით ჯიბეებში ხურდა ფულს  
 ეძებს...

და რეკავს, რეკავს ტელეფონი  
 წვიმიან ღამით  
 ბინაში, სადაც რა ხანია არავინ ცხოვრობს!

### სურათი

ზღებნიკოვოში მატარებელი  
 სულ რამდენიმე წუთით ჩერდება.  
 ტრიალ მინდორზე მოჩანს ბაქანი  
 ოჩოფეხებზე შემდგარ კაცივით.  
 ბაქანზე მგზავრი თითო-ოროლა  
 მოლოდინს ითმენს და ითენთება.  
 ყრილზე—ელვარე ლიანდაგები,

ლიანდაგს გასწვრივ, თეთრი კენჭებით  
 ყრილს აწერია: „გზა მშვიდობისა“.  
 შორს, ჰორიზონტზე, დაკბილულ  
 ზოლად  
 ვით ბირდაბირი მოჩანს ნაძვნარი  
 და მის გადაღმა — შინდისფერ ცაზე  
 რუხი ღრუბლების არქიპელაგი.

### ციკლიდან: «ლონდონის ნისლი»

#### 1. ქალაქის გარეშაგანი

რა ხნისა იყო ის საცოდავი  
 არავინ იცის, რადგან ბორბლებმა  
 ქალს ზედ სახეზე გადაუარა...  
 მატარებელი გაჩერდა უცებ.  
 და აწრიალდნენ მგზავრები... ზოგი  
 წამოდგა, ზოგი ფანჯარას ეცა.  
 ერთმა თქვა: „ძროხა დგას ლიანდაგზე“,  
 ამაზე ვიღაც გაეპასუხა  
 და ყველა ერთხმად ალაპარაკდა.  
 ამ დროს ვაგონში შემოჰყო თავი  
 გამყოლმა ქალმა და თქვა, რაც მოხდა.  
 „მერე, რას ვდგევართ?—იციოთხა  
 ერთმა,—  
 ჩქარა გასწმინდონ გზა და დავიძრათ,  
 ჩვენ სამსახურში გვაგვიანდება“...

იქვე, ჩემს გვერდით, სტუდენტი იჯდა  
 და უღიმოდა ქერა გოგონას.  
 მან თქვა: „თუ იმ ქალს სიკვდილი  
 სურდა,  
 რას მიძვრებოდა მატარებლის ქვეშ —  
 შეუგნებელი ყოფილა ვიღაც,  
 რად არ იფიქრა წინასწარ ის, რომ  
 ამას მოჰყვება კვლევა-ძიება  
 და სახელმწიფო ხარჯები წავა“...  
 გამოცოცხლება დაეტყოთ მგზავრებს:  
 ზოგი ზუმრობდა და იცინოდა,  
 ზოგი სწუხდა და ხმამაღლა ბჭობდა,  
 ზოგი კი, უფრო ცნობისმოყვარე,  
 იწვევდა გარეთ, რომ საკუთარი  
 თვალით ენახა დაღვრილი სისხლი...

„სისხლი“... ეს იყო საუბრის თემა  
 და ახალგაზრდა კლერკი, რომელსაც  
 საკუთარ თვალით ენახა გვამი,  
 უკვე მეთედ ჰყვებოდა იმას,  
 როგორ დასტოვა ქალმა გზის პირას  
 სამზარეულო ჩანთა და როგორ  
 დაკეპეს თვლებმა ქალის სხეული...  
 მატარებელი დაიძრა ისე,  
 თითქო ცხოვრებამ განაგრძო წინსვლა.  
 დამშვიდდა ყველა და დაუბრუნდა  
 თავის საზრუნავს და თავის ფიქრებს...  
 ქალს აღარავინ არ ახსენებდა,

არ იცინოდა სტუდენტიც, იგი  
 წარბეზშეკრული წიგნს ჩასცქეროდა  
 და თან ცდილობდა თავისი მუხლით  
 ქერა გოგონას მუხლს შეჰხებოდა.  
 ის ახალგაზრდა კლერკი კი, ეზლა,  
 მეზობელს მკლავში ჩასჭიდებოდა  
 და არწმუნებდა თავის მსმენელებს  
 რომ მათ ფეხბურთის არარა ესმით  
 და რომ ინგლისში, ყველა გუნდს  
 შორის,  
 „რედინგი“ არის საუკეთესო.

## 2. ბალადა მისაკუთრისა

მას ღმერთმა მთელი სამყარო მისცა:  
 მაღალი ზეცა, ზღვა და მთაველი...  
 მან კი, იკმარა ერთი მტკაველი —  
 ზიშტების ტევრით მოსაზღვრა მიწა,  
 შიგ თავის მსგავსნი ძალით შეყარა  
 და თქვა: ეს არი ჩემი ქვეყანა!  
 მერე ამ ქვეყნის პატარა ნაკვეთს,  
 ჭილოფის ხელას (არც მეტს, არც  
 ნაკლებს,  
 ირგვლივ მოავლო ღობე ეკლისა,  
 და რადგან ცალკე ყოფნას ეღირსა,  
 თქვა: ამის მეტი არა მინდაო,  
 ეს არი ჩემი საკარმიდამო!

მერე, როგორც ჩანს, ესეც ებებრა:  
 ქვის ბალავარი ჩაჰყარა მტკიცე,  
 მაღალ კედლებით მოღობა სივრცე  
 და მოამწყვდია ამ კედლებს შორის  
 ჰაერი — სულის ერთი შებერვა  
 და სუნი თავის ოფლის და შმორის.  
 თან გაიფიქრა: ეს მირჩევენია.  
 ცოტა მაქვს, მაგრამ, რაც მაქვს—ჩემია!  
 და მიინც აქაც, თავის სახლშიაც,  
 ვერ მოისვენა, ვეღარ დამშვიდდა.  
 და მხოლოდ, როცა კუბოში ჩაწვა,  
 პირველად იგრძნო რომ გაიხარა:  
 ლალად გაჭიმა ფეხები კაცმა —  
 ერთი მტკაველი მიწა იკმარა!







პირველი წიგნი

# ქალის მსახური

მატარებელი სადგურს უახლოვდება.

თვალწინ ისევ ის მუქყვეთელი გადატრუსული სტეპია. მოჩანს ბრტყელ-სახურავიანი და ვიწროფანჯრებიანი რამდენიმე სახლი. სახლების გარშემო თავჩალუნული დაბორილობენ ცხენები, ზანტად წიწკნიან გამხმარ, ეკლიან ბალახს აქლემები. ბავშვები სირბილში გასჯიბრებიან თხებს. თეთრწინსაფარიან ქალებს აჩქარებით მიაქვთ მატარებლისკენ კუმისით სავსე ვასრები.

... უეცრად, საიდანღაც, ვაგონის ბორბლებს შორის, თორმეტოდე წლის ყაზახი ბიჭუნა გამოძვრა.

- ძია, წამიყვანეთ! წამიყვანთ, ძია?
- სად მიდიხარ?
- მეზობელ სადგურამდე.
- შორსაა?
- არა-ა, ორმოცი კილომეტრი იქნება.

ის უკვე ამოძვრა ვაგონში.

გადაგლესილი შავი თმა. ფართო, მოწითალო ყვრიმალეები... წამწამებს შორის თითქოს ალესილი დანა გადაუსვეს და ვიწრო ჭრილობებიდან გაკვირვებით გამოიჭყიტა შავმა და მოუსვენარმა ცოცხალმა გუგებმა.

მატარებელი დაიძრა.

- მე რე და უბილეთოდ რომ ხარ, არ დაგიჭერენ?
- ნიშნისმოგებით გაიღიმა და დაბეჯითებით მომიგო:
- მოსწავლეებს არ სთხოვენ, მე ყოველ შაბათს დავდივარ..
- შინ მიდიხარ ხოლმე?

— აბა, სად? აქ ჩვენ ინტერნატი გვაქვს — ესწავლობთ, გვამთ... შაბათობით კი შინისაკენ გავსწევთ ხოლმე.

- იქ რა ვაქვთ, მეურნეობა?
- შინა? დიახ, მეურნეობა. მამა მყავს, დედა, ძმა, აქლემი, ორი ცხენი, თხები, ქათმები და ტოპი.

- ტოპი ვილაა?
- ძაღლია, ეს სახელი ინეინერ საირეს სმიტის ძაღლის საპატივსაცემოდ დავარქვე. წავიკითხავთ „საიდუმლო კუნძული“? არა?! ეეე...

- ასე რომ ინეინერი გამოხვალ?
- მაშ!
- როგორც საირეს სმიტი?
- არა, როგორც ივან პეტროვიჩი.

— ვინ არის ივან პეტროვიჩი? — ვკითხე მე.

— სწორედ ის, ვინც „საიდუმლო კუნძული“ მათხოვა წასაკითხად და ვინც ართმეტიკასა და რუსულს გვასწავლის; საერთოდ კი ის ინჟინერია. სახლს აშენებს ახლა. საძირკველი უკვე მზადაა. ორშაბათიდან კედლების აყვანას დაიწყებთ, მერე კი...

— მოიცა, მოიცა, — ვეუბნები მე: — ხან — მასწავლებელიო, ხან — სახლებს აშენებსო, ბოლოსდაბოლოს, ვინაა?..

— ივან პეტროვიჩია... მე ხომ ივან პეტროვიჩზე ვეუბნებით, მას ყველა იცნობს, გაზეთშიც გასწერეს. ინჟინერია, საინჟინრო სამუშაოების შემდეგ კი საღამოობით ჩვენი მასწავლებელია.

— კეთილი, მამასადამე, შენ გინდა ივან პეტროვიჩის დაემსგავსო?

— მაშ. ოღონდ მე სახლებს კი არა, გზებს ავაშენებ; ივან პეტროვიჩი ამბობს, ყაზახისტანში უპირველეს ყოვლისა გზები უნდა გავიყვანოთო...

— მართალი უთქვამს თქვენს ივან პეტროვიჩს, ბევრი გზაა საჭირო.

— თქვენ საიდან იცით?

დავიბენი.

— როგორ თუ საიდან... მეც ინჟინერი ვარ.

— განა თქვენ რევიზორი არა ხართ?

ფეხისწეერებზე აიწია და სცადა ჩემი სამხრეების ემბლემებზე დაეხედა, მაგრამ თავი ველარ შეიკავა, მხარზე დამეკონწიალა და მთხოვა:

— დაიხარეთ ცოტა... ოო, თქვენ თურმე ხიდებს აშენებთ, მე რევიზორი მეგონეთ. სად აშენებთ ხიდებს? ჩვენს რაიონში ხიდები მხოლოდ ვიწროლიანდაგიან რკინიგზებზეა, საბადოებიდან ბაიკოქსურამდე, მე აქ ყოველ ხიდს ვიცნობ.

— იცი რას გეტყვი? ტრაბახა ყოფილხარ.

— არა გჯერათ? კარგი! მდინარე ჯეზღზე ხიდი ლითონისაა; შევიდმალისაა, მდებარეობს მეოცე კილომეტრზე — ეს ერთი! მდინარე ყუშალაზე — ორმალისაა ხიდი, მდებარეობს ოცდამეთვრამეტე კილომეტრზე — ეს ორი. შემდეგი ხიდი ორმოცდამეთვრამეტე კილომეტრზეა. მორჩა! მეტი ხიდი აღარაა.

ეშმაკურად გაიღიმა და დაუმატა:

— მამაჩემი ხომ გზის ოსტატია, მე ყველაფერი ვიცი.

— როგორც ჩანს, მეორე საირეს სმიტი ყოფილხარ, — ვიხუმრე მე.

— მაშ! ოღონდ მე უფრო მეტი მეცოდინება, ვიდრე მან იცოდა.

— არა, შენთან შეუძლებელია ლაპარაკი, ნამდვილი ტრაბახა ხარ!

— კიდევ არ გჯერათ?

მარცხენა ხელისგული გაშალა.

— ატომის ენერჯიაზე იცოდა რამე საირეს სმიტმა? არ იცოდა. — ნეკა თითი მოხარა. — მე კი მეცოდინება!.. რეაქტიულ თვითმფრინავებზე იცოდა? არ იცოდა. — მოხარა მეორე თითიც. — მე კი მეცოდინება!.. რადიოლოკაციის შესახებ იცოდა? მაღალძაბვიან ტრანსპორტზე იცოდა? მოსიარულე ექსკავატორზე? ტელევიზორზე?.. მე კი მეცოდინება! — მან ხუთივე თითი მოლუნა და მუშტად შეკრა. — ყველაფერი მეცოდინება!.. ჩემი ძმა მონტიორია, ათას მანეთს იღებს, მაგრამ მაინც მონტიორია, ამას იქით ვერ მიდის. იმიტომ, რომ სკოლას თავი მიანება. მე კი არ მივანებებ. ათწლედს დავამთავრებ და მერეც ვისწავლი. სულ, სულ ვისწავლი... შორს წავალ.

...შორია გზა თუ ახლოა, გაიგებს ის, ვინც გაივლის; მწარე საკმელს ტბილისაგან ის განასხვავებს, ვინც შეჭამს. — ასე ამბობს ყაზახური ანდაზა.

გაივლის წლები, ჩაიქროლებს უთვალავი წუთი და თან გაიყოლებს ჩვენს სიხარულს, სევდას, განცდებს, მიღწევებს, წყენას. და ვით ეს ბოძები ფანჯრის იქით, — გაივლებენ და გაქრებიან ყველაზე სამახსოვრო დღეები. ბავშვის თვალები მოხუცის თვალეზად გადაიქცევა. მე არ ვიცი, რას იტყვის მოხუცი, როცა განვლილ გზას გამოხედავს. იქნებ ბედნიერებაზე ილაპარაკოს, იქნებ... ვინ იცის?

მაგრამ მე ახლა ჩავყურებ ბავშვის წმინდა თვლებს; ჩვენსკენ გამოტყორცნილი მზის ნაპერწკლები, ცა, სტეპი, მთელი ქვეყნიერება ეტევა ამ პატარა ადამიანის მოუსვენარ, ცოცხალ გუგებში. რა უცნაურია ეს და რა მშვენიერი. და რამდენი აზრია ამაში.

## სისკვლი სუვახული

მატარებელი ხმაურით ჩამოდგა ბაქანზე და გაირინდა. ბოლო ვაგონიდან მომცრო ტანის ქალიშვილი გამოვიდა, სალაროს განათებულ სარკმელთან მიიზინა და იკითხა რომელ საათზე გადიოდა მოსკოვისაკენ უკანასკნელი მატარებელი. ნაცრისფერი ბეწვის პალტო შეიკრა და გზას დაადგა.

გზის გასწვრივ, ხის ღობეებს იქით, მდუმარედ იდგნენ თეთრი სახლები. ...ძლიერმა, აჩქარებულმა კაკუნმა ძაღლები ააყეფა. კარი გააღო მაღალმა, მოუხეშავმა კაცმა. იგი დაიბნა, იდგა კარებში და აღარ იცოდა როგორ მოქცეულიყო, მერე გზა მისცა ქალს და უსიტყვოდ შეუშვა ოთახში.

— მე უნდა წავიდე, — თქვა მოსულმა, — უკანასკნელი მატარებელი 24 წუთში გავა... შენს უნახავად ვერ გავძლებდი დილაძდე...

— გაგაცილებ სადგურამდე, — შეაწყვეტინა კაცმა.

...ქროდა ქარი, თოვლი მაღლა მიფრინავდა. ჩქარსა და დაფლეთილ ღრუბლებს შორის იყურებოდა დიდი მთვარე.

შორიდან ხმაურით მოილტვოდა მათკენ მატარებლის დამაბრმავებელი სინათლე.

მატარებელი ჩამოდგა. ბაქანსა და ვაგონს შორის ვიწრო და ღრმა ზოლი გაჩნდა. გოგონამ გადააბოჯა ამ ზოლს, უკვე ვაგონშია, მაგრამ ისევ კაცთან დგას. ქალი მატარებელმა შეარწია...

კაცმა გაკვირვებით გააყოლა თვალი, დაეწია და ვაგონს შეახტა.

— ქალაქამდე გაგაცილებ. მოსკოვიდან ერთი საათის შემდეგ გამოვა უკანასკნელი მატარებელი.

კაცი ხურავს კარს და ბორბლების ხმაური სადღაც, ფეხებს შორის ინთქმება.

დათბა.

ქალი მის ზურგს უკან მაღავს სახეს და უხმოდ იცინის.

...მღვრიე უშუშებზე იდვენთება მოსკოვის ჩირაღდნები.

ისინი ბაქანზე გამოდიან, სწრაფი, საქმიანი ნაბიჯებით უახლოვდებიან ვაგზლის შენობას და მატარებელთა განრიგის დაფასთან ჩერდებიან.

— ველარ მიბოვნია ჩემი მატარებელი, — გაღიზიანებული ხმით ამბობს კაცი, — ვერაფერი გავარჩიე. ტრამვაიმდე გაგაცილებ და დავბრუნდები.

გოგონას მკლავში ხელს უყრის და გარბის უზარმაზარ ნახევარწრედ გა-  
 ნათებული წარწერისაკენ — „ქალაქში გასასვლელი“.

ვაგზლის მოედანი ცარიელია. მოედნის ვადალმა მოჩანს ტრამვაის პა-  
 ტარა ვაგონები. ქალი უეცრად წყდება ადგილს და გარბის...

- რატომ მივრბივართ? — ეკითხება კაცი.
- დიდი მოედანია! ნუთუ არ გინდა სირბილი?
- მინდა... მაგრამ...

ქალი უკან იხედება და ბედნიერად იღიმება.

— დიდი მოედანია, — იმეორებს იგი, — ნუ გეშინია, ჯერ კიდევ შორსაა  
 ტრამვაის გაჩერებამდე. და ტრამვაი ჰიდის.

ტრამვაი არ მიდის: ვატმანი ამჩნევს მათ და ელოდება.

გოგონა ადის საფეხურზე და ხელს ართმევს კაცს.

ხრჭილით იჭიმება ვაგონთა ვადასაბმელი. რბილი, მაგრამ ჯიუტი ძალა  
 ქალის ხელს სტაცებს ვაჟს. კაცის წინ მოედანი ფართოვდება და უზარმაზარ  
 თეთრ სივრცედ იქცევა.

ტრამვაი მოსახვევში უჩინარდება.

უეცრად კაცი ადგილს წყდება. ეს მისთვისაც მოულოდნელი იყო. არ  
 იცის რატომ მოიქცა ასე — თავი ჩაღუნა და ტრამვაის დაედევნა. იგი ლიანდა-  
 გებს შორის გარბის, ვიწრო ქუჩისკენ უხვევს და სულ ახლოს, ახლოს ხედავს  
 ტრამვაის. მისაბმელ ვაგონს ახტება და კარს აღებს. სუსხით საფეხ ცარიელ ვა-  
 გონში გარბის, შუშის კედელს ეხლება და შეერთქლილ მინაზე გამჟღავნებულ  
 წრე ჩნდება.

სამოტორო ვაგონის შემთბარსა და სუფთა შუშებს იქით ხედავს ხნიერ  
 კონდუქტორ ქალსა და ქალიშვილს.

ვაჟის სუნთქვისაგან შუშაზე ფართოვდება გამჟღავნებულ წრე. კონდუქ-  
 ტორი ამჩნევს ვაჟს და მისკენ უთითებს... ვაჟი ხედავს, რომ პატარა ლამაზი არ-  
 სება დიდ, ბედნიერ თვალებად გადაიქცა. ქალი მოჯადოებულებით დაპყურებს  
 ქვაფენილს, რომელიც გარბის, მიჰქრის...

— გააჩერე, ვატმანო!

ტრამვაი შეჩერდა. ქალის ხელები მის ხელებში იძირება.

— წავიდეთ მოედანზე! — ამბობს ვაჟი.

ღრუბლებიდან სხლტება მთვარის ნაკადი და მათ ფეხქვეშ ეფინება. ქალ-  
 მა უხმოდ ჩაჰკიდა ხელი და მოედნისკენ წაიყვანა:

შეტრიალებულა დიდი, მანათობელი წარწერა: „ქალაქში გასასვლე-  
 ლი“. რკინის მოაჯირთან მეზოვეს მხარზე გაუდვია ნიჩაბი და ადგილზე ცეკ-  
 ვავს. მაგრად შეკრულყურებიანი ქულისაგან მოპრუწული სახე უცინის.

— ერთმანეთს მოეხვეით, მტრედებო, გაიყინებით.

როცა ბაქანზე გადიან, ქალი ეკითხება ვაჟს:

— ჩვენ გვითხრა?

— არ ვიცი.

რადიო დაღლილი ხმით აცხადებს, რომ ორი წუთის შემდეგ გავა უკანას-  
 კნელი მატარებელი... შემკრთალნი ადგილიდან წყდებიან.

ყრუდ კაკუნობს ფეხებქვეშ ლიანდაგი. ტამბურში მატარებლის გამყოლი  
 ქალი შემოდის.

— შედით ვაგონში, აქ ცივა.

— ჩვენ გეუბნებით? — ეკითხება ვაჟი.

— აბა ვის? აქ სხვა არავინა...

— არ გვცივა, გმადლობთ. — სერიოზულად უპასუხებს ვაჟი.  
 — ეშმაკმა იცის თქვენი თავი, გიყები ხართ... დგანან და იყინებიან!  
 კონდუქტორი მიდის.  
 ... ისინი სოფლის ნაცნობ სადგურზე გადმოვიდნენ. რატომღაც უცდიან  
 მატარებლის წასვლას.  
 მატარებელი მიდის. და ისინი მარტონი რჩებიან.  
 ღრუბლებიდან მთვარე იყურება.  
 ღობეებს იქით მდუმარედ დგანან თეთრი სახლები.  
 ჯერ ქალი შედის, შუა ოთახში ჩერდება და ელოდება ვაჟს.

თარგმნა ედიშერ ყიფიანმა

## ცნობები

მზით დამწვარ, ხეშეშა ბალახებში მივაბიჯებდი და იმ დღეებზე ვფიქრობდი, როცა ამ ტრამალებშიც მატარებლები მოვიდოდნენ...

სქელ ბოტრორში ბრტყელგორების მეწამული ტალღები ლიცლიცებდნენ. ტრამალი შმაშურობდა, ტკიცინი გაჰქონდა.

წყურვილი მკლავდა.

მშრალ ღელეზე გადებულ პატარა ხიდქვეშიდან ვეებერთელა შავი ძროხა გამოვიდა, შემომხედა, დაფეთებულმა გააქნია თავი და უკან დაიწია.

ვილაცამ დაუტია.

ხიდის ქვეშიდან ერთი ჯმუხი, თეთრ, ჩამოლოკილ უღვაშიანი კაცი გამოვიდა, დამინახა, გაჩერდა, ცოტა იყუჩა და მერე მკითხა:

— რაო?

— არაფერი. — მივუგე მე. — ძროხას შეეშინდა...

მიბრუნდა, ძროხას რქაში ხელი წაატანა და ასე ზურგშემოქცეულმა მიიხრა:

— შენ, კაცო, მიდიხარ — გაიარე...

დაიცა-მეთქი.

— წყალს ვერსად ვერ დავლევ აქ?

— ვერსად.

მიდის.

დავეწიე.

— თქვენ ხომ სვამთ. — ვეუბნები ისევ. — თქვენ სადა სვამთ?

ძროხას მოეფერა და მზაკვრულად გაიღიმა:

— ო, ჩემო ფუდელო... ეხლავე დალევ.

გვერდზე გავეყვი და სახეში შევხედე.

— ძალიან მწყურია. დილას აქითა ასე მოვდივარ...

მეტი აღარ მაცალა.

— შენ შენს გზას ეწიე! შენ შენი გზა გაქვს, მე — ჩემი.

— ინჟინერი ვარ, მთელ ამ ტრამალს გზა უნდა გადავავლოთ, ამ ტრამალს და მერე იქითაც — ყარა-ყუმს.

— რისთვის?



— მოიცათ, მე თქვენ ნამდვილად გეუბნებით, ლამის წყურვილით და-  
ვიღრჩო.

— ძროხას ნუ მიფრთხობ... გამეცალე...

და უკვე შორიდან, უკანმოუბრუნებლად დაუმატა:

— მათარა უნდა იქონიო ხოლმე.

სალამო ხანზე ერთ პატარა, ფაქიზად შეკრულ სახურავიან სახლს წავადექი.  
ხნიერმა ლოყებდაქლაქა ქალმა გამილო კარი და რომ დამინახა, კეთილად  
გამიღიმა. წყალი ვთხოვე. სწრაფად დამიქნია თავი და შინ შემიპატიყა.

კარის პირდაპირ მაგიდასთან ის თეთრულვაშიანი კაცი იჯდა. გაკვირვე-  
ბით შემომხედა და უცებ თითქო მთლიანად მძიმე, ნაოჭებად ქცეულ ქუთუ-  
თოებქვეშ შეიფუტა, ჩამოლოკილი უღვაშები თეფშში ჩაეკიდა.

— მობრძანდით! — თქვა მაგიდასთან გაჩერებულმა ლამაზმა, პირმრგვალ-  
მა გოგონამ.

მას დიდი, ბრიალა თვალები ჰქონდა. მაღალ მკვრივ მკერდზე დაბრაწული  
ქურის ყუთა მიეხუტებინა და იქიდან თეთრ, ლამაზ-ლამაზ ნაჭრებს სკრიდა.

— მობრძანდით! — გაიმეორა მან.

მის ხმაში გულწრფელი თხოვნა მომესმა და ჩემდაუნებურად მაგიდისკენ  
რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი.

ოჯახის უფროსი თავჩალუნული განაგრძობდა ჭამას.

ოთახში ხნიერი ქალი შემოვიდა და თუნუქის ტოლჩა გამომიწოდა.. ტოლ-  
ჩა სველი იყო, გრილი, მე სწრაფად წავიდე ტუჩებისაკენ...

ოთახი დატორტმანდა... ჭერი მძიმედ დამაწვა თავზე, კედლები წამომემ-  
ხნენ და აყირავება იწყეს. მინდოდა რამეს მოგვიღებოდი, მაგრამ ხელებით  
ტოლჩა მეჭირა, იმ ტოლჩის მოშორება აღარ შემეძლო...

ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა. როცა ტოლჩა ტუჩებიდან  
მოვიცილე, ბნელოდა. ზედ ჩემს თავთან მძიმე ვარსკვლავები ბრდღვიალებ-  
დნენ. სადღაც ყურის ძირში ხმამალა ფშვინავდა ძროხა, იდგა თივის სუნი...

ჩემს ფერხთით პირმრგვალი გოგონა იჯდა. მისი დიდი, ბრიალა თვალები  
ვაუბედავი სიხარულით მომჩერებოდნენ.

მე გამახსენდა, რომ ასეთი თვალები — დიდები, ბრიალები — ასეთი თვა-  
ლები ჰქონდა იმ კაცს, რომელიც სტეპში შემხვდა.

და ვკითხე:

— მამა სად არის?

თავი სახლისკენ გააქნია, ახლოს მოიწია და დამნაშავესავეთ თქვა:

— სძინავთ.

და უცებ ჩქარ-ჩქარა, სხაპასხუპით ალაპარაკდა:

— მე მეგონა ცუდად იყავი... მამამ გვიამბო... იმისთვის წყალი გითხოვია.  
მამა ბოროტი არ არის, განაწყენებულა... ქურდობა დასწამეს, აქ გადმოასახ-  
ლეს. მერე გაამართლეს. დაბრუნება მინც აღარ ინდომა. მოგვწერა, რომ დე-  
და და მე ჩამოვსულიყავით. მე პატარა ვიყავი... ჩამოვედით. აქ სტეპში  
წამოგვასხა. მარტო ვიქნებითო — ყველასაგან მოშორებით. აღამიანები მხეცე-  
ბი არიან. მე აღამიანად მინდა მოვკვდეო. მას შემდეგ აქ ვცხოვრობთ... სხვა  
არავინ არ არის...

კიდევ უფრო ახლოს მოიწია, ხელისგული შუბლზე დამადო; ხმამალა,  
ბედნიერი აღამიანის სიცილით გაიცინა, მერე შეკრთა, თითები სწრაფად აიფა-  
რა პირზე და განაგრძო:

— იმათ სძინავთ... მამამ რომ გაიღვიძოს. მომკლავს. მე ვერ დავიძინე. შენზე ვფიქრობდი. მე შენ არ გიცნობ, მაგრამ მერე რა? ვერ დავიძინე. უცებ ვიგრძენი, რომ ხელები უთრთოდა, წამოვიწიე და გვერდით მივუჯექი.

— რა დაგემართა?

თავს ძალა დაატანა და ამოიძახა:

— აღარ შემიძლია ასე. მამისა მეშინია, მაგრამ აღარ შემიძლია ასე! დაე. ეწეინოს. დაე, რაც უნდა...

სახლში რაღაც დაქრატუნდა. ის შეშინებული შეტრიალდა, თვალეზად იქცა.

ყრულ ფშვინავდა ბნელში ვეება ძროხა.

— არ წახვიდე! — მითხრა გოგონამ. — თავი ისე გეჭიროს, თითქო ისე ცუდად ხარ... ვერ გაგაგდებს... მე მეყვარები. რასაც კი მოისურვებ, ყველაფერს გაგიკეთებ...

და მანამ, სანამ გონს მოვეგებოდი, თბილი ტუჩებით დამაცხრა, წამოხტა და სახლისაკენ გაიქცა.

ძირს ჩამოსული ვარსკვლავები რამდენჯერმე შეეხნენ მის თმას, მერე კარმა გაიჭრიალა.

ხოიანი მშრალი ენა მილოკავდა სახეს. შევბრუნდი, წიხლი ვკარ მფშვინავ შავ დრუნჩს და შევიგინე. ძროხამ შიშით გაჰკრა, აბაკუნდა, თავი დახარა და გაიტვრინა.

დილას, მზის ამოსვლამდე, მასპინძლებს არ გამოვთხოვებივარ, ისე წამოვედი. რამდენიმე ნაბიჯი რომ გამოვიარე, მოვიხედე და კინაღამ გაკვირვებულს გან არ ვიყვირე... პატარა, ვიწრო სარკმელში სამი თავი ჩაჭყუნულიყო. ვხედავდი თვალეზს.

მომეჩვენა, რომ აი ახლა, აი ახლა დამიძახებდნენ — მობრუნდიო, მაგრამ არავის არ დაუძახია.

სიწყნარე იყო.

ტრამალი აშკარად შმაშურობდა, ტკიცინი გაჰქონდა.

წამოვედი და მეტად აღარ მივბრუნებულვარ. ვიცოდი, რომ ისინი კიდევ დიდხანს გამომაყოლებდნენ თვალს — გამომაყოლებდნენ მანამდე, სანამ არ გავექრებოდი, გამომაყოლებდნენ მაშინაც კი, როცა გავექრებოდი, და მაშინაც კი, როცა გაქრებოდა თვით ჩემს ჩექმებს აყოლილი გრძლად გაწეული მტვრის წვრილი ჭავლი.

მე ისიც ვიცოდი, რომ ამ ტრამალში მატარებლები მოვიდოდნენ...

თარგმნა რევაზ ინანიშვილმა





რეპუ პეპუქელი

იანვრის ღამე და მთვარის  
ვერცხლი...

... ჩაქრა ღუმელი, მინელდა ცეცხლი,  
და წიგნით ხელში შენც მიიძინე...  
იანვრის ღამე და მთვარის ვერცხლი  
მოადგა ჩუმად დაორთქლილ მინებს...  
და ღამე თითქოს ხელს უფათურებს  
მიკეტილ ფანჯრებს, მიხურულ კარებს.  
ქუჩაში ქარი არხევს ნათურებს,  
როგორც პატარა ანთებულ ზარებს...  
გისწორებ საბანს და ფეხაკრეფით  
მე ვუბრუნდები ფურცლებს და ფანქრებს...  
და ქარი სულში მბჭუტავ სტრიქონებს  
ანთებს და აქრობს, ანთებს და აქრობს...

ღამე

...ქუჩები უკვე დაცარიელდა,  
სახურავებზე წამოწვა ღამე...  
დიდმა სახლებმა დაიძინეს ქუჩებთან ერთად.  
გაისრიალებს მანქანა და შეუხვევს საღმე.  
მერე ისევ წყნარად ისმის შრიალი ხეთა,  
...და ირწევინა ქვაფენილზე მუქი ჩრდილები...  
ამდევნებია ფოთლებიდან მწვანე, ბორიო,  
ნელა მივყვები ჩამწყრივებულ ჭადრების გალას.  
ისმის კვიცილი მატარებლის სადღაც შორიდან, —  
და ლიმონივით ყვითელ მთვარეს სახლები მალავს.  
— მატარებლები ტოვებენ ქალაქს...  
უკანასკნელი ნათურები ხუჭავენ თვალებს,  
ღია ფანჯრებში დაეძებენ წყვილები მთვარეს...  
ღია ფანჯრებში ნაზად იწვის ბედნიერება,  
მრავალ სასთუმალს სიყვარულის ცრემლი ეღვრება...  
ზაფხულის თბილი ღამეა გარეთ...



... და მაღალ სახლებს ეფარება ყვითელი მთვარე...  
 და მე ვბრუნდები ნაბიჯით წელით,  
 ჩემი პატარა ოთახი მელის...  
 დავბრუნდები და უხმაუროდ შევადებ კარებს —  
 — ოთახი ცარიელი,  
 ბალიში ცარიელი...  
 ფანჯარაში კი ვარსკვლავები ნაბავენ თვალებს...  
 მომენატრება ვიღაც ნაზი, ვიღაც სათუთი  
 და ჩემს ოთახშიც სარკმელიდან შემოვა მთვარე...


თოვს. თბილი ზამთრის თეთრი ხელები  
 ხატავენ სახლებს, ქუჩებს და ბაღებს...  
 და ვიღაც მოდის გაუმხეღელი  
 და სულის კარებს ჭრიალით აღებს.

თოვს. ნაადრევად გაშლილ ყვავილებს  
 გათეთრებიათ ტუჩები სველი,  
 — როგორც ლოდინი უსიყვარულო,  
 მე ისე ველი, თავიდან ველი...

თოვს და შუადღის ფერი ნოტიო  
 ცრემლებით ივსებს თვალებს გახელილს...  
 და საფირონის ამულეტივით  
 სულში ქანაოზს ქალის სახელი.

თოვს. დაორთქლილი ფანჯრების იქით  
 გუშინდელივით ცხოვრობს ქალაქი...  
 — რაღაც საოცრად ძნელია ფიქრი,  
 მერე გამხელა და ლაპარაკი...

თოვს. იბინდება წყნარად ღია ცა,  
 ურიგებს ჩრდილებს სახლებს და ბაღებს...  
 და შავ კაბაში მოდის ვიღაცა  
 და სულის კარებს ჭრიალით აღებს...



## სიღოვან ნაჩიბანიძე

### რა იქნებოდა

რა იქნებოდა, რომ შენთან ახლოს,  
ჩამძინებოდა! რა იქნებოდა,  
გამღვიძებოდა, როგორც სიზმარში  
და ბედნიერად გამღიძებოდა!  
რა იქნებოდა, რომ შენი მზერით,  
სულში კოცონი ამომნთებოდა,  
შენ ყოფილიყავ ერთგული ჩემი —  
სამარადისოდ, რა მოხდებოდა!

### სურათი ერთი ღამისა

ეხლა ისევ ის დროა,  
შენ რომ მხვდებოდი თრთოლვით...  
მხრებზე გადააქეთ ნისლი,  
მთებს დაფარულებს თოვლით.  
დაუძინია ელვას,  
სძინავს შორეულ ქუხილს,  
წევს ღამის მღუმარება,  
თითქოს ქარიშხალს უცდის,  
მიდის შამბნარში ღომი —  
და გზის გაგნება უჭირს...



## შოთა ქავთარაძე

მოზღვავებულა მზე და ღიმილი,  
ერთად ანთია ასი ცისკარი,  
უკვე მზად არის გული მღელვარე  
გადმონგრეოს გულის ფიცარი.  
თითქოს აქ ჰპოვა თავშესაფარი  
მზემ,

სიყვარულმა,  
სიტყბომ,

ვარდობამ.

ერთად მღერიან გულგანახარი  
გაზაფხული და ახალგაზრდობა.  
ცას ეჯახება ხმები მქუხარი,  
გული ზეიმობს ხალისიანი,  
აქ, უჭადარო და უმწუხარო  
ლოცავს სიცოცხლეს ადამიანი.  
მოზღვავებულა მზე და ღიმილი,  
ერთად ანთია ასი ცისკარი,  
და ჰა, მზად არის გული მღელვარე  
გადმონგრეოს გულის ფიცარი.

### შენ ამ იყავი

შენ აქ იყავი, ამ კედლებს შორის  
და სიხალისით აივსო ჭერი,  
განა სიზმარი, ოცნება შორი —  
რა მზიარული, რა ბედნიერი.  
შენ აქ იყავი, ამ კედლებს შორის,  
შენ აირბინე ჩემს სახლთან სერი  
და ყვავილების შეჰკარი კონა  
და მე იმ ბორცვის ვიქეცი მონად.  
ვდგავარ და გელო.  
ჯერ არ დამჰკანარა ყვავილთა კონა,  
შენ რომ შეჰკარი უმანკო ხელით.  
განა ოცნება ფერმკრთალი, შორი,  
განა სიზმარი აუხდენელი, —  
შენ აქ იყავი, აქ ჰკრეფდი ვარდებს,  
დასტოვე სევდა განუკურნელი  
და ეხლაც ახლავს შებოლილ ფარდებს  
შენი ლამაზი თმების სურნელი.



# ჰაქარა როგანი

1

იმ საღამოს ერთმანეთს სადგურზე შევხვდით.

ქალიშვილი ვიღაცას ელოდა და დაბნეული იყო.

მატარებელი მოვიდა და ბაქანი ხალხით აივსო. წვიმის შემდეგ ნაწვიმარი ტყისა და ქვიანაშირის სუნი იდგა. ნაცნობები იმდენი იყვნენ, რომ ჩვენ ძლივს მოვახერხეთ ერთმანეთს შივსალმებოდით. მაგრამ ის, ვისაც იგი შემფოთებული თვალებით დაეძებდა, არსად ჩანდა.

მატარებელი დაიძრა და ქალიშვილიც შეჩერდა, ფართოდ გაღებული ცისფერი თვალებით შეჰყურებდა ვაგონებს, რომლებიც ბაქნის გაყოლებით მოსრილობდნენ. ვაგონების ფანჯრებში მოჩანდა სახეები, მაგრამ ამ სახეებში არ ერია იმის სახე.

დასასრულ ვაგონების კედელი ჩამოგვცილდა, ჩაიარა უკანა ვაგონმაც, მატარებელი თანდათან დაპატარავდა და მწვანე ტყეთა შორის გადასარბენში ჩაიკარგა. დაცარიელებულ ბაქანზე ცისფრად ბრწყინავდა წვიმის შემდეგ გრძლიად დარჩენილი წყლის ზოლები.

ბაქანი ჩრდილში იყო, — მზე ჩვენს მიღმა, ფარდულს უკან მიეფარა, მაგრამ ტყეში გაშენებული აგარაკები კვლავ გაბრწყინებული იყო მოელვარე მინების სხივებით. საღდაც ახლოს ძლიერ და შეუწყვეტლივ უკრავდა გრამოფონი; საღდაც ტკაცუნობდა კროკეტის ბურთები და გაისმოდა ბავშვების ყიჟინა... ქალიშვილს ჩემთვის არც კი შემოუხედავს, ისე მომპართა მოკლე: „ოტა გავიართო“. მეც ვაყუევო.

სადგურის უკან ჩამავალი მზე კაშკაშებდა. მერე ჩრდილოვანი ტყე იწყებოდა. და ჩვენ დიდხანს მივდიოდით მის გრილ ნაკაფებში, მივაბიჯებდით დატყეპნილი და დაკლაკნილი ბილიკებით ტალახიანი გზების გასწვრივ, ვერხვებისა და ხშირი თხილნარის ქვეშ, რომელიც ხავერდოვანი ფოთლებით გვიალერსებდა. იგი წინ მიდიოდა და მე შეეყურებდი მის ქვედა ტანს, რომლის კალთებიც ფეხებზე შემოტმასნოდა, კუბოკრულ ბლუზას და თმების მძიმე ხეულს. მოხდენილად იხრებოდა ტოტებქვეშ და უფრო მშრალ ადგილს არჩევდა.

— რაზე ფიქრობთ? — შემეკითხა ჩემსკენ მოუბრუნებლად.

— თქვენს ფეხსაცმელებზე, — ვუპასუხე მე, — იმაზე, რომ მათ არა აქვთ ფრანგული ქუსლები. აჲ მაგერა ქალებისა, რომლებიც ფრანგულ ქუსლებს ატარებენ.

— ჩემი კი გჯერათ?

— მჯერა...

აი, ნაკაფიც გათავდა და ჩვენ მზეზე, გაშლილ ბექობზე გამოვედით; იგი შეჩერდა და ჩემსკენ შემობრუნდა.

— რა კეთილი ხართ! — მომმართა ქალიშვილმა, — მოდის თავისთვის, ჩუმად... ერთბაშად რაღაც ნაზი გრძნობა დამეუფლა თქვენდამი.

მე თავშეკაფებულად ვუპასუხე:

— გმადლობთ, ასე იცის ხოლმე მწუხარებამ.

ქალიშვილს თვალები გაუფართოვდა.

— მწუხარებამ? რა მწუხარებამ?

— მე ხომ ვიცი, რომ თქვენ ტყუილუბრალოდ უცდიდით ვიღაცას, ისიც ვიცი, რომ აი ახლა წინადადებას მომცემთ, გაქცეულს გამოგედევნოთ.

— მიმიხვდით! გსურთ კი?

მასთან მივედი, ხელები ტავკიდე და ოდნავ ჩემსკენ მოვიზიდე, მან თავი ამარბია.

— არა — წაიჩურჩულა, — არა... ღვთის გულისათვის.

გაჩუმდა და მოხდენილი მოძრაობით ხელები გამომგლიჯა. კაბის კალთები აიკრიფა და ბექობიდან გაიქცა.

მარჯვნივ და მარცხნივ ტყით დაფარული ხრამები იყო; წინ კი — თითქმის ჩრდილში, მოთბული თივის მწკრივებით დაფარული ფართო ველი. ველისაკენ გაიქცა და ჩრდილის საზღვართან, ჩამავალი მზის სიკაშკაშეში შეჩერდა. ერთ ნაბიჯზე მიმიშვა, მერე თხრილზე გადახტა და ველისაკენ გაეჭანა. მეც ის-ის იყო გადავხტი, რომ უეცრად შხაპუნა წვიმა წამოვიდა, ხოლო მარცხნივ ბორცვზე მსუბუქი, მკრთალი ცისარტყელა დაეცა.

— წვიმა! — წკრიალა ხმით წამოიძახა მან და უფრო სწრაფად გაიქცა კოქოსპირული წვიმით გაკაშკაშებულ მდელოზე.

მზით გაშუქებული მდელოს ნახევარი ჯერ კიდევ კაშკაშებდა და ლაპლაპებდა გამჟვირვალე ბადეში. ხშირი და მსხვილი წვიმა სწრაფად და ხმაურით მოდიოდა. ჩანდა, თუ გასხვიოსნებული ციდან, მონაცრისფრო ღრუბლებიდან როგორ ცვივოდა წაგრძელებული წვეთები. ბორცვზე ცისარტყელა თანდათან გაქრა და შხაპუნაც ერთბაშად მიუყრდა.

ქალიშვილმა ზვინთან მიიბრინა, ზედ დაეცა და აკისკისდა. მკერდი აჩქარებით უცემდა, თმებში წვიმის წვეთები უბრწყინავდა.

— ერთი ნახეთ, როგორ მიცემს გული! — მითხრა და ჩემი ხელი მკერდთან მიიტანა.

მოვეხვიე და ოდნავ გახსნილი ტუჩებისაკენ დავიხარე. წინააღმდეგობა არ გაუწევია.

შემდეგ წყნარად მომიცილა და შეფაკლული სახე მიაბრუნა. ხმელ ღეროებს კენეტდა და დაბნეული, ანთებული თვალებით შორს იყურებოდა.

— ეს პირველი და უკანასკნელი იყოს. კარგი? — მითხრა მან.

— კარგი.

მან დაჟინებული მზერა მომაპყრო.

— ნეტავ, ოდნავ მინც თუ გიყვარვართ? — ისე კარგად ვარ თქვენთან... თქვენ არავისზე არ ეუკვიანობთ... ის კი, ვისაც მე ველოდი... მართალია, მას ჩვენთან არაფერი ესაქმება... ჰო, თუმცა იგი ჩემს ოფიციალურ საქმროდ ითვლება და მალე ქალბატონი ელ-მამუნაც გავხდები... მაგრამ რატომ? არ ვიცი... სულ უბრალოდ, იმიტომ, რომ მე მისი მეშინია...



ადგომა მოიწადინა და ხელები გამომიწოდა. მე ჯერ ერთს ვაკოცე, შემდეგ მეორეს.

— ახლა კი წავიდეთ, — მომმართა მას.

— სად?

— ცოტა კიდევ გავიაროთ, მდელოზე...

წამოვაცენე. ოდნავ მორცხვად გამიღიმა. მერე ქალური მომხიზლაობით თმები გაისწორა და ღრმად ჩაისუნთქა მდელოს სიგრილე... ტყეში ხან აქ, ხან იქ ყრუდ გაისმოდა გუგულის ძახილი, რომელიც წვიმის შემდეგ უფრო მკვეთრად ჟღერდა; ცაში ნაცრისფერი და მოწითალო ოქროსფერი ღრუბლები მიცურავდნენ და ქრებოდნენ.

უკან დაბრუნებისას გზა აგვერია. მაგრამ მან მალე მოისაზრა სადაც ვიყავით და დარწმუნებით გასწია წინ. მეც გავყევი.

ჩემი თხოვნით მოკლედ, გადაკრულად და ადრევებით მომიტხოო თავისი ისტორია. როცა ამბავი დაასრულა, დიდხანს ჩუმად მოდიოდა.

ტყეში ჩრდილოეთის ბინდი ჩამოწვა. ჩუმი და ბნელი ტყე რამდენიმე კილომეტრზე გადაჭიმულიყო. ამჯერად მთელი ტყე მოცული იყო ღამის მოწყენილი და წყნარი მოლოდინით. მკრთალი, ცრიატი სინათლე ქრებოდა, თხელი, ჭაობიანი ტბა, რომლის ნაპირსაც მივალწიეთ, ჯერ კიდევ თეთრად მოჩანდა ხეთა შორის. მაგრამ ისიც ტყესავით მოწყენილი და უხალისო იყო. ჩამოწოლილი ღრუბლები ტყის სიბნელეს უერთდებოდნენ. ყველაფერი გაირინდა ძილისმომგვრელი თბილი ჰაერისგან, რომელიც ჭაობის ბალახისა და წიწვების მკვეთრი სურნელებით გაჟღენთილიყო. ოქროსფრად და ზურმუხტისფრად ციმციმებდნენ ციციანათელები ბუჩქებში, რომლებიც კუტკალიების იდუმალ ჩურჩულს უსმენდნენ გარინდებულნი... გზის შესამოკლებლად ტბიდან საუკუნოვანი ფიჭვების გრძელ და განიერ ხეივნისაკენ შემოვბრუნდით. გზას ძლივსღა ვარჩევდით, ამიტომ ღრმა ქვიშნარით ველისაკენ გავწიეთ. უეცრად გადახლართულ წიწვნარში რაღაცამ გაიფრთხილა და იქიდან სოლივით ამოიჭრა მოზრდილი, თავდიდა ბუ. იგი თავს გადაგვევლო. მე მისი რუხი ფერის ბუმბულის დანახვაც კი მოვასწარი. ბუმ თავისი ფართო, მრგვალი ფრთებით გადაიტლაშუნა. ქალიშვილი შეკრთა და შეჩერდა. ბუმ კი უხმაუროდ ირაო დაარტყა, კვლავ წყნარად დაეშვა ძირს და ნარნარით ჩაიძირა ტევრის მრუშეში.

— ეს ცული ნიშანია. — თქვა მან და თავი გადააქნია.

გამეღიმა.

— გარწმუნებთ, რომ ეს ცულის მომასწავებელია, — გაიმეორა უბრალოდ და დაჟინებით.

— რა მოხდება?

— ოჰ, არ ვიცი, თუმცა ჩემთვის სულ ერთია. თქვენთან გატარებული დღეები, და განსაკუთრებით კი ეს საღამო, არასოდეს დამავიწყდება. მოდიო, გამოთხოვებისას...

წინადადება აღარ დაუმთავრებია, მომეხვია, ნალვლიანად და ნახად შემომყურებდა. ჩაფიქრდა, დამიკოცნა ჯერ ერთი, შემდეგ მეორე თვალი... მდელოზე გავედით და სემაფორის მწვანე შუქს გავყევი, რომელიც ხეთა შორის ციმციმებდა. სრულიად დაბნელდა. ტყეში წყნარად ახმაურდა წვიმა. ხოლო როცა ტილოთი გადახურული აგარაკის აივანზე ავირბინეთ, სადაც ჩაის მაგიდა აბაყურიანი სანთლებით იყო გაშუქებული, წვიმა უკვე კოკისპირულად ასხამდა.

ტანსაცმელი ჩამოვიბერტყეთ და თვალისასახვევად მოვეყვიეთ მხარის ქვევისა და გზის ძეხნის ამბავს. უეცრად დავდუმდით: აივნის ბნელ კუთხეში საქა-



ნაო საგარძლიანად წამოიშარათა უზომოდ მაღალი და მხრებგანიერი, ასე ოცდაათი წლის მელოტი მამაკაცი. მშვენიერი, ლამაზი წვერი და მოვლვარე თვალები შეენოდა. მოხუცები შეკრთნენ, ქალიშვილი კი გაფითრდა. მამაკაცმა უზარმაზარი ხელი გამოიწოდა ჩამოსართმევად. მე ხუმრობით ვუთხარი:

— ღმერთო ჩემო, რამისიძალე ბრძანდებით! თქვენგან შუასაუკუნეებში საუკეთესო აბჯროსანი მეომარი გამოვიდოდა.

— მართლა? — მკითხა მკვირცხლად მან, — რას იზამთ. იქნებ ეს მართლაც ასე ყოფილიყო. გრაფი მამუნა გახლავართ...

მომიძებნეს ძველი, ძალიან ფართო ქოლგა. თანაც მარიგებდნენ, საით უკეთესი იქნებოდა გავლა. აივნის სველი კიბეებით უკან, სიბნელეში ჩავეშვი.

ქალიშვილი განათებულ ტილოს კარვის სამკუთხედისებური აივნის ზღვარზე იდგა. როცა ჭიშკრამდე მივალწვი, მან ხმისაუმაღლებლად დამიძახა:

— მშვიდობით!

ეს იყო უკანასკნელი სიტყვა, რომელიც მისგან გავიგონე.

II

„ჩემო ძვირფასო, — მწერდა იგი ამ ამბიდან ოთხი თვის გასვლის შემდეგ, — ნუ დამადანაშაულებთ იმაში, რომ თქვენს შეუტყობინებლად გადავიკარგე. ჩემი საქმრო ათასჯერ უფრო ძლიერი აღმოჩნდა ჩემზე. დაეკარგე თავისუფლება, ხელიდან გავუშვი შემთხვევა, როცა კიდევ შემძლო ყველგვარი ურთიერთობა გამეწყვიტა მასთან. ახლა უკვე თქვენთან შეხვედრის აღარავითარი იმედი არა მაქვს. ან კი როგორ შევხვდებით ერთმანეთს: მე ვფიქრობ და თავს სრულიად, სრულიად არ ვიტყუებ თქვენი ჩემდამი გრძნობების გამო. თქვენთვის იგი მოულოდნელი და პატარა რომანი იყო მხოლოდ. მაგრამ ეს სულ ერთია: გეფიცები, თუ სიცოცხლეში ვინმე მყვარებია, ეს თქვენა ხართ...

რა არის ეს ადამიანთა სიყვარულისადმი უთვალავჯერ ხოტბის შესხმა? შეიძლება საქმე თვით სიყვარულში არაა. ცოტა ხნის წინ ერთი მომაკვდავი მწერლის წერილებში წავიკითხე: „სიყვარული ესაა სურვილი იმისა, რაც არ არის და არც იქნება“. დიახ, დიახ, რაც არასოდეს არ იქნება. მაგრამ სულ ერთია, მე თქვენ მიყვარდით და მიყვარხართ...

ყველაზე მეტად მაგონდებით შებინდებისას. შებინდებისას დავემშვიდობებთ ერთმანეთს და შებინდებისასვე გწერთ ამ პირველ და ალბათ უკანასკნელ წერილსაც. ხოლო გწერთ ღმერთმა უწყის საიდან: ალბებიდან, ღრუბლებქვეშ მოთაყისებულ გაყინულ და დაცალიერებულ სასტუმროდან ოქტომბრის ერთ საღამოს. მას ჭლექი ეწყება და მე უსინდისოდ დავცინი მის სიცოცხლეს. მე მას ალბებში ეტოვებ არა მართო ძლიერ შეუფერებელ დროს, იგი ტბებზე და მთებში დამყავს ყველაზე ცუდ და ნისლიან დღეებშიც კი, — ახლა იგი ჩემი მორჩილია.

მართალია თვალები აღვზნებული აქვს, მაინც მთელი დღეები სდუმს, მაინც მორჩილადაა. როცა ჩვენ აქ მოვედით, სასტუმროს მოსამსახურემ, რომელიც აქ, სამზარეულოში მთელ თავის ცხოვრებას გლახურად ატარებს, გაკვირვებისაგან ამოიხარა:

— ესენიც სტუმრები არიან, რაღა! — ეს იქნებ იმიტომ თქვა, რომ იგი სიკვდილივით ფერმკრთალი და უზარმაზარია.

აქ თქვენს გამო წამოვედი, რომ სიჩუმესა და იღუმალემაში გავიხსენოთ და თქვენზედ ვიფიქრო.



რა მშვენიერია ლურჯი და ჩაფიქრებული, გვიანი შემოდგომისას ეს ველე-ბი, მიჯრით მთებისაკენ რომ მიემართებიან. ცა ცივია და დაბლა, ტბებზეა ჩამო-წოლილი; მუქი ტყვიისფერი ტბა უძრავად დგას მტრედისფერ ქედებს შუა. რო-ცა ამ მოღრუბლულ ცას შეეყურებ, ყოველთვის გული მისი ბურუსისაკენ, ან სადმე ცარიელი სასტუმროსაკენ მიმიწევს ღამის გასათევად... ნახევარ სიცოცხ-ლეს მივცემდი, რომ თქვენ აქ ჩემთან იყოთ.

ქალაქიდან დილით გემით გამოვემგზავრეთ, ხოლო შუადღის შემდეგ უკვე მთებში მივდიოდით! რა მოსაწყენი იყო ეს გზა! მეჩხერი ტყე შეფენილიყო ხრამებსა და ფერდობებზე, თვლემდნენ და ძუნწად ცვივოდნენ პატარა ყვითელი ფოთლები. ზოგჯერ ხეებიდან გამოიყურებოდნენ დიდი წითელი ძროხები შეშინებული და უაზრო თვლებით. ხანაც ბუჩქებიდან გაისმოდა შეკრებილი მწყემსი ბიჭების ჩიტისებური სტვენა. ღრმა სიჩუმეში ჩვენ სულ ზევით და ზევით მივა-ბიჯებდით. ფიჭვის ტყეებით დაფარული მოლურჯო, მოლუშულად მზიარალი მთებიდან, კბოდებოდან ლეგა ნისლივით ეშვებოდა ზამთარი. ამოსასუნთქად შეჩერებული, მე დიდხანს გავყურებდი შორს, ქვევით ხეებს შორის მოციგლივე ველს. მაშინ ყოველი ფოთლის ჩამოვარდნის ხმა მესმოდა. სველი ბუჩქები ტი-როდნენ წყნარად, წყნარად...

რომელიღაც გვირაბის ახლოს, რომლის ხერელიც ბურუსში შავად მოჩანდა. წავაწყდით სოფელს ფერდობზე გაშენებული ხუთი-ექვსი ჩაძინებული ქოხით. მხოლოდ აუჩქარებლად შეიძლებოდა ტალახიანი და მოლიპული, მძიმე აღმარ-თის დაძლევა. მალე სოფლისაგან დაბლა მხოლოდ შავი წერტილი დარჩა, მთები-დან კი შემოდგომის თოვლის სინესტე ეფინებოდა. აქ ის შეჩერდა და წინადადე-ბა მომცა უკან დავბრუნებულიყავით. მე ჯიბრზე უარი ვუთხარი.

— არა, გონებამახვილურია! — მითხრა და მცირე ფიქრის შემდეგ კვლავ გზა განაგრძო.

ნისლი სულ სქელდებოდა და ამის გამო ბნელდებოდა, ჩვენ კი მის შესახვე-დრად წინ მივიწვევდით. თანდათან ქრებოდა გვირაბის შავი, გამურული, მოხმა-ურე ხერელი, გავიარეთ ნისლჩამოწოლილ უძირო ხეობაზე დაკიდული, თითქ-მის შვეული ხიდი. როცა ჩემი არასასურველი თანამგზავრი ჩამომრჩებოდა, მყისვე უჩინარდებოდა ნისლში, ხოლო როცა ერთმანეთს გადაეძახებდით, ჩვენი ხმა ყრუ და ამაზრზენი იყო.

ერთხელ დამიძახა, — იგი ყოველთვის ჩემს უკან მოდიოდა, — მე შეე-ჩერდი, ჩემთან მოვიდა და ხელი გამომიწოდა.

— იყავი ალერ სიანი, — მითხრა გაუბედავად, — გადამიწიე სახელოები და მაისური გამომიწიე.

შემეცოდა. იგი ამას მიხვდა, თვალები დახარა და დაუმატა:

— ამის შემდეგ სხვაგან წავიდეთ სადმე, სადაც თბილა, და ორივემ რაიმე საქმეს მოვკიდოთ ხელი, თორემ ასე ყოფნა მეტად მძიმეა. ეს ჯოჯოხეთია და არა საქორწინო მოგზაურობა.

— ჩვენ უნდა გავიყაროთ. — ვუპასუხე ამაზე.

იგი გაჩუმდა, წარბები ააშოძრავა და წაიღუდუნა:

— ეს ძნელია.

— მაშინ ამ სიძნელეს მე გკისრულობ, — ვუთხარი მე. — შენ არ შეგიძლია შენი ბრმა სიყვარულის მსხვერპლად მაქციო.

— მე ყველაფერი შემიძლია, — მითხრა და პირდაპირ შემომხვდა, — მე არაფერი მაქვს დასაკარგი.

შევბრუნდი და გზა განვაგრძე. სველი თოვლით დაფარული ლიანდაგებო



ეშვებოდნენ ზევიდან, აქედან ხრამების გასწვრივ მიემართებოდნენ ფიჭვები და ნაძვები, ბინდსა და ნისლში უფრო ადვილად მათი შეგრძნება შეიძლებოდა, ვიდრე მათი იისფერი ლაქების გარჩევა. ამასთან ერთად მოღუშულ მთებში ზეციური სამეფოს ისეთი მძიმე სიჩუმე იდგა, რომელიც სიცოცხლის ნიშანწყალსაც კი გამოირიცხავს. უეცრად ბებერი ნაძვიდან, რომელიც გზისპირას იდგა, ფრთხილი მოისმა. გასხოვთ ბუ? იგი სწორედ აქ გამახსენდა და ამის შემდეგ გადაწყვიტე აუცილებლად მომეწერა თქვენთვის. იგი, რასაკვირველია ბუ არ იყო, ნიბლია იყო, მგონი ყველაზე პატარა ფრინველთა შორის. სველი ნაძვის ტოტიდან შეიფრთხილა ნაცარამ და წყნარად გადაფრინდა ხრამზე მარცხნივ, ნისლში...

წარმოიდგენთ იმ საღამოს? წიწვიანი ტყის ბურუსიანი ფერდობები, გზის გასწვრივ სველი, დათოვლილი, ჩანისლული უფსკრულები, სადაც მუქი ჯანლია ჩამოწოლილი. ნიბლია კი მშვიდადაა. მას არ აშინებს მთის ზამთრის ღამე, იგი ამ ღამეს იქ გაატარებს, სადაც მოესურვება — ვიღაცის მტკიცე მფარველობის ქვეშ. აი, მე კი არა მაქვს ასეთი მფარველობის იმედი.

ახლა დასაძინებლად დავეწვები ამ გაყინულ ნომერში, სადაც ფიჭვის სუნე დგას, და როცა შუქს ჩაეაქრობ, ვიფიქრებ იმაზე, რომ ვიმყოფები ღრუბლებთან, სიკვდილის ნამდვილ სამეფოში. იგი გვერდით ნომერში წევს და ყრულ ახველებს. ეს კაცი კი არა, რაღაც სამგლოვიარო ბალდახინია. მთელი არსებით მეზიზღება იგი!

თუ ერთმანეთს შევხვდებით, და თუ მეც თავისუფალი ვიქნები, სიხარული-საგან ხელებს დაგიკოცნი — მაშინ რაც გინდათ ის მიყავით. არა — მაშინ რაც მოხდება, მოხდეს...“

III

მაგრამ ამ წერილმა ჩემამდე, ღმერთმა უწყის, როდის მოაღწია. მოსკოვიდან იგი სოფელში გადაეგზავნათ. ის იქ თითქმის სამი თვე გდებულა, შემდეგ სამხრეთი მოუვლია და უკვე მარტის დასაწყისი იყო, როცა ყირიმიდან გამგზავრების წინ მივიღე.

წერილმა საშინლად ამაღელვა და ამაფორიაქა.

მაგრამ პასუხად რა მივწერო, რა ვქნა? დიდხანს ვფიქრობდი ამაზე და ღმერთო შემინდე, მხოლოდ ესლა მოვიფიქრე:

„ამ მთებს გადავალ ცხენით“.

ყირიმის მთებზეც ბურუსი იყო ჩამოწოლილი.

მაგრამ გაზაფხული იყო და მეც ოცდარვა წლისა ვიყავი...

ლაია-ლიუზე, უღელტეხილის ქუჩყიან სამიკიტნოში, სანამ მარხილში ცხენებს შეაბამდნენ, მკავე, წითელი ღვინო დავლიე. სამიკიტნოს სარკმელთან ქარის მიერ მოტანილ ნისლში ჩაძირულიყო ყველაფერი... წერილი ამოვიღე და კიდევ გადავიკითხე — გული ამითრთოლდა.

„ოხ, საყვარელო, მშვენიერო! მაგრამ, რა ვქნა? რა ვქნა?“

სამიკიტნოში ვეღარ გავჩერდი. ჰაერზე გამოვედი... ბურუსი ფერმკრთალებოდა, ილეოდა. ბურუსიან მწვერვალზე გამოაშუქა; დათბა. ცაში, ღრუბლების ბოლოში რაღაც სასიხარულო, ნაზი გამოჩნდა... იგი იზრდებოდა, ფართოვდებოდა და უეცრად გააბრწყინა ლაყვარდი...

საჰიროა დაუყოვნებლივ მივწერო!

მაგრამ სად, ან რა მივწერო?



ჩემს ირგვლივ შემორტყმულ უკაცურ მთიანეთში კაშკაშებდა მსუბუქი, ლაქვარდოვანი გუმბათი. კიდევ დიდხანს ასდიოდა ბოლი უფსკრულზე გადმოკიდებულ ქონგურებიან ფრიალო კლდეებს, სანამ ბოლოს არ ამობრწყინდა მზეც. მაშინ კი ნისლის კვალიც აღარ დარჩა. მთებზე ცა გადაიშალა მთელი თავისი უსასრულობით. შორს, გამჭვირვალე ეთერში ამწვანდა ცარიელი ზეგანი. ჩრდილოეთიდან ქარი უბერავდა, მაგრამ იგი სუსტი და საამური იყო. ამ ქარით გაბრუებულმა ხევისაყენ გავწიე, რომ ერთხელ კიდევ დამეხედა ზღვისთვის.

ფერადოვანი შარავანდედით მოსილი გოლიათური ჩრდილი გადაეშვა ხრამის ძირში ჩაწოლილ ნისლში. ჩემს თვალწინ უსასრულო, გადაჩიჩქნილი დაბლობის, შედედებული ღრუბლების, თეთრი ფხვიერი გორაკების მთელი სამყარო გადაიშალა. უძირო ფლატეებისა და კლდეების ნაცვლად, ზღვისპირისა და უბის ნაცვლად ჩემს წინ ჰორიზონტის დასალიერამდე ზღვის თავზე თვალუწვდენ ფენებად ვადაშლილიყო ეს დაბლობი. მთელი ჩემი სულიერი ძალა, მთელი მწუხარება და სიხარული, მწუხარება მასზე, იმ სხვაზე, რომელიც მე უწინ მიყვარდა, გაზაფხულის უზომო სიხარული, ახალგაზრდობა — ყველაფერი გაქრა იქ. საჩხრეთით ჰორიზონტზე, სადაც გრძელ, ნათელ, ლურჯ ზოლად მოჩანდა ზღვა...

ხანგრძლივ გზაზე ზანზალაკების ერთფეროვანი ჰანგი ლაპარაკობდა იმაზე, რომ წარსული გადასულია, რომ წინ ახალი ცხოვრებაა. ძველი საგზაო ეტლი, ძველი საფოსტო ტროიკა, მაღალ კოფოზე შეკრული ჩემოდნებით შემომჯდარი დიდყურა თათარი მეეტლე, ზანზალაკების გაუთავებელი ყდარუნის ქვეშ ჩლიქების შეწყობილი ბაკიბუკი, გზატკეცილის გაუთავებელი ზოლი... ხშირად თავს მივაბრუნებდი და შევეყურებდი ნაცრისფერი კლდეების ქონგურებს, რომლებიც მოწმენდილი ცის სილურჯეში გამოკვეთილიყო... ხოლო ტროიკა თქარა-თქურითა და ექვნების გაბმული ყდარუნით სულ ქვევითა და ქვევით ეშვებოდა ტყიან, თვალწარმატც ხეობაში, სულ უფრო შორდებოდა ცაში ამოზიდულ გადასასვლელებს.

აქ, ამ წყნარ მთის ველებზე, იდგა გაზაფხულის პირველი დღეების ნამდვილი სიჩუმე, მკრთალი ლაქვარდის, მოტიტვლებული შავი ხეების, ბუჩქებში ჩაცვენილი შარშანდედი ყავისფერი ფოთლების, პირველი იებისა და გარეული ტიტას სილამაზე.

აქ მხოლოდ ახლა იწყებდნენ ამწვანებას მთის ფერდობები, რომლებიც თავისუფლდებოდნენ თოვლისა და სუსხისაგან. აქ ისე ბროლივით წმინდა და გრილი იყო ჰაერი, როგორც ეს ადრეულ გაზაფხულზე იცის...

და მაშინ მეგონა, რომ ამ ცხოვრებაში გაზაფხულსა და ბედნიერებაზე ფიქრის გარდა არაფერია საჭირო.

მარტის ბოლოს კი უკვე ჩრდილოეთში, სოფელში მყოფმა მოულოდნელად მოსკოვის ფოსტით ყენევიდან ასეთი დეპეშა მივიღე:

„ვისრულებ განსვენებულის სურვილს და გაცნობებთ, რომ იგი გარდაიცვალა მარტის 17-ს. გრაფი ელ-მამუნა“.

თარგმნა თამარ სვინტიძემ





გაგრაჲ შინაჲბა

ღმესმინ

მთებისკენ მიდის თოვლი და წვიმა  
და ზამთრის სუსხი მთებისკენ მიაქვს;  
მზემ ქვეყნად უფრო დაიწყო ბრწყინვა  
და სითბოც მეტი შემატა ნიაეს.

მერცხალი ასე რატომ იჩქარის  
ენაპიკვიკა ლაღი ფრინველი,  
მე გაზაფხულის გაეხსენ კიშკარი,  
მახარობელი მე ვარ პირველი!

ალუჩა ბაღში ხარობს და ჰყვავის ---  
წუხელი თოვლმა დაფარა იქნებ?  
ეზოში სიო უთვალავ ყვავილს  
დაატრიალებს, ვით თოვლის ფიფქებს.

გაზაფხულს ქვეყნად პირველი შევხვდი,  
ახლა მდელოსკენ მივეჩქარებდი,  
მინდა გავავლო ენძელას გვერდით  
ჩემი სახნისით ლექსის პწკარები!

ვლები ბრუნდება იმედიანი  
და მოსავალი შინისკენ მიაქვს,  
ისმის გაბმული ურმის კრიალი  
და ძარში ოქროდ სიმინდი ყრია.

სკოლიდან ჩანთით ბრუნდება ბავშვი  
და დღეს შესწავლილს მოაფრენს  
პწკარებს,  
საღდაც, ხევებში, ბინდი ფრთას გაშლის  
და ჩვენს სოფელშიც შემოვა მალე.

მწყემსს კი ნახირი სოფელში მოჰყავს  
და ნახირს მოაქვს ბალახის სუნი,  
მძიმე ნაბიჯით შემოდის ძროხა  
რძით დატენილი ვეება ცურით.

შენ, ჩემო ლექსო, მე მინდა გკითხო,  
დღეს ხომ პირველად დაეხანით ყანა,  
ნეტავი როდის დადგება ის დრო,  
როცა მოვიმვით ორივე ამავს?!

ზაფხული. დილა. მამლის ყვივლი,  
გარინდულ ხეებს არხვეს ნიავი.  
ატყდა ჩიტების ქვიღ-ხივილი  
და მკრთალი მთვარე გაჭრა მთლიანად.

და აი, ბაღში დილა ადრიან  
მებაღე დადის შეუშფოთველი,  
ვით წვიმის წვეთებს თავზე აყრიან  
ცვარ-ნამს მებაღეს მწვანე ფოთლები.

სიუხვე გაჩნდა უცხო ფერების,  
ბუნება გახდა გასაოცარი ---  
ვერ დახატავდა ოქროს ხელებით  
ტილოზე ფერთა დიდი მგოსანიც.

რებაღე ტოტებს ხელით გადასწევს,  
ალერსიანად ხეხილს ჩაუელის,  
მზეც ბაღში წითლად ჩამოანათებს,  
რომ გახსნას ფერთა დღესასწაული.

და ხარობს, ხარობს დედაბუნება  
მზემ რომ გახადა ალერსიანი.

მასზე ლამაზი არ მეგულება,  
ვიდრე ამ ქვეყნად ადამიანი.

ზეცის ლაქვარღში დარცხვენელ  
მთვარეს  
ჩვენ შევცქეროდით სულგანაბულა  
და აღვიძებდა შავი ზღვის ღამეს  
ოდნავ მსუბუქი ტალღის შხაპუნი.

მე შენ გისმენდი, ფიქრად ქცეულა,  
და შენ ამბობდი: — ჩემი იქნები, —  
გსურდა ჩემს ირგვლივ შემოსეული  
მიმოგეფანტა ჩემი ფიქრები.

ღამემ ფიქრები გაიზიარა  
და ოცნებათა ნავი დავძარი,  
ჩემს გულში ენთო ცეცხლი ბრიალა,  
ჩემს გულში ენთო ლექსის ხანძარი.

მე გისრულებდი სურვილს ალერსით  
თუმც ჩემი ფიქრი ველარ დასძარი,  
რადგან ფიქრიან შენს ღრმა თვალებში  
თვით პოეზიის ენთო ხანძარი.

აფხაზურიდან თარგმნა რევაზ მარგიანმა






უხანგი ბერი

საქართველოა

ჰქვია სიმღერა,  
პოეზია,  
მუსიკა ჰქვია.  
იგი ჩემშია,  
შენშიც არის მისი მარტილი;  
მისი გული და...  
მისი მიწა —  
მზით განბანილი.  
საქართველოა  
ეს დიდი გზა,  
ცა და ამინდი.






## პიორკი პიპაერი

### მწვანე კონცხიდან ციხის ძირამდე

მწვანე კონცხიდან ციხის ძირამდე  
გზას სიყვარულის შუქი შინათებს.  
მზე ღიმილივით ეფრქვევა გორებს,  
ღიმილი შვენის ველებს მწვანეიანს,  
ბუნება მხიბლავს, ვჩერდები, თორემ  
გზა გასაფრენად ერთი წამია.  
მივალ, ლერწამი მომყვება გვერდით  
და ხშირად ვიჭერ მზერას ქალისას,  
ვარ თეთრი არყის ფოთოლი ერთი,  
გადმოგდებული მთიდან ქარისა...  
მწვანე კონცხიდან ციხის ძირამდე  
ვუმღერი ყველა ზღვას და მდინარეს,  
ლექსი მაქვს ცეცხლით საესე პირამდე,  
გულს ლექსში ჩავწვავ და არ ვინანებ.  
უუმღერი ველთა ხვავს და ბარაქს,  
ნარინჯებს — მიწის მწვანე სახურავს,  
გულმა ბაღნარში დაიბანაკა,  
ზეთა ალერსი დაიმსახურა.  
მწვანე კონცხიდან ციხის ძირამდე  
ჩავეკონები მამულს მუდარით,  
რომ მიმათვალოს თავის ბინადრებს,  
გახდეს ხევსურის ნავთსაყუდარიც.  
და აამაღლოს ჩემი სიმღერა,  
შიგ სიყვარულის ზღვა რომ მიღელავს.

### გემზე

გემზე ვართ, ნელა ირწევა გემი,  
მზე წყალში ფეხის ჩადგმას აპირებს,  
მხარზე ბავშვივით დაჰადე ხელი,  
ოცნების ზღვაში გამინაპირე.  
რომ არ გიყვარდე, რა მეშველება,  
ზღვაზე დახრილო დილის ცისკარო,  
ზეცის მშვენებავ,  
მიწის მშვენებავ,  
შენზე სიმღერა როგორ ვიკმარო...  
ტალღებს ნათელი გადააფინე,  
თორემ მოგვიხტა ღამე მთებიდან,  
მზე წყალში თავის მოკვლას აპირებს,  
გადაარჩინე შენი თმებიტა.





26876 მიქაი

# სამუშაოების სივრცე

## მორა მოქმედება

ისმის მუსიკა, ცოცხალი და ხალისიანი. მუსიკა მიწყდება თუ არა, იხსნება ფარდა. ვილი უპიჯაკოდ ზის სამზარეულოს მაგიდასთან და სვენებ-სვენებით სევამ ყავას. მუხლებზე შლიაა უღვეს. ლინდა როცა კი ახერხებს, ფინჯანში ყავას უმატებს.

ვილი — რა მშენიერი ყავაა!

ლინდა — გინდა ერბოკვერცხი შეგიწვა?

ვილი — არა, იჯექი, ცოტა სული მოითქვი.

ლინდა — იცი, როგორი დასვენებული სახე გაქვს, ძვირფასო!

ვილი — მკვდარვით მეძინა... წარმოგიდგენია, სამშაბათ დღეს დილის ათ საათამდე მეძინოს? ბიჭები აღრე წავიდნენ?

ლინდა — დილიხანია, რვა საათზე.

ვილი — ყაჩაღ!

ლინდა — დანახვა გეამებოდა, ერთად რომ მიდიოდნენ! მთელ სახლში პირის სავარსი საპნის სუნი დგას!

ვილი — (ელიმება). მ... მ... მ...

ლინდა — მიფს ვერ იცნობდი, ისეთი ბედნიერი სახე ჰქონდა! ერთი სული აქვს ოლივერის ნახვამდე.

ვილი — უფიქროდ გამოიცილება. ზოგმა გვიან იცის ჰქუაში ჩავარდა. რა ჩაიცვა?

ლინდა — ლურჯი კოსტუმში. ძალზე უხდება: იმ კოსტუმში პირდაპირ არაჩვეულებრივი!

ვილი დგება, ლინდა პიჯაკს აწვდის.

ვილი — მართლა? ამ საღამოს შინ დაბრუნებისას თესლებს ვიყიდი.

ლინდა — (იციინის). რა კარგი იქნება! მაგრამ მზე რომ აქამდე ვერ აღწევს, განა გიხარებს რამე?

ვილი — მოიცა, ჩემო პატარავ, მოგესწრებით, სოფლად მ-წის პატარა ნაგლეჯს ვიყიდ, ბოსტნეულს დაეთესავ, კრუხს დავსვამ...

ლინდა — კი, ჩემო ძვირფასო.

ვილი — (პიჯაკის ჩაცმის თავს მიანებებს, ლინდას შეატოვებს და მიდის, ლინდა უკან მიჰყევება). ბიჭები დაოჯახდებიან, უქმეებზე ჩვენთან ჩამოვლენ. სტუმრებისათვის პატარა ფლიველს მივაშენებ ამ სახლს. რამდენი კარგი ხელსაწყო მაქვს. ცოტაოდენი ფიცრებია და სულიერი სიმშვიდის მეტი არაფერი მინდა.

ლინდა — (მხიარულად) მიჯაკზე სარჩული მიგიკერე...

ვილი — ორ ფლიველს მივაშენებ, რომ ორივეს ერთად შევქონო ჩამოსვლა. გადაწყვიტა პიჯაკი, რამდენი უნდა საზოგადოებრივი ოლივერის?

ლინდა — (უსწორებს პიჯაკს). არაფერი უთქვამს, მაგრამ ალბათ ათ ან თხუთმეტ ათასს გამოართმევს. მოელაპარაკები დღეს პოვარდს?

ვილი — უთუოდ. პირდაპირ დავუხსევამ საკითხს, მეყოფა ამდენი წანწალი.

\* დასასრული. იხ. „ცისკარი“, № 3.

ლინდა — თანაც არ დაგვიწყდეს, ვილი, ცოტა ფული სთხოვე ავანსად. დიზღვევის გადასახადს გვაქვს შესტანი, შეღავათის ვადა საცაა გავა.

ვილი — ესე იგი ასი...

ლინდა — ასრვა დოლარი და სამოცდარვა ცენტი. ისეც დაგველო პატარა ვალი...

ვილი — რა ვალი?

ლინდა — მანქანა რომ შეაკეთებინე...

ვილი — ღმერთმა დასწყველოს ეგ „სტუდენტები“!

ლინდა — და სახლის გირაენობისა და მაციერის უკანასკნელი გადასახადი...

ვილი — კი, მაგრამ მაცივარი ხომ ისეც ვაფუქდა!

ლინდა — დაძველდა უკვე, ძვირფასო!

ვილი — ხომ გუუბნებოდი, უფრო ცნობილი მარკისა ვიყიდოთ-მეთქი, ოცი წელია ჩარღმ გენერალ ელექტრიკი იყიდა, და ის ოხერი კვლავ მშვენიერად მუშაობს.

ლინდა — ეგ, კი, ვილი, მაგრამ...

ვილი — სად გავივია პასტინგის მაცივარი? ჯერ უკანასკნელი გადასახადიც არ მაქვს შეტანილი და უკვე გადასაგდება!

ლინდა — (უკრავს ღილებს პიჯაკზე, ვილი კი იხსნის). ერთი სიტყვით, ორასიოდე დოლარი გვიშველის. ამ გადასახადს რომ მოვიშორებთ, სახლი უკვე ჩვენი იქნება, ვილი.

ვილი — მთელი ოცდახუთი წელიწადი!

ლინდა — ბიფი ცხრა წლისა გვეყვება, ეს სახლი რომ ვიყიდეთ.

ვილი — აბა, ეს დიდი ამბავია! ოცდახუთი წელიწადში გირაოს გადახდა... რამდენი ცემენტი, ხე და შრომა მოვანდომე ამ სახლს! ახლა ერთ პატარა ბზარსაც ვერ უშვავ!

ლინდა — დიდი სამსახური გავკვიწა.

ვილი — სამსახური გავკვიწა? ერთ მშვენიერ დღეს მოვა ვინმე უცხო და დიწყებს აქ ცხოვრებას — მერტ რა... აი, ბიფს რომ აეღო ეს სახლი და ოჯახს მოჰკიდებოდა... (დგება წასასვლელად). ნახვამდის, მაგვიანდება...

ლინდა — (უცბად გაახსენდა). ოჰ, კინაღამ სულ დამაბრუნდა ქალაქში ბიჭებს უნდა შეხვდეთ ერთად უნდა ასადილოთ!

ვილი — მე?

ლინდა — ფრენკის სასტუმროში, ოთხმოცდამერვე ქუჩაზე, შეექვსე ავნიუს ახლოს.

ვილი — მართლა? შენც?

ლინდა — არა, მხოლოდ თქვენ სამნი. ბიჭებმა თქვეს, მამას კარგად უნდა გავუმასპინძლოდეთო!

ვილი — რას მეუბნები! ეგ რომელმა მოიფიქრა?

ლინდა — ამ დღეს ბიფი მოდის ჩემთან და მეუბნება, უთხარი მამას, რომ დღეს კარგად გავუმასპინძლებითო! ექვს საათზე იქ იყავი, შენს ბიჭებთან ერთად ისადილებ!

ვილი — შესანიშნავია! აი ეს მესმის! ნახე, ჰოვარდს რა დღეს დაგვყრი, პატარავ. ავანსაც გავმოვართმევ და ნიუ-იორკშიც გადმოვავყვანიებ თავს! ახლა კი გავიტან ჩემსას, დალახვროს ეშმაკმა.

ლინდა — აი, ასე უნდა, ვილი!

ვილი — მანქანის საკვებს ჩემს დღეში აღარ მივუჯდება!

ლინდა — გული მიგრძნობს, ვილი, გული მეუბნება, საქმე კარგად წავაო!

ვილი — აუცილებლად, ნახვამდის, ვაგვიანებ! (კვლავ გასვლას ამირებს).

ლინდა — (სამზარეულოს მაგიდისკენ მირბის ცხვირსახოცის ასაღებად). სათუთლე მიგაქვს!

ვილი — (ჯიბეში მოიხიზჯავს, შემდეგ ბრუნდება). კი, მიმაქვს.

ლინდა — (აძლევს ცხვირსახოცს). ესეც ცხვირსახოცი.

ვილი — ჰო, ცხვირსახოცი.

ლინდა — შენი სახარნიოც თან გაქვს?

ვილი — ჰო, სახარნიოც.

ლინდა — მერტროს კიბეებზე ფრთხილად ჩადი.

(ლინდა ჰკოცნის ვილის. ხელზე აბრეშუმის წინდა აქვს გადაკიდებული. ვილი შეაჩნევს).

ვილი — წინდების კემსვას არ უნდა მორჩე? ბოლოსდაბოლოს, მაშინ მაინც დაანებე თავი, როცა შინ ვარ. ნერვებს მიშლის... მიზეზს ნუ მკითხავ.

(ლინდა მუტუაში მაღაჯს წინდას და ვილის ავანსცენაზე მიაცილებს).

ლინდა — არა დაივიწყო — ფრენკის რესტორანში.

ვილი — (პროსცენიუმს გაივლის). იქნებ აქ ჰარხალმა გაიხაროს?

ლინდა — (იციინის). უკვე რამდენჯერ სცადე...



**აბრეშურ მიწები**

- ვილი** — მართლაც. იცოდე, ბევრი არ იმუშაო. (მიიმალება სახლის მარჯვენა კუთხის იქით).
- ლინდა** — ფრთხილად იყავი!
- ლინდა ხელს უქნევს მიმავალ ვილის. უეცრად აწკრივდება ტელეფონი. ლინდა სცენას გადაირბენს, შედის სამზარეულოში და იღებს ყურმილს.
- ლინდა** — ალო! ო, ბიჭო როგორ მიხარია, რომ დარეკე! სწორედ ამ წუთში... კი, როგორ არა, სწორედ ახლა ვუთხარი. კი, ექვსი საათისთვის იქ იქნება, არ დამეწყებია... ყური დამიგდე, სული მეღუევა, სანამ გეტყვი. გახსოვს, გუშინ რეზინის მილზე რომ გეუბნებოდი? მამამ გაზის სანთურას რომ შეუერთა? ბოლოსდაბოლოს დღეს გადაწყვიტე ჩავსულიყავი სარდაფში, ამომეტანა იქიდან და გადამეგდო. მაგრამ, იცი, მილი იქ აღარ დამხვდა! წარმოგიდგენია? მამაშენს თვითონ ამოუღია, იქ აღარ დევს! (უსმენს). როდის? ჰო, მამა შენ ამოაღე? არა, მეგონა... იქნებ თითონ ამოიღო-მეთქი! არა, სულაც არ ვუწხვარ, ყვირტასო. იმიტომ რომ ამ დილას ისეთ კარგ გუნებაზე წავიდა, როგორც წინათ! ახლა უკვე აღარ მეშინია! ნახე უკვე მისტერ ოლივერი? კარგი, მამ მოუცადე. ეცადე კარგი შთაბეჭდილება მოახდინო, ჩემო საყვარელო. ნუ იღვლებ. ვისურვებთ კარგი ღრო გაატაროთ მამასთან ერთად. ისიც ალბათ კარგ ამბებს მოიტანს! ალერსიანად მოექეციო, გენაცვალე, სიყვარულით. მამაშენი ერთი პატარა ხომალდია, რომელიც მშვიდ წავსადგურს ეძებს. (სიხარულისა და მწუხარებისგან თრთის). ოჰ, ბიჭო, მამაშენს ნამდვილად სიკვდილს გადაარჩენ. გმადლობო, ძვირფასო. მამას მოეხვიე, როცა რესტორანში შემოვა, გაუღიმიე. ჰო, ჩემო ბიჭო... ნახვამდის ძვირფასო... საუარტებელი ხომ თან გაქვს? კარგი, ნახვამდის, ბიჭო, გენაცვალე.
- სანამ ლინდა ლაპარაკობს, ჰოვარდ ვაგნერი, დაახლოებით ოცდათექვსმეტი წლის კაცი, შემოაგორებს საწერი მანქანის დასადგმელ მაგიდას, რომელზეც ახლა მაგნიტოფონი დგას. ვაგნერი აერთებს მაგნიტოფონს. ეს ხდება ავანსცენაზე, მარცხნივ. ლინდასაკენ მიმართული სინათლე თანდათან მქრქალდება, იგი ახლა ჰოვარდს ანათებს. ჰოვარდი მაგნიტოფონის გამართვით ისეა გართული, რომ შემოსულ ვილის ყურადღებას არ აქცევს.
- ვილი** — ჰსტ, ჰსტ!
- ჰოვარდი** — გამარჯობა, ვილი. შემოდით.
- ვილი** — თქვენთან ცოტა სალაპარაკო მაქვს, ჰოვარდ.
- ჰოვარდი** — მამატივით, რომ გაცდევინებთ. სულ ერთი წუთი...
- ვილი** — ეს რა არის, ჰოვარდ?
- ჰოვარდი** — ნუ თუ არ გინახავთ? მაგნიტოფონია.
- ვილი** — შეიძლება, ცოტახანს ვილაპარაკოთ?
- ჰოვარდი** — ყველაფერს იწერს. გუშინ მომიტანეს. კინალამ გადამრია, ამასთან ვერაფერი მოვა. მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს.
- ვილი** — რად გინდათ?
- ჰოვარდი** — იმისთვის ვიყიდე, რომ ჩემი განკარგულებები ჩაიწეროს, მაგრამ ეს მანქანა ყველაფრისთვის გამოდგება. უსმინეთ! წუხელ სახლში მქონდა. ყური დაუგდეთ, რა ჩავიწერე. პირველი ჩემი გოგონაა. აი (მოაბრუნებს სახელურს და ისმის სტვენა. ბევრში უსტვენის სიმღერას — „კასრებს ვაგორებდით“). გესმით, როგორ უსტვენს ჩემი გოგონა.
- ვილი** — თითქმის ისეა, როგორც ცხოვრებაში.
- ჰოვარდი** — სულ შვიდი წლისია. გესმით, რა ტონია!
- ვილი** — აბა, აბა! პატარა სათხოვარი მაქვს თქვენთან. (სტვენა წყდება, ისმის პატარა გოგონას ხმა).
- ჰოვარდის გოგონა** — „ახლა შენ, მამა“.
- ჰოვარდი** — პირდაპირ გიყდება ჩემთვის! (კვლავ უსტვენენ იმ სიმღერას). ეს მე ვარ! მამა! (თვალი ჩაუკრია).
- ვილი** — მშენიერია!
- სტვენა კვლავ წყდება. ცოტა ხანს მაგნიტოფონი უხმოდ მუშაობს.
- ჰოვარდი** — აბა, ახლა ამას მოუხსინეთ — ჩემი ვეია!
- ჰოვარდის ვაჟი** — „ალბამას დედაქალაქია მონტგომერი, არიზონას დედაქალაქია ფენიქსი, არკანზასის დედაქალაქია ლიტლროკი, კალიფორნიის დედაქალაქია საკრამენტო...“
- ჰოვარდი** — (ხუთ თითს უჩვენებს). სულ ხუთი წლისია, ვილი!
- ვილი** — ნახეთ, თუ დიქტორი არ გამოვიდეს!
- ჰოვარდის ვაჟი** — (განაგრძობს). „ოჰაიოს დედაქალაქია...“
- ჰოვარდი** — ხომ შეამჩნიეთ — ანბანური თანამიმდევრობით ამბობს!

ვილი — ეს მართლაც...

ჰოვარდი — შშშ, ლეთის გულისათვის!

ჰოვარდის ვაჟი — ახლა ბულოვას საათის მიხედვით ცხრაა. ამიტომაც მე უნდა დავიძინო.

ვილი — ეს მართლაც...

ჰოვარდი — ერთი წუთი მომიტმინეთ! შემდეგ ჩემი ცოლია! იცლიან.

ჰოვარდის ხმა — „აბა, თქვი რამე“. (პაუზა). „იტყვი თუ არა?“

ჰოვარდის ცოლის ხმა — „ვერაფერი მომიტყობენია“.

ჰოვარდის ხმა — „თქვი რამე, — მანქანა მუშაობს“.

ჰოვარდის ცოლის ხმა — (მოკრძალებით, ძლივს). „ალო!“ (ღუმელი). „ოჰ, ჰოვარდ; არ შემიძლია ამაში ლაპარაკი“.

ჰოვარდი — (მკვეთრად გამორთავს მაგნიტოფონს). ეს ჩემი ცოლი იყო.

ვილი — შესანიშნავი მანქანაა. შეიძლება ჩვენ...

ჰოვარდი — ხომ გეუბნებით, ვილი, ახლა გადაყარი ჩემს ფოტოაპარატსაც, ჩემს ზეწევა ხერხსაც — სულ ყველაფერს! ამას ვერაფერი შეედრება!

ვილი — მეც ვიყიდი.

ჰოვარდი — უთუოდ. სულ ასორმოცდაათი დოლარი დაჯდება. უამისობა ძნელია. ვთქვით, გინდათ მოუსმინოთ ჯექ ბენის, გესმით? მაგრამ როცა გადმოსცემენ, შინ არ ხარო. წინასწარ ეტყვიან მოსამსახურეს ჩართოს რადიო, მაგნიტოფონი ყველაფერს ავტომატურად ჩაიწერს...

ვილი — და როდესაც სახლში დაბრუნდები...

ჰოვარდი — ...რა დროც არ უნდა იყოს, მოიდგამ გვერდით კოკა-კოლას ბოთლს, დაჯდება, ჩართავ მაგნიტოფონს და ისმენ ჯექ ბენის მთელ პროგრამას!

ვილი — აუცილებლად მეც ვიყიდი. თითქმის სულ გზაზე ვარ და ვინ იცის, რამდენი საინტერესო გადაცემა მრჩება მოუსმენელი.

ჰოვარდი — ნუთუ მანქანაში რადიო არ გაქვთ?

ვილი — მაქვს, როგორც არა, მაგრამ ვის მოუვა აზრად მისი ჩართვა?

ჰოვარდი — ერთი მითხარით, განა თქვენ დღეს ბოსტონში არ უნდა ყოფილიყავით?

ვილი — აი, სწორედ მაგაზე მინდა თქვენთან მოლაპარაკება, ჰოვარდ. მომიხმინეთ ერთ წუთს! (კულისებიდან მოაჭვეს სკამი).

ჰოვარდი — რა მოხდა? აქ რატომ ხართ?

ვილი — იცით...

ჰოვარდი — მანქანა კიდევ ხომ არაფერს დააჯახეთ?

ვილი — ოჰ, არა, არა...

ჰოვარდი — ღმერთო, მე კი როგორ შემეშინდა! მაშ რა მოხდა?

ვილი — კარგი, ჰოვარდ, სიმართლეს გეტყვით. მე იმ დასკვნამდე მივიღე, რომ აქეთ-იქით ვეღარ ვიმგზავრებ.

ჰოვარდი — ველარ იმგზავრებთ? მაშ რას ვააკეთებთ?

ვილი — გახსოვთ, ჰოვარდ, შობა დღეს აქ რომ შეეკრიბეთ? მაშინ თქვენ მითხარით, რომ ცეცხლით გამომიძებნოთ რაიმე სამსახური აქ, ქალაქში.

ჰოვარდი — ჩვენთან?

ვილი — რა თქმა უნდა!

ჰოვარდი — კი, კი, გამახსენდა. მაგრამ ვერაფერი გამოვიძებნეთ, ვილი.

ვილი — მისმინეთ, ჰოვარდ, ჩემი ბიჭები გაიზარდნენ, მე ბევრი აღარ მინდა. თუ სახლში კვირაში, ვთქვით, სამოც დოლარს მივითან, როგორმე გვეყოფა.

ჰოვარდი — კი, ვილი, მაგრამ იცით...

ვილი — გამიგეთ, ჰოვარდ. ჩვენს შორის დარჩეს, გულწრფელად ვამბობ, ცოტა დავილაღე.

ჰოვარდ — ოჰ, ეგ მესმის, ვილი, მაგრამ თქვენ სამომოსვლო კომივიოიფერი ხართ, ჩვენი ფირმა კი სწორედ პროვინციასთან ვაჭრობს. აქ მხოლოდ ექვსიოდე კომივიოიფერი გყავს.

ვილი — ღმერთია მოწმე, არასოდეს არავისთვის არაფერი მითხრებია. მაგრამ მე თქვენს ფირმაში ჯერ კიდევ მაშინ ვმუშაობდი, როდესაც მამათქვენი ხელით გატარებდათ...

ჰოვარდი — ეგ ვიცი, ვილი, მაგრამ...

ვილი — თქვენ რომ დაიბადეთ, იმ დღეს მამათქვენი — აცხონოს ღმერთმა — მოვიდა ჩემთან და მკითხა, როგორ მოგწონს სახელი ჰოვარდიო.

ჰოვარდი — მე მაგას ვფასებ, ვილი, მაგრამ სათქვენო ადგილი აქ სულ არ მაქვს. რამე ადგილი რომ მქონოდა, მაშინვე დაგნიშნავდით...

ეტებს სანთებელას, ვილი აწვდის. პაუზა.



ვილი — (ბრაზი ერკვა). ჰოვარდ, კვირაში სულ ორმოცდაათი დოლარი მინდა, რომ ლუკმა ჰქონდეს.

ჰოვარდი — რა ვქნა, სად გამოვიჩინებთ ადგილი, ჩემო კარგო?

ვილი — ექვი ხომ არ გეპარებათ, რომ საქონლის გასაღება კიდევ შემოიძლია?

ჰოვარდი — არა, ჩემო კარგო, მაგრამ ეგ თქვენი საქმეა და ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს.

ვილი — (სასოწარკვეთილი). მომისმინეთ, ერთ ამბავს გიამბობთ, ჰოვარდ...

ჰოვარდი — ხომ დამეთანხმებით, რომ საქმე მაინც საქმეა?

ვილი — (გაბრაზებული). დიად, საქმე მართლაც საქმეა, მაგრამ ჯერ ცოტა ხანს ყური მიგდეთ. თქვენ ეს არ გესმით. როდესაც მე თვრამეტ-ცხრამეტი წლის ბიჭი ვიყავი, უკვე კომიუნიკაციად ვმუშაობდი, და გულში კი ფიქრობდი — ნეტავ ამ საქმეში თუა ჩემი მომავალი-მეთქი. იმიტომ, რომ მაშინ ძალიან მინდოდა აღიასკავე წასვლა. წარმოგიდგინეთ, იქ ერთ თვეში სამეცან აღმოაჩინეს ოქროს მადანი; ვოცნებობდი, ნეტავ ცალი თვალთ მაინც დამანახა-მეთქი.

ჰოვარდი — (უინტერესოდ). ნუთუ!

ვილი — კი, მამაჩემი ხომ დიდხანს ცხოვრობდა აღიასკავე, რისკიანი კაცი იყო. ეს აღზნთ მემკვიდრეობით მოგვდევს. ვფიქრობდი ჩემს უფროს ძმასთან ერთად იქით წავსულიყავი და მამა მომეძებნა, იქნებ ჩრდილოეთშიც კი დავსახლებულიყავი ჩემს ბერიატთან ერთად. თითქმის გადავწყვიტე კიდევ წასვლა, როდესაც პარკერპაუზში შევხვედი ერთ კომიუნიკაციერს, დევი სინგლმენი ერკვა, ოთხმოცი წლისა იყო და ოცდათერთმეტ შტატთან ეპრობდა. წარმოგიდგინათ, ავიღოდა ეს მოხუცი დევი თავის ოთახში, წაპყოფდა ფეხებს მწვანე ხავერდის ფლოსტებში — ის ფლოსტები ჩემს სცოცხლემი არ დამავიწყდება — მივიღოდა ტელეფონთან, გამოიძახებდა თავის მუშტარს და ასე, ოთახიდან ფეხის გაუღმველად ოთხმოცი წლის კაცი ფულს აყეთებდა. აი, მაშინ ვიფიქრე — ეპრობის არაფერი სჯობია-მეთქი. აბა, იმაზე სასიამოვნო რა უნდა იყოს, როდესაც ოთხმოცი წლის კაცი ჩაბვალ ოც სხვადასხვა ქალაქში, მიხვალ ტელეფონთან და იცი, რომ აძლენ ხალხს ახსოვბარ, უყვარხარ და დაგეხმარება? არა? როდესაც იგი გარდაიცვალა — სხვათაშორის, დევი მამდელი კომიუნიკაციერის სიკვდილით მოკვდა მატარებელში, თამბაქოს მოსაწევ ოთახში, ფეხთ მწვანე ფლოსტებით — მისი გასვენებას აუარებელი კომიუნიკაციერი და მისი ყოფილი მუშტარი დაესწრო. (წამოდგება, ჰოვარდი არც კი უყურებს). იმ დროს ადამიანს აფასებდნენ, ჰოვარდ. მაშინ ჩვენს საქმეში იყო პატივისცემაც, მეგობრობაც, მადლიერების გრძობაც. დღეს კი აღარაფერია, გარდა ანგარიშისა, — არც მეგობრობა, არც ადამიანის დაფასება: მიმიხვდით რის თქმა მინდა? ახლა მე უკვე აღარავინ მიცნობს.

ჰოვარდი — (მარჯვნივ გატრიალდება) საქმეც ეგ არის, ვილი.

ვილი — კვირაში ორმოცი დოლარიც რომ ჰქონდეს, ვიმყოფინებ. სულ ორმოცი დოლარი, ჰოვარდ.

ჰოვარდი — ჩემო მეგობარო, ქვას ხომ წყალს ვერ გამოვიდენ, მე...

ვილი — (სასოწარკვეთილება იპყრობს). ჰოვარდ, იმ წელიწადს, როცა ელ სმითი გუბერნატორად აირჩიეს, მამათქვენი მოვიდა ჩემთან და...

ჰოვარდი — (გასვლას აპირებს). ხალხი მყავს სანახავი, ჩემო მეგობარო.

ვილი — (ანერებს). მე მამათქვენივე გელაპარაკებთ! აი, სწორედ ამ მაგიდასთან დამპირდალ ნუ შეტყუეთ, რომ ხალხი გყავთ სანახავი — ოცდაათობმეტი წელიწადი შევალე თქვენს ფირმას, ჰოვარდ, და ახლა დახლევების ფულიც კი ვერ გადამიხდია. ხომ არ იქნება ადამიანიც ლიმონივით გამოსწურო და გადააგდო. (პაუზის შემდეგ). ყურადღებით მისმინეთ — მამათქვენი — 1928 წელი კარგი იყო ჩემთვის, კვირაში საკომისიოს ას სამოცდაათ დოლარს ვაქეთებდი...

ჰოვარდი — (მოუთმენლად). ვილი, თქვენ არასოდეს არ მიგოლიათ მაგდენი.

ვილი — (მაგიდას ხელს დაიარტყამს). 1928 წელს საკომისიოს ასსამოცდაათ დოლარს გამოვდილი-მეთქი და მამათქვენი მოვიდა ჩემთან — უფრო სწორად, მე აქ ვიყავი, ამ კონტრაქტში, სწორედ ამ მაგიდასთან, — დამადო მხარზე ხელი და...

ჰოვარდი — (დგება). მამატივთ, ვილი, მაგრამ ხალხი მყავს სანახავი. თავი შეიკავეთ, (გადის). მე მალე დავბრუნდები.

ჰოვარდის გასვლის შემდეგ მის სკამს ეცემა არაჩვეულებრივად კაშკაშა შუქი.

ვილი — თავი შეიკავეთო ნეტა რა ვუთხარი? ღმერთო ჩემო, აღზნთ დაუწყვირო! ეს რა გქენი (დაჩუმდება, მიაშტერდება სინათლეს, რომელიც ჰოვარდის სკამს ეცემა. უახლოვდება სკამს, მაგიდასთან შეჩერდება). ფრენკ, ფრენკ, ნუთუ არ გახსოვთ, რა შითხარით მაშინ?



- მხარზე რომ ხელი დამადეთ, ფრენკ, და... (მაგრადს დაეყრდნობა და როდესაც ვარდა-  
ცვლილის სახელს ახსენებს, თავისდაუნებურად მაგნიტოფონს ჩართავს).
- ჰოვარდის ვაჟის ხმა** — შტატ ჩიუ-ოორკის დედაქალაქია ოლბენი, ოპიოს დედაქალაქია ცინ-  
ცინატი, რომ აილენდის დედაქალაქია... (განაგრძობს ჩამოთვლას).
- ვილი** — (შეძრწუნებული განზე გაეზრდება, ყვირის). ჰოვარდი! ჰოვარდი! ჰოვარდი!
- ჰოვარდი** — (შეშოვარდება). რა მოხდა?
- ვილი** — (უთითებს მაგნიტოფონზე, რომელიც ბავშვური დუღუნა ხმით განაგრძობს დედაქალა-  
ქების ჩამოთვლას). გააჩუმეთ! გააჩუმეთ!
- ჰოვარდი** — იცით, ვილი...
- ვილი** — (თვალზე თითებს მიიფარებს). ცოტა ყავა უნდა დაელო, ყავა უნდა დაელო...  
აპირებს გასვლას, ჰოვარდი აჩერებს.
- ჰოვარდი** — (ელექტროფონის ახვევს). იცით, ვილი...
- ვილი** — წავალ ბოსტონში...
- ჰოვარდი** — არა, ბოსტონში ნუ წახვალთ.
- ვილი** — რატომ?
- ჰოვარდი** — არ მინდა, რომ იქ ჩვენს წარმომადგენლად იყოთ. დიდხანია მინდოდა თქვენ-  
თვის ამის თქმა.
- ვილი** — ჰოვარდი, სამსახურიდან მოხვით?
- ჰოვარდი** — ჩემი აზრით, თქვენ კარგი დასვენება გქირდებათ.
- ვილი** — ჰოვარდი...
- ჰოვარდი** — როცა თავს უკეთ იგრძნობთ, მოდი, ენახოთ, იქნებ რამე გამოგიძენოთ.
- ვილი** — ფული ხომ უნდა ვიშოვო, ჰოვარდი, ცხოვრების წყარო სხვა არაფერი მაქვს...
- ჰოვარდი** — თქვენი ვაჟები რა? აკეთებენ? რატომ არ დაგეხმარებიან?
- ვილი** — ჩემმა ვაჟებმა დიდი საქმე წამოიწყეს...
- ჰოვარდი** — ახლა ამპარტანუბის დრო არ არის, ვილი. მიდი თქვენს ვაჟებთან და უთხარით,  
რომ დაილაღეთ. თქვენ ორა ვაგი გაყავთ, არა?
- ვილი** — დიალ, დიალ, მაგრამ ახლა...
- ჰოვარდი** — მამ შევთანხმდით, ხომ?
- ვილი** — კარგი, ხვალ დილით ბოსტონში წავალ.
- ჰოვარდი** — არა, არა!
- ვილი** — ჩემი შვილების შესახებ ვერ გავხდები. საპყარი ხომ არ ვარ!
- ჰოვარდი** — იცით, ჩემო მეგობარო, დღეს ძალიან დაკავებული ვარ.
- ვილი** — (ჰოვარდის ხელს ჩაეჭიდება). ჰოვარდი, უნდა გამოშვათ ბოსტონში!
- ჰოვარდი** — (მტკიცედ, ცდილობს თავი შეიკავოს), დღეს ბევრი ხალხი მყავს სანახავი. დაჯე-  
ქით, ხუთ წუთს გაძლევთ დასამშვიდებლად, შემდეგ კი წადით, კარგი? კონტორა მე  
შეირდება, ვილი. (გასვლას აპირებს, მიბრუნდება, უეცრად გაახსენდება მაგნიტოფონი;  
მაგიდას, რომელზეც ის დგას, გვერდზე გასწევს). მართლა ამ კვირას, როცა კი შესალოთ,  
შემოიარეთ და საქონლის ნიმუშები მოიტანეთ. გამოამჯობინდით და მოდი, მოვლამა-  
რავით. თავი შეიკავეთ, ჩემო მეგობარო, გარეთ ხალხია.
- ჰოვარდი გადის, მაგნიტოფონის მაგიდას მარცხნივ მიავიწყებს. ვილი სივრცეს ნიშტე-  
რება, ერთბაშად მოტყდა, ახლა მოისმის ბენის მუსიკა, ჯერ შორიდან, შემდეგ ახლოვ-  
დება. როდესაც ვილი ლაპარაკობს, მარჯვნიდან შემოდის ბენი, ჩემოდნით და ქოლგით.
- ვილი** — ოპ, ბენ, როგორ მიადწიე ამას? რაშია საიდუმლოება? ალიასკაზე საქმეები უკვე  
მოაკვარე?
- ბენი** — როცა იცი, რას აკეთებ, ბევრი დრო არ გეხარება. ახლა ერთ პატარა საქმეზე მივმ-  
გზავრები, გემი ერთ საათში გადის, გამოსამშვიდობებლად მოვედი.
- ვილი** — მინდა მოგელაპარაკო, ბენ.
- ბენი** — (საათზე დაიხედავს). დრო არ მაქვს, ვილიამ.
- ვილი** — (გადატრის ავანსცენას, ზიდის ბენისკენ). ბენ, არაფერი გამომდის, არ ვიცი რა ვქნა!
- ბენი** — მომიმინე, ვილიამ. ალიასკაზე ტყის ნაკვეთი ვიყიდე, ვინმე შეიკრება, რომ მიხედოს.
- ვილი** — ღმერთო ჩემო, ტყე! მე და ჩემი ბიჭები იქ, სუფთა ჰავრზე!
- ბენი** — შენს კარს იქით ახალი ქვეყანა დევს, ვილიამ. მოშორდი ამ ქალაქს! აქ ლაქაქის, ვა-  
დიანი გადასახადების და სასამართლოების მეტი არაფერია! მაგრად შეკუმშე მუშტები,  
იქ იბრძოლებ სიმდიდრისათვის!
- ვილი** — უთუოდ, უთუოდ! — ლინდა, ლინდა!  
შემოდის ახალგაზრდა ლინდა, დარცხილი თეთრეული მოაქვს.

არბურ მიღმრი

ლინდა — ოჰ, თქვენ უკვე დაბრუნდით?  
ბენი — დრო ცოტა მაქვს!  
ვილი — არა, მოიცა! ლინდა, ბენი ალიასკაზე სამსახურს მთავაზობს!  
ლინდა — მაგრამ შენ ხომ... (ბენს) ვიცი აქ მშვენიერი სამსახური აქვს.  
ვილი — მაგრამ მე ალიასკაზე, ჩემო შეგობარო...  
ლინდა — აქაც შოულობ საწყობს, ვილი!  
ბენი — (ლინდას). გააჩნია რაზე გყოფნით, ჩემო კარგო!  
ლინდა — (ბენის ეშინია, თან გაბრაზებულია). ასეთ რამეებს ნუ ეუბნები! აქ ბენიერები ვართ! (ბენი იცინის). ყველა ხომ ქვეყნის დაპყრობაზე არ უნდა ოცნებობდეს? კარგად გეჭკუიან, ბიჭები შენზე ჰქუას კარგავენ, თანაც ერთ მშვენიერ დღეს... (ბენს). მოხუცი ვაგნერი ამ ცოტა ხნის წინათ შეჰპირდა, რომ თუ ასე იმუშავებს, მალე ფირმის კომპანიონად გაიხდის. ხომ დაგპირდა, ვილი?  
ვილი — როგორ არა, როგორ არა. მაგ ფირმაში მე ერთგვარი საფუძველი ჩავყარე მომავლისათვის, და თუ კაცი რამეს აშენებს, ის სწორ გზაზე დგას, არა ბენ?  
ბენი — რას ჩაუყარე საფუძველი? აბა, ხელა შეახე ერთი! სად არის?  
ვილი — ლინდა, ბენი მართალს ამბობს.  
ლინდა — რატომ? (ბენს). ერთი კაცია — ოთხმოცი წლის მოხუცი...  
ვილი — მართალს ამბობს, ბენ, მართალს. როდესაც იმ კაცს ვუყურებ, ვამბობ — სადარდებელი რა მაქვს-მეთქი.  
ბენი — ოჰო!  
ვილი — მართლა, ბენ. იმის მთელი საქმე ის არის, რომ ჩავიდეს რომელიმე ქალაქში, დარეკოს ტელეფონით და ფულსაც იშოვის. იცი, როგორ?  
ბენი — (იღებს ჩემოდანს). უნდა წავიდე.  
ვილი — (აჩერებს). შეხედე ამ ბიჭს!  
შემოდის ბიფი, აცვია სკოლის სპორტული სვიტერი, ჩემოდანი მოაქვს. ჰეპის მოაქვს ბიფის სამხრეები, ოქროსფერი მუზარადი და ფეხბურთის ტრუსები.  
ვილი — ერთი გროშიც არ გააჩნია და სამი ცნობილი უნივერსიტეტი კი ნატრობს ამ ბიჭს, ამისთანას წინ რა დაუდგება, ის კი არ არის მთავარი — შენ რას აკეთებ. მთავარია ნაცნობობა და შენი მომღიმარე სახე! ნაცნობობა, ბენ, ნაცნობობაა ყველაფერი! ალიასკის მთელი სიმდიდრე „კომოდორის“ რესტორანში მავიდანზე ხელიდან ხელში გადადის. ჩვენი ქვეყნის საოცრებაც სწორედ ის არის, რომ აქ კაცმა შეიძლება აღმასის საბადოები იშოვოს მხოლოდ იმით, რომ მოსწონთ! (ბიფს მიუბრუნდება). აი, სწორედ იმიტომ არის მნიშვნელოვანი სტადიონზე შენი დღევანდელი გამოხევა, რომ ათასი კაცი შეგხედავს. შეგიყვარებს. (ბენს, რომელიც კვლავ გასვლას აპირებს) და, იცი, ბენ, როდესაც ბიფი დაწესებულებაში შევა, მისი სახელი ზარივით დარეკს და მის წინ ყველა კარი გაიღება! ასე იქნება, ბენ, ასე!  
ბენი — მშვიდობით, ვილიამ!  
ვილი — ბენ, ხომ მართალია? შენს რჩევას მე ძალიან ვაფასებ.  
ბენი — შენს სახლს იქით ახალი ქვეყანა, ვილიამ. იქიდან მდიდარი დაბრუნდები, მდიდარი! (მიდის).  
ვილი — აქაც გავმდიდრდებით, ბენ! გესმის ჩემი? აქაც გავმდიდრდებით!  
შემოდის ბერნარდი — ბიჭი. ისმის ბიჭების მხიარული მუსიკა.  
ბერნარდი — ოჰ, ლმერთო, მე კი მეშინოდა, ვაი თუ უკვე წავიდნენ-მეთქი!  
ვილი — რატომ? რომელი სათია?  
ბერნარდი — ორის ნახევარია.  
ვილი — აბა, ყველა წავიდეთ! შემდეგ გაჩერებაზე ებეტის სტადიონია! სად არის ალმები?  
(გაირბენს სამხარეულოს კედელში და შევა სასტუმრო ოთახში).  
ლინდა — (ბიფს). აიღე სუფთა საცვლები?  
ბიფი — (ვარჯიშობს). წავიდე!  
ბერნარდი — ბიფ, შენს ჩაფხუტს მე წამოვიღებ. კარგი?  
ბენი — არა, ჩაფხუტი მე მომაქვს.  
ბერნარდი — ბიფ, აკი მე დამპირდი!  
ბენი — ჩაფხუტი მე მომაქვს.  
ბერნარდი — აბა ისე გასახდელში როგორ შემოვალ?!  
ლინდა — მაშინ სამხრეები წამოიღოს. (სამხარეულოშივე იცვამს პალტოს და იხერავს ქუდს).  
ბერნარდი — ასე შეიძლება, ბიფ? უკვე ყველას ვუთხარი — გასახდელში ვიქნები-მეთქი.

ბები — ებეტის სტადიონს ვასახდელი კი არა, კლუბი აქვს.

ბერნარდი — მეც სწორედ კლუბს ვეულისხმობ, ბიფ!

ბები — ბიფ!

ბიფი — (სულგრძელად, მცირე პაუზის შემდეგ). კარგი, მაგან სამხრეები წამოიღოს.

ბები — (როდესაც ბერნარდს სამხრეებს აძლევს). იცოდ, არ ჩამოგვრჩე.

მორბის ვილი, ხელში აღმები უჭირავს.

ვილი — (ყველას სათითაოდ ურიგებს აღმებს). როგორც კი ბიფი სტადიონზე გამოვა, დაუქ-  
ნიეთ! (ბები და ბერნარდი გარბიან) ხომ მზად ხართ, ბიჭებო?

მუსიკა მიწყნარდა.

ბიფი — მზად ვარ, მამა, ყოველი კუნთი მითრთის.

ვილი — (ავენსენის კიდიდან). ხომ გესმის, რას ნიშნავს ყველაფერი ეს?

ბიფი — აბა რა, მამა!

ვილი — (ბიფს კუნთებს უსინჯავს). ამ საღამოს შინ ნიუ-იორკის სკოლების ნაკრები გუნდის  
კაპიტნად დაბრუნდები!

ბიფი — უთუოდ, მამა! დაიხსომე, ჩახუტს რომ მოვიხდი, იცოდე შენს სახელზე გოლის გასა-  
ტანად ვეზადები!

ვილი — წავიდეთ! (ბიფთან ხელგადახვეული გასვლას აპირებს, როდესაც შემოდის ჩარლი,  
კვლავ მოკლე შარვალი აცვია) შენთვის ადგილი არ მაქვს, ჩარლი!

ჩარლი — რა ადგილი? სად?

ვილი — მანქანაში.

ვილი — სასიეროდ მიდიხართ? მე კი შენთან ბანქოს თამაშს ვაპირებდი.

ვილი — (გულმოსული). ბანქოს თამაშს! (ვერც კი დაუჯერებია). ნუ თუ არ იცი, დღეს რა  
დღეა?

ლინდა — როგორ არ იცის, ვილი, მაგრამ შენი ვაბრაზება უნდა.

ვილი — გასაბრაზებელი რა არის!

ჩარლი — მე მართლაც არაფერი ვიცი, ლინდა. რა მოხდა?

ლინდა — დღეს ბიფი ებეტის სტადიონზე თამაშობს.

ჩარლი — ასეთ ამინდში ბეისბოლი უნდა ითამაშოს?

ვილი — რას ელაპარაკები, წამო, წავიდეთ! (ყველა ძალით გაჰყავს).

ჩარლი — ერთ წუთს მოიცადე. ახალი ამბავი არ იცი?

ვილი — რა მოხდა?

ჩარლი — ნუთუ რადიოს არ უსმენთ? — ებეტის სტადიონი აფეთქდა!

ვილი — ჯანდაბას შენი თავი! (ჩარლი იცინის, ვილის ყველა ვარეთ გამოჰყავს). წავიდეთ,  
წავიდეთ, გვაგვიანდება!

ჩარლი — ბიფ, ერთი ბურთი მაინც შეავდე საკუთარ კარში, მხოლოდ ერთი ბურთი!

ვილი — (ყველაზე ბოლოს ვადის, ჩარლის მიუბრუნდება). მგონი აქ სასაცილო არაფერია, ჩარ-  
ლი. ბიფისთვის დღეს უდიდესი დღეა!

ჩარლი — ვილი, ბავშვობას როდის მორჩები?

ვილი — რა? რა? ეს თამაში რომ დამთავრდება, აღარ გაიცინებ. ბიფს მეორე რედ გრეინჯერს  
დაუძახებენ. წელიწადში ოცდახუთი ათასი!

ჩარლი — (დაცინვით) მართლა?

ვილი — დიაღ, მართლა.

ჩარლი — კარგი, მამა მამატიე, ვილი, მაგრამ ერთი რამ ამიხსენი.

ვილი — რა?

ჩარლი — ვინ არის რედ გრეინჯერი?

ვილი — ცხვირი მოიხოცე, გესმის, ჯერ ცხვირი მოიხოცე, ეშმაკსაც წაუღიხარ!

ჩარლი ხიზნით თავს იჭნევს და ვადის სცენის მარცხენა მხარეს. ვილი უკან მიჰყვება.  
მუსიკა ხმამაღლა დამცინავად ყლერს.

ვილი — ნეტავ რა ეშმაკმა გაფიქრებინა, ვითომც ყველას ჯობიხარ? არაფერიც არ გესმის, შე  
უჭკუო, უვიცო... ჯერ ცხვირის მოხოცვა ისწავლე!..

სინათლე ინთება ავენსენის მარჯვენა მხარეს, სადაც ჩარლის კონტორის მისაღებ  
ოთახში პატარა მაგიდა დგას. ქუჩიდან ხმაური შემოდის. ახლა უკვე დაფაქცეული  
ბერნარდი ზის და უსტეკენს. იქვე აწყვია ტენისის ორი ჩოგანი და ნესესერი.

ვილი — (სცენის გარედან). სად გამიბიხარ? ნუ მიდიხარ! თუ რამეს თქმა გინდა, პირში მიიხა-  
რი გგონია, არ ვიცი, რომ ზურგსუკან დამცინი? ამ შეჯიბრის შემდეგ აღარ გავეცი-  
ნება! ჯანდაბას შენი თავი! გოლი! გოლი! ოთხმოცი ათასი მაყურებელი! გოლი! შიგ

- ცენტრში! ბერნარდი მშვიდი, სერიოზული, თავის თავში დარწმუნებულ ახალგაზრდაა. ახლა ვილის ხმა სცენის მარჯვენა მხრიდან ისმის, ბერნარდი მავიდიდან ჩამოიღებს ფეხებს და უსმენს. შემოდის ჯენი, მისი მამის მდივანი.
- ჯენი** — (იღვლებული). ბერნარდ, ჰოლში ვერ გამიხვალა?  
**ბერნარდი** — რა ხმაურია? ვინ არის?  
**ჯენი** — მისტერ ლომენია. ამ წუთს გამოვიდა ლიტრიდან.  
**ბერნარდი** — (დგება). ვის ეკამათება?  
**ჯენი** — არავის. აქ არაფერ არის. მაგასთან მე ვერაფერი გამიწყვიტა, მამათქვენი კი მუდამ ლელავს, როცა ეგ მოდის. მანქანაზე აუარებელი საბჭული მაქვს, მამათქვენიმა ხელი უნდა მოაწეროს. იქნებ თქვენ მოვლდააბაკოთ მისტერ ლომენს?  
**ვილი** — (შემოდის). გოლი გო... (დაინახავს ჯენის). ჯენი, როგორ გამიხარდა თქვენი ნახვა! როგორ ხარ? მუშაობ? თუ ისევ უმანკო გახლხარ?  
**ჯენი** — გაძლივით. როგორ გიკითხობ?  
**ვილი** — მინცდამაინც კარგად ვერა, ჯენი. ჰა, ჰა, ჰა! (ჩოგნების დანახვაზე გაოცდება).  
**ბერნარდი** — გამარჯობათ, ძია ვილი.  
**ვილი** — (გაოცებული შეცბა). ბერნარდი! ამას ვის ვხედავ!  
 თავს თითქმის დამნაშავედ გრძნობს, სწრაფად მივა და ბერნარდს გულთბილად ართმევს ხელს.  
**ბერნარდი** — როგორ ხარ? გამიხარდა თქვენი ნახვა.  
**ვილი** — აქ რას აკეთებ?  
**ბერნარდი** — მამის სანახავად შემოვიარე. მატარებლის გასვლამდე ცოტას დავისვენებ. მალე ვაშინგტონში მივდივარ.  
**ვილი** — მამა აქ არის?  
**ბერნარდი** — დიად, თავის კაბინეტშია, ბულაღტერს ელაპარაკება. დაბრძანდით.  
**ვილი** — (ჯდება). ვაშინგტონში რა საქმე გაქვს?  
**ბერნარდი** — სასამართლოში ერთი საქმე ირჩევა, ვილი.  
**ვილი** — მართლა? (ჩოგნებზე უთითებს). იქ ჩოგბურთსაც ითამაშებ?  
**ბერნარდი** — ერთ ზემს შეგობართან უნდა შევჩერდე ბინად, საკუთარი კორტი აქვს.  
**ვილი** — რას ამბობ? ჩოგბურთის საკუთარი კორტი! მაშ კარგი ოჯახი იქნება.  
**ბერნარდი** — კი, ძალიან კარგი. მამამ მითხრა, ბიჭი ჩამოვიღო.  
**ვილი** — (მხიარულად იცინის). კი, ჩამოვიდა. ბიჭი დიდ საქმეს შეუღდა, ბერნარდ.  
**ბერნარდი** — რას აკეთებს?  
**ვილი** — დასავლეთში დიდი კაცი იყო, მაგრამ აქ უნდა საცხოვრებლად გადმოსვლა. დიდი ვინშია. დღეს ერთად ვსაღილობთ. მითხრეს — შენს ცოლს ბიჭი შესძინა.  
**ბერნარდი** — დიად, ეს უკვე მეორე გვეყავს.  
**ვილი** — ორი ბიჭი! წარმოვიდგენია!  
**ბერნარდი** — მაინც რის გაკეთებას აპირებს ბიჭი?  
**ვილი** — ხომ იცი, ბილ ოლივერს სპორტაქონლის დიდი ფირმა აქვს და ძალიან უნდა ბიჭი თავისთან ამუშაოს. დასავლეთიდან გამოიძახა. მგზავრობა, carte blanche, საგანგებო დაკვეთები. მაშ შენს მეგობარს ჩოგბურთის საკუთარი კორტი აქვს?  
**ბერნარდი** — თქვენ კვლავ იმ ფირმაში მუშაობთ, ვილი?  
**ვილი** — (პაუზის შემდეგ). მე... მე... ძალიან მახარებს შენი წარმატებები, ბერნარდ, ძალიან მახარებს. სასიამოვნოა, რომ ახალგაზრდა კაცი მართლაც... მართლაც... ბიუსაც უთუოდ გაუმართლებს... გაუმართლებს... (სიტყვას გაწყვეტს, შემდეგ). ბერნარდ... (გრძნობები ისე მოერია, რომ სიტყვას კვლავ წყვეტს).  
**ბერნარდი** — რა, ვილი?  
**ვილი** — (პატარა და ეული). რაშია... რაშია საიდუმლოება?  
**ბერნარდი** — რა საიდუმლოება?  
**ვილი** — შენ... შენ როგორ მიღწევი ამას? მან რატომ ვერ შესძლო?  
**ბერნარდი** — არ ვიცი, ვილი.  
**ვილი** — (კონფიდენციალურად, სასოწარკვეთილი). შენ ხომ მისი მეგობარი იყავი, მისი ბავშვობის მეგობარი. მე რაღაც ვერ გავიგე. ებეტის სტადიონზე შეჯიბრის შემდეგ მისი ცხოვრებაც გათავდა. ჩვიდმეტი წლის რომ გახდა, მას მერე ცხოვრებაში კარგი აღარაფერი შეხვედრია.  
**ბერნარდი** — ბიჭი არასოდეს არაფრისთვის არ ემზადებოდა.  
**ვილი** — ემზადებოდა, როგორ არ ემზადებოდა. სკოლის შემდეგ რამდენი დაუსწრებელი კლ-

სება გამოიყვალა — რადიოსი, ტელევიზორის. ღმერთმა იცის, კიდევ რა არა... მაგრამ...  
ბერნარდი — (სათუალეს იხსნის). ვილი, გინდათ გულახდილად ვილაპარაკოთ?

ვილი — (დგება, ბერნარდს შესცქერის). მე შენ გამოჩენილ ადამიანად ვთვლი, ბერნარდ, შენს რჩევას ძალიან ვაფასებ.

ბერნარდი — ჯანდაბანს რჩევები, ვილი. მე თქვენ ვერაფერს გირჩევთ. ისე კი დიდიხანა მინდოდა, თქვენთვის ერთი რამ მიეითხა. როდესაც ბიფი გამოსაშვებ გამოცდაზე მათემატიკის მასწავლებელმა ჩასჭრა...

ვილი — სწორედ იმ ძალღიშვითა და დღეობა და ჩაუშხამა მთელი სიცოცხლე.

ბერნარდი — კი, მაგრამ ბიფისთვის მხოლოდ ის იყო საჭირო, ზაფხულში მათემატიკაში მომზადებულიყო და გადაებარებინა სავანი.

ვილი — მართალია, მართალი.

ბერნარდი — თქვენ არ ღართთ ნება ზაფხულში მომზადებულიყო?

ვილი — მეუ პირიქით! მე ვემუდარებოდი ემეცადინა, მე ვუბრძანე ემეცადინა!

ბერნარდი — მაშ რატომ არ შეცადინებოდა?

ვილი — რატომ? რატომ? სწორედ ვე კითხვა მღრღნის ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში. მათემატიკაში ჩაიჭრა. სწავლას თავი დაანება და მთელი სიცოცხლე ჩაიშწარა!

ბერნარდი — ნუ აღვლდებით, ვილი!

ვილი — დამაცადე ვითხრა, შენს მეტს ვერაფერს ვეცხვი. ბერნარდ, ბერნარდ, იქნებ ჩემი ბრალი იყო? გესმის? თავში სულ ეს მიტრიალებს. იქნებ მე დავეშვე რამე და ვერაფრით გამომისყვიდა.

ბერნარდი — ასე ნუ აღვლდებით!

ვილი — სწავლას რატომ დაანება თავი? რა მოხდა! შენ ხომ მისი მეგობარი იყავი!

ბერნარდი — ვილი, ყარგად მახსოვს, იენისი იყო, ატენტატი უნდა მიგველო, ბიფი კი მათემატიკაში ჩაიჭრა.

ვილი — ის ძალღიშვილი... მისი მასწავლებელი!

ბერნარდი — არა, საქმე ვე არ არის. მახსოვს ბიფი ძალზე გაბრაზდა და დაიქადა, ზუსტულში ეიმეცადინებო.

ვილი — (გაოცებული). მართლა?

ბერნარდი — ჩაქრამ სულაც არ დასწყვიტა ველი. მაგრამ შემდეგ ერთი თვით სადღაც გადაიკარგა, მაშინ შეგონა, რომ ახალ ინგლისში წამოვიდა თქვენს სანახავად. გნახათ, გელაპარაკა მაშინ? (ვილი ბერნარდს უსიტყვეოდ მიშტერება). გნახათ, ვილი?

ვილი — (გამომწვევი ტონით). კი, მოვიდა ჩემთან ბოსტონში. მე რე და რა?

ბერნარდი — ჰოდა, იქიდან რომ დაბრუნდა... ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება, ისე გამაშტერა იმ ამბავმა. თუმცე ხშირად მჩაგრავდა ხოლმე, მაგრამ ბიფი მაინც ძალიან მიყვარდა! ჰოდა, ერთი თვის შემდეგ რომ დაბრუნდა, აილო თავისი ბუციები — გახსოვთ, როგორ უყვარდა, ჩაიტანა სარდაფში და ღუშელში დაწვა. მაშინ მაგრა ვეყეეთ ერთმანეთი. მართლაც ვიყავით, ერთმანეთს მუშტებს ვურტყამდით და ვტროდით. ხშირად მიღიქვია — ნეტა როგორ მივხვდი მაშინ, რომ ბიფს სიცოცხლე შესძულდა? ისეთი რა მოხდა ბოსტონში, ვილი? (ვილი ბერნარდს მტრულად შესცქერის).

ბერნარდი — მხოლოდ იმიტომ გაიხსენე ეს ამბავი, რომ თქვივე მთხოვეთ.

ვილი — (გაბრაზებული). იქ არაფერი არ მოხდა. შენ გულში რა გავქს, რომ მეკითხები — რა მოხდაო? ვე რა შეუაშია?

ბერნარდი — კარგი, ვილი, ნუ ცხარობთ.

ვილი — შენ გინდა ყველაფერი მე გადმომაპარალო? ბიჭმა თუ სწავლას თავი დაანება, მე რა შეუაში ვარ?

ბერნარდი — კარგი, ვილი, ნუ...

ვილი — იცი, ასე... ასე ნუ შელაპარაკები! რას ნიშნავს — „რა მოხდაო“? შემოღის ჩარლი. ეილენტი აცვია, მოაქვს ვისკის ბოთლი.

ჩარლი — ბერნარდ, მატარებელზე არ დაგაგვიანდეს! (ბოთლს აქნევს).

ბერნარდი — აი, მივდივარ. (პრთმევს ბოთლს). გმადლობთ, მამა. (აიღებს ჩოგნებს და საკეოიჯეს). ნახვამდის, ვილი. მაგაზე ნუ იწუხებ. ხომ იცით, — თუ პირველად ვერ გაიმარჯვე, მეორედ...

ვილი — კი, მე შეგრა მაგისი.

ბერნარდი — თუმცა, ზოგჯერ გაცლა სჯობს.

ვილი — გაცლა სჯობს?

ბერნარდი — დიალ.

ვილი — მაგრამ თუ გაცლა არ შეეძლია?



- ბერნარდი** — (მცირე პაუზის შემდეგ). მაშ საქმე ცუდად ყოფილა. (ხელს გაუწვდის). მშვიდობით, ვილი.
- ვილი** — მშვიდობით, ჩემო ბიჭო.
- ჩარლი** — (ბერნარდს მხარზე ხელს დაიდებს). როგორ მოგწონს ეს ყმაწვილი? უმალეს სასამართლოში უნდა დაიკვას საქმე.
- ბერნარდი** — (უკმაყოფილოდ). მამა!
- ვილი** — (მართლაც შემკრთალი, გულნატკენი და გახარებული). კარგი ერთი! უმალეს სასამართლოში?
- ბერნარდი** — უნდა გავიქცე. მშვიდობით, მამა!
- ჩარლი** — აბა, შენ იცი, ბერნარდი!
- ბერნარდი** — გადის.
- ვილი** — (ჩარლი ჯიბიდან იღებს საფულეს). უმალეს სასამართლოში? თვითონ სიტყვაც არ უთქვამს!
- ჩარლი** — (ფულს თელის მაგიდაზე). ლაპარაკი რა საჭიროა. მთავარი საქმეა, საქმე.
- ვილი** — შენ ეუბნებოდი, რა უნდა ეკეთებინა? ზომ არ ეუბნებოდი? თითქმის სულ არ აქცევდი ყურადღებას.
- ჩარლი** — ჩემი ბედი, რომ ყურადღებას არ ვაქცევდი... აი, აქ ცოტა ფულია — ორმოცდაათი დოლარი. იქ ბუღალტერი მიცდის.
- ვილი** — ჩარლი, მომისმინე... (თქმა უჭირს). დაზღვევის 'ფული მაქვს შესატანი. თუ შეგიძლია — ასათი დოლარი მჭირდება. ბანკიდან გამოვიტანდი, მაგრამ ღინდა გაიგებს და მე...
- ჩარლი** — დაჯექი, ვილი.
- ვილი** — მე ყველაფერს ვიწერ, იცოდე. შენსას ერთ კაპიკსაც არ შევირჩენ. (ჯდება).
- ჩარლი** — დამიგდე ყური, ვილი...
- ვილი** — მინდა იცოდე, რომ შენი ძალიან მადლობელი ვარ...
- ჩარლი** — (ჯდება მაგიდაზე). ვილი, რას შვრები? რა ჯანდაბა ვიტრიალებს თავში?
- ვილი** — რას ამბობ! მე ისე...
- ჩარლი** — მე სამსახური შემოგთავაზე. კვირაში ორმოცდაათი დოლარი. აქეთ-იქით საირტულს არ დაგაწყებინებ.
- ვილი** — მე მაქვს სამსახური.
- ჩარლი** — უფასო სამსახური? რა სამსახურია ნეტავ ეგ უჯამაგირო სამსახური? (დგება). იცი, ჩემო კარგო, კმარა! გენიოსი არ ვარ, მაგრამ იმას კი მივხვდები, როცა შეუბრატყყოფას მაყენებენ!
- ვილი** — შეუბრატყყოფას გაყენებენ!
- ჩარლი** — რატომ არ გინდა ჩემთან იმსახურო?
- ვილი** — რას ამბობ! მე ზომ მაქვს სამსახური!
- ჩარლი** — მაშ აქ რალს მოდიხარ ყოველკვირას?
- ვილი** — (დგება). კარგი, რაკი არ გინდა აქ მოვიდე...
- ჩარლი** — მე სამსახურს ვთავაზობ.
- ვილი** — შენი სამსახური არა მჭირდება!
- ჩარლი** — ვილი, ბავშვობას როდისღა მორჩები?
- ვილი** — (გაცხარდა). შე ხეპრეე თუ კიდევ ვაგიბედავს და გითქვამს ეგ ჩემთვის, გთხლიშავ! (ლამის ეცეს ჩარლს, პაუზა).
- ჩარლი** — (მეგობრულად). რამდენი გჭირდება, ვილი?
- ვილი** — ჩარლი, ბოლო მომიღეს, დამლუბეს! არ ვრცი რა ექნა. დამითხოვეს, ჩარლი.
- ჩარლი** — პოვარდმა დავითხოვა?
- ვილი** — ჰო, იმ ლაწირაკმა. წარმოგიდგენია? სახელი ზომ მე დავარქვი, პოვარდი მე დავარქვი.
- ჩარლი** — ვილი, ნეტა როდის შეიგნებ, რომ მაგისთანა რამეები არაფერს ნიშნავს? პოვარდი კი შენ დავარქვი, მაგრამ ვანა მაგის გაყიდვა შეგიძლია? ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ ის ფასობს, რაც იყიდება. სასაცილოა პირდაპირ — მთელი შენი სიცოცხლე გაყიდვის მტერ არაფერი გიკეთებია და ეგ კი არ იცი.
- ვილი** — იცი, მე მინდოდა სხვაგვარად მეფიქრა. მე მეგონა, თუ ადამიანი კარგ შთაბეჭდილებას ახდენს, მოსწონთ, მაშინ არაფერი...
- ჩარლი** — რა საჭიროა ყველას მოსწონდე? ვის მოსწონს მორჩანი? ვანა ის კარგ შთაბეჭდილებას ახდენს? აბანოში რომ ნახო, ყსაბი გეგონება. მაგრამ როცა თავისი ჯიბეები თან ახლავს, ყველას მოსწონს. ვილი, დამიგდე ყური — ვიცი, რომ არ ვიყვარებარ, ვერც იმას



იტყვის ვინმე, რომ მე შენზე ვგვიტყობოდე, მაგრამ სამსახურს იმიტომ გაძლეე, რომ...  
ეშმაკმა იცას, რატომ როგორც გინდა, ისე იფიქრე. რას იტყვი?

ვილი — შენთან ვერ ვიმსახურებ, ჩარლი.

ჩარლი — რატომ, გშურს ჩემი?

ვილი — შენთან მუშაობა არ შემიძლიან, მორჩა და გათავდა, მიზნებს ნუ მკითხავ.

ჩარლი — (გაბრაზდება, ამოიღებს ფულს). მთელი შენი სიცოცხლე ჩემი გშურდა, შე სულელი  
აბა! გადაიხადე შენი დაზღვევის ფული. (ფულს ხელში უღებს).

ვილი — მე ყველაფერს ზუსტად ვიწერ.

ჩარლი — ახლა საქმე მაქვს. შენს თავს მიხედე და დაზღვევის ფული გადაიხადე.

ვილი — (მიღის მარჯვენა). განა სასაცილო არ არის, ჩარლი? ამდენი ხეტიალის, ამდენი მატარებლების, ამდენი შეხვედრების, ამდენი წლების შემდეგ მკვლარი მეტსა ფასობ, ვიდრე ცოცხალი.

ჩარლი — ვილი, მკვლარი არაფრად ფასობს. (მცირე პაუზის შემდეგ). გაიგე, რა ვთქვი? (ვილი ჩუმად დგას, ფიქრებშია წასული). ვილი!

ვილი — როცა ბერნარდს ნახავ, ბოლიში მომხადე. არ მინდოდა მისთან კამათი. ბერნარდი კარგი ბიჭია. სამივენი კარგი ბიჭები არიან და ხალხში გამოვლენ... სამივენი. ოდესმე საბოლოო ვერაფერს ითამაშებენ ჩოგბურთს. ბედნიერება მისურვე, ჩარლი. ბიფს დღეს ბილი ოლივერი უნდა ენახა.

ჩარლი — ბედნიერებას ვისურვებ.

ვილი — (ლამის ატარდეს). ჩარლი, შენ ჩემი ერთადერთი მეგობარი ხარ. განა ეს უცნაური არ არის? (გაღის).

ჩარლი — ღმერთო ჩემო!

ჩარლი მცირე ხანს გასცქერის ვილის, შემდეგ უკან მიჰყვება. სცენა ბნელდება, უცრად მოასმის ხალისიანი მუსიკა, მარჯვენა, ეკრანს იქით ინთება წითელი სიბათლე, გამოჩნდება სტენლი, ახალგაზრდა ოფიციალტი, მოაქვს მაგიდა, უკან მიჰყვება პეტი ორი სკამით ხელში.

სტენლი — (დგას მაგიდას). აქ კარგია, მისტერ ლომენ. მე თვითონ მივალავებ. (მბრუნდება, გამოართმევს პეტის სკამებს და მაგიდასთან დადგამს).

პეტი — (მომოხედავს). მართლაც აქ ჯობს.

სტენლი — რა თქმა უნდა, დარბაზში საშინელი ხმაურია. როდესაც აქ მოსვლას მოინდომებთ, მისტერ ლომენ, ვამაფრთხილებთ და აქ მოგართმევთ ხოლმე.

პეტი — (ჯდება). საქმე როგორ მიღის, სტენლი?

სტენლი — ეჰ, ძალღმადღური ცხოვრებაა, ნეტავ ომის დროს ჯარში მინც წავეყვანე, ახლა მკვლარი ვიქნებოდი.

პეტი — ჩემი ძმა დაბრუნდა.

სტენლი — დაბრუნდა? შორეული დასავლეთიდან?

პეტი — ჰო, ბევრი საქონელი ჰყავს. იცოდე, კარგად მოემსახურე, მამანემიც მოვა.

სტენლი — მამათქვენიც?

პეტი — ახალი კიბო გაქვით?

სტენლი — უმაღლესი ხარისხის, მსხვილები.

პეტი — მარწუხებიანად მოგვართვი.

სტენლი — ნუ სწუხართ, თავს კე არ მოვიტან. (პეტი იცინის). ლეინოზე რას იტყვით? საჭმელს გემოს მატებს.

პეტი — არა. ვასოვს იმ კოკტილის რეცეპტი, საზღვარგარეთიდან რომ ჩამოვიტანე? შამპანიურიც რომ ემატება?

სტენლი — კი, როგორ არა. დღესაც სამხარეულოში მაქვს კედელზე გაკრული. უიკა დოლარი დაჯდება.

პეტი — იყოს!

სტენლი — თქვენ რა, ფული ხომ არ მოგივათ?

პეტი — არა, პატარა ზეიმი გვაქვს, ჩემი ძმა... დიდი საქმე უნდა წამოვიწყოთ ერთად.

სტენლი — კარგია ყველაფერს ჯობს, როცა საქმე ოჯახში კეთდება.

პეტი — მეც ასე ვფიქრობ.

სტენლი — იცით, რა განსხვავებაა? თუ ვინმე იპარავს, მინც ოჯახში რჩება. გამოგეთ, რის თქმა მინდა?

პეტი — (თავს ასწევს). შუშუ!

სტენლი — რა მოხდა?

ბრტუნი მილინი

ბები — ხომ ხედავ, არც მარჯვნივ ვიყურები, არც მარცხნივ? ხედავ?  
სტენლი — კი.

ბები — და თვალებიც დახუჭული მაქვს.

სტენლი — მერე რა მოხდა?

ბები — კარგი რამაა.

სტენლი — (მიხედავ, მიმოიხედავ). არა, აქ არაფერია...

სიტყვას წყვეტს, რადგან ამ დროს შემოდის ბეწვეულში გამოწყობილი მშვენიერად  
ჩაცმული ქალიშვილი და მაგიდას მიუჯდება. ორივენი თვალებით მიაცილებენ.

სტენლი — ღმერთო ჩემო, როგორ გაიგეთ?

ბები — მე ჩემი ანტენა მაქვს... (შეპყურებს ქალიშვილის პროფილს). ოოო, სტენლი.

სტენლი — სწორედ სათქვენოა, მისტერ ლომენ.

ბები — ერთი მაგის ტურებს შეხედე, ოჰ, ღმერთო! რა თვალები აქვს!

სტენლი — აი, ცხოვრება თქვენსასა ჰქვია, მისტერ ლომენ!

ბები — მიდი მასთან.

სტენლი — (მიდის ქალიშვილის მაგიდასთან). მენიუ ხომ არ მოგართვით, მაღამ?

ქალიშვილი — არა, მე ერთ ნაცნობს ვუცდი, მაგრამ...

ბები — რატომ არ მიართმევთ... მამატიეთ, მისს, მე შამპანიურს ვყიდი და მინდა ჩვენს მარ-  
კას გემო უნახოთ. მოართვით შამპანიური, სტენლი!

ქალიშვილი — გმადლობთ თავაზიანობისათვის...

ბები — რა სათქმელია, მე ჩვენი ფირმის ხარჯზე გიმახსინძლდებით (იციან).

ქალიშვილი — შესანიშნავი საქონლით ვაჭრობთ, არა?

ბები — მოსაბერებელია. ვაჭრობა მინც ვაჭრობაა, ხომ იცით.

ქალიშვილი — რა თქმა უნდა.

ბები — თქვენც ხომ არ ვაჭრობთ?

ქალიშვილი — არა...

ბები — ხომ არ იწყებთ კომპლიმენტს უცნობისგან? თქვენი სახე ჟურნალის გარეკანს მა-  
ლიან დაამშვენებდა.

ქალიშვილი — (ეშმაკურად შეხედავს). უკვე დაამშვენა.

შემოდის სტენლი, სასმისით შამპანიური მოაქვს.

ბები — მე ხომ გუბუნებოდი, სტენლი... აი, თურმე ამ ქალიშვილს ჟურნალებისთვის იღებენ.

სტენლი — ოჰ, ეგ ერთი შეხედვითვე ჩანს.

ბები — (ქალიშვილს). რომელი ჟურნალებისათვის?

ქალიშვილი — ოჰ, რა ჩამოთვლის (სვამს). გმადლობთ.

ბები — იცით, საფრანგეთში როგორ ამბობენ — „შამპანიურს სახის ფერისთვის სვამენო“, ბიფ,  
აქეთ!

ბიფი შემოდის და ჯდება ბების გვერდით.

ბიფი — გამარჯობა, ბიჭუნა. მამატიე დაგვიანება.

ბები — მეც ეს-ეს არის მოვედი. ოჰ, მისს?

ქალიშვილი — ფორსაიტი.

ბები — მისს ფორსაიტი, ეს ჩემი ძმაა.

ბიფი — მამა მოვიდა?

ბები — ბიფი ჰქვია. ალბათ გაგონილი გეჭნებათ ამის სახელი. ცნობილი ფეხბურთელია.

ქალიშვილი — მართლა? რომელ გუნდში თამაშობს?

ბები — ფეხბურთში ერკვევი?

ქალიშვილი — არა, სამწუხაროდ არა.

ბები — ბიფი „ნიუ-იორკის გოლიათების“ გუნდის ნახევარდამცველია.

ქალიშვილი — რა შესანიშნავია! (სვამს).

ბები — თქვენი სადღეგრძელო იყოს!

ქალიშვილი — სასიამოვნოა თქვენი გაცნობა.

ბები — მე ბები მქვია. სინამდვილეში ჰაროლი ვარ, მაგრამ სამხედრო აკადემიაში ჰევი ბელ-  
ნიერი შემარქვეს.

ქალიშვილი — (ბების სიტყვებზე შთაბეჭდილება მოახდინა) რას მეუბნებით! ძალზე სასიამო-  
ვნოა! (მისკენ პროფილით მიბრუნდება).

ბიფი — მამა როდისღა მოვა?

ბები — გინდა ეს გოგო?

ბიფი — საჩემო არ არის.



**პეპი** — მე ის დროც მახსოვს, როცა ეგ აზრი თავშიც არ მოგივიდოდა. რა იქნა შენი წინანდელი სითამამე, ბიჭო?

**ბიჭი** — ესესაა ოლივერი ვნახე...

**პეპი** — ერთ წამს მომიბოძინე. მინდა ძველებურად შენი თავისა გჯეროდეს. გინდა ეს გავგო? ერთი ხელი დაუქნე და...

**ბიჭი** — ოპ, არა (მიბრუნდება, რომ მისს ფორსაიტს შეხედოს).

**პეპი** — დამიჯერე, ნახე! (მიუბრუნდება ქალიშვილს). ჭირიმე! (ქალიშვილი შეხედავს). დაკავებული ხარ?

**ქალიშვილი** — კი, მაგრამ... შემიძლია ტელეფონით დავურეკო.

**პეპი** — მაშინ დაურეკე, კარგი! იქნებ მეორეც მოიყვანო, ჩვენ აქ ვიქნებით. ბიჭი ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფეხბურთელია.

**ქალიშვილი** — (დგება). ძალიან კმაყოფილი ვარ თქვენი გაცნობით.

**პეპი** — მალე დაბრუნდი.

**ქალიშვილი** — ვეცდები.

**პეპი** — უბრალოდ კი არა, ძალიან ეცადე, გინაცვალე. (ქალიშვილი გადის. სტენლი უკან მისდევს და ალტაცებისაგან თავს აქნევს).

**პეპი** — სირცხვილი არაა? მერე რა ლამაზია, აი სწორედ ამიტომ არ ვთხოვლობ ცოლს! ათას ქალში ერთ პატიოსანს ვერ გამოარჩევ. ასეთებით კი ნიუ-იორკი სავსეა, ჩემო ბიჭო,

**ბიჭი** — იცი, პეპ...

**პეპი** — ხომ გითხარი — ოღონდ კი ხელი დაუქნე და...

**ბიჭი** — (უჩვეულოდ მოთენთილი). მორჩები თუ არა? რაღაც უნდა ვითხრა.

**პეპი** — ნახე ოლივერი?

**ბიჭი** — ვნახე. მოიცა, მამას ერთი რამ უნდა ვუთხრა და მინდა შენც დამემხარო.

**პეპი** — რა? მოგცემს ფულს?

**ბიჭი** — გავიყდი? ჭკუაზე ხომ არ შეშლილხარ?

**პეპი** — რატომ? რა მოხდა?

**ბიჭი** — (სულს ვეღარ ითქვამს). დღეს საშინელი რაღაც ჩავიდინე, პეპ. დღეს ჩემს ცხოვრებაში ყველაზე უცნაური დღე იყო. დამტვრეულივით ვარ, ღმერთმანი.

**პეპი** — შენ იმის თქმა გასცა, რომ არ მიგალი?

**ბიჭი** — ექვსი საათი ველოდე, გესმის? მთელი დღე ველოდი. რამდენჯერმე ვთხოვე მიღება, მდივანთან გაარსიყუბაც კი ვცადე, რომ შეგ შევეშვი, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

**პეპი** — იმიტომ რომ აღარ გჯერა შენი თავისა, ბიჭ, მაგრამ ოლივერს კი ეხსომები, უთუოდ ეხსომები.

**ბიჭი** — (ყესით შეაჩერებს). ბოლოს ასე, ხუთ საათზე, კაბინეტიდან გამოვიდა. არ ვახსოვარ, სულ არ ვახსოვარ, რა სულელად ვიგრძენი თავი, პეპ.

**პეპი** — ფლორენდაში რომ მოვიფიქრე, იმაზე არაფერი გითქვამს?

**ბიჭი** — გავიდა, თვალი ძლივს მოვკარი. ისეთმა ბრახმა მომიარა, კედელს დავანგრევედი. საიდან მოვიგონე ვითომ კომივიოიაჟარად ვიყავი მასთან? მეც, მეც კი დავიჯერე... ოლივერმა ერთი გადმოხედა და მაშინვე მივხვდი, რა უცნაური სიცრუე იყო მთელი ჩემი ცხოვრება. რას მზაობდებდა ამ თხუთმეტ წელიწადს! მე ოლივერის უბრალო აგენტი ვიყავი, მეტი არაფერი...

**პეპი** — მერე რა ჰქენი?

**ბიჭი** — (უკიდურესად დაძაბული, თითქოს სურს თავადაც გაერკვეს). ჰოდა, გავიდა, მდივანიც გავიდა. მოსაცდელ ოთახში მარტო მე დავარჩი. არ ვიცი, რა დამემართა, პეპ. მარტო ის მახსოვს, რომ მის კაბინეტში გავჩნდი, — კედლებს პანელი აქვს გადაკრული, მდიდრულია. ვერაფერს ვერ ავიხსნი, მე... მე ოლივერის კალამი ავიდე.

**პეპი** — ღმერთო ჩემო! ჩავავლო?

**ბიჭი** — გარეთ გამოვვარდი. თერთმეტი სართული კისრისტეხით ჩამოვირბინე, მოვრბოდი, მოვრბოდი...

**პეპი** — გავიყდი, ეგ როგორ...

**ბიჭი** — (გაწამებული). არ ვიცი, არაფერი არ ვიცი, მინდოდა. რამე აშელო. არაფერი ვიცი, შენ უნდა დამეხმარო, პეპ, მამას უნდა ვუთხრო ყველაფერი.

**პეპი** — გავიყდი? რაში გჭირდება?

**ბიჭი** — პეპ, მამამ ბოლოს და ბოლოს უნდა გავიგოს, რომ მე ის კაცი არ ვარ, ვისაც ამდენ ფულს ასესხებენ. მას ეჩვენება რომ ამ წლების განმავლობაში ყველაფერს მის კაბინეტზე ვაკეთებდი და სწორედ ეს ღრღნის.

პარტური მიღმერი

ბები — ამიტომაც რაიმე კარგი უნდა უთხრა.  
 ბიფი — არ შემძლია.  
 ბები — უიხარი, რომ ზვალ ოლივერთან ერთად სადილობ.  
 ბიფი — ზვალ რაღა ვჭნა?  
 ბები — ზვალ წახვალ სახლიდან და გვან დაბრუნდები. მამას კი ეტყვი, ოლივერმა ჯერ უნდა მოიფიქროს-სოფი. რამდენიმე კვირა ასე გავა, მერე კი ყველაფერი მიავიწყდება.  
 ბიფი — როდემდე?  
 ბები — მამა მხოლოდ მაშინ არის ბედნიერი, როდესაც იმედი აქვს.  
 შემოდის ვილი.  
 ბები — გამარჯობა, მამო!  
 ვილი — ღმერთო ჩემო, რამდენი წელია, რაც აქ არ ვყოფილვარ! (სტენლი ვილის უკან მოაყვება და სკამს დაუდგამს. გასვლას აპირებს, მაგრამ ბები შეჩერებს).  
 ბები — სტენლი!  
 სტენლი შეკვეთის ბოლოდინში შეჩერდება.  
 ბიფი — (დამნაშავეს ივრით უახლოვდება ვილის, ისე მიმართავს, როგორც ავადმყოფს). და-ჯექი, მამა. დალეე რამეს?  
 ვილი — რატომაც არა.  
 ბიფი — მოდი, ცოტა მოემადგრდე.  
 ვილი — შენ თითქოს შეწუხებული ხარ.  
 ბიფი — ა... არა (სტენლის). ვისკი სამივესთვის ორმაგი გააკეთე.  
 სტენლი — ახლავე მოგართმევთ (გადის).  
 ვილი — შენ უკვე გადაპკარი, არა?  
 ბიფი — სულ ცოტა.  
 ვილი — აბა, საქმე როგორ არის, ჩემო ბიჭო? (თანხმობის ნიშნად თავს უქნევს, ღიმილით). ხომ ყველაფერი რიგზეა?  
 ბიფი — (სულ ძლავს მოითქვამს, შემდეგ ვილის ჩაუჭიდება ხელში). ჩემო მეგობარო... (მხნელ იღიმება, ვილიც უღიმის). რომ იცოდე, დღეს რა გადაამხდა!  
 ბები — საშინელებაა, მამა!  
 ვილი — მართლა? როგორ იყო?  
 ბიფი — (აღვნივბით, ოდნავ შემთვრალი, თითქოს ფეხქვეშ მიწას ვერ გრძნობს). თავიდაც ბოლომდე დაწვრილებით გიამბობ ყველაფერს. დღეს უცნაური დღე გამოიყვანა. (ღუმოლი, გარშემო მიმოიხედავს, მხნეობას იკრებს, მაგრამ ხშირი სუნთთვის გამო სიტყვა უწყდება). დიდხანს ველოდი, და...  
 ვილი — ვის, ოლივერს?  
 ბიფი — ჰო, ოლივერს. სიმართლე რომ ვთქვა, მთელ დღეს ვუცდიდი და ამ ხნის განმავლობაში თითქმის მთელი ჩემი ცხოვრება გამახსენდა. ვინ თქვა, მამა? ვინ თქვა, ვი.ომ მე ოლივერთან კომივოთაიკერად ვმუშაობდი?  
 ვილი — შენ თვითონ თქვი.  
 ბიფი — არა, მამა, მე მხოლოდ უბრალო აგენტად ვიყავი მასთან...  
 ვილი — მაგრამ, ფაქტიურად ხომ...  
 ბიფი — (მტკიცედ). მამა, არ ვიცი, პირველმა ვინ მოიგონა ეგ ამბავი, მაგრამ ოლივერთან კომივოთაიკერად მე არასოდეს არ მიმუშავნია.  
 ვილი — რეებს ლაპარაკობ?  
 ბიფი — მოდი, დღეს მხოლოდ ფაქტებით ვილაპარაკოთ, მამო. ბაჭი-ბუჭს ნუ დავიწყებთ. მე ოლივერთან მხოლოდ აგენტად ვიყავი.  
 ვილი — (გამარზებით). კარგი, ახლა მეც მომიხსინე...  
 ბიფი — რატომ ბოლომდე არ მათქმევინებ?  
 ვილი — ეგ ძველი ამბები და წავის მსგავსი სისულელეები არ მაინტერესებს, იმიტომ რომ ფეხქვეშ მიწა გვეწვის, ბიჭებო, გესმით? ცეცხლში ვართ, ცეცხლში! დღეს სამსახურიდან დამითხოვეს.  
 ბიფი — (შემკრთალი). რას ამბობ?  
 ვილი — დიად, დამითხოვეს, და მინდა ოდნავ მაინც ვანუგეშო დედათქვენი. ის ქალი დიდხანს იცლავდა და ბევრს იტანჯებოდა. მთავარი ისაა, რომ თავი სულ ცარიელი მაქვს, ვეღარაფერი მომიფიქრებია; ბიფი. ამიტომაც ფაქტებსა და ფანტაზიაზე ლექციის კითხვას ნუ დამიწყებ, არ მაინტერესებს. ახლა მითხარი, რის თქმას აპირებდი? (შემოდის სტენლი, მოაქვს სამივესთვის ვისკი. იცლიან, ვიღერ სტენლი ვაივოდეს).



ვილი — ნახე ოლივერი?  
ბიფი — ღმერთო ჩემო!  
ვილი — შენ იმას ამბობ, რომ მასთან არც კი მისულხარ?  
შეპი — ბიფი იყო ოლივერთან.  
ბიფი — ვიყავი. მე... ვნახე. შენ როგორ გაგიბედეს დათხოვნა?  
ვილი — (სკამის კედელზე ზის). როგორ მიგიღო ოლივერმა?  
ბიფი — იმაზეც უარი გითხრა, რომ მხოლოდ საკომისიოზე იმუშაო?  
ვილი — სულ დამითხოვია! (დაცინებით). მითხარი, ოლივერმა კარგად მიგიღო?  
შეპი — რა თქმა უნდა, მამა, რა თქმა უნდა!  
ბიფი — (სხვა გამოსვლად აღარ აქვს). ასე ვთქვათ...  
ვილი — მე კი ვწუხები, ვაითუ ველარ იენოს-მეთქი! (პეპის). წარმოგიდგენია, კაცს ათი-თორ-მეტი წელიწადი იქნება, რაც არ უნახავს და ასე კარგად მიიღო!  
შეპი — აბა!  
ბიფი — (ცდილობს შეუტეოს). მამა, მომისმინე...  
ვილი — და იცი, რატომ დაგიხსნა? იმიტომ რომ წინათ მოეწონე...  
ბიფი — მოდით მშვიდად მოვილაპარაკოთ და სიმართლე ვთქვათ, კარგი?  
ვილი — ეს კარგი ამბავია, ბიფ. კაბინეტში შეგიყვანა თუ მოსაცდელ ოთახში ლაპარაკობდით?  
ბიფი — იცი, მოსაცდელში გამოვიდა და...  
ვილი — (იღიმება). რა გითხრა? სანაძლეოს დაედებ, რომ გადაგეხვია.  
ბიფი — უფრო სწორედ...  
ვილი — მშვენიერი ადამიანია. (პეპის). ხომ იცი, მაგასთან მოხვედრა ძალზე ძნელია.  
შეპი — (ეთანხმება). ვიცი, როგორ არა.  
ვილი — (ბიფს). ალბათ იქ დალიეთ, არა?  
ბიფი — კი, შევომთავაზა ორიოდ... არა, არა!  
შეპი — (აწყვეტინებს). ჩემი იდეაც უთხრა...  
ვილი — ნუ მაწყვეტინებ! (ბიფს). მერე ამ იდეაზე რაღა თქვა?  
ბიფი — მამი, მათქმევინებ თუ არა?  
ვილი — რაც აქ დაგვექმი, სულ მაგის ლოდინში ვარ, რა მოხდა? შეგიყვანა თავის კაბინეტში, მერე?  
ბიფი — მერე... ველაპარაკებოდი, ის კი ყურს მიგდებდა, გესმის?  
ვილი — ცნობილი ამბავია, რომ კარგი მოსმენა იცის. რა ვიპასუხა?  
ბიფი — ის მიპასუხა, რომ... (სიტყვას გაწყვეტს, ერთბაშად გაბრაზდება). მამა, შენ იმის სა-შუალებას არ მამძევ, რომ რაც მინდა ის გითხრა!  
ვილი — (ბრაზდებულური ტონით, გაბრაზებული). ოლივერი სულაც არ გინახავს, ხომ მარ-თალია?  
ბიფი — ვნახე!  
ვილი — შეურაცხყოფა ხომ არ მიაყენე? თქვი, შეურაცხყოფა მიაყენე?  
ბიფი — დამინებე თავი, გესმის, დამინებე თავი! ჯანდაბას ყველაფერი!  
ვილი — გამეგებინე, რა მოხდა!  
ბიფი — (პეპის). ამასთან ლაპარაკი არ შემიძლია!  
ისმის ბუკზე დაკრული ერთი ნოტის ყურისწამლები წივილი. გამოჩნდება მწვანეში ჩაფლული სახლი, რომელსაც ბინდი და ძილი დაჰპატრონებია. შემოდის პატარა ბერ-ნარდი და კარზე აკაკუნებს.  
პატარა ბერნარდი — (სასოწარკვეთილი). მისის ლომენ! მისის ლომენ!  
შეპი — უთხარი, რაც მოხდა!  
ბიფი — (პეპის). ხმა ჩაიკმინდე და თავი დამანებე!  
ვილი — არა, რატომ ჩაიკერი მათემატიკაში?  
ბიფი — რა მათემატიკა? რას ამბობ?  
პატარა ბერნარდი — მისის ლომენ, მისის ლომენ!  
გამოჩნდება ახალგაზრდა ლინდა.  
ვილი — (გაცოფებული). მათემატიკა! მათემატიკა! მათემატიკა!  
ბიფი — ნუ აღელდები, მამა!  
პატარა ბერნარდი — მისის ლომენ!  
ვილი — (გაბრაზებული). მაშინ მათემატიკაში რომ არ ჩაპირლიყავი, დღეს კაცი იქნებოდი!  
ბიფი — მაშ მომისმინე, მამა, მინდა ვიამბო რაც მოხდა, ყური დამეგდე!  
პატარა ბერნარდი — მისის ლომენ! მისის ლომენ!

ბიფი — მთელ ექვს საათს ვუცადე...

ჭეპი — რა ოხრობას ამბობ?

ბიფი — მდივანს ვათქმევინე, რომ ვუცდი, მაგრამ არ მიმიღო. ბოლოს ოლივერი... (განაგრძობს, მაგრამ მისი ხმა აღარ ისმის, ამავე დროს რესტორანში თანდათან ბნელდება).

პატარა ბერნარდი — ბიფი მათემატიკაში ჩაიჭრა!

ლინდა — რას ამბობ?

პატარა ბერნარდი — ბირნომმა მათემატიკაში ჩასჭრა! ატესტატს ვეღარ მიიღებს!

ლინდა — უნდა მისცენ უნივერსიტეტში ხომ უნდა შევიდეს! სად არის? ბიფ! ბიფ!

პატარა ბერნარდი — წავიდა... ცენტრალურ სადგურზე წავიდა.

ლინდა — ცენტრალურზე? მაშ ბოსტონში წასულა.

პატარა ბერნარდი — მია ვილი ბოსტონშია?

ლინდა — იქნებ ვილი მოელაპარაკოს მასწავლებელს. საწყალი ბიჭი, საწყალი ბიჭი! სახლა ბნელდება.

ბიფი — (მგვიდასთან ზის, ახლა მისი ხმა ისმის, ხელში ოქროს ავტოკალამი უჭირავს). ოლივერთან საქმე გათავებულია, ხომ გესმის? მისმენდი?

ვილი — (დაბნეული). როგორ არა, მაშინ მათემატიკაში რომ არ ჩაჭრილიყავი...

ბიფი — რაში არ ჩაეჭრილიყავი? რაზე ლაპარაკობ?

ვილი — ყველაფერს მე კი ნუ გადმომაბრალებს! მე ხომ არ ჩაეჭრილვარ, შენ ჩაიჭერი მათემატიკაში! რა კალმისტარია?

ჭეპი — სისულელეს ამბობ, ბიფ! განა რა უნდა ღირდეს ეს კალმისტარია...

ვილი — (ახლა შეამჩნევს კალმისტარს). ოლივერს კალმისტარია გამოართვი?

ბიფი — (მოქანცული). მაშ, ავი ამ წუთს ავიხსენი!

ვილი — ბილ ოლივერს ავტოკალამი მოჰპარე?

ბიფი — არა, კი არ მომიპარავს, სწორედ ახლა არ გეუბნებოდი!

ჭეპი — ავტოკალამი ხელში ეკავა და ოლივერი რომ შევიდა, აღღვეებულმა ჯიბეში ჩაიღო

ვილი — ღმერთო ჩემო!

ბიფი — მე სულაც არ მინდოდა მოპარევა, მაშა.

ტელეფონისტის ხმა — სასტუმრო „სტენდში“ გისმენთ. საღამო მშვიდობისა!

ვილი — (ყვირის). მე აქ არ ვარ!

ბიფი — (შეშინებული). მაშა, რა გემართება? (ის და ჰეპი დგებიან).

ტელეფონისტის ხმა — მისტერ ლომენ, ტელეფონთან გთხოვენ!

ვილი — აქ არ ვარ, გაჩერეთ!

ბიფი — (შეშინებული ვილის წინ ცალ მუხლზე იჩოქებს). მაშა, გამოვსწორდები, უთუოდ გამოვსწორდები! (ვილი აღგომას ცდილობს, ბიფი სვამს). იჯექი.

ვილი — არა, შენ არაფრად არ ვარგინარ, არაფრად...

ბიფი — ივარაგებ, მაშინ, რაიმე სხვა საქმეს გამოუნახავ; გესმის? ნულარ იწუხებ ამზე. (სახეზე ხელებს მოკიდებს, თავს აუწყებს). მოთხარი, რამე, მაშა.

ტელეფონისტის ხმა — მისტერ ლომენი არ პასუხობს, გავუგზავნო შეიკრივი?

ვილი — (წამოდგომას ცდილობს, თითქოს უნდა მივიდეს ტელეფონისტთან და ჩააჩუმოს). არა, არა, არა!

ჭეპი — ბიფს ისევე მოხედავს ბედი, მაშინ!

ვილი — არა, არა...

ბიფი — (თავს ადგას ვილის, უიმედოდ). მაშინ, მომისმინე, ყური დამიგდე! რალაც კარგი უნდა გითხრა. ოლივერი მოელაპარაკა თავის კომპანიონს ჰეპის იდეის შესახებ. მისმენ? ოლივერი... ოლივერი ელაპარაკა თავის კომპანიონს და მერე ჩემთან მოვიდა... ჩემი საქმე კარგად იქნება, გესმის? მაშა, ყური დამიგდე, ოლივერი ამბობს, რომ საქმე ახლა ფულია...

ვილი — მაშ... მოგცემს?

ჭეპი — მაშა, აი ნახავ, რას იზამს ბიფი!

ვილი — (ცდილობს წამოდგეს). მაშ ფული გექნება, ხომ? მოგცემს, მოგცემს?

ბიფი — (გაწამებული, ვილის აკაევებს სვამზე). არა, არა, მომისმინე, მაშა. ხვალ მათთან უნდა შესაღწეა, მაგრამ ვერ წავალ, გესმის?

ვილი — რატომ? შენ უბრალოდ...

ბიფი — კალამს რა ვუყუო, მაშა?

ვილი — კალამი დაუბრუნე, უთხარი, შემთხვევით ამიღია-თქო!

ჭეპი — არა, არა, უთუოდ ისაიღე მათთან!

ბიფი — არ შემძლია!

ვილი — უთხარი რომ კროსვორდის ამოხსნა გინდოდა და შემთხვევით აიღე მისი კალამი!

ბიფი — მომისმინე, ჩემო კარგო, ამ რამდენიმე წლის წინ ის ბურთები წავიღე, ახლა კი ამ კალმისტრით ვეახლო? ნუთუ ვერ ხედავ, რომ მისასვლელი პირი არა მაქვს? არა, ველარ ვეჩენებები სადმე სხვაგან ვცდი ბელს.

შეკრიკის ხმა — მისტერ ლომენი!

ვილი — ნუთუ არ გინდა რამეს მიადწიო?

ბიფი — მამა, რა პირით მივიღე ოლივერთან?

ვილი — საქმე ისაა, რომ შენ არ გინდა კაცი ვახდე!

ბიფი — (ახლა უკვე ბრაზმორეულად). მაგას რათ ამბობ? შენ გგონია, ჩემთვის ადვილა იყო ოლივერთან მისვლა იმის შემდეგ, რაც ჩავიდინე?

ვილი — მამ რატომ მიხვედი?

ბიფი — რატომ მივედი? რატომ მივედი? შენს თავს შეხედე! შეხედე, რას დაემსგავსე! სადღაც მარცხნიდან ქალის სიცილი ისმის.

ვილი — ბიფი, ხეალ შენ აუცილებლად წახვალ იმ სადილზე, არა და...

ბიფი — ვერ წაველ, მე არავის დავუბატიყნივარ.

მეპი — ბიფი, თუ ძმა ხარ...

ვილი — ჯიბრზე მექცევი?

ბიფი — მაგას ნუ მეუბნები! ჯანდაბას ყველაფერი!

ვილი — (ბიფის სილას გააწნავს და ბარბაცით მოშორდება მაგიდას). შე უსინდისოვ, საზიზღარო! ჯიბრზე მექცევი?

ქალი — კარებთან ვილაც დგას, ვილი!

ბიფი — არ ვარგევიარ; ხომ ხედავ, რაცა ვარ!

მეპი — (აწველებს). რასა შერბით, რესტორანში ხართ! აბა გაათავეთ! (შემოდინ ქალიშვილები). გაგიმარჯოთ, გოგოებო, დასხედით!

მარცხნიდან ქალის სიცილი ისმის.

მის ფორსაიტი — სჯობს მართლაც დაესხედო. იცნობდეთ, ეს ლეტაა.

ქალი — ვილი, გაღვიძებას აღარ აპირებ?

ბიფი — (ვილის ყურადღებას არ აქცევს). როგორ გიციტხოთ, გოგოებო, დასალეველ რას ისურვებთ?

მის ფორსაიტი — ლეტა დიდხანს ვერ დარჩება.

ლეტა — დილაზე ადრე ვარ ასადგომი. მსაჯულად ამირჩიეს. ისე ველავა! თქვენ, ყმაწვილებო, ყოფილხართ როდესმე მსაჯულად?

ბიფი — მსაჯულად არ ვყოფილვარ, მაგრამ მსაჯულების წინ კი ვმდგარევი! (ქალიშვილები იცინიან). ეს მამაჩემი გახლავთ.

ლეტა — რა სიმპატიური კაცია! ჩვენთან ჩამოჯექით, მამილო.

მეპი — დასვი, ბიფი.

ბიფი — (მიდის მამასთან). წამო, შე ზარშაცო, ერთი მაგრა გამოგვათერე! ჯანდაბას ჯნელოფერი! წამო, ჩემო მეგობარო, დაჯექი.

(ვილი ლამის დაყვეს ბიფის უკანასკნელ თხოვნას).

ქალი — (ახლა დაყინებით). ვილი, აპირებ თუ არა კარის გაღებას?

(ქალის ხმა ვილის უკან დააბრუნებს. დაბნეული მიდის მარჯვენა).

ბიფი — საით მიდიხარ?

ვილი — კარი გააღე.

ბიფი — რა კარი?

ვილი — საპირფარეოსი... კარი... სად არის კარი?..

ბიფი — (მიჰყავს ვილი მარცხნივ). ქვევით ჩადი. ვილი მიდის მარცხნივ.

ქალი — ვილი, ვილი, ბოლოსდაბოლოს აღარ ადგები, აღარ, აღარ, აღარ!

(ვილი გადის მარცხნივ).

ლეტა — რა კარგია, რომ მამაც თან დაგყავთ!

მის ფორსაიტი — არა მგონია, ეგ მართლა მამათქვენი იყოს!

ბიფი — (მარცხნივ დგას, მისს ფორსაიტს გაბრაზებული მოუბრუნდება). მისს ფორსაიტ, თქვენს გვერდით ამ წუთში პრინცმა ჩაიარა. კეთილშობილმა, დაღვრემილმა პრინცმა. შრომით დამაშვრალმა პრინცმა. ჩვენმა მეგობარმა, გესმით? საუკეთესო მეგობარმა. თავისი ბიჭებისათვის ეგ არაფერს დიწმურებს.

ლეტა — რა სასიამოვნოა!





- ბები** — აბა, გოგოებო, რა პროგრამა გეაქვს? დროს უქმად ეკარგავთ. შენც მოდი, ბიფ, ერთად მოვილაპარაკოთ. თქვენ რას იტყვით, საით წავიდეთ?
- ბიფი** — შენ რატომ არაფერს გააკეთებ მისთვის?
- ბები** — მე?
- ბიფი** — ნუთუ შენ სულ არ გეწვის მისთვის გული, ჰებ?
- ბები** — რას ამბობ, განა მე...
- ბიფი** — მე მგონი, შენ ის ფეხებზე გკიდია! (ჯიბიდან ამოიღებს დახვეულ რეზინის მილს და ჰეპის წინ აღუდებს). თუ ლმერთი გვამს, შეხედე ერთი, რა ვიპოვე სარდაფში. ნუთუ გულზე სულ არ გეკარება?
- ბები** — ჰის, მე? თუ მაგრეა, სახლიდან ვინ წავიდა? ვინ გადაიკარგა და...
- ბიფი** — ეგ მაგრე იყოს, მაგრამ შენ გული სულ არ შეგტყვივ. შენ შეგეძლო გეხსნა — მე კი არ შემიძალა! ნუთუ არ გეხსნის, რაზე გელაპარაკები? თავის მოკვლას აპირებს, განა ვერ ხელები?
- ბები** — მე და... ვერ ვხელები? მე!
- ბიფი** — ჰებ, მიშველე! იესო ჭრისტე, შენ იხსენი... მიშველე, მიშველე, მისი სახის ყურებას ველარ ვუძღბე! (თითქმის ატირებული საჩქაროდ გადის მარჯვნივ).
- ბები** — (მისდევს). სად მიდიხარ?
- მის ფორსაიტი** — ასე რამ გააცოფა?
- ბები** — წამოდით, გოგოებო, წუთში დავეწვეით.
- მის ფორსაიტი** — (რომელიც ჰეპის თითქმის ძალით გაჰყავს). იცით, თქვენი ძმის ხასიათი რაღაც არ მომწონს!
- ბები** — ცოტა განერგოვლებულია, მალე გაუვლის!
- ვილი** — (მარცხნიდან, როცა ქალი იცინის). ხმა არ გასცე! ხმა არ გასცე!
- ლეტა** — განა მამათქვენს არ ეტყვი, რომ...
- ბები** — ვინ გითხრათ, რომ მართლა მამანემა? ისე, უბრალო ნაცნობია. წამო, ბიფს დავეწვიოთ, ჩემო გოგონო, ნახე როგორ გაქეიფოთ! სტენლი, ანგარში მომიტანე, ეი, სტენლი! (გადიან, სტენლი მარცხნივ იყურება).
- სტენლი** — (გაბრაზებული ეძახის). მისტერ ლომენ! მისტერ ლომენ!  
სტენლი აიღებს სკამს და მისდევს მათ. მარცხნივ კაკუნი ისმის, სიცილით შემოდის ქალი. ვილი მოჰყვება. ქალს შავი კომბინეზონი აცვია, ვილი პერანგის ღილებს იგრავს. მათ ლაპარაკს თან სდევს აშკარად ენებიანი მუსიკა.
- ვილი** — სიცილს არ მორჩები? არ გაათავებ?
- ქალი** — კარის ვალებას არ აპირებ? ასე ხომ მთელი ოტელი გააღვიძა!
- ვილი** — მე აქ არავის ველი.
- ქალი** — რატომ კიდევ არ დაღვე, საყვარელო, მაშინ იქნებ მარტო შენს თავზე არ იფიჭრო?
- ვილი** — მე ისე მარტო ვარ...
- ქალი** — იცი, ვალი, შენ მე სულ გამაფუჟე! ამის შემდეგ როცა არ უნდა ჩამოხვიდე, მაშინვე გაგიჩენ მუშტრებს! ჩემს მაგიდასთან ცლა აღარ დატვირდება, ვილი. შენ მე სულ გამაფუჟე!
- ვილი** — ძალიან მადლობელი ვიქნები შენი.
- ქალი** — ლმერთო, რა ეგოისტი ხარ! შენზე დაღვრემილი და ეგოისტი ჩემს დღეში არავცნ მი-ნახავს. (იცინის, ვილი ჰკოცნის). წამო, შევიდეთ, ჩემო მეწვრილმანვე. სისულელეა შუაღამისას ტანთ ჩაცმა. (კაკუნი ისმის). კარს არ გააღებ?
- ვილი** — აქ შეცდომით აკაკუნებენ.
- ქალი** — მე თუ კაკუნი შესმის, მას ვარეთ ჩვენს ლაპარაკსაც გაიგებენ. იქნებ ოტელს ცეცხლი გაუჩნდა?
- ვილი** — (შიში იპყრობს). რაღაც გაუგებრობაა.
- ქალი** — მას უთხარი, მოშორდეს აქ! დან!
- ვილი** — იქ არავინ არის.
- ქალი** — ეს კაკუნი ნერვებს მიშოის, ვილი. კარებთან ვილაც დგას და ეს მე ნერვებს მიშლის!
- ვილი** — (ქალს მოიშორებს). კარგი, სააბაზანოში შედი და არ გამოხვიდე. მგონი მასაჟუზეტ-ში რაღაც კანონი უნდა იყოს ამაზე... არ გამოხვიდე. ჩემის აზრით ის ახალი პორტიე უნდა იყოს. ქვეშევეა ვინმე ჩანს. მას ვარეთ არ გამოხვიდე. ხანძარი კი არა, რაღაც გაუგებრობაა. (კაკუნი კვლავ ისმის. ვილი ქალს რამდენიმე ნაბიჯით მოშორდება და ქალი კულისებში გადის. სინათლე ვილს მიჰყვება და ახლა იგი უბატუი ბიფის პირისპირ დგას, რომელსაც ხელში ჩემოდანი უჭირავს. ბიფი მამისკენ მიდის. მუსიკა მიწყდა).

**ბიფი** — კარებს რატომ არ მიღებდი?

**ვილი** — ბიფ, ბოსტონში რა გინდა?

**ბიფი** — კარს რატომ არ მიღებდი? მთელი ხუთი წუთი ვაკაუტებდი, ტელეფონითაც გამოგიახე...

**ვილი** — მხოლოდ ახლა გავიგე. სააბაზანოში ვიყავი, კარი დაკეტილი მქონდა, შინ ხომ არაფერი მოხდა?

**ბიფი** — მაი... მე შენ მოგატყუე...

**ვილი** — რა იყო?

**ბიფი** — მაი...

**ვილი** — ბიფ, რაზე ლაპარაკობ? (ბიფს ხელს გადახვევს). წამო, ქვევით ჩავიდეთ, ლუდს დაგალევიანებ.

**ბიფი** — მაი, მათემატიკაში ჩავიჭერი.

**ვილი** — გამოსაშვებ გამოცდაზე?

**ბიფი** — ჰო, გამოსაშვებზე. ნიშნები არ მყოფნის სასწავლებლის დასამთავრებლად.

**ვილი** — ნუთუ ბერნარდმა არ გიკარნახა?

**ბიფი** — როგორ არა, ძალიან ცდილობდა, მაგრამ 61 ქულაზე მეტი ვერ მოვაგროვე.

**ვილი** — ოთხი ქულის მომატება აღარ მოინდომეს?

**ბიფი** — ბირნბომი ცივ უარზე იყო, მე ძალიან შევეხევეწე, მაი, მაგრამ ნიშანი არ ამიწია. სანამ სკოლას დახურავდნენ, უნდა მოასწრო ბირნბომის ნახვა. როცა ვნახავ, რა კაციც ხარ, შენებურად რომ დაუწყებ ლაპარაკს, დარწმუნებული ვარ ნიშანს დამიწერს. სწორედ მისი გაკვეთილის წინ საწვრთნელი ვარჯიში მქონდა ხოლმე და ხშირად ვუცდიდნენ. ხომ მოელაპარაკები? შენ უთუოდ მოეწონები, მაი. შენ ხომ კარგი ლაპარაკი იცი.

**ვილი** — ნუ, შიშობ, ახლავე წავალთ.

**ბიფი** — აი, ეს მესმის, მაი. ნახე, შენი ხათრით ნიშანი თუ არ ამიწიოს.

**ვილი** — ჩაი ქვევით და კლერკს უთხარი ანგარიში მომიზადოს. აბა, ჩქარა!

**ბიფი** — ახლავე, სერ! მაი, იცი ბირნბომს რათ ვტელვარ? — ერთ დღეს კლასში დააგვიანდა, მე კი დაფასთან დავდექი და გამოჯავრება დავიწყე. თვალები გავიელმე და მისავეთ აეჩიფჩიფდი...

**ვილი** — (სიცილით). მართლა? ბიჭებს მოეწონათ?

**ბიფი** — კინალამ სიცილით დახვინე!

**ვილი** — მართლა? აბა, როგორ გადააჯვრე?

**ბიფი** — (ჩიფჩიფით). კუბური ფესვი სამოცდასამიდან იქნება... (ვილის სიცილი წასკდება, ბიფიც აპყვება) და სწორედ ამ დროს არ შემომისწრო!

ვილი იცინის, კულისებიდან ქალის სიცილი უერთდება.

**ვილი** — (სასწრაფოდ). აბა, ჩქარა ქვევით ჩაი და...

**ბიფი** — აქ ვინმე არის?

**ვილი** — არა, მეორე ოთახიდან ისმის.

კულისებიდან კვლავ ისმის ქალის სიცილი.

**ბიფი** — შენს სააბაზანოში ვინმე არის?

**ვილი** — არა, მეორე ოთახში სუფრა აქვთ გაშლილი...

**ქალი** — (სიცილით შემოდის, ენის მოკიდებით). შეიძლება შემოვიდე? აბაზანაში რაღაც არის, ვილი, მოძრაობს.

ვილი შეხედავს ბიფს, რომელიც პირდაღებული და შემარწუნებელი შესცქერის ქალს.

**ვილი** — ოჰ... იცით, თქვენ სჯობს თქვენსავე ოთახში წახვიდეთ. ალბად უკვე მორჩნენ შედეგებს. ამის ოთახს ღებავენ და ამიტომ ნება მივციე ჩემს სააბაზანოში მივიღო შხაი. წადით, წადით... (ავღებს).

**ქალი** — (უწინააღმდეგება). ტანთ ხომ უნდა ჩავიკვა, ვილი, ასე სად შემიძლია...

**ვილი** — მოშორდი აქედან! წადი, წადი... (ერთბაშად გადაწყვეტს ჩვეულებრივად ჩაატაროს ყველაფერი): ეს მისს ფრენისია, ბიფ, ჩვენი მუშტარი, ამის ოთახს ღებავენ. წადით თქვენს ოთახში, მისს ფრენისს, წადით...

**ქალი** — ჩემი ტანსაცმელი! გარეთ ტიტველა ხომ ვერ გავალ!

**ვილი** — (ავღებს კულისებისაკენ). მოშორდი აქედან! მოშორდი, მოშორდი! ვიდრე გარეთ კამათი ვრძელდება, ბიფი ნელა ჩამოჯდება ჩემოლანზე.

**ქალი** — წინდები სად არის? შენ აქი წინდებს დამპირდი, ვილი!

**ვილი** — მე აქ არავითარი წინდები არ მაქვს!



ქალი — ჩემი თვალთ ვნახე ორი კოლოფი ცხრა ნომერი თბელი წინდებისა, უნდა მომეც!  
ვილი — აბა, ღვთის გულისათვის, ოღონდ მოზორდი აქედან!

ქალი — (შემოდის, ხელში წინდების კოლოფი უჭირავს). ნეტა პოლში არაფერ იყოს! (ბიფს). რას თამაშობთ — ფეხბურთს?

ბიფი — ფეხბურთს.

ქალი — (შეურაცხყოფილი, გაბრაზებული). აი, მეც მამბურთავებენ. ღამე ნებისა! (გამოგლეჯს ვილის თავის ტანსაცმელს და გადის).

ვილი — (პაუზის შემდეგ). აბა, წავიდეთ. ამ დილითვე უნდა მოვასწრო სკოლაში მისვლა. გადმოილე გარდერობიდან ჩემი კოსტიუმები. მე ჩემოდანს ჩავალაგებ. (ბიფი არ იძვრის). რა მოხდა? (ბიფი კვლავ უძრავად დგას, ცრემლები ჩამოსდის). ეგ ქალი ჩვენი მუშტარია. ჯ. პ. სიმონისათვის საქონელს იძენს. ამავე დერეფანში ცხოვრობს... მაგის ოთახს ახლა ღვბავენ. შენ ნუ გგონია... (დადუმდება. პაუზის შემდეგ). დამიგდე ყური, ჩემო ბიჭუნო, ეგ ქალი მართლა ჩვენი მუშტარია. საქონელს თავის ოთახში იღებს ხოლმე და ამიტომ წესრიგში უნდა ჰქონდეს... (პაუზა, ახლა ვითომ ბრძანებით). აბა, გამოილე ჩემი ტანსაცმელი! (ბიფი არ ინძრევს). მორჩი ტირილს და გააკეთე, რასაც გეუბნებიან. გიბრძანებ! ბიფ, გიბრძანებ-მეთქი! ამასა ჰქვიან ბრძანების შესრულება? რა გატირებს! (ბიფს ხელს გადახვევს). ბიფ, დამიგდე ყური—როცა გაიჭრდები, მაშინ ყველაფერს გაიგებ. შენ... ნუ კი ვააზვიადებ ამ ამბავს. ამ დღას პირველ რიგში ბირნბომს ენახავ.

ბიფი — საჭირო არ არის.

ვილი — (ჩაიწოქებს ბიფის გვერდით). როგორ თუ საჭირო არ არის? ბირნბომმა უთუოდ უნდა დაგიწეროს ნიშანი. მაგ საქმისა მე ვიცი.

ბიფი — ის შენ არც კი მოგისმენს.

ვილი — ენახოთ, როგორ თუ არ მომისმენს. შენ აუცილებლად გპირდება ეგ ნიშანი ვირჯინიის უნივერსიტეტში მოსახვედრად.

ბიფი — მე იქ შესვლას არ ვაპირებ.

ვილი — რა? თუ ნიშნის დაწერაზე ვერ დავითანხმე, ზაფხულში მოემზადები და გადააბარებ. ზაფხული ჯერ წინ არის...

ბიფი — (ტირილი წასვლება) მამი...

ვილი — (გულჩაჩუყებული). ოჰ, ჩემო ბიჭუნო...

ბიფი — მამი...

ვილი — ეგ ქალი სულ არაფერია ჩემთვის, ბიფ. მე ისე, მარტო ვიყავი, საშინლად მარტო...

ბიფი — შენ... შენ იმ ქალს ღვდას წინდები მიეცი! (ცრემლები დაბალუბით ჩამოსდის, წასასვლელად წამოდგება).

ვილი — (ჩაეჭვიდება). ბიფ, მე შენ გიბრძანებ!

ბიფი — ხელი გამიშვი, შე მატყუარავ!

ვილი — ამ წუთში ბოლიში მოიხდა!

ბიფი — შე ფლიდო, უსინდისო მატყუარავ! ფლიდო! (ღონეგამოცლილი გულამოსკენით მტორალი სწრაფად გაბრუნდება. ცაღის ჩემოდნით ხელში. ვილი დაჩოქილი რჩება).

ვილი — მე ხომ გიბრძანებ! ბიფ, ახლავე დაბრუნდი, თორემ გცემ! ახლავე დაბრუნდი! გცემ, გცემ! (მარჯვნიდან სწრაფად შემოდის სტენლი და ვილის წინ გაჩერდება).

ვილი — (უყვირის სტენლის). მე შენ გიბრძანებ...

სტენლი — დაკარგეთ რამე, მისტერ ლომენ? აბა, ავღვთო... (ეხმარება ადგილამაგი). თქვენი ბიჭები იმ გოგოებთან ერთად წაეიდნენ. დიხბარეს, სახლში გნახათო. (ცოტა მოზორებით მეორე ოფიციანტი დგას და უყურებს).

ვილი — კი, მაგრამ ჩვენ ხომ ერთად უნდა გვესაღილა... (ისმის მუსიკა — ვილის თემა).

სტენლი — შეგაძლავთ მარტო წასვლა?

ვილი — კი... როგორ არა... (ერთბაშად დაიხედავს ტანსაცმელზე). ყველაფერი... ყველაფერი რიგზე მაქვს?

სტენლი — დიად, ყველაფერი. (ლაკიანიდან მტვერს გადაუფერტხავს).

ვილი — ეს შენ... დოლარია.

სტენლი — თქვენი ვაჭი უკვე გამისწორდა. ნუ შეწუხდებით.

ვილი — (სტენლის დოლარს ხელში ჩაუღებს). არა, გქონდეს, შენ კარგი ბიჭი ხარ.

სტენლი — არა, არა, რა საჭიროა...

ვილი — მანდ... მანდ ცოტა მეტია... მე აღარ მჭირდება. (მცირე პაუზის შემდეგ). ერთი ზოთახარი, აქ ახლომახლო სადმე თესლეულის მაღაზია თუ არის?

**სტენლი** — თესლეული? დასათესი თესლეული გინდათ?

როდესაც ვილი მობარუნდება, სტენლი ჯიბეში უდებს ფულს.

**ვილი** — დიალ. სტაფილო, მუხუდლო...

**სტენლი** — მეექვსე ავენიუზე საოჯახო საქონლის მაღაზია, მაგრამ ახლა იქნებ დაკეტეს, უკვე გვიანაა...

**ვილი** — (აღეღებული). მამ ჩქარა წავალ. თესლეული უთუოდ უნდა ვიშოვო, არაფერი დამითესია, სულ არაფერი.

ვილი საჩქაროდ გადის, სინათლე მქრქალდება. სტენლიც მიჰყვება და თვალს ადევნებს. მეორე ოფიციალტიც ვილის მისჩერებას.

**სტენლი** — (ოფიციალტი). აბა, რას დაგიქყვითა ეგ თვალეში?

ოფიციალტი იღებს სკამებს და გადის მარჯვნივ. სტენლის მიაქვს მაგიდა და მიჰყვება. ამ დღეილას სინათლე ქრება. ხანგრძლივ პაუზას ფლევტის ყრღრა აესვებს. თანდათანობით სამზარეულოში სინათლე ინთება. იქ არაფერია. სახლის კარებთან გამოჩნდება ჰეპი, უკან ბიფი მოჰყვება. ჰეპის ხელში ვარდის გრძელი რტოები უქიარავს. შედის სამზარეულოში, თვალთ ლინდას ეძებს. რაკი ვერსად ღინახავს, სახლის კარებთან მდგარ ბიფს მიუბრუნდება და ხელით ანიშნებს — „მგონი აქ არ უნდა იყოს“ შეიხედავს სასტუმრო ოთახში და გაშეშდება. იქ ლინდა ზის, მუხლებზე ვილის პიჯაკი უდევს. განრისხებული უბრად. ადგება და უახლოვდება ჰეპის, რომელიც შეშინებული უკან-უკან იხევს.

**ჰეპი** — დედი, ფეხზე რატომ ხარ? (ლინდა უსიტყვოდ, წყრომით უახლოვდება). მამა სად არის? (უკან-უკან, მარჯვნივ იხევს და ლინდა სასტუმრო ოთახის კარებში ახლა თავითფეხებამდე ჩანს). სძინავს?

**ლინდა** — სად ბრძანდებოდით?

**ჰეპი** — (ედილობს სიცოცხლე ჩაუტაროს). იცი, დედა ორი ისეთი გოგო გავიციანით, პირდაპირ გასაფიქრებელი. ნახე, რა კარგი ყვავილები მოგიტანე? (აწვდის). შენს ოთახში დადგი.

ლინდა ხელს გაჰკრავს, ყვავილები ბიფის ფეხებთან ეცემა. ბიფი ახლა შეგნით შედის და კარს მიიხურავს. ლინდა მას უსიტყვოდ მისჩერება.

**ჰეპი** — რატომ, დედიკო? როგორ მინდოდა ყვავილები გქონოდა...

**ლინდა** — (ბიფს განრისხებული). ნუთუ სულ არ გაწუხებს — მამაშენი იცოცხლებს თუ მოკვდება?

**ჰეპი** — (შიდის კიბეებისკენ). შენც წამო, ბიფ.

**ბიფი** — (ზიზღით ჰეპის მიმართ). თავი დამანებე! (ლინდას). შენ მაგით რისი თქმა გინდა — იცოცხლებს თუ მოკვდება? ჩემო მეგობარო, მგონი აქ ჯერ არაფერი მომკვდარა.

**ლინდა** — თვალთ არ დამენახო! მოშორდი აქედან!

**ბიფი** — მე ოჯახის უფროსის ნახვა მინდა.

**ლინდა** — ახლოც არ გაეკარო!

**ბიფი** — სად არის? (შიდის სასტუმრო ოთახისკენ, ლინდა მიჰყვება).

**ლინდა** — (უყვირის). სადილად დაპატყე, მთელი დღე ელოდა — (ბიფი მშობლების სწოლო ოთახში გამოჩნდება, მიიხედ-მოიხედავს და ჭავა). და თქვენი კი მიატოვეთ! მაგრე უცხო-საც არ მოექცევიან!

**ჰეპი** — რატომ? მამამ კარგი დრო გაატარა ჩვენთან ერთად. ყური დამიგდე — ნუშე გამთენ-ბია (ლინდა სამზარეულოში ბრუნდება). ის დღე, როცა მე მამას მიატოვებ!

**ლინდა** — გაეთრიე აქედან!

**ჰეპი** — დედიკო, მომისმინე...

**ლინდა** — აუცოლებელი იყო ამდამაც გოგოებში თრეულიყავი? შე გახრწნილო... (სამზარეულოში შემოდის ბიფი).

**ჰეპი** — დედა, მინდოდა ბიფი ცოტა მაინც გაშერთო. (ბიფს). ბიჭო, ეს რა დღეში ჩამავლე.

**ლინდა** — ორეფენი წყითორიე და აქ ფეხი აღარ მოადგათ! მამათქვენს აღარ გაწამებნებთ! წაიღეთ თქვენი ბარგი და მოშორდით! (ბიფს). შენ შეგიძლია მაგასთან დაიძინო. (ყვავილების აკრეფას დაპირებს, მაგრამ შეჩერდება). აიღეთ ეს ნაგავი, მეყო თქვენი მოსამსახურეობა აბა, შენ, სალახანავ, აკრიფე! (ჰეპი უარის ნიშნად ზურგს შეაქცევს. ბიფი ნელა მივა, იჩოქებს და კრეფს ყვავილებს).

**ლინდა** — ნამდვილი მხეცები ხართ! აბა, სხვა ვინ გამოიჩენს ისეთ გულქვაობას, რომ მამა მარტო მიატოვოს რესტორანში!

**ჰეპი** — დედიკო, ხომ გეუბნები, მამა ჩვენთან მხოარულად იყო...

**ბიფი** — (გაბრაზებული აწყვეტიანებს). ხმა ჩაიწყვიტე! (ჰეპი სიტყვის უთქმელად აღის კიბეებზე).

ლინდა — შენი შენ არც კი გაყვევი, რომ გენახა მიანიც — რა დღეში იყო.  
 ბიფი — (ლინდას წინ მუხლებზე დგას, ხელში ყვავილები უჭირავს, თავის თავისადმი სიძულ-  
 ვილით). არა, არ გავყვევი არა! როგორ მოგწონს? საპირფარეოში მარტო დაეტოვე, იქ  
 რალაცეებს ბოდავდა...

ლინდა — უსინდისოვ...  
 ბიფი — სწორია! (ღვება, ყვავილებს სანაგვეში ყრის). აი, შემხედე — უსინდისო ვარ!  
 ლინდა — გაეთრიე აქედან!  
 ბიფი — ჯერ ოჯახის უფროსს მოველაპარაკებო, დედა. სად არის?  
 ლინდა — ახლოს არ გავკარო. მოშორდი ამ სახლიდან!  
 ბიფი — (დაბეჯითებით, მტკიცედ). არა, ჯერ ერთი კარგად მოველაპარაკებო, პირისპირ.  
 ლინდა — ხმასაც ვერ ვასცემ! (სახლის მარჯვნიდან ისმის ჩაქუჩის კაკუნი, ბიფი ხმაურზე მიბ-  
 რუნდება).

ლინდა — შენი ჭირიმე, დაანებე თავი!  
 ბიფი — იქ რას აკეთებს?  
 ლინდა — ბოსტნეულს თესავს!  
 ბიფი — (ნლა). ახლა? ოპ, ღმერთო ჩემო!  
 (გადის გარეთ, ლინდა მიჰყვება. სინათლე აქ ქრება და ინთება ავანსცენის შუაგულ-  
 ში, როდესაც იქ ვილი გამოდის. მოაქვს ფანარი, აოხი და თესლეულის პაკეტები. თოხს  
 გასამარებლად ტარიდან ურტყამს და შემდეგ მიდის მარცხნივ, თან მანძილს ნაბიჯით  
 ზომავს. ფანარით გაანათებს პაკეტებს, კითხულობს თესვის წესებს. გარს ღამის ბინდი  
 ახვევია).

ვილი — სტაფილო... თითო სანტიმეტრის დაშორებით... კვლები ერთმანეთისგან ნახევარ-ნახე-  
 ვარი მეტრის სიშორეზე... (ზომავს). ესეც ნახევარი მეტრი. (ძირს დებს პაკეტს და კვლავ  
 ზომავს, საღათი. (კითხულობს წარწერას და პაკეტს ძირს დებს). ნახევარი მეტრი... (სი-  
 ტყვას გაწყვეტს, მარჯვნიდან შემოდის ბენი და ნელნელა მისკენ მიემართება). შენ გეს-  
 მის, როგორი საქმეა? — პა-პა-პა! საშინელებაა, საშინელება. იმითომ რომ ეს ქალი  
 ბევრს იტანჯა, ბენ, ძალიან ბევრს. გამიგე? კაცი ისე ხომ ვერ წავა, როგორც მრვიდა,  
 თავის შემდეგ რალაც ხომ უნდა დატოვოს. შენ არ შეგიძლია, შენ არ შეგიძლია... (ბენი  
 მისკენ მიდის, თითქოს იმისთვის, რომ სიტყვა შეაწყვეტინოს) აი, შენ თვითონ მოი-  
 ფიქრე. პასუხზე ნუ აჩქარდები. დაიხსომე — ოცი ათასი დოლარის გარანტიაა. ახლა ყუ-  
 რი დამიგდა, ბენ, მინდა კარგად აწონ-დაწონო ყველაფერი. შენც ხომ იცი, სხვას ვე-  
 რავის ველაპარაკებო, ის ქალი კი ბევრს იტანჯა, ბევრს, გესმის?..

ბენი — (ერთ ადგილას დგას, ფიქრობს) რა საქმეა?  
 ვილი — ოცი ათასი დოლარი. ნაღია. გარანტირებული, ნაღია, გესმის?  
 ბენი — სისულელე არ ჩაიდინო. ხომ შეუძლიათ სადაზღვევო პოლისით ფული არ გადაგი-  
 ხადონ.

ვილი — უარს როგორ გაბედავენ? განა წლებზე ფეხს არ ვიდგამდი, რომ ყოველი გადასახა-  
 დი თავის დროზე შემეტანა? ახლა არ გადამიხდინა? შეუძლებელია!

ბენი — მაგას სიმბალეს ეძახიან, ვილიამ.  
 ვილი — რატომ, განა მეტი ვეპეკობაა იცოცნლო, როცა იცი, რომ შენი ფასი არაფერი?  
 ბენი — (უთმობს). იქნებ შენ სწორად იყო, ვილიამ. (დაფიქრებულ მიდინ-მოდის, მიუბრუნდე-  
 ბა) ოცი ათასი სახუმარო არ არის, ნამდვილია, ხელით იტრინობ.

ვილი — (ეხლა უკვე დარწმუნებული, გულმოცემული). ოპ, ბენ, საქმეც სწორედ ეგ არის ისე  
 მეჩვენება, თითქოს აღმასივით ბრწყინავს სიბნელეში, მაგარია, მყარი, შემოძლიან ავი-  
 ლო და ხელით მოუსინჯო. ეს რალაც... რალაც საქმიან შეხვედრას კი არ ჰკავს! ჩაფლავე-  
 ბულ შეხვედრას... ეგ ყველაფერს შეცვლის, ბენი იცი, ის ბიჭი მე არაბობადა მთვლის  
 და ვეზიზღები. მაგრამ დასაფლავება... (წულში გაიმართება). დასაფლავება კი დიდებუ-  
 ლი იქნება! ჩამოვლენ მენიდან, მასაჩუხეტსიდან, ვერმონტიდან, ნიუჰემპშირიდან! ჩემი  
 ძველი ნაცნობები თავისი მანქანებით... ბიჭი სულ გაგიკდება, ბენ, მის ხომ აზრალაც არ  
 მოსდის, რომ მე მიცნობენ! როდღიღენღში, ნიუ-იორკში, ნიუჯერსიში—ყველგან, ყველ-  
 გან მიცნობენ, ბენ, ხომ ნახავს ის ბიჭი თავისი თვალთ ერთხელ და სამუდამოდ. გაი-  
 ვებს რაცა ვარ, ბენი! ნახე, ნახე რა მოუვიდეს!

ბენი — (კვლებთან მივა). მხალს დაგიძახებს!  
 ვილი — (ერთბაშიად შეშინებული). რას ამბობ, ეს საშინელებაა...  
 ბენი — ასეა. სულელადაც ჩავთვლის.  
 ვილი — არა, არა! როგორ შეიძლება! (მოტეხილი, სასოწარკვეთილი).

**ბენი** — შეგიზიზღებს, ვილიამ.

ისმის მხიარული მუსიკა ბიჭების თემაზე.

**ვილი** — ოჰ, ბენ, ნეტავ იმ დროს! რა ხათელი დღეები გვექონდა, ზამთარში ციკურებზე რომ ვსრიალებდით, როგორ აუწითლდებოდა ხოლმე ლოყები! რამდენი სიხარული გვექონდა, მოძველისგან მუდამ კარგს მოველოდით. შინ ჩემოდნების შეტანას თავის დღეში არ მანებებდნენ, მერე როგორ უვლიდნენ, როგორ ელოლიაებოდნენ იმ პატარა წითელ მანქანას! რატომ, რატომ ვერ უნდა დაეუტოვო რამე, რომ აღარ ვძულდე?

**ბენი** — დამაცადე მოვიფიქრო. (საათზე დაიხედავს). კიდევ მაქვს ცოტა დრო. დიდებული საქმეა, მაგრამ წინდაწინ ნამდვილად კი უნდა იცოდე, რომ ისე უნდა იყოს არ ჩაღიხარ!

ბენი ნელა მიდის სცენის სიღრმისკენ და უჩინარდება. მარცხნიდან შემოდის ბიფი.

**ვილი** — (ერთბაშად იგრძნობს ბიფის მოახლოებას, მიბრუნდება და შეხედავს, შემდეგ შემცბარნი მიწიდან პაკეტების აკრეფას იწყებს). სად ჯანდაბაშია თესლები? (აღშფოთებით). კაცი ვერაფერს დაინახეს! ამ დაწვევლილმა სახლებმა სულ ამოგავსარჩეს!

**ბიფი** — ხარშემეო ხალხია, ნუთუ არ გესმის?

**ვილი** — საქმე მაქვს, ნუ მაწუხებ.

**ბიფი** — (გამოართმევს თოხს). მოვედი, რომ გამოგეთხოვო, მამა. (ვილი უსიტყვოდ შესცქერის, ვერ იძვრის). მე აღარ დავბრუნდები.

**ვილი** — განა ხელ ოლივერის სანახავად არ წახვალ?

**ბიფი** — მე არავის დაეუბატიცივარ, მამა.

**ვილი** — ხელი გადაგხვია და არ კი დაგპატიყვა?

**ბიფი** — მამა, ახლა მაინც გამიგე. ამ სახლიდან იმიტომ გავრბოდი, რომ სულ მენახებოდით. დღეს დაახლოებით მაინც მიგხვდი, რაც ვარ და ვეცდები შენც გაგაგებინო, თუმცა... თუმცა აღბად ვერ მოვახერხებ. ჯანდაბას, ვინ არის მამიო დამნაშავე! (მკლავში ხელს ჩაიკიდებს). მოდი, ძველი დავივიწყოთ! წამო, დედასაც ვუთხრათ! (ფრთხილად ეწევა ვილის მარცხნივ).

**ვილი** — (გაშეშდა, დამნაშავეს კილოთი). არა, მე იმის ნახვა არ მინდა.

**ბიფი** — წამო! (კვლავ თავისკენ ეწევა, მაგრამ ვილი ცდილობს დაესტუტოს).

**ვილი** — (ძალზე განერვიულებული). არა, იმის ნახვა არ მინდა-მეთქი!

**ბიფი** — (ცდილობს მამას სახეში ჩახედოს, თითქოს იქ პასუხის პოვნა უნდა). რატომ არ გინდა?

**ვილი** — (ახლა უფრო მკაცრად). ნუ მაწუხებ, გესმის?

**ბიფი** — რას ნიშნავს — დედის ნახვა არ მინდაო? გინდა ლაჩარი დავიძახო? შენ რა შუაში ხარ, ჩემი ბრალთა ყველაფერი — მე მაწაწალა ვარ. ახლა წამო, წავიდეთ! (ვილი ცდილობს ხელი გაშეშინოს). ხომ ვაიგე, რაც გითხარი? (ვილი ხელს გამაშეშინებს და სწრაფად შედის სახლში. ბიფი მიჰყვება).

**ლინდა** — (ვილის). მორჩი თესვას, ძვირფასო?

**ბიფი** — (კარებთან, ლინდას). ჩვენ ყველაფერზე მოვილაპარაკეთ. მე წავალ და წერილს აღარ მოვიწერებ.

**ლინდა** — (მიდის ვილისკენ სამზარეულოში). ჩემის აზრით ასე აჯობებს, გენაცვალე. სჯობს ერთხელდა სამუდამოდ გაათავდე ყველაფერი. აბა, შენს ცხოვრებას განა ცხოვრება ჰქვია? (ვილი არ პასუხობს).

**ბიფი** — ხალხი გითხავთ — სად არის ან რას აკეთებო, თქვენ კი არ გეცოდინებათ, ამიტომ არც შეწუხდებით, გული დაგიშვებდებით და ისევ კარგად იქნებით. ხომ ასეა? ახლა გამიგეთ? (ვილი დუმს, ბიფი მისკენ წავა). ზედნიერებას ხომ მისურვებ, ჩემო შეგობარო? (ხელს გაუწვდის). რას მერყევი?

**ლინდა** — ჩამოართვი ხელი, ვილი.

**ვილი** — (ლინდას მიუბრუნდება, წყენისგან აღელვებულ). მგონი კალმისტრის ხსენება სულ არაა საჭირო.

**ბიფი** — (ფრთხილად). მამი, მე არავის დაეუბატიცივარ.

**ვილი** — (გაბრაზებული აინთება). ხელი გადაგხვია და...

**ბიფი** — მამი, შენ არ განდა გვიგო მე რა ვარ და ასე კამათს რა აზრი აქვს? თუ რილისმე ბედმა გამიღიმა, ფულს გამოგიგზავნი, მანამდე კი დამივიწყე.

**ვილი** — (ლინდას). ხედავ, როგორ ჯიბრზე მექცევა?

**ბიფი** — მოიტა ხელი, მამი.

**ვილი** — არა.

**ბიფი** — მე კი იმედი მქონდა, რომ ასე არ დავშორდებოდი.

არტურ მილერი

ვილი — სწორედ ასე. ნახვამდის.

ბიფი ერთ წამს შეპყურებს, შემდეგ მკვეთრად მიბრუნდება და კიბისკენ მიდის.

ვილი — (აჩერებს). წყეულიმც იყავ, თუ ამ სახლიდან წახვალ!

ბიფი — (მიუბრუნდება). მინც რა გინდა ჩემგან?

ვილი — ის მინდა, რომ სადაც არ უნდა იყო — გზაში, მთაში, ბარში — სულერთია, იცოდე, რომ შენი მომავალი თვითონვე წახიბნიე ჩემს ჯიბრზე!

ბიფი — არა, არა!

ვილი — ჩემს ჯიბრზე, დილა, ჩემს ჯიბრზე — სწორედ მაგან დაგლუპა! როცა გზაკვალი სულ აგებნევა, გაიხსენე, ეგ რამ დაგმართა! როდესაც სადმე ცოცხლად ჩალები, ეგ გაიხსენე და არ გაბედო, რომ მე გადმომაბარაო!

ბიფი — მე შენ არაფერს გაბრალებ!

ვილი — მე შენზე პასუხს არ ვაგებ, გესმის?

პეტი ჩამოდის კიბეზე და ბოლო საფეხურზე შეჩერდება, თვალყურს ადევნებს.

ბიფი — მე არც გაბრალებ არაფერს!

ვილი — (სკამზე ჩაეშვება, ბრალდების კილოთი), შენ გინდა ზურგში დანა ჩამეც — ნუ გგონია ვერ ვხვდებოდე!

ბიფი — მაშ აგრე, შე მატყუარავ? აბა კარგი, მოდი, გავსწორდეთ! (ჯიბიდან ამოიღებს რეზინის დახევეულ მილს და მივიდაზე აგდება).

პეტი — ხომ არ ვაგიყდი...

ლინდა — ბიფი! (მივარდება მილის წასართმევათ, მაგრამ ბიფი ხელით შეაჩერებს).

ბიფი — თავი დაანებე! ხელი არ ახლო!

ვილი — (მილს არ უყურებს). ეგ რა არის?

ბიფი — ძალიან კარგად იცი, რაც არის.

ვილი — (ცდილობს თავი დამტყუროს). თვალთ არ მინახავს ჩემს დღეში.

ბიფი — გინახავს. აბა, თავგება ხომ არ მიათრია სარდალში? რაში გვირდებოდა — ვითომ გმირობის ჩაღუნას აპირებდი? იქნებ ამით გინდა გული მომიკლა?

ვილი — მაგაზე წარმოდგენაც არ მაქვს.

ბიფი — მაშ იცოდე — არავინ შეგებრალებს, გესმის — არავინ!

ვილი — (ლინდას). ხედავ, როგორ ვჭულვარ?

ბიფი — არა, ჯერ ყურს დამიგდე, კარგად გაგაგებინო — ან შენ რა ხარ, ან მე რა ვარ!

ლინდა — კმარა, ბიფი!

ვილი — ვჭულვარ!

პეტი — (უახლოვდება ბიფს). მორჩი!

ბიფი — (პეტის). ამ კაცმა არ იცის, რა ვართ! ხომ უნდა ვაიგოს! (ვილის). ამ სახლში არასოდეს ათ წუთს არ ვაუვლია ისე, ვინმეს ტყუილი არ ეთქვას!

პეტი — არაფერიც, ჩვენ მუდამ სიმართლეს ვამბობდით!

ბიფი — (მიუბრუნდება). შე ცრუბენტელავ, ვითომ მართლა გამგის მოადგილე ხარ? შენ მისი მოადგილის მოადგილე ხარ, ასე არ არის?

პეტი — კი, მაგრამ მე ფაქტიურად...

ბიფი — ფაქტიურად კი ტყუილების გუდა ხარ! ისევე, როგორც ჩვენი მეტი აღარ შემოიქცია! (ვილის). ახლა შენ მომისმინე, ვილი, მითხრა რაცა ვარ.

ვილი — ისედაც ვიცი!

ბიფი — იცი, სამი თვის განმავლობაში მისამართი რატომ არ მქონდა? იმიტომ, რომ კანკასში კოსტუმში მოვიპარე და სამი თვე ციხეში ვიჯექი. (ლინდას, რომელიც ტირის). ნუ ტირი! ისეც გათავდა! ლინდა ზურგს შეაქცევს, სახეზე ხელეუბი აქვს აფარებული.

ვილი — ალბათ ეგეტ ჩემი ბრალია!

ბიფი — სკოლის შემდეგ ყველა სამსახურიდან ქურდობისთვის მაგდებდნენ!

ვილი — მერე ვინ არის დამნაშავე?

ბიფი — და ვერსად ვჭლებდი, რადგან ისე გამაყოფოჩე, რომ ვერავის ბრძანებას ვერ ვიტანდი! ეგ ვილას ბრალია?

ვილი — რეებს მეუბნება!

ლინდა — ბიფ, გაჩუმდი!

ბიფი — დროა გავიო. ერთბაშად დიდი ვინმე უნდა ვავმხდარიყავი, მაგრამ ეგეტ უკვე მორჩა!

ვილი — მაშინ ბარემ თავი ჩამოიხრჩე! მოდი, ჩემს ჯიბრზე თავი ჩამოიხრჩე!

ბიფი — არა, თავს არავინ იკლავს, ვილი! დღეს ამ კალმისტრით ხელში თორმეტი სართული



ჩამოვირბინე. და უცხად გაეჩერდი. გესმის? შუა კანტორაში გაეჩერდი, წარმოგიკვანია? შუაგულ შენობაში შეეჩერდი და დავინახე... ცა! დავინახე ის, რაც ყველაფერს მიჩვენია ამ ქვეყანაზე! სამუშაო, საქმელი, თანაც დრო, რომ ჩამოგდე და პაპიროსი მოსწიო. დახედე კალმისტარს და ვთქვი — ნეტა რა ეშმაკად წამოვიღე-მეთქი! რათ უნდა ვეპოტინებოდე იმას, რაც სულაც არ მინდა? რა მინდა ამ კანტორაში, რას ვიხდი თავს მათხოვრად, როდესაც ყველაფერია, რაც კი მინდა, შექნება, თუ ჩემს თავს გამოვუტყდები, რაცა ვარი მართლაც, რატომ არ უნდა ვთქვათ გულახდილად, ვილი? (ცდილობს ვილიმ სახეში შეხედოს, მაგრამ ვილი ხელს გააშეშებინებს და მიდის მარცხნივ).

**ვილი** — (მტრულად, მუქარით). ცხოვრებაში გზა ყოველ მხრივ ხსნილი გავქვს!  
**ბიფი** — მამო, ჩემისთანების დუქინი შურად ფასობს და არც შენ ღირხარ მეტი!  
**ვილი** — (მიუბრუნდება, განრისხებას ვერ ფარავს). ჩემისთანები მუქთად არ ყრია! მე ვილი ლომენი ვარ, შენ კი ბიფ ლომენი!  
**ბიფი** გაიწევეს ვილისკენ, მაგრამ ჰები წინ გადაედობება. ბიფი ისეა გაბრაზებული, რომ ლამის ეცეს მამას.

**ბიფი** — არც მე ვარ დიდი ვინმე და არც შენ, ვილი! რას წარმოადგენდი? მთელი შენი სიცოცხლე სხვისი საქონლის გასაყიდად იწყვეტიდი წელს! რაც სხვები არიან, ის შენა ხარ! ნემც ფასი კა საათში ერთი დოლარია, ვილი! შეიდი შტატი შემოვიარე და მეტი არავენ მომა. საათში ერთი დოლარი! გესმის ეს რას ნიშნავს? ამიერიდან სახლში პრინებს აღარ მოგიტან, ნულარ ელი!

**ვილი** — (ბიფს, მყისვე). გულს იოხებ, შე ჯიბრიანო ძაღლის ლეკვო!  
**ბიფი** ჰების ხელიდან გაუსხლტება, შეშინებული ვილი კიბეებზე არბის, ბიფი ჩაეჭიდება.

**ბიფი** — (ბრაზი გამოწვლიდა). მამო, მე არარაობა ვარ! არარაობა, მამო! ნუთუ არ გესმის? ჯიბრით არ გეუბნები, არა. ესა ვარ, რაცა ვარ.  
**ბიფს** ბრაზი გამოწვლიდა, "მოეშვა, ვილის ხელს ჩაჰიდებული ქვითანებს, რომელიც თავის მხრივ ხელებს ბრმად აფათურებს, ბიფის სახეს ეძებს.

**ვილი** — (გაოცებული). რას შვრები? რას შვრები? (ლინდას). რატომ ტირის?  
**ბიფი** — (ტარის, ხმა უწყდება). მამო თუ ლმერთი გწამს, ნება მომეცი, წავიდე. მოწევი მაგ უკანთუ ოცნებებს, ვერც გვიან არ არის! (ცდილობს თავი შეიმავროს, მამას მოშორდება და კაბისკენ წავა). დილაზე წავალ. ნამა... მამა ლოგინში ჩააწვიე... (ღონემობილი აღის თავის ოთახში).

**ვილი** — (ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, გაოცებული, აღფრთოვანებული). განა ეს... განა ეს "შესანიშნავი არ არის? ბიფს... ბიფს უყვარვარ!

**ლინდა** — ბიფი გიყვება შენთვის, ვილი!

**ჰები** — (ძალზე აღელვებული). მუდამ უყვარდა, მამა.

**ვილი** — ო, ბიფ! (უცნაურად თვალგამჭერებულ). ბიფი ტიროდა! ჩემს მკერდზე ტიროდა! (სიყვარულმა ლამის დაახრჩოს, და ახლა თავის ღვევიზს წამოიძახებს). ნახე, ეგ ბიჭი რა გახდება!

სამზარეულოს გარეთ ნათელში ბენი გამოჩნდება.

**ბენი** — დიდაც დიდი ვინმე გახდება, თუ კი ოცი ათასი ექნება!  
**ლინდა** — (ფრთხილად, ნახად). წამო, ვილი, დაიძინე. ყველაფერი უკვე მოგვარდა.  
**ვილი** — (თავს ძლივს იკავებს, რომ გარეთ არ გაეარდეს). ჰო, დავიძინოთ. წამო, დავიძინოთ, ჰეპ.

**ბენი** — ჯუნგლებს მხოლოდ ძლიერი იდამიანი სძლევს.  
**ბენის** იდილიურ მუსიკაში ახლა შიშის ნოტები იჭრება.

**ჰები** — (ლინდას ხელს გადახვევს). მე ცოლის თხოვას ვაპირებ, მამო, ნუ დაივიწყებ. სულ სხვანაირად ვიცხოვრებ. ერთ წელიწადში თანამდებობას მივიღებ, აი ნახე, დედა. (ჰკოცნის).

**ბენი** — ჯუნგლებში ბნელა. სამაგიეროდ აღმასებით არის სავსე ჯუნგლები, ვილიამ.  
**ვილი** მიბრუნდება, სმენადქცეული მიდის ბენისკენ.

**ლინდა** — ეცადე კარგი იყო, თქვენ ორივენი კარგი ბიჭები ხართ, ეცადეთ კარგად მოიქცეთ.

**ჰები** — ღამე მშვიდობისა, მამა. (აღის კბეზე).

**ლინდა** — (ვილის). წამო, ძვირფასო.

**ბენი** — (უფრო დაეინებულად). აღმასის საშოვრად ჯუნგლებში უნდა შეხვიდე!

**ვილი** — (ლინდას, თან სამზარეულოს კარებისკენ მიდის). მინდა დავმშვიდდე, ლინდა, ცოტა ხანს მარტო დამტოვე!



არტურ მილერი

ლინდა — (ლამის შიში გაამჟღავნოს). მე კი მინდა, რომ ჩემთან წამოხვიდე.  
ვილი — (ხელს მოხვევს). ამ წუთს ამოვალ, ლინდა. ახლა მაინც ვერ დამეძინება. შენ წადი, ძალზე დაღლილი სახე გაქვს. (პკოცნის).  
ბენი — ეს რაღაც საქმიან შეხვედრას კი არ ჰგავს. აღმასი ხელშეხებად მაგარია, მე-არი.  
ვილი — შენ წადი, მეც მალე მოვალ.  
ლინდა — ჩემის აზრით ერთადერთი გამოსავალი ეს არის, ვილი.  
ვილი — რა თქმა უნდა, საუკეთესო გამოსავალია.  
ბენი — დიაღ, საუკეთესო.  
ვილი — ერთადერთი გამოსავალი. ყველაფერი მოგვარდება... წადი, ჩემო ბავშვო, დამძინე, რა დაღლილი ხარ!  
ლინდა — მალე ამოდი!  
ვილი — ამ წუთში.  
ლინდა შედის სასტუმრო ოთახში, შემდეგ თავის საწოლ ოთახში გამოჩნდება. ვილი სამზარეულოს კარებში გადის.  
ვილი — ვუყვარვარ. (გაოცებული). მუდამ ვუყვარდი. ვანა შესანიშნავი არ არის? ამის შემდეგ კი ჩემი ბიჭი პირდაპირ გამაღმერთებს, ბენი!  
ბენი — (თითქოს იმედებს). იქ ჯუნგლებში ბნელა, სამაგიეროდ აღმასებთა საცეს!  
ვილი — წარმოგიდგენია, რა იქნება ეს ბიჭი, როცა ჯიბეში ოცი ათასი ექნება!  
ლინდა — (ეძახის თავისი ოთახიდან). ვილი, ამოდი!  
ვილი — (პასუხობს სამზარეულოს კარებიდან). ახლავე, ახლავე! მოვდივარ! ასე ხომ ჰკვიანოდა იქნება, შენ როგორ გგონია, ჩემო სიყვარულო? აი, ბენიც კი ასე ფიქრობს. მე უნდა წავიდე, ჩემო პატარავ! მშვიდობით, მშვიდობით! (თითქმის ცეკვით მიდის ბენისკენ). წარმოგიდგენია? ფული რომ ხელში ექნება, იმ ბერნარდს ისევე უკან მოიგდება!  
ბენი — ყოველმხრივ ხელსაყრელი საქმეა!  
ვილი — შენც ხედავდი, როგორ ჩამქრა გულში და ტიროდა? ოჰ, ნეტავ შემიღებოდა ერთხელ მაინც მეკოცნა, ბენი!  
ბენი — დროა, ვილიამ, დრო!  
ვილი — ოჰ, ბენ, მე მუდამ მჯეროდა, რაც არ უნდა ყოფილიყო, მე და ბიჭი მაინც ჩვენსაგან ვაგატანდით!  
ბენი — (დაკუთრებს საათს). გემი საცაა გავა, არ დაგვაგვიანდეს.  
ნელნელა გაუჩინარდება სიბნელეში.  
ვილი — (ანდელიანად, სახლისკენ მიბრუნდება) ნეტავ მაშინ, ბიჭებო, როცა ბურთს გაიტანო, შევდმოლიანი ჩემქმები მომცა, რომ დავინახო თქვენნი გატანილი ბურთი სად დაცეკა დაბლა და მაგრა დაურტყი, მთავარი ეგ არის, ჩემო ბიჭუნო (შემოტრიალდება, დარბაზს უყურებს). ტრიბუნა ცნობილი ხალხით იქნება სახე და პირველ რიგში, ხომ იცი... (უცერად მიხვდება, რომ მარტოა. ბენ, ბენ, მე სად... (ერთბაშად დაუწყებს ძებნას). ბენ, მე როგორადა?..  
ლინდა — (ეძახის). ვილი, მოდიხარ?  
ვილი — (შიშით ატანილი შეტრიალდება, თითქოს ლინდას ამშვიდებდეს) შუშ! (კვლავ მობრუნდება, თითქოს გზას იგნებს; გარს ეხვევიან ათასგვარი ბეგრები, სახეები, ხმები, ვილი მათ ხელით იგერიებს, ყვირის). შუშ! (უცერად ნახად მკლერი მუსიკა შეაჩერებს. მუსიკა იმწამსვე აუტანელ წვილად იქცევა. ვილი ჯერ წინდაუქან დადის ფეხის წვერებზე, შემდეგ სახლის გარშემო დაბორილობს) შუშ!  
ლინდა — ვილი!  
პასუხი არ არის — ლინდა იცდის. ბიჭი დგება საწოლიდან. ტანს ჯერ არ გაუხდია. ჰები წამოჯდება ლოჯინში. ბიჭი ფეხზე დგას, სმენაღაა ქცეული. (მართლა შეშინებული). ვილი, ხმა გამეცი, ვილი!  
ისმის მანქანის დაქოქვის ხმა, შემდეგ მანქანა დიდი სისწრაფით შორდება სახლს.  
ლინდა — ნუ!  
ბიჭი — (დაკრება კიბეებზე). ნამა! (როდესაც მანქანა მიქანება, მუსიკის შემადარუნებელ გრიალში ისმის ბეგრების შეჯახება, რასაც მალე ენაცვლება ვიოლონჩლოს ერთადერთი სურსის სუსტი პულსაცია. ბიჭი ნელა ბრუნდება თავის საწოლ ოთახში. ის და ჰები უპრად იცემენ პიჯაკებს. ლინდა ნელა გამოდის თავისი ოთახიდან. ქურდის სამგლოვიარო მარში. დღეა. ჩარლი და ბერნარდი, მუქ კოსტიუმებში გამოწყობილნი, შემოდინ და აკაუნებენ სამზარეულოს კარებზე. როცა ისინი სამზარეულოში შემოდინ, ბიჭი და ჰეტი ნელა ჩამოდიან კიბეებზე. ყველა სდუმს, თაღებში გამოწყობილი ლინდა, ხელში

ვარდების კონით, გამოლის სამზარეულოში სასტუმრო ოთახის კარებიდან. ლინდა მივა ჩარლისთან და ზელს გაუყრის. ახლა სამზარეულოს კედლის გავლით ზუთივენი დარბაზისკენ მიემართებიან. სტენის კიდესთან ლინდა ვარდებს ძირს აწყობს და იჩქებს. ყველანი სამარეს მისჩერებიან.

**რეპიზი**


- ჩარლი** — ლინდა, დაბნეულა უკვე. (ლინდა არ პასუხობს, სამარეს ჩასჩერება).
- ბიფი** — რას იტყვი, დედიკო? იქნებ ცოტა დაისვენო? მალე ჰიმკარსაც დაკეტავენ. ლინდა არ იძვრის. პაუზა.
- პეპი** — (ძალზე აღელვებული). ამის ჩადენის უფლება არ ჰქონდა, არც საჭირო იყო. ჩვენ დავესმარებოდით.
- ჩარლი** — (ბუზღუნით). პოოო...
- ბიფი** — წავიდეთ, დედა...
- ლინდა** — რატომ არავინ მოვიდა?
- ჩარლი** — გასვენება კარგი მოვაწყუთ.
- ლინდა** — კი, მაგრამ ვილის ნაცნობები რატომ არ მოვიდნენ? იქნებ ამტყუნებენ...
- ჩარლი** — არა, ჩვენ მკაცრ სამყაროში ვცხოვრობთ, ლინდა. აქ ვილის არავინ გაამტყუნებს.
- ლინდა** — ვერაფერი გამიგია, მით უმეტეს ახლა. ოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში პირველად დავალწიეთ თავი ვალებს. პატარა ჯამაგირის მეტი აღარაფერი უნდოდა. კბალის ექიმის ვალიც კი მოშორებული ჰქონდა.
- ჩარლი** — კაცო არ არის, რომ პატარა ჯამაგირის მეტი აღარაფერი უნდოდეს.
- ლინდა** — ვერაფერი გამიგია.
- ბიფი** — რა ბედნიერი იყო ზოლმი, როცა მგზავრობიდან ბრუნდებოდა, ან კვირაობით, როცა აივანს აკეთებდა, სარდაფს ამთავრებდა, ანდა ახალ ვერანდას, სააბაზანეს ან ვარაყს აგებდა.
- ჩარლი** — კი, ცემენტი როცა ჰქონდა, ბედნიერი ეგონა თავი.
- ლინდა** — ოქროს ნელები ჰქონდა.
- ბიფი** — და ფუჰი ოცნებები. სულ ფუჰი, ფუჰი...
- პეპი** — (ლამის ეცეს ბიფს) მაგას ნუ ამბობ!
- ბიფი** — არ ესმოდა — ვინ იყო.
- ჩარლი** — (ჰეპის აჩერებს, პასუხს არ აცდის). ამ კაცს ვერაფერს გაამტყუნებს. თქვენ არ გესმით — ვილი კომივოიაჟერი იყო. კომივოიაჟერს კი ცხოვრებაში საყრდენი არ აქვს. იგი არც ხრახნებს ამარტებს მანქანაში, არც კანონებს ასწავლის, არც სწამლობს. იგი პაერშია ჩამოკიდებული — მხოლოდ ღიმილისა და გაპრიალებულ ფეხსაცმელშია მისი ხსნა. და როდესაც მის ღიმილს საპასუხო ღიმილი აღარა ეგებება — აი, მაშინ უკვე კომივოიაჟერს ფეხქვეშ მიწა ეძვრის. მეტე შლიაპაზე ორიოდე ლაქა გაჩნდება და კომივოიაჟერის საქმეც წასულია. ამ კაცს ვერაფერს გაამტყუნებს. კომივოიაჟერმა უნდა იოცნებოს, ჩემო ბიჭიკო, სხვა გზა არა აქვს.
- ბიფი** — ჩარლი, ამ კაცმა არ იცოდა, ვინ იყო.
- პეპი** — (გაცოფებული). მაგას ნუ ამბობ!
- ბიფი** — რატომ არ გინდა მე გამომეყე, ჰეპ?
- პეპი** — ამ ამბავს ასე უბრალოდ არ გადაეყლაპე. სწორედ ამ ქალაქში დავრჩები და ჩემსას კი მივალწევ. (შეხედავს ბიფს, ნიკავს წინ გამოსწევს). ძმები ლომინები!
- ბიფი** — მე კარგად ვიცი რაც ვარ, ჩემო ძმეკო!
- პეპი** — მაშ კარგი, მაშინ შენც და სხვებსაც გიჩვენებთ, რომ ვილი ლომინი ამაოდ არ მომკვდარა. მას მშვენიერი ოცნება ჰქონდა: ერთადერთი, რაც მართლაც ღირს ოცნებად — პირველობა. მაშაჩემი ამ ქალაქში ამისთვის იბრძოდა და მეც სწორედ აქ მივალწევ პირველობას მისი გულისთვის.
- ბიფი** — (უმივლოდ გადახედავს ჰეპის და დედისკენ დაიხრება). წავიდეთ, დედიკო.
- ლინდა** — ამ წუთს წამოვალ. თქვენ წადით, ჩარლი. (ჩარლი ყოყმანობს). ერთ წუთს კიდევ დავრჩები, უნდა გამოვეთხოვო. (ჩარლი მიდის, ჰეპი მიჰყვება, ბიფი ცოტა მოშორებით, მარცხნივ დადგება. ლინდა იქვე ზის, თითქოს მხნეობას იკრებს. ახლოდან ფლუტის ხმა ისმის, ლინდას სიტყვებს მიჰყვება).

ლინდა — მაპატიე, ძვირფასო. ვერ ვტირი. არ ვიცი რატომ, მაგრამ ვერ ვტირი. ვერც ვერაფერი გამიგია! ეს რა ჰქენი? მიშველე, ვილი, ვერ მითირია. ასე მგონია, თითქოს ისევ საილაყ წახვედი, მე კი გიცდი. ვილი, ძვირფასო, ვერ ვტირი. ეს რატომ ჰქენი. ვფიქრობ, ვფიქრობ და ვერაფერი გამიგია, სახლის სულ ბოლო საურავიც დღეს შევიტანე, დღეს, ძვირფასო, მაგრამ შიგ ვინ უნდა იცხოვროს?! (ქვითინი ყელში ებჯინება). ვალიც აღარ გვაქვს. (ქვითინებს). გაეთავისუფლდით... თავისუფალი ვართ... (ბიფი წყნარად უახლოვდება). თავისუფალი... თავისუფალი...

ბიფი წამოაყენებს ლინდას და თითქმის ხელით გაჰყავს მარჯვნივ. ლინდა ჩუმად ქვითინებს. ბერნარდი და ჩარლი უკან მიჰყვებიან, ბოლოს ჰეპი გადის. ჩამობნელებულ სცენაზე მხოლოდ ფლეეტის ხმაღა ისმის, სახლის გარშემო მკვეთრად გამოჩნდება საცხოვრებელი სახლების მახვილი კონტურები.

ფ ა რ დ ა ი ხ უ რ ე ბ ა

ინგლისურიდან თარგმნა ციხლა კარბალაშვილმა



მკვლევანი

საგომ ქლიაშვილი

«დემსები იყო მისი საგზანი»

მაშინ ტიციანი გიმნაზიელი იყო. დიდი ცისფერი თვალები გრძელ სახეზე; გამხდარი; აუჩქარებელი, მძიმე ნაბიჯით სიარული იცოდა. მისი ოთახის ფეხრები ბალახუნის ქუჩაზე რიონს გადაჰყურებდა. ოთახში შეუწყვეტლად ისმოდა მდინარის ხმაური.

ძალიან ხშირად ნასადილევს მასთან მივიჩქარი. საწოლის გვერდით დადგმულ პატარა მაგიდაზე წიგნების გროვა აწყვია.

ეს წიგნები კი საოცარია. ისინი არ ჰგვანან მათ, რომელნიც მანამდე მინახავს და ვადაშიფურცლავს. მათი ავტორები აქამდე ჩემთვის უცნობი პოეტები და პროზაიკოსები არიან. მათ შესახებ ჯერ არაფერი მსმენოდა.

თითქმის სასწაულს ჰგავდა ის ამბავი, თუ როგორ აღმოჩნდა ეს წიგნები იმერეთას აჰ პატარა ქალაქში. აქამდე ლიტერატურული სამყარო ჩემთვის შემოფარგლული იყო ყველასათვის ცნობილი ქართული, რუსი და უცხოელი კლასიკოსების სახელებით. და უცერად ახალი სახელები მესმის: ვერლენი, ლაფორგი, კლოდელი, ვერპარნი, მეტრლინკი, უაილი, ჰამსუნი, სტრინბერგი, ბრიუსოვი, ბალმონტი და სხვა და სხვა. არა მგონია, რომ მთელ ქალაქში ჩვენს გარდა, ორი პირტიტველა გიმნაზიელის გარდა, აღდე ვინმეს რაიმე წარმოდგენა ჰქონოდა ამ შეჩერებულზე.

მე არ მინდა გამოეტყუე ჩემი ძებლა მეგობრის წინაშე, რომ წაკითხულადან ყველაფერი არ აღწევს ჩემს გონებად, მაგრამ ის კი შემიმძლია ვთქვა, რომ აფორიაქებული მაქვს სული ახალი გრძნობებით, რომ წაკითხული და ტიციანისაგან მოსმენილი ნამდვილ მღელვარებას იწვევს ჩემში. ვხევიარ მეგობრის გვერდით მაგიდასთან, მკრთალად გვიანათებს პატარა ნათის ლამპა და ვუსმენ. ტიციანი წამლერებით კითხულობს და ხალი სამყარო იშლება ჩემს წინაშე.

ვისაც ტიციანისათვის მოუსმენია, ალბათ ახლოვს, ის წამლერებით წარმოთქვამდა ლექსს და პროზასაც. ტიციანის მამა მღვდელი იყო, ბავშვობაში, ცხადია, ხშირად ვაუგონია, როგორ

წირავდა მამამისი ეკლესიაში, და საღამოობით როგორ კითხულობდა ფსალმუნებს. ტიციანი რომ წამლერებით კითხულობდა, იქნებ იმიტომ, რომ პატარაობიდანვე შეეთვისა მისი ყური გალობის მსგავსად წარმოთქმას, სიტყვა მას შეგრძნობილი ჰქონდა როგორც საგალობელი.

თავისი პირველი ლექსი 14 წლის ტიციანმა დაბეჭდა ქუთათურ გაზეთში, რომელსაც უცნაური სახელი ჰქონდა „ფონი“. რა თქმა უნდა, ის დღე ჩვენ აღვნიშნეთ: საღამოს ქალაქში გავედით და თეთრი ხიდის ბოლოში ლიძის ვერანდაზე დავსხედით, ვარშემო დარბაისელი მოქალაქენი ისხდნენ და საოცრად ფართოფარფლებიანი ქულებით მორთულ მანდილოსნებს ლიბონადით უმასპინძლებოდნენ, ისინი ჩვენ, თითქმის ბავშვებს, ყურადღებას არ გვაქცევდნენ და ჩვენც არაფრად ვაგდებდით მათ... ლუდი მოვიტოხვეთ. მაშინ ჯერ კიდევ ვერ ვებედავით ღვინის სმას.

ღვინოს მე და ტიციანი პირველად გვაზიარეს გიორგი ქუჩიშვილმა და ვალაქტიონ ტაბიძემ. საქველმოქმედო მიზნით ქუთაისში გაიმართა ლიტერატურული საღამო, რომელზედაც თბილისიდან გიორგი ქუჩიშვილი იყო მოწვეული. გიორგი ბინად იყო ოციანთან. საღამოს დამთავრების შემდეგ განვიზახეთ პარტი ვეცა სტუმრისათვის. მაგრამ ფული არ გვექონდა. ამ გასაჭირის იმით დავალწიეთ თავი, რომ ჩემი სახლიდან თითქმის სავსე ტიკორა ეტლით წამოვიღე, რა თქმა უნდა, მშობლების დაუკითხავად. ბედად, ის ღვინო წინა დღით მივიღეთ სოფლიდან. აღარ ვიცი რატომ, იქნებ იმიტომ, რომ ტიციანი ბინის პატრონს მოერიდა და, ვარდა ამისა, უმცროსი და-ძმა ცხოვრობდნენ მასთან, ბალახუნის ქუჩის ბოლოში რიონის პირად მიწაზე გავშალეთ ჩვენი დარიბული სუფრა, — პურის გარდა საქმელი არაფერი გვექონდა. ცხადია, ღვინო მალე მოგვეყიდა, მაგრამ ამასთანავე ხალისი შეგვმატა. საღაპარაკო უცხადვე შემოგველია და გიორგიმ, ვალაქტიონმა და ტიციანმა ლექსების კითხვა დაიწყეს. ხანდახან სამივე

ერთად წარმოთქვამდა. უმთავროს ღამე იყო, გარემო არ ჩანდა, მაგრამ ისინი სივრცეს მიმართავენ. თავზე დაგვეთენდა, ტიკორაში კი ღვინო დარჩენილიყო. დაღვეის თავი აღარ გვქონდა და, ერთი ჩვენთაგანის წინადადებით, მაგრად მოვეუქირეთ პირი ტიკორას და რიონში შევაცურეთ:

— სადმე გარეყავს, იპოვის ვინმე და დაგვლოცავს! — ამ იმედით რიონს ვავატანეთ ტიკორა. იქნებ მართლაც ვინმემ იპოვა და დაგვლოცა, მაგრამ მე კი მეორე დღეს საკადრისად მომხედვად მოვბუღებინებ.

კოლეგა გატეხილი სჯობს: იმ წლებში ლექსებს მეც ვწერდი. მხალისი არ ვყოფილვარ, მაგრამ არასოდეს არ მეყო გამბედაობა გამემხილია ტიციანისათვის ჩემი საიდუმლო. ლექსებს მხოლოდ რედაქციებს ვუგზავნიდი. ახალი დიდი მადლობელი ვარ მათი, რომ არც ერთი არ დამიბუღეს. მაშინ კი, ცხადია, გულდასაწყვეტად მხდოდა ეს ამბავი. ერთი ჩემი ლექსი განსაკუთრებულად მომწონდა და წავეუკითხე ტიციანს. ოღონდ ეუთხარი — მეზობლის ბიჭმა გადმომცა-მეთქი. ტიციანმა მომისმინა და პირდაპირ მოთხრა:

— არ ვარგა... — მერე მკითხა: — ვინაა ის ბიჭი?

ჩემს მეზობლად თვით მოვაქურე ცხოვრობდა და რატომღაც ის მომაცნოდა:

— კვახაძე!  
ამის გაგონებაზე ტიციანმა კატეგორიულად დაასკვნა:

— კაცს რომ კვახაძე გვარად ექნება, მისგან პოეტი არ დადგება. ურჩივ ფსევდონიმს ამოეფაროს ან პროზა წეროს!

ეს იყო თქმული იმეგვარად, რომ ვიგრძენი — პროზას პოეზიაზე დაბლა აყენებდა. მე კი უმთავრესად პროზას ვწერდი. და, აი, ორი წლის შემდეგ ჩემი მინიატურა დაიბეჭდა. ამ დღეს ტიციანი იყო ჩემი მასპინძელი. სამუდამოდ ჩამრჩა გულში ის სითბო, რომელიც მაშინ ტიციანმა მომიძღვნა. სენტიმენტალობად ჩამომართმევს, თორემ ვიტყვოდი, რა სიხარული მაგრამონებინა მეგობრის ატურისა და როგორი გამამხნეველებელი ბიჭი მომეცა.

ტიციანს ყოველთვის ახასიათებდა მეტად კეთილშობილი თვისება — მას ახარებდა სხვისი შემოქმედებითი გამარჯვება. მაგრამ ვაცუთილსა და შაბლონს ვერ იტანდა. ამ შემთხვევაში არავის დაინდობდა. პოეზიის შეურაცხყოფას არავის აპატიებდა. თქვენ შეგვგმობთ პირადად მისთვის რაიმე წყენა მიგვეყენებინათ, — ტიციანი კეთილი იყო და ამას ადვილად დაივიწყებდა. — მაგრამ პოეზიის შეურაცხყოფელს არაფერს აპატიებდა. ტიციანი ხომ პოეზიით ცოცხლობდა, მას ხომ სხვა ცხოვრება არ ჰქონია!

მეტად ზრდილობიანი, თავდაპირილი, მშვიდი ცხოვრებაში, ტიციანი ქედმოუხრელი მებრძოლი იყო ახლისათვის პოეზიაში.

შესაძლოა მისი ბრძოლა აკადემიური გზით წარმართულიყო, მაგრამ მათ ცხოვრებაში, ვინც ტიციანთან ერთად ახალი გზით უნდა შესულიყო ჩვენს მწერლობაში, უცერად ბევრ-რამ შეიცვალა. ქუთაისშივე მოულოდნელად გამოჩნდა მეტად კოლორიტული სახე ჩვენი ასაკის ახალგაზრდასი. ეს იყო პაოლო იაშვილი — სულით მუდამოხე და გულგაშლილი. წინათ მას მხოლოდ ვიწრო წრეები თუ იცნობდნენ როგორც ეურნალ „ოქროს ვერძის“ ხელმძღვანელს, რუსულ ენაზე დაწერილი რამდენიმე ლექსის ავტორს, ბალმონტისა და სევერიანინის მთარგმნელს. და, აი, უცერად ის, როგორც უცხო რამ ყვავილი, გაიხარდა მთელი თავისი ბრწყინვალე ფერებით.

ტიციანი და პაოლო უცხადვე დაუახლოვდნენ ერთმანეთს და მათი მეგობრობა სამუდამოდ განმტკიცდა. სიამელი ტყუპები — ასე ეძახდნენ ისინი ერთმანეთს. ამ ორმა ახალგაზრდა პოეტმა სული შთაბერეს ერთმანეთს. ისინი ავსებდნენ ერთიმეორეს. ორი პოეტის დაახლოებას იშვიათად თუ გავუკეთებია იმდენი ლიტერატურის განვითარებისათვის, რამდენიც ტიციანისა და პაოლოს მეგობრობამ გააკეთა. ხელი-ხელ ჩაკიდებულნი ისინი შეეჭიდნენ გამეფებულ რუტინას და ახლის დამკვიდრებისათვის ბრძოლა გააჩაღეს.

ამ ბრძოლაში ისინი მარტო არ იყვნენ. ტიციანმა და პაოლომ თავის გარშემო შემოიკრიბეს მათივე ასაკის პოეტები — ვალერიან გაფრინდელშვილი, კოლაუ ნადირაძე, გიორგი ლეონიძე, შალვა აფხაიძე, რაქვენ გვეტაძე, ნიკოლოზ მიწისმელი, სანდრო ცირეკიძე, ეს ჯერ კიდევ ჰაბუტურ წლებში ტუბერკულოზით გარდაცვლილი. დიდი მომავლის მქონე პროზაიკოსი. ეს სახელი დღეს მრავლისათვის უცნობია. ცირეკიძე „მთვარეულების“ ავტორი, უსამართლოდ დაეწივებულა. ისიც, რისი დაბეჭდვამან მოასწრო, დღესაც გამოსაზარგვედა და, დაწვინებული იყო, ახლის მივა მკითხველთან. რაკი სიტყვამ მოიტანა, მინდა ისიც გავიხსენო, რომ სანდრო ცირეკიძის უღრთოდ დაჯარჯვას თავის დროზე დიდი მწუხარებით გამოეხმაურენ და ერთ-ერთი კლდედამყვანი იყვნენ.

ტიციანისა და პაოლოს გარშემო შემოიკრიბილ ახალგაზრდა პოეტებს ერთმანეთის უაღრესი პატივისცემა და დიდი სიყვარული ჰქონდათ. ამ წრეში მართლაც გულწრფელი მეგობრული ატმოსფერო იყო. თვითელი მათგანის შემოქმედებითი გამარჯვება მიჩნეული იყო ყველას გამარჯვებად. საერთო მიღწევად.

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მეგობრები ერთმანეთს ყველაფერს უწონებდნენ და უტრიტიკოდ იღებდნენ, პირიქით, არავის იმდენ მოთხოვნას არ უყენებდნენ, როგორც ერთმანეთს; ისინი ერთმანეთს ზრდიდნენ.

საქართველოში დამკვიდრებულია აზრი, რომ „ესიფერი ყანწები“ სიმბოლისტური სკოლა იყო, ვინც ტიციანის, პოლოს, ვაფრინდაშვილის და სხვათა შემოქმედებას იცნობს და ვინც ფრანგი სიმბოლისტების შემოქმედებაში ცოტად თუ ბევრად გარკვეულია, დამეთანხმება, რომ მათ შორის დიდი ნათესაობა არ არსებობს. ხოლო ამ აზრის დამკვიდრებას ზედიზედ შეუწყობ ერთი მხრივ იმ გარემოებამ, რომ ყანწულების სტატიებში არაერთხელ იხსენიებოდნენ ფრანგი სიმბოლისტები და მეორე მხრივ იმ ამბავმა, რომ ყანწულების ლექსები არ მოგაგონებდათ ჩვენი კლასიკოსების ეპიკონთა ლექსებს.

ტიციანისა და მისი მეგობრების გაბედული სტიტიკონები, ქართული ვერსიფიკაციის ძველი ფორმების დარღვევა, ის ახალი განცდები, რომლებიც არ შეიძლებოდა ახალი დროის ეთარებაში, არ გამოქმდებულა იყო, ის გარემოება, რომ მათ გადაფართოვეს პოეზიის ცნება, მიჩნეული იყო სიმბოლოზმის ჩვენში გადმონერგვად. ის ვგრეთწოდებულ კრიტიკოსები, რომლებიც სიმბოლისტობაში „ბრალს სდებდნენ“ ყანწულებს, იმის ბაიბურშიაც არ იყვნენ, თუ რას წარმოადგენდა სიმბოლოზში და ვინ იყვნენ სიმბოლისტები. ისინი იმეკარ უფიცობა-საც იჩენდნენ, რომ ედგარ პოს, ვერპარნს და სხვნი პრიუდომსაც სიმბოლისტებად ნათლავდნენ.

თუ სიმბოლოზში წარმოადგენს სინამდვილი-საგან თავის დაღწევის ცდას, ამის მსგავს სურვილს ვერსად დავინახავთ ტიციან ტაბიძის შემოქმედებაში. პირიქით, მისი პოეზია საოცრად ცხოვრებისეულია. თუ დაკვირვებინართ, თავის ადრინდელ ლექსებშივე ტიციანი რეალიზმის გზის ძებნაშია, საოცარია, რომ ტიციანის ისეთი ლექსებიც კი, როგორც, მაგალითად, „ღვდელი და მალარია“, „ორპირის ოქროპირი“ მოჰყავდათ ხოლმე როგორც ნიმუში ფრანგულ სიმბოლოზმის ანარქულსა. მაგრამ ვინ არ იცის დღეს, რომ ეს ლექსები ტიციანის ბიოგრაფიის ნაწილს წარმოადგენს, ორგანულია მისთვის და ნამდვილად ქართულად ქდერს.

რეალიზმის დიდ გზაზე აღრევე გამოვიდა ჩვენი სახელოვანი პოეტი ტიციან ტაბიძე. მისი შემოქმედება კიდევ უფრო დიდად გაიშლებოდა...

მინდა ერთი შემთხვევა გავიხსენო.

1919 წელი იყო. პოლომ არგვეთიდან ქუთაისში ჩამოიარა. ერთი დღით, თქვა, მაგრამ

თბილისიდან ტიციანის დეპეშა მივიღეთ — ჩამოვივიარო და პოლომ დარჩა. რა თქმა უნდა, ტიციანის ჩამოსვლა აღვნიშნეთ. იმ დღეს ყველანი ერთად ვიყავით. ლეონიძე გვაკლდა და თბილისში მყოფს მეგობრული დეპეშით მივესალმეთ. ნასადილევს კი, პოლოს წინადადებით, ქალაქგარეთ ვავედით.

ქუთაისის აღმოსავლეთით მდინარე წყალწითელაზე რომ ძველი ხილია, ის აღბათბევრ თქვენიგანს უნახავს. მიუახლოვდებოდით თუ არა იმ ადგილს, მაფიოდ გაიგონებდით წისქვილის ბორბლებზე მიშვებულ ღარის წყლის ხმაურს. მდინარის გასწვრივ ორივე ნაპირზე რამდენიმე წისქვილი იყო აგებული. აქ ყოველთვის დაინახავდით ურმებს, რომლითაც საფეკვი მოეტანათ, ჯერის მორადიწი გლეხები დამხდა-რან ხის ქვეშ და საუბარი ვაუბამთ. ღამდებოდა, როცა იქ მივედით. ერთი განაპირა წისქვილი ავირჩიეთ და შევედით. ქალარა მწისქვილემ ვაკვირვებით შეგველო თვალი ქალაქურად ჩაემულ ახალგაზრდებს. მისი გაკვირვება ბუნებრივი იყო. საფეკვის მომტანს არ ვგავდით. გამომძელვად შევათავალიერა და ფრთხილად იკითხა ვინ ვიყავით, რა საქმეზე მივედით. ტიციანის პასუხმა, რომ პოეტები არიან და აქ ღამის ვათევას აპირებენ, მეწისქვილე ხალხ-ნებელში ჩაადგო. არა, ასეთი აბირებული სალხ-ხ არასოდეს არ სწევია. სიტყვა პოეტებიც მას არაფერს ეუბნებოდა. მაგრამ რაიმე შიშის საბაბიც არ ჰქონია: მართალია, არეული დროა, მტაცებლები თავისუფლად დათარეშობენ, მაგრამ თუ ესენი ავზაკები არიან, აქედან წასა-ლებს ვერაფერს იპოვინა. რას უნდა დაეხარ-ბონ? ფეკულსა და ტომრებს?

— კი, ბატონო, შემოდით, — არც თუ სტუმართმოყვარეობით შეგვიშვა წისქვილში.

სწრაფად ბრუნავს ოთხი წყვილი ქვა, რაკ-რაკებს სარეკელა, იატაკქვეშინდან ღარის წყლის ხმაური ისმის და დაკბილული ბორბლების ტრიალთან ერთად წისქვილის ხის შერობა ზან-ზარებს.

ჩამოსხვებით სიმინდით სავსე ტომრებზე. ჯერ კიდევ სანდრო ცირეკიძემ საიდუმლოდ მითხრა, რომ გამოადებული აქვს სიურპრიზი ტიციანისათვის და პოლოსათვის. ვახსნა პატარა შეკვრა და ჩამოვივრიაგა მის მიერ გამოცემული მალარმეს ლექსების წიგნი ქართულ ენაზე. პირველი ეგზემპლარები იყო, რომლებიც სახელოდსაფლო დაამზადებინა სტამბას და აქ წამოვიღო მეგობრებისათვის დასარიგებლად.

— ღმერთო ჩემო! — ღამაზად გამოცემულ წიგნს ფურცლავს ტიციანი და ჩუმაღ ამბობს: — საღ წისქვილი, საღ მალარმე... რამ გაფიტრებინათ ქუთაისში მისი გამოცემა?..



ტიციანის ტუჩებს ღიმილი არ შორდება. კი-  
დევ რაღაც უნდა თქვას, მაგრამ ამის ნაცვ-  
ლად სანდროს ისე ეხვევა, თითქოს დანაშაულს  
პატიობდეს.

მგონი რაღაც გვეტატებს წინადადება შემო-  
აქვს მაღარამს ლექსები ექნას წაიკითხო.

— არავითარი მაღარამ! — წამოიჭრა აქამდე  
ტომარაზე წამოწოლილი პალო. — ქუთაისში  
ამის გამოცემა პროვინციალიზმია და ობრო-  
დობა! არავითარი მაღარამ! აქ ქართული ლექ-  
სები უნდა ვიკითხო!

პირველი თვითონ იწყებს. მისი დიდი ხმა  
წისკვილის ქვების ხმაურს ერთვის. ჯერ წაი-  
კითხა ტიციანისადმი მიძღვნილი თავისი ახლად-  
დაწერილი სონეტი. მატარებლით ნამგზავრ,  
მთელი დღის განმავლობაში მოუსვენებელ ტრ-  
ციანს დალილობა ემჩნეოდა, მაგრამ პალოს  
ლექსმა უეტრად ხალისი მისცა, გამოცოცლდა  
და თვითონაც დაიწყო კითხვა. ვისაც მოვის-  
მენით, ალბათ გახსოვთ, როგორ წარმოთქვამ-  
და ლექსს.

...ლექსი თვითონ მწერს,  
ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს“.

მართლაც ისეთი მღელვარებით იტყოდა  
ხოლმე ლექსს ტიციანი, რომ გულის ნაწილს  
გაატანდა თვითეულ სიტყვას. როცა დაამთავ-  
რებდა, ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თით-  
ქოს გული დაეცალა.

ტიციანი, პალო, ვალერიან გაფრინდაშვი-  
ლი, კოლაუ ნადირაძე, შალვა აფხაიძე, ნიკო-  
ლოზ შენგულაია, შალვა კარმელი, რაჟდენ გვე-  
ტაძე ერთმანეთს ენაცვლებიან და წისკვილში  
მათი ხმა დიდხანს ისმის. ამ უჩვეულო ამბავმა,  
როგორც ჩანს, გარეთ მყოფი გლეხების ყურად-  
ღება მიიქცია. ისინი ჯერ კარებთან შეჯგუ-  
ფული დგანან, შემდეგ თითო-ოროლად შემო-  
დიან და მალე წისკვილი ხალხით ივსება.  
სოფლებსიათვის ბევრი რამ ალბათ გაუგე-  
ბარი იყო, მაგრამ მაინც ყურადღებით და კმა-  
ყოფილებით უსმენდნენ. ეს უჩვეულო სანახა-  
ობა ისე იტაცებს მათ, რომ ერთმა გლეხთაგან-  
მა ნეშოთი თავდაცმული დოქი შემოიტანა,  
მეწისკვილს ჰქა ადმოაჩნდა და სადღეგრძე-  
ლობიცი ითქვა. გლეხების პატივსაცემად ჩვენმა  
პოეტებმა კიდევ წაიკითხეს ლექსები. და, თი  
მოულოდნელად, ერთი კომიკური უხერხულო-  
ბა შეიქმნა. პალომ წაიკითხა თავისი „წერილი  
დედას“. გლეხებს ესმით სიტყვები „ზნის გა-  
ნიაგება, კალო და კევრი, და სოფლის სიწმინ-  
დე მართალი ბათმანი“... ეს სტრიქონები ადვი-  
ლად აღწევს მათ გონებამდე, ცხადად ჩანს,  
რომ იწონებენ. ერთმანეთს კმაყოფილებით გა-  
დახედეს. პალოსაც სიმპატიით შესცქერაინა.  
უეტრად ესმით სტრიქონები: „...და დავიკუნ-

ტები ქალაქის ქუჩებში მე — სალახანა“. შემ-  
დეგ: „როცა მე ქურდები მეგობრად მრაცხა-  
ვენ“... და ბოლოს: „ღედა, ინახუდე შენ წმინ-  
და ხახული! წადი ფეხშიშველი, ქალაქში და-  
კარგულ შვილისთვის ღამე გაათიე“...

ეს სიტყვები გლეხებმა, როგორც ჩანს, თა-  
ვისებურად გაიგეს. გაიგეს როგორც აღსარება  
და სინანული. აქამდე თუ გახარებული თვა-  
ლით შესცქეროდნენ, ახლა დაიკვებით და ერთ-  
გვარი შეცოდებით შეჰყურებენ. ასეთ ღამეში  
ვაჰკაცი, კარგად ჩაძმული და, თურმე ყოფილი  
ქურდი... უეტრად ტიციანის სიცილი გვესმის...  
მეწისკვილს მისთვის ეკითხნა: — დიდი ხანია,  
რაც ის ყმაწვილი გამოუშვეს? მაშინვე პალოს  
გააგებინა, რაც მოხდა. ჩვენი აღიზის აღსა-  
გენად საჭირო გახდა განმარტების მიცემა, რაც,  
მეურბებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს. არ  
ვიცი, დაიჯერეს თუ არა საბოლოოდ, ოღონდ  
ის კი იყო, რომ ისევე ხალისიანად შემოგვეცქე-  
როდნენ.

დალილობმა, ბოლოს, ტომრებზე მოვიკალა-  
თეთ და წავთვლიმეთ. ცისკარზე კი დავტოვეთ  
იქაურობა.

ეს მცირე მოგონება სახელდახლოდ ამოკრე-  
ფილია იმ მასალებიდან, რომელთა მიხედვით  
ტიციან ტაბიძეუ და სხვა მეგობრებზე წიგნს  
წერს. ვალდებულადაც ვთვლი თავს მივუძღვ-  
ნა მათ წიგნი, რადგან ბევრით ვარ მათგან  
დავალებული.

ტიციანი მუდამ ცოცხალია ჩვენს ფიქრებში!

...აქედან ვიცი, მე რომ მოკვდები,  
ამ ლექსს რომ ვამბობ, ესეც დარჩება,  
ერთ პოეტს მაინც გულზე მოხვდება  
და ეს ეყოფა გამოსარჩლებლად.

იტყვიან ასე: იყო საწყალი,  
ორპირის ფშანზე ვაზრდილი ბიჭი,  
ლექსები იყო მისი საგზალი,  
არ მოუცვლია ერთი ნაბიჯი.

და აწვლებდა მას სიკვდილამდე  
ქართული მზე და ქართული მიწა,  
ბედნიერებას მას უმალავდენ,  
ბედნიერება მან ლექსებს მისცა...“

ოცნებით ხშირად გვხვავ ტიციანს — რუს-  
თაველზე მიბიჯებს და გულთან მიხაკი აქვს  
მიბნეული. ეს ყვაილი თითქოს გარეთ გამო-  
ტანილი მისი ცოცხალი გულია. ეს გული კი  
აღსავესა საჭართეველი მიწისა და ზნის სიყვა-  
რული, ჩვენი სიყვარულით. პოეტის გული  
ფეთქვა უდროოდ შეჩერდა, მაგრამ პოეზიას  
ვერავინ და ვერაფერი მოკლავს, ის მარად  
იწვნება ჩვენთან, ადამიანებთან, ვისაც სამშობ-  
ლო უყვარს და მის მომავალს შეჰხარის.





გორის გახეამე

ღენინი და გორკი

ვლადიმერ ილიას ძე ღენინი თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მთელ მანძილზე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ხელოვნებისა და ლიტერატურის საკითხებს. ეცნობოდა რა საკაცობრიო მხატვრული კულტურის საუკეთესო ნიმუშებს, ვ. ი. ღენინი ამასთანავე დაუღალავად იბრძოდა ახალი — პროლეტარული, სოციალისტური კულტურისათვის, ლიტერატურისათვის, ხელოვნებისათვის, რომელიც დაკავშირებული იქნებოდა მშრომელი ხალხის გულისთქმასთან, გააღვიძებდა ხალხის მასებში მხატვრებს, გამოატავდა იმით ესთეტიკურ იდეალებს. ახალი პროლეტარული კულტურის შექმნას ღენინი ორგანიზულად უკავშირებდა მსოფლიო კულტურის საუკეთესო მიღწევებსა და ტრადიციებს; იგი სასტიკად ილაშქრებდა ა. ბოგდანოვის მსგავსი თეორეტიკოსების წინააღმდეგ, რომელნიც კულტურას, ადამიანის მატერიალური და სულიერი მოღვაწეობის ამ ურთულეს დარგს, უყურებდნენ მხოლოდ „როგორც მეტად ხელსაყრელ ასპარეზს თავისი პირადი ნათხავისათვის ფილოსოფიის ან კულტურის სფეროში, როცა ძალიან ხშირად სულ უაზრო მანქიობა საღდებოდა რაღაც ახალ რამედ და წმინდა პროლეტარული კულტურისა და ხელოვნების სახით გვათავაზობდნენ რაღაც არაბუნებრივსა და უაზროს“<sup>1</sup>.

ვ. ი. ღენინი ამტკიცებდა კულტურის, ხელოვნების პროლეტარიატის მოძრაობასთან ორგანიზული კავშირის აუცილებლობას, მხატვრისაგან, მწერლისაგან მოითხოვდა ისტორიული განვითარების კანონების შეგნებულ გაგებასა და მხატვრული შემოქმედების მაღალ იდეურობას, ბურჟუაზიულ-ინდივიდუალისტურ შეზღუდულობისაგან თავისუფალ, პროლეტარიატთან აშკარად დაკავშირებულ ლიტერატურის

თავისებურებას ბელადი იმაში ხედავდა, რომ „ეს იქნება თავისუფალი ლიტერატურა, თავისუფალი იმიტომ, რომ არა ანგარება და კარიერა, არამედ სოციალიზმის იდეა და მშრომელებისადმი თანაგრძნობა მიიზიდავს ახალ-ახალ ძალებს მის რიგებში. ეს იქნება თავისუფალი ლიტერატურა იმიტომ, რომ იგი სამსახურს გაუწევს არა სალონების გულმოყიპებულ „გმირ — ქალს“, არა მოწყენილ და სისუქნის ქონით შეწუხებულ „ზედა ფენის ათეულ ათასებს“, არამედ მილიონობით და ათეულ მილიონობით მშრომელებს, რომელნიც ქვეყნის საუკეთესო ნაწილს, მის ძალას, მის მომავალს შეადგენენ. ეს იქნება თავისუფალი ლიტერატურა, რომელიც კაცობრიობის რევოლუციური აზრის უკანასკნელ სიტყვას გაანაყოფიერებს რევოლუციური პროლეტარიატის გამოცდილებითა და სოცხალი მუშაობით, რომელიც შეპქმნის მუდმივ ურთიერთმოქმედებას წარსულის გამოცდილებასა (მეცნიერული სოციალიზმი, რომელმაც დაავიკრიფინა სოციალიზმის განვითარება მისი პრიმიტიული, უტოპიური ფორმებიდან) და ახლანდელ გამოცდილებას შორის („ამხანაგ მუშების დღევანდელი ბრძოლა“)<sup>1</sup>.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ უფრო ნათელი და გასაგები ხდება, თუ რატომ იმთავითვე მიიპყრო პროლეტარული რევოლუციის ბელადის ასეთი ყურადღება რევოლუციის ქარიშხალსა მხატვრულმა შემოქმედებამ, რომელმაც მხატვრულ სახეებით, სახეობრივი აზროვნების ფორმებში გამოხატა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ესთეტიკურ-პოლიტიკური მრწამსი. ჯერ კიდევ 1907 წლის პარტიის ლენდონის V ყრილობაზე გორკისთან ცნობილ შეხვედრასა და საუბრამდე, ღენინმა თავის პუბლიცისტურ წერილში „ქარიშხლის წინ“ (1906 წ.) მოიყვანა ციტატა მ. გორკის სახელ-

<sup>1</sup> ვ. ი. ღენინი, თხზულებანი, ტ. 29, გვ. 286 — 387.

<sup>1</sup> ვ. ი. ღენინი, თხზულებანი, ტ. 10, გვ. 40-41.



ვანთქმულ „ქარიშხალას სიმღერიდან“. მწერლის ამ მღელვარე რომანტიკულ ნაწარმოებში კომუნისტური პარტიის ბელადმა და დამფუძნებელმა დაინახა, ვ. ვ. ვოროსიასის თქმით, ის „გაბედული, ძლიერი, თავისუფალი გრძნობები და აზრები, რომელიც აუცილებლობის ძალით არიან ყოველი რევოლუციური ვადარბალებების თანმხლები, ურომლისოდაც ფსიქოლოგიურად წარმოუდგენელია თვით რევოლუცია“<sup>1</sup>.

პირველად მ. გორკის სახელი გვხვდება ვ. ი. ლენინის სტატიის „დემონსტრაციების დასაწყისი“, რომელიც ეხმაურება მწერლის გასახლებას ნიენი ნოვგოროდიდან და ამ მოვლენასთან დაკავშირებულ მისწავლე ახალგაზრდობისა და მუშათა რევოლუციური დემონსტრაციას. ლენინი თავის წერილში ილაშქრებს ცარიზმის აღმამფთვებელი პოლიტიკის წინააღმდეგ და ახასითებს მ. გორკის, როგორც „ეგროპაში სახელგანთქმულ მწერალს“, რომლის ერთადერთ იარაღს შეადგენდა თავისუფალი სიტყვა და ეს იწვევს ცარიზმის ბანძულუკების შიშსა და მათ მიერ მწერლის დევნას. ამავე სტატიაში ლენინი იძლევა ერთ-ერთი გამოთქმის პერიფრაზს გორკის „სიმღერიდან შეგარდენზე“.

ლენინური „ისკრა“ ასევე აფასებდა გორკის როგორც „ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლს, პროტესტანტული მასის ნიჟიერ გამოხატველს“. თვითონ გორკიმაც ლენინსა და ბოლშევიკებში დაინახა ეპოქის ყველაზე ქმედითი ძალა, ხოლო მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობა აღმოჩნდა მწერლისათვის, როგორც სწვრდა იგი თ. გლადკოვს, „ისეთი მოძრაობა, რომელშიც ყოველი პარტიისანი ადამიანი ჰპოვებს პასუხს ყველა მღელვარე კთხვევებზე და გამოიშუშავებს პირადი ყოფაქცევის პროგრამას“. ამ შეფენებით ხელმძღვანელობდა გორკი, როცა თავისი „პირადი ყოფაქცევის პროგრამა“, ცხოვრება და შემოქმედება დაუკავშირა რევოლუციურ პროლეტარიატს, მის ავანგარდს — კომუნისტურ პარტიას, ვახდა ამ პარტიის ბელადს ვ. ი. ლენინის თანამოაზრე და თანამებრძოლი.

1905 წლის ნოემბერში, ვახეთ „ნოვია ეჩენის“ რედაქციაში პირველად შეხვდნენ ერთმანეთს ლენინი და გორკი, ამ შეხვედრამ სამუდამოდ დაკავშირა ისინი ერთმანეთს—როგორც იმათ პირად ურთიერთობაში, ისე თაობათა ხსოვნაში, ამ შეხვედრის შემდეგ შევიდა გორკი პარტიის რიგებში და ერთგულად იბრძოდა ლენინის გვერდით, მთელ თავის გიგანტურ ტალანტს ახმარდა სოციალისტური ლიტერატურის

სა და კულტურის განვითარების საქმეს, ამასთანავე არაერთგზის ასრულებდა პარტიის ორგანიზაციულ დავალებებს. მ. გორკი იცნობდა ევროპის სოციალ-დემოკრატიის ცნობილ მოღვაწეებს — პლუხანოვს, ბებელს, კარლ ლიბკნეხტს, როზა ლუქსემბურგსა და სხვებს, მაგრამ მხოლოდ ლენინმა დაიპყრო მისი ფიქრი და გონება. გორკისათვის ყველაზე ახლო აღმოჩნდა ლენინის უზარმაზარი ინტელექტუალური ძალა, მტრებთან ბრძოლაში მისი ქედმოუხრებლობა და შეურიგებლობა, ამასთან ერთად კი დიდი ბელადის პუშინიზმი და უბრალოება. გორკის პირადი და იდეური მეგობრობა აკავშირებდა ვ. ვ. პლუხანოვთან (რომელიც გორკის ტალანტს ბალხაისა და გოგოის შემოქმედებას აღიარებდა), მაგრამ მაინც თავის მოგონებებში „ხელოვნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების“ ავტორი მწერალმა დაახასიათა „როგორც თავისი მოვალეობით დაღლილი მისწავლელი“, ხოლო ლენინის შესახებ თქვა, რომ „მისი დამოკიდებულება ჩემდამი მკაცრი მისწავლელისა და კეთილი „მზრუნველი მეგობრის“ დამოკიდებულება იყო“<sup>1</sup>.

ლენინი ყურადღებით ადევნებდა თვალს გორკის ყოველ ნაბიჯს, არა მარტო მის შემოქმედებას, არამედ მწერლის პუბლიცისტურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც, მის ბრძოლას რუსეთის დემოკრატიული კულტურის საუკეთესო ძალების კონსოლიდაციისათვის. მ. გორკის გამომცემლობა „ზნანიეს“ მუშაობა 900-იან წლებში, მის გაგრძელებულ შემოკრებილ მწერალთა შემოქმედება და დემოკრატიული მეთხველბისათვის განკუთვნილი ლიტერატურა ვ. ი. ლენინმა შემდგომ შეფასა როგორც „კრებულები, რომლებიც ესწრაფოდნენ მხატვრული ლიტერატურის საუკეთესო ძალების კონცენტრაციას“.

თავისი მხატვრული სიტყვით მ. გორკი ემსახურებოდა რევოლუციას, მუშათა მასების იდეურ-ესთეტიკური და პოლიტიკური აღზრდის საქმეს, ამის ბრწყინვალე გამოვლინება იყო ცნობილი რომანი „დედა“ — სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის პირველი ნაწარმოები. საეულისსმობა, რომ მარქსისტული კრიტიკისა და ესთეტიკური აზროვნების კორიფემ ვ. ვ. პლუხანოვმაც კი, ჯეროვნად ვერ შეაფასა გორკის რომანი, მეტისმეტად მკაცრად გააკრიტიკა იგი „წინასიტყვაობაში კრებულისათვის“ 20 წლის მანძილზე, ხოლო ნაშრომში „ეგრეთწოდებულ რელიგიურ ძიებათა შესახებ რუსეთში“ ყოველად უმართებულად გაათანებრა ერთმანეთთან „დედა“ და გორკის

<sup>1</sup> ვ. ვ. ვოროსიასი. Литературно-критические статьи, Гослитиздат, 1956, გვ. 257—258.

<sup>1</sup> იხ. კრებული „ლენინი კულტურისა და ხელოვნების შესახებ“, სახელგამი, თბილისი, 1957, გვ. 604, 606.

„ღვთისმშენებლური“ შეცდომებით გადატვირთული „აღსარება“, საპირისპიროდ ამისა, ვ. ი. ლენინის გამჭვირავი გონებამ „ღვდაში“ დაინახა მწერლის რევოლუციური შეგნების ზრდის გამომახტველი და მშრომელი მასებისათვის სასარგებლო ნაწარმოები. როცა პარტიის V ყრილობაზე შეხვედრისას გორკიმ აუხსნა ლენინს, რომ იგი, ცოტა არ იყოს, ჩჭარბდა თავისი ნაწარმოების დამთავრებას, ლენინმა მოუწონა მწერალს დიდ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებზე გამომწერება და უთხრა მას „ღვდას“ შესახებ:

„ძალიან კარგია, რომ გიჩქარიათ, საჭირო წიგნია, ბევრი მუშა რევოლუციურ მოძრაობაში შეუგნებლად, სტიქიურად მონაწილეობდა, ახლა კი ისინი წაიკითხავენ „ღვდას“. და ეს დიდ სარგებლობას მოუტანს მათ“<sup>1</sup>.

ამ შეხვედრამ სამუდამოდ განამტკიცა კავშირი ლენინსა და გორკის შორის, ლენინი უყურადღებოდ არ ტოვებდა მ. გორკის არცერთ მნიშვნელოვან ნაბიჯსა და წამოწყებას; სამოქალაქო ომის მრისხანე დღეებში რევოლუციის ბელადმა იმის დროც კი გამოიხანა, რომ წაეკითხა გორკის მეგობრები ლევ ტოლსტოიზე.

სტოლინის რეაქციის წლებში ლენინი გორკის მოკავშირედ სთვლიდა „ვეხელუბთან“, დეკადენტებთან, საერთოდ ყველა ჯერის რეაქციონერებთან ბრძოლაში. 1908 წლის 7 თებერვალს წერია ლენინი გორკის მიუთითებდა: „ათასჯერ გეთანხმებით, რომ საჭიროა სისტემატური ბრძოლა პოლიტიკურ დაცემულობასთან, რენეგატობასთან, წუწუნთან და სხვ.“<sup>2</sup> ასეთი წუწუნი კი მაშინ ყოველი მხრიდან გაისმოდა. ვ. ი. ლენინს, რევოლუციონერ მარქსისტებს ბრძოლა უხვდებოდათ არა მარტო აშკარა რეაქციონერებთან („ვეხელუბი“, დეკადენტები— „ღვთისმამიებლები“, ოფიცოზური პრესა და ზელისუფლება) ან მენშევიკ-ლევიტატორებთან (ქურნალი „ნაშა ზარია“), არამედ შინაპარტიულ ფრაქციონერებთანაც („კუპერილოვლები“, „ღვთისმშენებლები“ ა. ბოგდანოვი, ა. ლუნიჩარსკი და სხვ.), მარქსიზმის რევოიონისტებთან, „მარქსიზმის ფილოსოფიის ნარკვევების ავტორებთან“, რომლებიც ცდილობდნენ მახიზმის რეაქციულ-იდეალისტური ფილოსოფიის მარქსიზმთან შერეგებას, აფუქნებდნენ იდეალისტური მსოფლგაგების დამკვიდრება-გავრცელების მთელ პროგრამას.

ვ. ი. ლენინმა თავის უკვდავ „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში“ გამანადგურე-

ბელი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა დასავლეთ ევროპისა და რუსეთის რეაქციული ფილოსოფია, მისი სუბიექტურ-იდეალისტური ნაირსახეობა—მახიზმი. ლენინის მიერ მახიზმის, ბურჟუაზიულ ობიექტივიზმის, კანტიანელობისა და ეულგარულ სოციოლოგიზმის კრიტიკას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მარქსისტული ესთეტიკის განვითარებისათვის, რეაქციულ-ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან ბრძოლისათვის. ვ. ი. ლენინმა ახალ საფეხურზე აიყვანა დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი და მთელ რიგ ნაშრომებში — „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“, „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“, წერილების ციკლი ლ. ნ. ტოლსტოის შესახებ ასახვის მატერიალისტური თეორიის შექმნე ვაარკვია ესთეტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხები. რეაქციის წლებში კიდევ უფრო გაიზარდა ვ. ი. ლენინის მ. გორკიზე იდეური გავლენის მნიშვნელობა, ლენინი ცდილობდა ჩაემა გორკი ლიტერატურულ-პუბლიცისტურ მუშაობაში, მკიდროდ დაეკავშირებინა იგი ბოლშევიკურ პრესასთან. ა. ვ. ლუნაჩარსკისადმი მიწერილ წერილში (1908 წლის 13 აგვისტო) ლენინი აღნიშნავდა:

„თქვენი პროექტი „პროლეტარში“ ბელეტრისტული განყოფილების დაარსებისა და ა. მ.—სათვის (მ. გორკისათვის — ბ. ბ.) მის ნაბარებისა შესანიშნავად და არაჩვეულებრივად მხარგრებს. მე სწორედ ვოცნებობდი იმაზე, რომ ლიტერატურულ-კრიტიკული განყოფილება მუდმივი გაგვეხადა „პროლეტარში“ და იგი ა. მ.—სათვის ჩაგვებარებინა“<sup>1</sup>. იქვე ლენინი მწერლის შრომისადმი ნამდვილი მზრუნველობის გრძობით შენიშნავს, მ. გორკის მუშაობა ვახეთში ისე უნდა მოეწყოს, რომ ხელი არ შეუწალოს მის დიდ მხატვრულ შემოქმედებასო.

ვ. ი. ლენინი მ. გორკიში ხედავდა ხალხის მასების წიაღიდან გამოსულ ჭეშმარიტ შემოქმედს, რევოლუციასთან მკიდროდ დაეკავშირებულ მწერალს, რომელშიც „თავისი დიდი მხატვრული ნაწარმოებებით... მტკიცედ დაუკავშირა თავისი თავი რუსეთისა და მთელი მსოფლიოს მუშათა მოძრაობას“<sup>2</sup>. ლენინის შეხედულებით, მაქსიმ გორკი „უდავოდ არის პროლეტარული ხელოვნების უდიდესი წარმომადგენელი, რომელშიც მისთვის ბევრი რამ გააკეთა და კიდევ უფრო მეტის გაკეთება შეუძლია“<sup>3</sup>.

ამიტომ ზრუნავდა ლენინი მწერლის მსოფლმხედველობრივ სიმტკიცეზე, ეხმარებოდა მას

<sup>1</sup> იხ. კრებული „ლენინი კულტურისა და ხელოვნების შესახებ“, სახელგამო, თბილისი, 1957, გვ. 604.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 451.

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 34, გვ. 435.  
<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 16, გვ. 122.  
<sup>3</sup> იქვე, გვ. 254.



დედა იდეალისტური ფილოსოფიით გატაცება, შეენარჩუნებინა მისი დიდი ნიჭი პარტიისათვის, მუშათა კლასისათვის, გაეძიჯნა „დედის“ ავტორი „ევპროლოგელებსაცაჲ“, ზოგადანოგაღუქმისკი — ლუნჩაჩისკის „ღვთისმშენებლური“ ჯგუფისაგან, რომლის წარმომადგენელია თავიანთ ნაშრომებში ამოღებული ლბდნენ იდეალისტური ფილოსოფიის, რელიგიისა და მეცნერული სოციალიზმის „ურთიერთშერეგებას“.

ვ. ი. ლენინი დაუღალავად ზრუნავდა იმისათვის, რათა გორკი მდგარიყო მტკიცე პოლიტიკურულ პოზიციებზე, სულ ერთია, იქნებოდა ეს პოლიტიკური, ფილოსოფიური თუ ესთეტიკური პოზიციები. მწერლის იდეურ-პოლიტიკურ და ფილოსოფიურ სიმტკიცეზე ზრუნვა წითელ ზოლად გასდევს ლენინის წერილებს გორკისადმი.

ვ. ი. ლენინის აღმზრდელობითი მუშაობისა და მისი მეცნიერული, თბიქტური, რევოლუციურ-პარტიული კრიტიკის გავლენით გასწყვიტა გორკიმ კავშირი ა. ბოგდანოვთან და სხვა „ღვთისმშენებლებთან“, თანდათან აღიარა „აღსარებისა“ და თავის სხვა გამოსვლების იდეურ-პოლიტიკური მცდარობა. ამ შეცდომების მიუხედავად, მ. გორკი რეაქციის წლებში ებრძოდა დეკადენტებს, ამხილებდა გამცემლობას („ხედონიტი ადამიანის ცხოვრება“, „უკანასკნელი“), ამიშვლებდა ოფიციალური პრესისა, ლიბერალების, „ღვთისმამებლების“ გამოსვლებს ლ. ნ. ტოლსტოის იუმბილესა და თ. მ. დისტოვესკის „აღქაჯების“ ინსცენირებისთან დაკავშირებით.

აკრიტიკებდა რა მწერლის შეცდომებს, ვ. ი. ლენინი ამასთანავე მ. გორკიში ყოველთვის ხედავდა პარტიის ერთგულ თანამშემწესა და თანამოაზრეს, არაერთგზის სთხოვდა მას გამოსულიყო წერილებით „პრაღისა“ და სხვა ბოლშევიკური ორგანოების ფურცლებზე. 1912 წლის პრლის ისტორიული კონფერენციის შემდეგ, კონფერენციისა, რომელმაც დააფუძნა ბოლშევიკების გამოყოფა მენშევიზმისგან, ვ. ი. ლენინი სიხარულით უთვლიდა მ. გორკის:

„ძვირფასო ა. მ.!

მაღე გამოგიგზავნით კონფერენციის ვადწყვეტილებებს. ბოლოსდაბოლოს მოხერხდა — ლიკვიდაციურ არამზადათა საწინააღმდეგოდ — პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის აღდგენა. იმეღო მაქვს, თქვენც გაგახარებთ ეს ჩვენთან ერთად“<sup>1</sup>.

ლენინი აღტაცებით შეხვდა გორკის „ზღაპრებს იტალიის შესახებ“, მწერლის თანამშრომლობას ბოლშევიკურ ორგანოებში, კერძოდ გახეთ „ზევზღაში“, სადაც ეს „ზღაპრები“ დაიბეჭდა.

მეტად საყურადღებოა ვ. ი. ლენინისა და მ. გორკის ურთიერთობა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და მის შემდგომ პერიოდში.

ცნობილია, რომ მ. გორკი ჩადგა სოციალისტური კულტურის მშენებელთა პირველ რიგებში, სათავეში ჩაუდგა მრავალ დიდ კულტურულ წამოწყებას. იბრძოდა, რათა საბჭოთა პლატფორმაზე გადმოეყვანა ძველი ინტელიგენციის გამოჩენილი წარმომადგენლები და ა. შ. ამასთან ერთად მწერალმა განიცადა ერთგვარი იდეური შერყეობა.

ვ. ი. ლენინს მხედველობიდან არ გამოეპარა მწერლის ასეთი პოზიციცა. ვრცელ წერილში გორკისადმი (1919 წლის 31 ივლისი) იგი დაწვრილებით უსხნის მწერალს მისი შეცდომების შინაარსს, დიდი ტაქტით ურჩევს არ დაემაყოფილდეს მხოლოდ პეტროგრადის შთაბეჭდილებებით, გაეცნოს ქვეყნის სხვადასხვა მხარეების ცხოვრებას, ახალ რევოლუციურ, საბჭოთა სინამდვილეს.

„არ მინდა თავი მოგაბუზროთ რჩევებით, — მორიდებულად, ამასთანავე მტკიცედ წერს ლენინი, — მაგრამ არ შემიძლია არ ვითხრათ: რადიკალურად გამოიკვალეთ გარემოება, წრეც, ადგილსამყოფელიც, საქმიანობაც, თორემ შეიძლება საბოლოოდ მოგებურდეთ სიცოცხლე“. აქვე ვ. ი. ლენინი ურჩევს გორკის განათვისუფლდეს ბურჟუაზიულ ინტელიგენციის გავლენისაგან, მიუთითებს მას, რომ მწერალმა თვითონ შეიბოჭა თავისი საქმიანობა თარგმნილი ლიტერატურის რედაქტორობით, გამოიწყვედია თავი იმ პუნქტში, საიდანაც ძნელდება დაკვირვება ადამიანებზე, რაც აუცილებელი პირობაა მხატვრისათვის იმის შესამჩნევად, „რაც კი ახალია არმიაში, რაც კი ახალია სოფლად, რაც კი ახალია ფაბრიკაში“<sup>1</sup>. ამგვარად, კომუნისტური პარტიის ბელადი მოუწოდებდა პროლეტარიატის უდიდეს მხატვარს ცხოვრებასთან — ცოცხალ საქმეებთან და ცოცხალ ადამიანებთან კავშირისკენ. მ. გორკის ფსიქიკაში ამის შეგნებას განამტკიცებდა არა მარტო ლენინთან მიწერ-მოწერა, არამედ მასთან ხშირი შეხვედრებიც. ა. ვ. ლუნჩაჩისკის, მ. გლიასერის, ვ. მალიჩინის, ე. პეშკოვისა, კ. ფე-

<sup>1</sup> „ლენინი კულტურისა და ხელოვნების შესახებ“, გვ. 476.

<sup>1</sup> „ლენინი კულტურისა და ხელოვნების შესახებ“, გვ. 525, 523—524 და სხვ.

დინის, ვ. ივანოვის და სხვათა მოგონებებიდან ჩანს, თუ როგორ ესწრაფვოდა ლენინი გორაკისთან სიახლოვეს. საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელისა და კომუნისტური პარტიის ბელადის კამინეტის კარი ყოველთვის ღია იყო სოციალისტური კულტურის უდიდესი მოღვაწისათვის. ისინი საუბრობდნენ ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე, პოლიტიკაზე, კულტურული მშენებლობის პრობლემებზე. ვ. ი. ლენინის გენიანათელ გეზს აძლევდა მ. გორაკის მის შემოქმედებით მიღებულ და საზოგადოებრივ-ლიტერატურულ მოღვაწეობაში, თვითონ დაღლილი და ავადმყოფი ლენინი ზრუნავდა მწერლის ჯანმრთელობაზე, თითქმის ძალით გაუშვა იგი სამკურნალოდ.

მაქსიმ გორაკიმ დაგვიტოვა ბრწყინვალე მოგონებანი ვ. ი. ლენინის შესახებ, სადაც გენიალურადაა გამოკვეთილი „ამა ქვეყნის დიდი,

ნამდვილი ადამიანის“ სახე. გორაკისა და ლენინის ურთიერთობა გამოხატავს ახალი, კომუნისტური ტიპის ადამიანთა, ახალი სამყაროს მშენებელთა ურთიერთობის დაუვიწყარ ფურცლებს. მასთან გაეცნობა გვიმტკიცებს რწმენას, რომ „არ არის ძალი, რომელსაც შეეძლოს დააქროს ჩირაღდანი, რომელიც აღმართმა ლენინმა შეშლილი მსოფლიოს დაბნულ წყვედიადში.

და არ ყოფილა ადამიანი, რომელსაც ისევე როგორც ამას, მსოფლიოში დაემსახურებინოს მარადი ხსოვნა.

ვლადიმერ ლენინი მოკვდა. მისი გონებისა და ნებისყოფის მემკვიდრენი — ცოცხალნი არიან. ცოცხლობენ და მუშაობენ ისე წარმატებულად, როგორც მსოფლიოში არავის, არასდროს და არსად არ უმუშავებია“ (მაქსიმ გორაკი) 1.

1 «В. И. Ленин и А. М. Горький», გვ. 258.





## ღევან ეპანოიძე

### პარიზის კომუნა ქართულ პრესაში

„კომუნის საქმე ეს სოციალური რევოლუციის საქმეა, მშრომელთა სრული პოლიტიკური და ეკონომიური განთავისუფლების საქმეა, ეს მთელი მსოფლიო პროლეტარიატის საქმეა, და ამ აზრით იგი უცვლადია“.

ვ. ი. ლენინი

კომუნისმისთვის მშრომელთა ბრძოლის გრანდიოზულ ეპოპეაში პარიზის კომუნა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანსვეტია. ოთხმოცდაათი წლის წინათ პარიზის პროლეტარიატმა დაამხო ბურჟუაზიის დიქტატურა და კომუნისმის დიადი დროშა ააფრიალა. ეს უპრეცედენტო მოვლენა იყო მსოფლიო ისტორიაში; პარიზის მუშათა კლასი მმართველ კლასად იქცა და 72 დღეს ხელთ ეყრა სახელმწიფო ძალაუფლება.

1871 წლის 18 მარტის რევოლუციით გამოცხადებული პარიზის კომუნა იყო პროლეტარიატის დიქტატურის განსორციელების პირველი გმირული ცდა, რომელიც, მიუხედავად დამარცხებისა, უღირსად დიდმნიშვნელოვან მოვლენად დარჩა ისტორიაში. „კომუნის სიკეთესა და სიკვდილის სურათმა, სახემ მუშათა მთავრობისა, რომელმაც ხელთ იგდო და ორ თვეზე მეტხანს ეყრა მსოფლიოს დედაქალაქი, პროლეტარიატის გმირული ბრძოლისა და დამარცხების შემდეგ მისი ტანჯვის სანახაობამ, ყოველივე ამან სულთ ამაღლა მრავალი მოლიონი მუშა, აღძრა მათი იმედი და მათი თანაგრძნობა მოუპოვა სოციალიზმს“<sup>1</sup>.

პარიზის კომუნა ღრმად ინტერნაციონალური, საერთაშორისო მოვლენა იყო. ეს იყო მშრომელი კაცობრიობისთვის, ყველა ჩაგრულსა და შეურაცხყოფილის სოციალური და გროვული განთავისუფლებისათვის, კომუნის-

მისათვის გმირული ბრძოლის ბრწყინვალე მაგალითი.

საზოგადოების სხვადასხვა კლასი სხვადასხვა თვალსაზრისზე იდგა რევოლუციური პარიზის მიმართ. კლასობრივი ბრძოლის გრძელი ისტორიის მანძილზე ყველაზე მკაფიოდ პირველად აქ გამოაშკარავდა მსოფლიოს გაყოფა ორ მოპირისპირე ბანაკად.

გაბატონებული კლასები და მათი მთავრობები კომუნის დაუყოვნებელ განადგურებას მოითხოვდნენ. რეაქციონერები ცდილობდნენ მიეჩქმალათ პარიზის პროლეტარიატის კლასობრივ-განამათვისუფლებელი ბრძოლის ნამდვილი იდეალები. ისინი საზიზღარ პროვოკაციებს მიმართავდნენ და კომუნარებს კარიერისტებს უწოდებდნენ. ამის გამო აფრთხილებდა მეცნიერული კომუნისმის მამამთავარი კ. მარქსი კ. ლიბკნეხტს და სწერდა: მთელი იმ ნაგავიდან, რასაც შენ ვაზეთებში ნახულობ პარიზის შინაური ამბების შესახებ, არ უნდა დაიჯერო არც ერთი სიტყვა; ყველაფერი ეს სიტყუე და მოტყუებაა. არასოდეს ვაზეთების ბურჟუაზიული ჯღაბას ასე საუცხოოდ არ გამოაშკარავებულაო.

მეორე მხრივ, კომუნის გმირულ ბრძოლას, რომელიც თავისი სოციალური შინაარსით ინტერნაციონალური ზნისათვისა იყო, მხურვალე სიმპათიით გამოეხმებურა მთელი კაცობრიობის ჩაგრული ნაწილი. „კომუნამ თანაგრძნობა მოიპოვა ყველგან, სადაც პროლეტარიატი იტანჯება და იბრძვის“ (ლენინი).

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 17, გვ. 154.



პარიზის პროლეტარიატის გმირულმა ბრძოლამ თავისი რევოლუციური გავლენა მოახდინა საქართველოს საზოგადოებრივი აზრის განვითარების მსვლელობაზედაც.

როგორც ყველგან, ასევე საქართველოშიც პარიზის კომუნასთან დაკავშირებით თვალსაზრისით გამოიყვება ორი დიამეტრულად მოპირისპირე ბანაი. მშრომელი ხალხი და მოწინავე ინტელიგენცია ღრმად სიმპათიითა და წრფელი აღფრთოვანებით შეხვდნენ კომუნას, მაშინ როდესაც რეაქცია და მისგან მოსყიდული პირები გაბოროტების ვერ მალაოდნენ.

რუსეთის ცენტრალურ რეაქციულ გაზეთებთან ერთად კავკასიის ოფიციალური ორგანოებიც („კავკაზი“ და „ტერკსკი ვედომოსტი“) ვეღარ ითმებდნენ ჯალათ ტიერის დაყოვნების პოლიტიკას და დაჟინებით მოუწოდებდნენ — დაუყოვნებლივ შესდგამოდა პარიზის კომუნის დარბევა-განადგურებას.

მაგრამ როგორც მთელ მსოფლიოში, საქართველოშიც პარიზის კომუნის მრავალი ქომაგი და მეგობარი აღმოუჩნდა. ეს იყო საქართველოს მშრომელი ხალხი, რომლის აზრსა და მისწრაფებას ასახავდა ჩვენი ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი. საქართველოს ინტელიგენციის ეს რევოლუციურად განწყობილი ფრთა თავისი შეხედულებებს უმოავრსად გაზეთ „დროების“<sup>1</sup> ფურცლებზე გამოთქვამდა. ამავე საქმეს ემსახურებოდნენ ჟურნალები „კრებული“ და „მნათობი“.

მაინც პარიზის კომუნას ყველაზე ფართოდ გამოეხმარა გაზეთი „დროება“. ამ გაზეთმა როგორღაც მოახერხა დაბეჭდა ისეთი მასალა კომუნის შესახებ, როგორც იყო, მაგალითად, კომუნის ჯარის ხელმძღვანელის ნათანელ ზოსელის „დღიური“ („დროება“, № 50), კომუნის წევრის რევერის საბრალდებლო წერილი ტიერისადმი („დროება“, № 34), პარიზის დამცველ ქალთა საზოგადოების პროკლამაცია („დროება“, № 20) და სხვ. რომელთა დაბეჭდვასაც საცენზურო პირობების გამო ვერ ახერხებდნენ ხალხსნური მიმართულების ჟურნალები „Отечественные записки“ და „Дело“. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გაზეთ „დროებაში“ სხვადასხვა პოლიტიკური მრწამსის ადამიანები თანამშრომლობდნენ. ამის გამო გაზეთი ყოველთვის ვერ ინარჩუნებდა თანმიმდევრულ რევოლუციურ-დემოკრატიულ ტონს და ზოგჯერ ბურჟუაზიული ლიბერალიზმის განწყობილებამდე ეშვებოდა.

აღსანიშნავია, რომ „დროება“ ჯერ კიდევ კომუნის წარმოშობამდე მთელ თავის სიმპა-

თიებს საფრანგეთს უცხადებს და მისი გამარჯვების იმედს გამოთქვამს. გაზეთი უკმაყოფილოა, რომ ელზას-ლორენის საფრანგეთს მოსწყვიტეს მცხოვრებთა სურვილის წინააღმდეგ და ძალით შეუერთეს პრუსიის სახელმწიფოს. „მაშასადამე, — ეთანხმება ფრანგული გაზეთის ცნობას „დროება“, — ბებელი, რომელმაც პრუსიის რეიხსტაგში სთქვა, რომ ელზასის და ლორენის მცხოვრებთა არა მსურთ ჩამოშორდნენ საფრანგეთს და გერმანიას შეუერთდნენო, საესებით მართალი იყო და უსამართლოდ დაატუსაღეს ამ აზრის გამოთქმისათვის“<sup>1</sup>.

„დროება“ ათავსებს აგრეთვე დიდი ფრანგი კლასიკოსის ვიქტორ ჰიუგოს შესანიშნავ სიტყვებს, წარმოთქმულს ბორდოს ნაციონალურ კრებაზე ელზას ლორენის შესახებ.

განსაკუთრებული აღშფოთებითა და გულისწყრომით შეხვდა „დროება“ ეიულ-ფაფრისა და ტროიუს კაპიტულაციას და პარიზის დაცემას. პარიზი მიჩნეულია საფრანგეთის სიცოცხლის, მისი სულიერი სიმდიდრის, შემოქმედების წყაროდ. ამიტომ პრუსიელების მიერ მისი ხელში ჩაგდება გაზეთს მიანდა უმაგალითო და აუნაზღაურებელ დანაკლისად საფრანგეთისათვის. „არც სედანში ნახევარი ჯარის და იმპერატორის დატყვევება, არც მეცის აღება, არც ასე და ათასი დამარცხება არ ყოფილა საფრანგეთისათვის ისეთ დამცირებად, როგორც ეს ახალი განსაცდელი... პარიზის დაკარგვას ის ვერაფრით და ვერასხვით ვერ იზღავს“<sup>2</sup>.

„დროება“ სამართლიანად შეინიშნავს, რომ საფრანგეთის დამარცხების შედეგები მშრომელ ხალხს დაატყდა თავს: „როგორც ყოველთვის, საფრანგეთის დამარცხებამ ყველაზე უფრო მომეტებული ზიანი უიმისოდაც ღარიბ და შეუძლო ხალხს მოუტანა და არა ვაჭრებს, რომელთაც თავისი სამყოფი ყოველთვის დარჩებათ“<sup>3</sup>.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ „დროებაში“ შეძლო საფრანგეთის დამარცხების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზის მიკვლევა. გაზეთი მიუთითებს, რომ ლუი ბონაპარტეს ბატონობის ხანაში მთლად გაიხრჩუნა სახელმწიფო მმართველობის მთელი სისტემა.

როგორც ცნობილია, მსხვილმა ბურჟუაზიამ ისარგებლა 4 სექტემბრის რევოლუციით და ძალაუფლება მშრომელთა ჯალათს ტიერს ჩაუგდო ხელში, რადგან „მუშათა კლასის ნამდვილი ბელადები ჯერ კიდევ ბონაპარტეს სატუსალოში იხსნდნენ“. მართალია, ლუი ბონა-

<sup>1</sup> გაზეთის რედაქტორი იყო ცნობილი პუბლიცისტი სერგეი შესხი.

<sup>1</sup> „დროება“, № 1, 8 იანვარი, 1871 წ.

<sup>2</sup> „დროება“, № 3.

<sup>3</sup> „დროება“, № 17.

პარტეს იმპერია დაემხო და საფრანგეთში რესპუბლიკა გამოცხადდა, მაგრამ ამ რესპუბლიკის საღვეები „მახინჯ ქონდრის კაცს ტიერს“ ეკავა ხელში; ტიერი კი „ბურჯუაზიის კლასობრივი გარყვნილების საუკეთესო სულიერ გამოხატულებას წარმოადგენდა“<sup>1</sup>. ამიტომ მშრომელი ხალხის ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის რაიმე გაუმჯობესებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა.

საგულსხმოა, რომ საფრანგეთის იმპერიის ლუი ბონაპარტეს ვახრწინილი სახელმწიფოებრივი სისტემისა და ტიერის კონტრარევოლუციური მთავრობის კრიტიკა ჩვენში განყენებულ ხასიათს არ ატარებდა, თუმცა მიწინააღმდეგე საქართველოში არ შეიძლოთ პირდაპირ მოეყვანათ ანალოგია და აშკარად გვევლით პარალელი რუსეთის ცარიზმთან, ამ ნამდვილ „ხალხთა საყვარებელსთან“, მაგრამ მოწინავე ადამიანები, როგორც ჩანს, ახერხებდნენ გადაცვრით მაინც გამოეთქვათ თავიანთი შეხედულება იმის თაობაზე, რომ რუსეთის იმპერიაშიც ისევე უმოწყალოდ იტანჯებოდა ხალხის მასა, როგორც საფრანგეთში, ხოლო საიდუმლო კრებებზე აშკარად აღნიშნავდნენ — თვითმპყრობელთა საზიზღარი სატრაპები რუსეთში ზენდაცემული ადამიანები არიან და საფრანგეთის მმართველ პარაზიტებზე ნაკლებად არ სწოვენ სისხლს საკუთარი ქვეყნის მშრომელ ხალხს.

საქართველოს მოწინავე ინტელიგენცია მტრულად იყო განწყობილი არა მარტო ბონაპარტეს დამპალი სახელმწიფო სისტემის მიმართ, არამედ უმსგავსი ტიერის კონტრარევოლუციური რესპუბლიკის მიმართაც. რევოლუციის ქარცეცხლში ატარებდა მას. ბუნებრივია, ტიერის „რესპუბლიკის“ დაცემას, კომუნის გამოცხადებას იგი ღრმა სიმპათიითა და სიზარულით უნდა შეგებებოდა.

ამიტომ იყო, რომ რადიკალურად განწყობილი ინტელიგენციის ორგანო — „დროება“ პროპაგანდას უწყვედა რევოლუციური პარიზის ამბებს. ეს კი, თავის მხრივ, დიდ გავლენას ახდენდა არა მარტო პროგრესული აზროვნების განვითარებაზე, არამედ აღვივებდა მუშაო კლასის, ხელოსნებისა და გლეხობის რევოლუციურ მოძრაობას.

ლენინის ცნობილი გამოთქვაში — „პარიზის ზარბაზნების გრგვინვამ ღრმა ძილისაგან გამოადგინა პროლეტარიატის ყველაზე ჩამორჩენილი ფენები და ყველაზე გააძლიერა რევოლუციურ-სოციალისტური პროპაგანდა“<sup>2</sup> — სავ-

სებით შეეხება საქართველოსაც. რევოლუციური მოძრაობის ისტორია ადასტურებს, რომ პარიზის კომუნის პირდაპირი გავლენით ჩვენში რევოლუციურ გამოსვლებს ადვილი არ ჰქონია, როგორც ეს მოხდა, მაგალითად, შვეიცარიაში და სხვაგან, მაგრამ კომუნარების გმირულმა ბრძოლებმა რომ საქართველოშიც პოპულარიზაცია შეამზადეს „რევოლუციურ-სოციალისტური“ პროპაგანდისათვის, ეს უდავლოდ შეიძლება ჩითვალოს. ამით უნდა აიხსნას, რომ ხალხისნური მოძრაობა საქართველოში სწორედ 1871 წლიდან დგამს პირველ სერიოზულ ნაბიჯებს. ამ დროს ჩვენში ჯერ კიდევ არ იყო ნიდაგი პროლეტარული მოძრაობის განვითარებისათვის და ამიტომ ქალაქისა და სოფლის მშრომელ ხალხში თანდათან ვრცელდება ევროპის უტოპიური სოციალიზმის რუსული ნაირსახეობა — ხალხსონობა.

ვაზუთ „დროების“ რედაქტორი, ცნობილი პუბლიცისტი სერგეი მესხი, რომელმაც 1873-74 წლებში პარიზში დაყო, უდიდესი იტრაცებით იგონებს საფრანგეთის ხალხის დიად რევოლუციურ წარსულს. „პარიის პირველ დანახვას, — წერს სერგეი მესხი, — იმის ნიდაგზე პირველი ფეხის დადგმას გამამტრებელი და ჩამაფიქრებელი ზედმოქმედება აქვს კაცის გონებაზე... გრძობს. რომ ყოველი ნაბიჯი ამ ქალაქის მიწისა საფრანგეთის თავისუფლებისათვის დაღვრილი სისხლით არის მორწყული... უნებურად წარმოვიდგინებდა თვალწინ პარიის წარსული ცხოვრება, მისი ხალხის ბრძოლა, მისი მუშების თავშეწირულობა, მისი მოწინავე კაცებისა და მეცნიერების გავლენა მთელი ქვეყნის გონებითს ცხოვრებაზე, და ყველა აზრი ისეთ ნაირად გავიტაცებს, ისეთ ნაირად შეგაპყრობს, რომ შტერდები და ძარღვების უნებური ცახცახი მოგდის“<sup>1</sup>.

პარიზის ბრძოლების ერთ-ერთ მიმოხილვაში, რომელიც ვაზუთ „დროებაში“ არის მოთავსებული, სიყვარულითაა მოთხრობილი იმ გმირობისა და თავდადების ამბავი, რაც კომუნარებმა გამოიჩინეს; ხაზგასმულია თავგანწირვა პარიზელი ქალებისა, რომლებიც არ კმაყოფილდებოდნენ დაპრინციპის მოვლით და ქმრებისა და ძმების გამწვევებით. „ახლა თვითონ იმათ შეუდგენიათ მილიციები, ჩაუცვამთ სამხედრო ტანისამოსი, შუაგულ ცეცხლში მიდიან თურმე და გაცხარებით ებრძვიან ეერსალის ჯარებს“<sup>2</sup>.

პარიზის კომუნა საფრანგეთის მშრომელთა „ნამდვილი ნაციონალური მთავრობა იყო“, მაგ-

<sup>1</sup> კ. მარქსი, „სამოქალაქო ომი საფრანგეთში“, გვ. 44-45.

<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი, „კომუნის ბსოვნას“, თხზულებანი, ტ. 17, გვ. 154—155.

<sup>1</sup> ს. მესხი, ტ. 1, „ხამი მგზავრის შენიშვნები და ფიქრები“.

<sup>2</sup> ვაზ. „დროება“, 1871 წ. 30 აპრილი, № 17.



რამ „ამასთანავე იგი, როგორც მუშათა მთავრობა, როგორც შრომის განთავისუფლებისათვის გაბედული მოწინავე მებრძოლი, ინტერნაციონალური იყო ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით... კომუნამ საფრანგეთს მთელი დედამიწის მუშები შემოუერთა“<sup>1</sup>. ეს იყო მთავრობა, რომელიც იბრძოდა მთელი მშრომელი კაცობრიობის, ყველა ჩაგრულისა და შეურაცხყოფილის განთავისუფლებისათვის. ამიტომ სავესებით გასაგებია, რომ ფრანგი კომუნარების გვერდით თავგანწირულად იბრძოდნენ გერმანიის ქვეყნის შვილებიც.

ანტონ ფერცელაძისა და ე. მაჩაბლის ცნობით ჩანს, რომ ჯერ კიდევ კომუნის გამოცხადებამდე პარიზის ერთ-ერთ გარეუბანში, სენ-მიშელში, ყოფილა ქართველთა კოლონია, რომლის დიდ ნაწილს ღარიბი სტუდენტობა შედგენდა. მათს პოლიტიკურ საკრებულოს წარმოადგენდა კაფე „სუფლა“, სადაც ისინი ხვდებოდნენ კომუნარებს და სხვა გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეებს. იქ იმართებოდა დისკუსიები სხვადასხვა პოლიტიკურ საკითხებზე. უმთავრესად პარიზის კომუნის ვარშემო. ამ ცნობიდანვე ეტყობილობთ, რომ კომუნის მხარეზე მებრძოლთაგან კონტრრევოლუციონერებს პარიზში შესვლის დროს, ბავარტიონის ვარდა, მიუქლავთ კიდევ ვინმე ფავლენიშვილი (ეურნალი „მნათობი“, № 1, 1928 წ., გვ. 190—191).

უდავოდ შეიძლება ჩაითვალოს, რომ პარიზის პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლასთან დაკავშირებით, მისი გველნით დაიწყო საქართველოში მარქსიზმისა და ინტერნაციონალიზმის იდეების გაცნობა. ამ გარემოებაზე თვით ვახუთი „დროებაც“ მიუთითებდა<sup>2</sup>. რადიკალურ-დემოკრატიული განწყობილების ინტელიგენციის ერთ ნაწილზე კ. მარქსის მიერ დაარსებულმა პირველმა ინტერნაციონალმა დიდი გავლენა მოახდინა და მასში თანაგრძნობა გამოიწვია. ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური განწყობილების ინტელიგენტებთან ერთად 70-იანი წლების პირველ ნახევარში საქართველოში გამოჩნდნენ ინტელიგენტები, რომელნიც ინტერნაციონალიზმის პრინციპებს იზიარებდნენ; მაგრამ ისინი თითქმის მთლიანად უტოპიურ-ხალხოსნური სოციალიზმის მიმდევარნი იყვნენ და, ამის გამო, ცხადია, მათი ინტერნაციონალიზმი არ შეიძლებოდა ნამდვილად პროლეტარული ყოფილიყო.

ამ მხრივ მეტად საყურადღებო მასალას გვაწვდის ცნობილი ხალხოსანი დვ. ჯაბადარი თავის

მემუარებში<sup>3</sup>. ავტორი საინტერესო ამბავს გავმოგვცემს: 1874 წლის აგვისტოში კ. ენეევამი ნ. ნიკოლაძის, ვ. წერეთლისა და სხვათა ინიციატივით შედგა კავკასიელთა კონგრესი, რომლის დიდ უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ. კონგრესის მონაწილეებთან ურთიერთობა ჰქონდათ კომუნის ცნობილ ხელმძღვანელებს, რომელთაგან ზოგი (მაგალითად, ლ. ფრანსე) ინტერნაციონალის მომხრე იყო. „კონგრესის თავმჯდომარედ, — წერს ჯაბადარი, — არჩეულ იქნა გიორგი წერეთელი... სხდომის გასსანამდე კონგრესის წევრებმა ფხვზე ადგომით პატივი სცეს დაღუპული კომუნარების ხსოვნას“<sup>4</sup>. (ხაზგასმა ჩვენია — ლ. ე.).

პარიზის კომუნამ რომ სათანადო გავლენა მოახდინა საქართველოში ინტერნაციონალიზმის იდეების გავრცელებაზე, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ინტერნაციონალის შესახებ ჩვენში ვრცელდ იწყებენ წერას 1871 წლის 18 მარტის რევოლუციის შემდეგ და, რაც მთავარია, მის მოღვაწეობას თითქმის ყოველთვის პარიზის კომუნის საქმიანობას უკავშირებენ. აღსანიშნავია, რომ „დროებას“ და მის თანამშრომლებს თავისებური წარმოდგენა აქვთ პირველი ინტერნაციონალის როგორც ორგანიზაციულ სტრუქტურაზე, ისე მის პროგრამაზე. 1871 წლის 16 აპრილს „დროება“ წერდა:

„ამბობენ, რომ ახლანდელი პარიზის რევოლუციის პლანები ლონდონში დაუწყევით მარქსს, ასის, ბენტონისა და დარმონტს. ყველა ესენი არიან წარმომადგენელი წევრები ლონდონის ხალხთა შორის მუშების ლიგისა“<sup>5</sup>. ამავე გაზეთის 23-ე ნომერში მოთავსებულია სერიოზული წერილი სთაურით — „ხალხთა შორისო მუშების საზოგადოება“, სადაც აღნიშნულია ინტერნაციონალის მიერ კომუნისათვის დახმარების გაწვევის ფაქტები: „ზოგიერთ გაზეთებში სწერენ ამ უკანასკნელ დროს, რომ პარიზის არეულობის მომხდენი და მოთავე ის მუშების საზოგადოება იყო, რომლის სახელი ჩვენ ზევით ამოვწერეთ; ამბობენ, რომ პარიზის მუშებს ლონდონისა და ბერლინის კომიტეტებიდან მოსდიოდათ ინსტრუქცია და დარბიგათუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ისინი და

<sup>1</sup> ჯაბადარი წერს, რომ 1872 წ. ის დიდი სიყვარულით კითხულობდა და სწავლობდა კ. მარქსის „კაპიტალს“. „მე თან წვეილე მარქსის „კაპიტალი“, წიგნი, რომელიც შევიყვარე, ვსწავლობდი მას ჯერ კიდევ 1872 წელს და მსიამოვნებდა მისი ხელახლა გადაკითხვა, რომელი თავიდანაც უნდა დამეწყო“ (ეურნ. „მნათობი“, № 8, გვ. 19).

<sup>2</sup> ეურნ. „Былое“, 1907 წ., № 9, 21, გვ. 178.

<sup>3</sup> ვახ. „დროება“, № 15, 1891 წ.

<sup>1</sup> კ. მარქსი, „სამოქალაქო ომი საფრანგეთში“, გვ. 83.

<sup>2</sup> იხ. ვახუთის 1871 წლის 23-ე ნომერი.



როგორ უნდა წაყვეანათ არეულობის საქმე, ამიტომ ამ საზოგადოებას ახლა უფრო მთავრებულ მნიშვნელობას აძლევენ... აქ მოგვყავს შემოკლებითი ცნობები მართლა ამ ბუეონის მხრით შესანიშნავს საზოგადოებაზე 1:

შემდეგ აღნიშნულია, რომ ეს საზოგადოება (ინტერნაციონალი — ლ. ე.) მუშა ხალხისაგან შედგება, მაგრამ მასში მონაწილეობენ ისეთი მწეოლებიც (ინტელიგენტები), რომელთაც ხალხისადმი ერთგულება უკვე დაამტკიცესო. საზოგადოების წევრები „მთელ ღედამიწაზე არიან გაფანტულნი: ყველგან, საცა კი ცოტოდნათაა პესული მუშებში განათლების სხივი“ და, მაგლის, მოტანილია ზოგიერთი ცნობა ინტერნაციონალის ორგანიზაციული წყობისა და ამოცანების შესახებ. „ცენტრალური მმართველობის კომიტეტი ლონდონშია; აქ სწყდება ასოციაციის ყველა საზოგადო და ღირსშესანიშნავი საქმეები. სხვაგან, სატატო ქალაქებში, არიან ამ კომიტეტის განყოფილებანი, მაგალითად: პარიჟში, ბერლინში, ვენაში, ფლორენციაში, ბრიუსელში, ქენეკაში და აგრეთვე ამერიკის ბევრ ქალაქში...“

ეს ასოციაცია არის მთელი ქვეყნის მუშების შემავრთებელი. ის ცდილობს, რომ ყველა მუშებს ერთი აზრი, ერთი წადილი და ერთნაირი მოქმედება ჰქონდეს<sup>2</sup>.

ცოტა უფრო გვიან, 1872 წლის დეკემბერში „ღრობებს“ თანამშრომელი დ. ზურაბისშვილი (დ. მიქელაძე) საფუძვლიანად და გარკვევით ადგილყრს I ინტერნაციონალის პროგრამას<sup>3</sup>. თუმცა, ცხადია, ავტორი ინტერნაციონალის ამ საპროგრამო დებულებებს კრიტიკულ-უტოპიური თვალსაზრისით უტყვერის, მაგრამ ფაქტია, რომ იგი თავგამოდებით იცავს ინტერნაციონალის პრინციპებს და აღშფოთებულს გამოთქვამს ამ საზოგადოების ღედვის გამო, რასაც ინტერნაციონალი განიცდიდა. „როგორ მოგწონთ, — წერს ზურაბისშვილი, — რომ იმ საზოგადოებას, რომელსაც ამისთანა უმანკო და გონიერი მიზანი აქვს, ისე სდევნიან, როგორც ძველ ქრისტიანებს ნერონის ღროს, მაგრამ ქრისტიანებს იმ ტანჯვით და წამებით, რომელიც მათ გასწევს, არა წაუგიათ რა. უფუნურბა მტერმა არ იცოდა, რომ რაც უფრო მსურვალედ ებრძოდა ქრისტიანობას, ის მით წვევს და ძლიერებს აძენდა. ყოველი ახალი სწავლის ბედი, რომელიც ჯერ საზოგადოებას არ მიუღია, აწმარია. თუ ძველი წესი მტკიცე და მურყუველია, რაღა დაცვა სჭირია მას? ვანი იმ კარდინალებმა, რომელთაც არ სურთ მიიღონ კოპერნიკის სის-

ტემა და წინააღმდეგი არიან, დაარწმუნეს ვინმე, რომ ისინი სდებდნენ? თუ რომელიმე სავანი ტემპირიტებაა, იმას რაც ვინა ბევრი ეღავო, მონადრომ გაცრუება, თქვენი იარაღი ვერაფერს აენებს“ 1.

ავტორის თეორიული გამჭირიახობა იქიდანაც ჩანს, რომ მას წამს ინტერნაციონალის მოწინავე იდეების აუცილებელი გამარჯვება მომავალში, მიუხედავად მისი ბარბაროსული ღედნაშევიწროებისა. იგი გულისწყრომით აღნიშნავს, რომ „ჩვენს საუკუნეში სამართლის ტალახში გათელა, თავისუფლების შეგინება, ხალხის ბედით თამაში“ და სხვა მრავალი სოციალური-პოლიტიკური უკუღმართობა ჯერ კიდევ ძალაშია; მაგრამ ასე არ იქნება მომავალში. „სანატრელი ღდის მოახლოება ჩვენზევე არის დამოკიდებული<sup>2</sup>. უნდა ვებრძოლოთ და მათ მიზნის მივალწიოთო, — წერს დ. ზურაბისშვილი.

კომუნიზმი უღარეს სიმამათის ისიც ადასტურებს, რომ საქართველოში დიდი აღშფოთება და მწუხარება გამოიწვია მისმა დამარცხებამ. განსაკუთრებული გულისწყრომა დარისხვა დამისახურა ტერიისა და გალიფეს უღორესად საზოგადოება მტარვლობამ და კომუნარებთან მხევერება გასწორებამ. „ტანში ქრუანტელი უღისი მისი კაცს, როცა ამ იმბებს კითხულობს, რომელნიც პარიჟში მომხდარან და ამ ქამდაც ხდებიან. პარიჟის მეოთხედი ნაწილი გადამწვარია თურმე; ვერსალის ჯარს ჯერჯერობით ათას კაცზე მეტი დაუხერგია ინსურტების მხრით. ახლა პარიჟში შესვლის ღროს რამდენი მოკლეს, რამდენი სასიკვდილოთ დასტრეს, რამდენი დაატუსადეს, ვინ მოსთვლისა“<sup>3</sup>— მოუთხრობს მკითხველს ვახუთი და შემდეგ აღნიშნავს, რომ პარიჟის ქუჩებში და სარდაფებში 50.000-ზე მეტი გვამი ყრია უბატროოდ, რომელთა შორის კომუნართა მეთაურებიც არიან. „რაც ის (ტერიის კონტრარეკლუციური მთავრობა. — ლ. ე.) უწყალოდ მოქცა თავის ხალხს“<sup>4</sup>, გარეშე მტრებს ამის მეთადე შეუბრალებლობაც არ გამოუჩენიათო, წერს ვახუთი.

ვახუთი ბეჭდავს კომუნართა ჯარის ერთერთი მეთაურის, ნათანელ როსელის ღდურს, სადაც ნაჩვენებია გმირობა ერთერთი კომუნარისა, რომელიც დაპატიმრებულია, აწამებენ, იცის, რომ სიკვდილი მოელის, მაგრამ ვაჟაკურად ზედება მას და ასეთი სიკვდილი ღირსების საქმედ მიიჩნია. როსელი თავის ღდურში წერს: „სიკვდილი მე არ მამინებს; მე ვკე-

1 ვახ. „ღრობა“, № 23.

2 „ღრობა“, 1871 წ. № 23.

3 „ღრობა“, 1872 წ., 1 დეკემბერი, № 47.

1 „ღრობა“, 1872 წ., 1 დეკემბერი, № 47.

2 იქვე.

3 „ღრობა“, 1871 წ., № 31.

4 „ღრობა“, 1871 წ., № 50.



დები ახალგაზრდა, ვეკდები უეცარი და საპა-  
ტიო სიკვდილით, ჩემს შემდეგ ვტოვებ პატივ-  
საცემ ხსოვნას და მხნეობის მთავალის — ამის-  
თანა სიკვდილი სანადვლო კი არა, სანატრე-  
ლი... არ მინდა ამაზე უკეთესი სიკვდილი<sup>1</sup>.

თუ როგორი გულისტკივილითა და თანაგრძ-  
ნობით შეხვდა პარიზის ხალხის ტრაგედიას  
საქართველოს მოწინავე მოსწავლე ახალგაზრ-  
დობა, ამის შესახებ ხალხოსანი ივ. ჯაბაძარი  
შემდეგს მოგვითხრობს: „ჩვენ უცრემლოდ ვერ  
ვხებხებდით ლაპარაკს პარიზის დრამის შესა-  
ხებ, დაფლეთილი და დამცირებული საფრან-  
გეთის შესახებ“<sup>2</sup>.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის აღშფოთება,  
რომელიც ილია ჭავჭავაძემ პოეტურ ფორმაში  
ჩამოაყალიბა პარიზის კომუნის დამარცხების-  
თანავე (1871 წლის მაისი). მან კომუნის უძღვნა  
ცნობილი ლექსი „პარიჟი“, რომელშიც შესანიშ-  
ნავად არის გამოხატული ქართველი ხალხის  
მხურვალე თანაგრძნობა კომუნისადმი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პარიზის კომუნის  
დამარცხებას საქართველოში არ გამოუწვევია  
უიმედობა, სასოწარკვეთილება და რევოლუციის  
რწმენის დაკარგვა.

ამ დამარცხებას ილია ჭავჭავაძე ისტორიული  
მსვლელობის მხოლოდ შეფერხებად მიიჩნევს:

„...კვლავ შეფერხდა ისტორია,  
განახლების შესდგნენ ძაღნი,  
და კვლავ დღესასწაულობენ  
გამარჯვებულნი მტარვალნი“.


ხოლო რევოლუციურ-დემოკრატიულად მო-  
აზროვნე დ. ზურაბისშვილი გადაჭრით ამტკი-  
ცებს, რომ „მხეცური ინსტიტუტები“ ველარ  
„იმეფებენ დიდხანს“... „სანატრელი დღის მო-  
ახლოება ჩვენზედვე არის დამოკიდებული“.  
„ეგებრძოლოთ ხალხის დამჩაგვრელ მიზეზს,  
წინააღმდეგეთ მხნეთ ბოროტებსა და ეშვი არ  
არის, ვნახავთ გამარჯვების დღეს“<sup>1</sup>.

მაგრამ 70-იანი წლების ქართული პრესის  
ყველაზე უფრო მოწინავე გაზეთიაც კი, როგო-  
რიც იყო „დროება“, მთელის სიღრმით ვერ გაი-  
გო პარიზის კომუნარების ბრძოლის დიდი მსოფ-  
ლიო-ისტორიული მნიშვნელობა. სწორედ ამი-  
ტომ, მიუხედავად დიდი სიმპათიისა კომუნისა-  
დმი, იგი ბევრ სწორ მოსაზრებასთან ერთად  
ზოგჯერ შემდგარ შეხედულებებს გამოთქვამს  
კომუნის შესახებ. მაგრამ უთუოდ უსამართ-  
ლობა იქნებოდა მოგვეთხოვა იმდროინდელი  
ქართული პრესისაგან პარიზის კომუნის ყო-  
ველმხრივ სწორი და ამომწურავი შეფასების  
მოცემა. ეს ხომ ვერ შეძლო მსოფლიოში ვერც  
ერთი ქვეყნის პრესამ, გარდა მარქსისტულისა.

ქართველი მოწინავე ინტელიგენციის სიმპა-  
თიები მთლიანად პარიზის კომუნის მხარეზე  
იყო. რამდენადაც მოსახერხებელი იყო, მათ  
ეს გამოთქვეს კიდევ პრესის, უწინარესყოფი-  
ლა, გაზეთ „დროების“ ფურცლებზე, მაგრამ მათ  
არ შეეძლოთ მოეცათ კომუნის ისტორიული  
მნიშვნელობის ამომწურავი მეცნიერული და-  
ხასიათება. ეს საქმე, როგორც ცნობილია, მარქ-  
სიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა გააკეთეს.

<sup>1</sup> „დროება“, 1871 წ., № 50.  
<sup>2</sup> იქვე, 1907 წ., № 8, გვ. 7.

<sup>1</sup> „დროება“, 1872 წ., 1 დეკემბერი, № 47.



## გზაზე გვიჩვენეთ

# სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის ნოვატორული ხასიათი

ლიტერატურასა და ხელოვნებას, რომლებსაც წინ უსწრებდა ხალხური შემოქმედება, ფოლკლორი, სხვადასხვა ხასიათის გაერთობები, ცეკვები, საწესჩვეულებო რიტუალები, შეიძლება ითქვას, ისეთივე უძველესი ისტორია აქვს, როგორც საერთოდ კაცობრიობას, აი, უკვე რამდენიმე ათეული ათასი წელიწადია, რაც ისინი ადამიანის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სულიერ საზრდოსა და მხატვრული შემოქმედების საშუალებას წარმოადგენენ. გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი საოცრება, რაც კი ადამიანის გენიას შეუქმნია, ლიტერატურა და ხელოვნებაა. მხატვრულ ნაწარმოებებს, იქნება ეს პოეზიის, პროზისა თუ დრამატურგის ნიმუში ან ფერწერული სურათი, სანახაობითი წარმოდგენა თუ კინოფილმი, აგრეთვე მუსიკალურ ნაწარმოებებს და საერთოდ, ლიტერატურისა და ხელოვნების სახეობათა ყოველ ნიმუშს ადამიანზე უდიდესი ზემოქმედების უნარი აქვთ. ისინი გვაღელვებენ, გვაკვირვებენ, აღგვაფრთოვანებენ, გვიხსნიან და გვასწავლიან ცხოვრებას, გვაძლევენ საშუალებას დრამად ჩაიხედოთ ადამიანის სულიერ სამყაროში, გავერკვეთ ავსა და კარგში, ამასთანავე დიდ როლს თამაშობენ ჩვენი მხატვრული ანუ, როგორც იტყვიან, ესთეტიკური აღზრდის საქმეში.

ის გარემოება, რომ ხელოვნება და, განსაკუთრებით კი, ლიტერატურა შეისწავლის და მხატვრულად გვიჩვენებს, გაიზარებს და წარმოგვისახავს ადამიანს, მის ცხოვრებას, ადამიანის ცხოვრების აზრსა და დანიშნულებას, მის მოქმედებას, მისწრაფებას, გადავიხსნის ადამიანის სულიერი სამყაროს ლაბირინთებს, რომლებშიც იილი როდია გარკვევა, — ყოველივე ეს ცნობილია, შეიძლება ითქვას, მას შემდეგ, რაც წარმოიშვა სიტყვაგაზმული მწერლობა და ხელოვნების ფორმები. ეს კარგად ესმოდათ ჯერ

კიდევ ანტიკური ხანის მთავროვნებსა და შემოქმედებს. ხოლო ჩვენი საუკუნის დიდმა მხატვარმა, სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის ფუძემდებელმა მაქსიმ გორაკიმ მოუძებნა ლიტერატურას ამ მისი არსის განმსაზღვრელი ტერმინი და „ადამიანთმცოდნეობა“ უწოდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ლიტერატურა და ხელოვნება არა მარტო გვიჩვენებს ადამიანს, არამედ კიდევ ახდენს მასზე ზეგავლენას, ხელს უწყობს მის ზრდასა და ჩამოყალიბებას, მსოფლმხედველობრივს, ეთიკურსა თუ ესთეტიკურს განვითარებას.

ლიტერატურისა და ხელოვნების არც ეს უდიდესი აღზრდელობითი ფუნქცია იყო უცნობი წარსული ეპოქების ჰუმანიტარული მწერლობისათვის, მაგრამ მარტო ამის შეგნება როდი კმაროდა. საჭირო იყო ლიტერატურასა და ხელოვნებას არა მარტო გამოეხატა ხალხის ინტერესები (ამას აშკარად ვხედავთ ჩვენი დიდი წინაპრების შემოქმედებაში), იგი ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო ადამიანთა ერთი ჯგუფის ან საზოგადოების ერთი რომელიმე სოციალური ფენისათვის კი არა, — მთლიანად ხალხისათვის. ეს კი შეუძლებელი იყო ისეთი საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებში, როდესაც მშრომელი ხალხი მოკლებული იყო თავისუფლებას, ანუ მოყოლებული ბნელი მონათმფლობელური სახელმწიფოდან თვით „ცივილიზებულ“ იმპერიალისტურ ეპოქამდე. ასეთი თავისუფლება ხალხის ინტერესების გამოხატვისა ლიტერატურამ მხოლოდ სოციალისტურ საზოგადოებაში მიიღო, ისევე, როგორც ამავე საზოგადოებრივ ცხოვრებაში პირველად მთელი ისტორიის მანძილზე შესაძლებელი გახდა ხელოვნება და ლიტერატურა ყველასათვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო.

ეს თვით ჩვენი საზოგადოებრივი ყოფის არსიდან გამომდინარეობს. ამიტომაც იყო, დიდმა



ლენინმა ჯერ კიდევ რუსეთის პირველი რევოლუციის ეპოქაში წინასწარ რომ განჭვრიტა საბჭოთა ლიტერატურის პრინციპები და განაცხადა: „ეს იქნება თავისუფალი ლიტერატურა, თავისუფალი იმიტომ, რომ არა ანგარება და არა კარიერა, არამედ სოციალიზმის იდეა და მშრომელებისადმი თანაგრძნობა მიზნადებს ახალ-ახალ ძალებს მის რიგებში. ეს იქნება თავისუფალი ლიტერატურა იმიტომ, რომ იგი სამსახურს გაუწყვეს არა სალონების ვულგოყირკებულ „გმირ ქალს“, არა მოწყენილ და სიმსკეპნის ქონით შეწუხებულ „ზედღეუნის ათეულ ათასებს“, არამედ მილიონობით და ათეულ მილიონობით მშრომელებს, რომელნიც ქვეყნის ხალხურეთსო ნაწილს, მის ძალას, მის მომავალს შეადგენენ“<sup>1</sup>.

შესანიშნავი რუსი მოაზროვნე და მწერალი გერცენი აღნიშნავდა, რომ თუ ჩვენ გვანციფრებებს ხელოვნების ნაწარმოებებს, ეს ხელს გვიშლის დავტკბეთ იმითი, თუ კი გაოცებულნი ვართ სურათით ან ქანდაკებით და ბოლომდე ვერ გავგიგია იგი, ჩვენ არ შეგვიძლია მივიღოთ სრული ესთეტიკური სიამოვნება. ეს მართლაც ასეა. სულაც არ არის საკმარისი, რომ ვგაოცებდეს ხელოვნების რაიმე ნიმუში, — ჩვენ კიდევ უნდა გვესმოდავს იგი, უნდა ვიცოდეთ, თუ რას გამოხატავს, რას გვასწავლის და გვიხსნის. ამის გარეშე არა მარტო ვერ დავტკბებით მხატვრული ქმნილებით, არამედ ვერც მის ზემოქმედებითს ძალას განვიცდით სრულად.

ამიტომაც აუცილებელია, რომ ჩვენს საზოგადოების ყოველი წევრი ზოგადად მაინც ერკვეოდეს ხელოვნებისა და ლიტერატურის უმნიშვნელოვანეს საკითხებში, იცნობდეს მის ისტორიას, განვითარების ძირითად ეტაპებს, არჩევდეს განსხვავებას მხატვრულ მეთოდებს შორის. იმ მრავალფეროვან საშუალებებს რომელითაც ხდებოდა დღემდე მშრომელთა მხატვრული გემოვნების დახვეწა და ხელოვნებისა და ლიტერატურის ცოდნის ვალრბავება, დაემატა კიდევ ერთი ახალი ფორმა — ესაა მშრომელთა სახალხო უნივერსიტეტები. ყოველივე ამის შედეგია, რომ საქვეყნოდაა ცნობილი და აღიარებული საერთოდ საბჭოთა მკითხველისა და მკითხველის მომთხოვნელობა, მაღალი გემოვნება, შეფასებისა და დაფასების დიდი უნარი.

ლიტერატურასა და ხელოვნებაში, მისი ხანგრძლივი არსებობისა და განვითარების მანძილზე, იყო სხვადასხვა მიმდინარეობა და მეთოდი, რომლებიც განპირობებული იყო გარკვეული

ეპოქით, ცხოვრებით. მარტო უკანასკნელი ერთი-ორი საუკუნის მანძილზე ჩვენ ვიცნობთ კლასიციზმს, სენტიმენტალიზმს, რომანტიზმს, კრიტიკულ რეალიზმს, სიმბოლიზმს, იმპრესიონიზმს და, ბოლოს, სოციალისტურ რეალიზმს. კიდევ ბევრის ჩამოთვლა შეიძლებოდა, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ძირითადი ვთქვიით. ყველა ამათ თავისი დამახასიათებელი ნიშნები აქვთ.

ზემოთ ჩამოთვლილი ყოველი მიმართულების ლიტერატურისა და ხელოვნების ნიმუშებს თავისი დგაწილი მიუძღვით კაცობრიობის კულტურის ზრდისა და განვითარების საქმეში. მართალია, ამ უზარალო ჰუმარაიტებს ადრე, ვულგარიზატორული და ულტრამამრცხნელი პოლიტიკის გამო, ხელოვნებაში ბევრი არ ვაიზარებდა, მაგრამ ახლა ამის უარყოფა ძნელია. ამასთანავე, ისიც ცხადია, რომ ამ მიმართულებათა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა მაინც კრიტიკულ რეალიზმსა და სოციალისტურ რეალიზმს ენიჭება. სწორედ ამ რეალიზტრმა ხაზმა საშუალება მისცა ხელოვნებასა და ლიტერატურას მთელი სიღრმითა და სისრულით წარმოესახათ საზოგადოებრივი ცხოვრება, შეექმნათ დიდი ცხოვრებისეული სიმარლოთ აღსავე შთამბეჭდავი მხატვრული ტილოები.

ამიტომაც, რომ თანამედროვეობის ყველაზე პროგრესული მეთოდი ლიტერატურისა და ხელოვნებისა — სოციალისტური რეალიზმის მეთოდი — ემყარება და გამოდის კრიტიკული რეალიზმის ლიტერატურისაგან, წარმოადგენს ამ უკანასკნელის განვითარებას ახალ ისტორიულ პირობებში. ახლა ძნელად თუ შეხედვებით აშკარა ვულგარიზატორულ შეხედულებებს ამ ორი ლიტერატურის ურთიერთკავშირზე. კარგა ხანია ისტორიას ჩაბარდა ის პერიოდი, როდესაც ახალი პროლეტარული კულტურის შესაქმნელად ზოგი მოითხოვდა წარსულის შემკვიდრობაზე ხელაღებით უარის თქმას. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, თითქოს ამ ორი ლიტერატურის ტრადიციისა და ნოვატორობის საკითხის გარკვევაში შეცდომები თუნდაც ამ უკანასკნელი წლების მანძილზე არ გვექონდა, ან ახლაც არ გვექვს ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით.

სულ უკანასკნელ ხანებამდე ხშირად შეხედვებით მოსაზრებას, თითქო კრიტიკულმა რეალიზმმა მეცხარამეტე საუკუნის დასასრულს ან, უკეთეს შემთხვევაში, მეოცე საუკუნის დასაწყისისათვის მთლიანად ამოწყრა თავისი შესაძლებლობა და მოქველდა. ამით იჭმალებოდა ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც ენიჭება ასეთი ხასიათის ლიტერატურას ჩვენს დროში მსოფლიო კულტურის განვითარების საქმეში. მეორე მხრივ, ზოგ ლიტერატურისმცოდნეს უჭირს გამოკვეთოს ის სიახლე, ნოვატორობა,

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზულებათა სრული კრებული, მეოთხე გამოცემა, ტ. 10, გვ. 40-41.

რაც სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურას მოყვება თან და რითაც განირჩევა იგი კრიტიკული ლიტერატურისაგან. აღარაფერს ვამბობთ საბჭოთა კულტურის მიმართ იმ მტრულ გამოხდომებზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ ამ უკანასკნელი წლების რევოლუციური ხასიათის დისკუსიების დროს, როდესაც ზოგი იმის დამტკიცებას ცდილობდა, თითქოს სოციალისტური რეალიზმის მეთოდი მხოლოდ პოლიტიკური გამოხატულებაა და საერთო არაფერი აქვს ჰუმანიტარულ ხელოვნებასა და ლიტერატურასთან, ან კიდევ, თითქოს საბჭოთა ლიტერატურასა და ხელოვნებას ახალი არაფერი შეუტანია მხატვრული შემოქმედების განვითარებაში და ბრმაღ მისდევს მეცხრამეტე საუკუნის ტრადიციებს.

აღარას ვიტყვით ასეთი ხასიათის მტრულ გამოხდომებზე იმიტომ, რომ მათი სიყალბე ისედაც აშკარა და თვალნათლივია; რაც შეეხება იმ შეცდომებს, რომლებიც ჩვენს ზოგ ლიტერატურისმცოდნესა და კრიტიკოსს მოსდის, უნდა ითქვას, რომ ჰუმანიტარულ მოკლებული და მცდარია როგორც სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის ტრადიციისა და ნოვატორობის გათიშვა, ასევე მისი ამ ორი მნიშვნელოვანი მხარისა ერთ-ერთის გახვიადება და მეორის მიჩქმალვა.

იმისათვის, რომ მთელი სისრულით გავიგოთ სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურისა და ხელოვნების არსი, ბუნება, განსაზღვრელი ნიშნები, ის, რითაც იგი უკავშირდება წარსულის დიდ ტრადიციებს და ისიც, რითაც იგი გამოირჩევა ისტორიისათვის ცნობილი ყველა სხვა მიმდინარეობიდან, უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ახალი ხელოვნება ახალი ეპოქის პირველი და ამ უკანასკნელის მხატვრულ გაზარებასა და წარმოსახვას ისახავს მიზნად. სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის ნოვატორობა, რაღა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა ემყარება იმ უზარალო ჰუმანიტარულ ძირებს, რომ იგი ახახავს ახალ სინამდვილეს, ადამიანთა ახალ ურთიერთობას, საზოგადოებრივი ცხოვრების ახალ პირობებს და, ამასთანავე, ყოველივე ამას ახახავს ახალი იდეური, მოსოღმხედველობრივი პოზიციებიდან. ამის გამო, ხშირად შეგხვდებით მოსაზრებას, რომ ეს სოციალისტური რეალიზმი ესაა თანამედროვე რეალიზმი, რომელიც სოციალისტურ იდეოლოგიას ემყარება. უნდა ითქვას, რომ ეს ძირითადად სწორი მოსაზრებაა, თუმცა მეტად ზოგადი და ამ განსაზღვრებაში არ იცვლება ის კონკრეტული ნოვატორული მხარეები, რომლებიც სოციალისტური რეალიზმის მეთოდს მოყვება ლიტერატურასა და ხელოვნებაში. ამიტომაც ჩვენ სწორედ ამაზე შეგაჩერებთ მკითხველის ყურადღებას და შევეცდებით, რამდენ

ნადაც შევძლებთ, თვალნათლივ გამოვკვყოთ ამ ახალი ლიტერატურისა და ხელოვნების ნოვატორობის განსაზღვრელი ნიშნები.

სოციალისტური რეალიზმის მეთოდი არ არის ხელოვნების რომელიმე კერძო ცალკეული სახის საკუთრება. იგი ერთნაირად მნიშვნელოვანია მთლიანად ხელოვნებისა და ლიტერატურისათვის. ის არსებითი ნიშნები, რომლებიც მის ახასიათებს, ერთნაირად განეკუთვნება როგორც მწერლობის ყველა ენარს, ასევე თეატრალურ ხელოვნებას, ფერწერას, და საერთოდ სახვით ხელოვნებას, კინოხელოვნებას, მუსიკას, იქ ჩვენ მხატვრული ლიტერატურით შემოვიფარებებით და სხვადასხვა მოსაზრების განსამარტავად მავალთებისათვის მას მივგზნათავ.

რომელი დიდი მწერლის შემოქმედებაც არ უნდა ავიღოთ, ნათლად დავინახავთ, რომ მასში ასახულია ის ეპოქა, რომელშიც უხდებოდა მწერალს ცხოვრება — თავისი იდეებით, მისწრაფებებით; ასახულია იმ დროის ხალხის ყოფაცხოვრება, ჩვევები, ფსიქიკა, განწყობა. როდესაც ვკითხულობთ დიდი ქართველი მწერლის, ქართული კრიტიკული რეალიზმის დედაბოძის ილია ჭავჭავაძის ლექსებს, პოემებს, მოთხრობებს, ჩვენს წინაშე იშლება მეცხრამეტე საუკუნის ქართული ყოფის სურათები, ვხედავთ ქართველი გლეხის მძიმე, აუტანელ მდგომარეობას, გვესმის ის ტკივილი, რომელსაც განიცდიდნენ ჰუმანიტარული მამულეზილები სოციალისტური და ეროვნული ჩაგვრის გამო.

ვგიხსნებთ ილიას ისეთი შესანიშნავი ნაწარმოებები, როგორცაა „გლახის ნაამბობი“, „სარჩობელაზედ“, „კაცია-ადამიანი!“, „კაკო-ყანალი“. ერთის მხრივ აქ ნაჩვენებია გლეხობის, ყმების აუტანელი ცხოვრება, რაც აიძულებს ზაქროს, კაკოს, გაბრიელს. — ამ გამარჯვებულისან შრომელებს — ბატონის სისხლი დაღვარონ, აიღონ ხელი სახლკარზე, მიწაზე, გუთანზე და ყანადად გავარდნენ. მეორეს მხრივ, ლუარსაბ თათქარიძისა და სხვათა სახით, თვალნათლივად გადმოცემული ქართველი ფეოდალების გადაგვარება, გონებრივი დაწლუნგება, ფიზიკური დაძაბუნება.

ერთი სიტყვით, ილია ჭავჭავაძის და, მასთან ერთად, სხვა ქართველი მწერლების — აკაკი წერეთლის, გიორგი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას და სხვათა შემოქმედებაში მხატვრულადაა აღბეჭდილი იმდროინდელი ცხოვრების სურათები, ისევე, როგორც რუსეთის სინამდვილე აისახა პუშკინის, გოგოლის, ტოლსტოის, ნეკრასოვის, ტურგენევის და სხვა კლასიკოსების მხატვრულ ნაწარმოებებში. ასეთი დიდი მწერლების მიერ შექმნილი მხატვრული სახეები, სურათები საუკუნეების მანძილზე ცოცხლობენ. ჩვენ შეუნელებელი ინტე-



რესით ვეწაფებით მათ, ვკითხულობთ ვატაკე-  
ბით, ვეცნობთ ჩვენი ხალხის მხატვრულ ის-  
ტორიას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს ვერ  
დაგვკამყოფილებს მთლიანად. ჩვენ მაინც უპირ-  
ველეს ყოვლისა დღევანდელი ცხოვრების გაგე-  
ბა გვსურს. ამაში კი თავისი დიდი როლი  
უნდა ითამაშოს თანამედროვე ლიტერატურამ.  
ლიტერატურა ვალდებულია დააკმაყოფილოს ეს  
მთავარი მოთხოვნები მკითხველისა, აჩვენოს  
მხატვრულ სახეებში თანამედროვე ადამიანის  
ცხოვრება, ჩვენი დღევანდელი.

მკითხველის ძირითადი ყურადღება მაინც საბ-  
ჭოთა ლიტერატურისკენაა მიმართული, თუმცა  
საკმაოდ ხშირად გავიგონებთ მოსახრებს, ათ-  
თქმის თანამედროვეობას არ ჰყავდეს თავისი  
მხატვრული გენიით კლასიკოსების ბადალი  
მწერლები. საკითხის ასე დაყენება არ არის  
სწორი. თითქმის ყოველთვის უნაყოფოა სხვა-  
დასხვა ეპოქის დიდი მწერლების შედარება  
იმის გასარკვევად, თუ რომელი უკეთესია თა-  
ვისი მხატვრული ნიჭითა და შესაძლებლობით.  
ჩვენი აზრით, არ შეიძლება სერიოზული მსჯე-  
ლობა იმ საკითხზე, თუ ვინ უკეთესია როგორც  
მწერალი — სტენდალი, ბალზაკი, ტოლსტოი,  
პუშკინი თუ გორკი, რომენ როლანი, მიაჟოვ-  
სკი, შოლოხოვი, ან კიდევ, ბარათაშვილი, ჭავ-  
ჭავაძე, წერეთელი, ყაზბეგი თუ ვალაქტონ  
ტაბიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, გიორგი ლეო-  
ნიძე, ლუი ქიანელი თუ კონსტანტინე გამსა-  
ხურდია. საქმე ისაა, რომ ყოველი დიდი მწერა-  
ლი განუყოფელია და მისი სიდიადე განი-  
სახლდება უპირველეს ყოვლისა იმით, თუ  
რამდენად სიმართლი, ღრმად და ნათლად ასა-  
ხა მან თავის შემოქმედებაში თავისი დროის  
ცხოვრების მნიშვნელოვანი მხარეები და ამით  
რა შეიტანა ახალი თავისი თანამედროვეების  
სულიერი ცხოვრებაში, რითი გაამდიდრა ის.

თანამედროვე მწერლის შთაგონების წყაროს  
ჩვენი ცხოვრება წარმოადგენს. მისი ნოვარტო-  
რობა განისაზღვრება სწორედ იმით, თუ რამ-  
დენად წარმატებით, სრულად და მხატვრულად  
ძლიერად ასახავს ამ ცხოვრებას. სოციალისტუ-  
რი რეალიზმის ლიტერატურის ნოვარტორობა  
ზწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი მსოფ-  
ლიო ლიტერატურის ისტორიაში პირველად ისა-  
ხავს მიზნად გადაწყვიტოს ამოცანა — რევოლუ-  
ციური პროლეტარიატის მსოფლმხედველობრი-  
ვი პოლიტიკიდან და ხალხის ინტერესებიდან  
გამომდინარე ასახოს საყოველთაო სახალხო  
ბრძოლა სოციალური და პოლიტიკური თავი-  
სუფლებისა და თანასწორობისათვის, ასახოს  
ახალი სოციალისტური ყოფა, ყოველმხრივ და  
ღრმად გახსნას ამ ახალი სინამდვილის ადამი-  
ანის სულიერი სილამაზე.

თუ უშუალოდ ლიტერატურულ ნიმუშებს

მივმართავთ, კონკრეტულ მაგალითებზე კიდევ  
უფრო თვალნათლივ გამოჩნდება სოციალის-  
ტური რეალიზმის ლიტერატურის ეს ნოვარტო-  
რული ხასიათი. ამასთან დავინახავთ იმასაც,  
რომ სოციალისტური რეალიზმის ლიტერატუ-  
რა, რომელიც ცხოვრებას ასახავს რევოლუ-  
ციურ განვითარებაში, გვიჩვენებს არა მარტო  
არსებულ სინამდვილეს, არამედ იმასაც, რაც  
იზადება, ყალიბდება და იზრდება — ეს ლიტე-  
რატურა ისახებოდა და იქმნებოდა წინა ეპო-  
ქის ლიტერატურის დიდ ტრადიციებზე.

მეცხრამეტე საუკუნის დიდ მწერლებს, ისე-  
ვე, როგორც ყოველი ეპოქის ლიტერატურის  
ტიტანებს, ძლიერ აღუვებდათ თავისი თანამე-  
დროვე ცხოვრება. ისინი მთელი თავისი შესა-  
ძლებლობით ამხედნენ იმდროინდელი ცხოვ-  
რების მახინჯ მხარეებს, მათ კარგად ესმოდათ  
ის ბოროტება, რაც ხალხისათვის მოჰქონდა ბა-  
ტონყმობას, ფეოდალურ ჩაგვრასა თუ კაპიტა-  
ლისტურ — ექსპლოატაციას. მათ მართლაც შე-  
მაძრწუნებლად დაგვიხატეს ხალხის ყოფის სუ-  
რათები, რომლებშიც, ნათლად ჩანს, რომ ევ-  
ტორების მთელი სიმათია და სიყვარული ჩაგ-  
რულთა მხარეზეა. მაგრამ მათ ჯერ კიდევ არ  
იციოდნენ კუმშვარითი გზა ხალხის ხსნისა და  
ამიტომ ვერც უსახედნენ ჩაგრულებს სოცია-  
ლური და პოლიტიკური თავისუფლების ერთად-  
ერთ სწორ გზას.

ილია ჭავჭავაძემ თავის შესანიშნავ მოთხრო-  
ბაში „ოთარაანთ ქვრივი“ უბადალო ოსტატობი-  
თა და დამაჯერებლობით აჩვენა თანამედრო-  
ვეებს, რომ ხიდი მემამულეებსა და გლეხებს  
შორის ჩატეხილია, მაგრამ იმდროინდელი ვითა-  
რებაში მწერალს არ შეეძლო სკოდნოდა გლე-  
ხობის ხსნის გზა და ვერც დავვისახა. იმ დროს,  
როდესაც თვითმპყრობელობა და ბატონყმობის  
გაღმორანთები, აგრეთვე ახალი სოციალური  
უბედურება — ბურჟუაზიული ექსპლოატაცია  
მძიმე უღლად აწვა მშრომელებს, მწერლებსა-  
თვის ძნელი იყო თავისი ოცნების — ხალხის  
განთავისუფლების განხორციელების რეალური  
საყრდენის პოვნა. რევოლუციონერ-დემოკრატი  
მწერლები გრძობდნენ უდიდესი სოციალური  
და პოლიტიკური კრიზისის მოახლოების, მო-  
მავალ ძვრებს, მაგრამ ვერ ხედავდნენ, და მაშინ  
არც შეეძლოთ დაენახათ, რევოლუციური კლა-  
სი, პროლეტარიატი, რომელსაც შესწევდა უნა-  
რი ძირფესვიანად გადაერთიანებისა და გარ-  
დაეჭვნა ცხოვრება. ამიტომაც არ შეეძლოთ  
მომეპარჯებოთ თავის შემოქმედებაში ახალი,  
სოციალისტური რეალიზმის მეთოდი, რომელიც  
ცხოვრებამ პროლეტარული რევოლუციების  
ეპოქაში წარმოშვა.

ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს მეცხრამეტე  
საუკუნის დასასრულისა და მეოცე საუკუნის

დასაწყისის ლიტერატურის შედარებისას. იმაზე უფრო ამაღლებულად აღწერა გლახაკის უნუგეშო მდგომარეობისა, რაც ეგნატე ნინოშვილმა მოგვცა თავის შემოქმედებაში, ძნელი წარმოსადგენია. გვიხსენით გოგია უიშვილის ზეგდრი ამავ სხელწოდების მოთხრობიდან. გოგია უიშვილმა ველარ აიტანა სიმშვილი, სიღატაკე, სიმშველე, რაც მთავარია, სრულიად უდანაშაულად გაროზგვა — და თავისი სიცოცხლე ასე უბედურად დაასრულა. ალაღმართალი მშრომელი, რომელსაც თავისი ოფლისა და ჯანის ფასად ოჯახში ლუქმაპური შეჭონდა, რომლისათვისაც არ არსებობდა სხვა ინტერესი გარდა იმისა, რომ თავისი შვილები როგორმე გამოეყვება, ბუნტის თავად და ავანაჯად გამოაცხადეს, საჯაროდ შეარცხვინეს, ფეხქვეშ გათელეს მისი ადამიანური და მამაკაცური ღირსება. გოგიამ სხვა გზა ხსნისა ვერ დაინახა და თავის გასაპირს თვითმკვლელობით მოუღო მხოლო. გოგიას კარგად ესმის, რომ მისი საქციელი სულმოკლეობაა, რადგან ქედს იხრის ცხოვრებისეული ბოროტების წინაშე, ლაჩრულად გაურბის მას და მძიმე უღელს მთლიანად მარინეს ატოვებს გასაწყველად, მაგრამ შინაგანად მოზღვაებული პროტესტის უკეთესი გამოხატულება მისთვის უცნობია.

გოგიას სიცილილმა სულ გააბარტახა მისი ოჯახი. შემადრწუნებელია ის სურათი, როდესაც უბედურებისაგან ჰკუთვამდებარა მარინე დანით ხელში დასდევს ბავშვებს, ესენი კი კვილითა და გულისხეთქით გაურბიან დედას. ასეთი ახალი წელი გაუთენდა მშრომელი გლახის გოგიას ოჯახს. აქ არის მოთხრობის ლოგიკური წერტილი, მაგრამ მწერალს სურს ერთგვარი იმედის სხევი შეიტანოს ნაწარმოების ფინალში და ასე ამთავრებს მას:

„გვიდა ამ შემთხვევის შემდეგ რამდენიმე წელი. მარინე დიდხანს დადიოდა გავიყვებული, ტანსაცმელშემოგლეჯილი და ეუბნებოდა ხალხს: წუხელ წმინდა ბასილე ჩამევიდა ზეციდან, ქვეყანა უნდა დააქციოსო. უკანასკნელ სიკვდილმა იხსნა ეს ბედკრული ადამიანი ასეთი დამამცირებელი ყოფისაგან.

გოგიას მიდამო თითქმის გავერანდა; გარდა სახლისა, ყველა შენობა ჩაინგრა. სახლის მარტო კედლებიდა იყო დარჩენილი, სახურავი კი კარგახანია დაღბა და ჩაიქვა. რამდენიმე წელი კიდევ და ველარც კი შეატყობდით, აქ ერთ დროს მოსახლე კაცი მდგარა.

მაგრამ ავტო ველაცამ დახურა ისლით სახლი და გაიჩინა ფუტი. ეს გახლავთ გოგიას უფროსი ვაჟი (სხვები კი ჯერ სხვადასხვა პირებისას არიან სამოჯამავიროდ), რომელმაც ეს არის ცლო შეირთო და მოუბრუნდა მამის კერას.

უწინტროთ, რომ მამის ბედი ამორებოდეს

და უკეთესად წასულიყოს მისი ცხოვრება“.

როგორც ვხედავთ, არც ასეთ ფინალს აქვს რაიმე ოპტიმისტური ქვერადობა, მწერალმა მხოლოდ ისლა მოახერხა, რომ გოგიას შთამომავლობას უკეთესი მომავალი უსურვა. მაგრამ როგორ, რა გზით, რანაირად ესახებოდა მწერალს ეს მომავალი და მისი მიღწევის საშუალებები, ეს მკითხველისათვის გაუგებარია რჩება, რადგან ეს თვით მწერლისათვისაც უცნობია იყო. თუ ეგნატე ნინოშვილმა ცხრაასიანი წლების მიწურულში ვერავითარი პერსპექტივა ვერ დაუსახა თავის ჩატრულ გმირებს, ვერ მისცა გვი ხსნისა ხალხს, — სულ ორიოდ ათეული წლის შემდეგ, პროლეტარული რევოლუციების ეპოქაში უკვე შესაძლებელი გახდა მშრომელების მონური მდგომარეობიდან თავის დაღწევის საშუალების მიგნება და მისი მხატვრული პრობაგანდა. ქართულ ლიტერატურაში ამ ახალი, სოციალისტური იდეებით შთაგონებული მხატვრული ნაწარმოებები პირველად იროდიონ ეედოშვილის პოეზიაში ვხვდებმა. სწორედ ეედოშვილის ლექსებში გაისმა პირველად იმედინი ხმები, თან ეს იმედი ემყარებოდა ისეთ საფუძველს, როგორიცაა მშრომელთა რევოლუციური მოძრაობა, ამიტომაც იგი კემწარიტად ოპტიმისტურ განწყობილებას ქმნის. პოეტად თავის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებში „მუშა და მუშა“ მოუწოდებს პოეზიას ჩადგეს პროლეტარიატის დიდი საქმის სამსახურში, რადგან მთელი მშრომელი ხალხის ნათელი მომავალი ახვირთებული მუშათა კლასის გამარჯვებაზეა დამოკიდებული. ლექსში პროლეტარული კლასი, მუშის სახით, მოუწოდებს პოეზიას:

შესდექი, მუშავ, შენ აქაც სცდები,  
ზღვა არ დამარბავს შენ ჩანჯის სიმებს...  
არა, შენ ჩვენთან დარჩი, იქნები...  
ჩვენი ცხოვრება ვიმშობს, გიშვილებს!

სიმხალე არის განდევლობა,  
და მონასტერი — საფლავ-სამარე,  
როგორ გიყვარდეს აბა სიკვდილი,  
ოდეს სიცოცხლე ვერ შეიყვარე.

ჩამოსხენ სიმი მაგ მშენიერ ჩანგს,  
ღმერთებს გადუგვე გასართობელად,  
ჩვენი ცხოვრება სულ სხვის გააბამს  
და ხმა მჭუხარე გაისმის ქვეყნად!

ამ მოწოდებას შეისმენს პოეზია, იგი კვლავ პოულობს თავის დანიშნულებას ახალ ისტორიულ ეპოქაში, პოულობს მიზანს, რომლის სამსახური ამერიიდან მის ერთადერთ მოწოდებად რჩება. მუშა უერთდება ხალხთა ამ



ახვრთებას და ისწრაფვის მოახლოებული განთიადისაკენ:

ათრთოლდა მუზა, რწმენა, იმედი მას დაუბრუნდა. ათრთოლდა ჩანგი, და ათათას ხმას შეუერთა მან საბრძოლველი თავისი ჰანგი!

მალა მიცურავს წითელი დროშა, მონა ქედს იწევს, ზეირთი გუფუნებს, ცა წაგრაგანდა, ცა მოღუშულა, ძირს დაუხრიათ თავები ღმერთებს.

ქდერავს კვლავ ჩანგი, მუზა ამყად აყენებს ჰანგებს, ათრთოლებს სიმებს, მიცურავს დროშა მალა თამამად და განთიადიც მასთან იღვიძებს!

პროლეტარული ბრძოლის სამსახურში პოეზიის, მხატვრული ლიტერატურის ჩაყენების მოწოდება შემოხვედითი როდი იყო ევროპეოლის შემოქმედებაში. ამას თვით ცხოვრება მოითხოვდა. და, მართლაც, ამ დროიდან მოყოლებულად, ქართული ლიტერატურა მტკიცედ ემსახურება სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის საქმეს.

თუ ეგნატე ნინოშვილის ზემოთ ხსენებული მოთხრობა მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს გვიხატავს, ლეო ქიჩელი „ტარიელ გოლუაში“ მეოცე საუკუნის პირველი წლების ცხოვრებაა აღწერილი, ხოლო სხვაობა ამ ორი ნაწარმოების შექმნის თარიღებს შორის ორ ათეულ წელს არ აღემატება. მიუხედავად დროის ასეთი მცირე სხვაობისა, თავისი მებრძოლი სულისკვეთებით, იდეური დატვირთვით, ცხოვრების განვითარების პერსპექტივით შეგარძნებით, ისინი ძირეულად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

„ტარიელ გოლუაში“ იგივე ქართული სოფლის ყოფაა აღწერილი, მაგრამ უკვე იმ პერიოდში, როდესაც პროლეტარული რევოლუციური იდეები და სულისკვეთება შეიჭრა სოფლად და ამომრავა გლეხთა მსახეში. აქ უკვე ვხედავთ ამბოხიერებულ, ამომრავებულ გლეხობას, ვეცნობით ტარიელ გოლუასა და მისი შვილის ლევანის რევოლუციური მოღვაწეობას. ტარიელ გოლუასაც გოფა უიშვილზე ნაკლები უბედურება როდი გადახდა თავს, ერთადერთი შვილი მოუკლეს, სახლკარი დაუწვეს და გაუპარტახეს, თვითონ კი საპყრობილეში ჩააგდეს. მაგრამ მას არ უფიქრია თვითმკვლელობაზე. ტარიელ გოლუას ნათელი მიზანი აქვს ცხოვრებისა, გოფა უიშვილისაგან განსხვავებით მან იცის თუ რა უნდა მოიმოქმედოს, სად არის ხსნი. მიუხედავად სოფლად დატრიალებული დიდი

უბედურებისა, მწერალსაც და მის გმირსაც ღრმად სჯერათ მომავლისა და ამიტომაცაა მოთხრობის ფინალი ასეთი ნათელი, ოპტიმისტური და სიმბოლური:

„ღღეკებერი იდგა. თოვლს მოეფინა დედამიწა. ცოლად. სოფელ N-ის სამმართველო ხალხით იყო გაქედლი. აიგანზე და კარებდაღებულ ოთახებში ტყვა არ იყო.

ახალგაზრდობას სამმართველოს წინ თოვლი დაეტკვნა და ფეხების ბაყენით ზედ შემდგარიყო — არაჩვეულებრივი აღტაცება და სიხარული სუფევდა მათ შორის.

აიგნის მოაჯირთან დამდგარიყო სტუდენტურ ფორმაში გამოწყობილი ახალგაზრდა და ხალხს აგიტაციას უწევდა. კრებას რაზმში ჩასაწერად მოუწოდებდა, რომელიც იმ დღეებში იმერეთისაკენ უნდა წასულიყო და შავი რეაქციის ძალებს შებრძოლებოდა.

ახალგაზრდა აგიტატორის მოწოდებაზე პირველად ვერაგის გაეხედნა ხმის ამოღება. ამიტომ უხერხული სიჩუმე ჩამოვარდნილიყო.

— მე მოვდივარ! — გაისმა ბოლოს თამამი ხმა ხალხში და წინ წარსდგა მუზლზე სვანური ქუდიამოფარებული, თეთრი თმაწვერულვანით მოსილი ტარიელ გოლუა. იგი მოკეთებული იყო ციხიდან გამოსვლის შემდეგ, თუმცა სავსებით არა, მაინც დაბრუნებოდა ძველებური, ვეჟაკური იერი... უკან ისევრთან, ქედს ქვეშ, პლარა თმის წნული მოუჩანდა, ლევანის სამგლოვიარო, და თავით-ფეხებამდე შავები ეცევა.

ტარიელის ხმის გაგონებაზე და მის დანახვაზე ხალხში ჩოჩქოლი ატყდა. მაგრამ მალე მიწყდა და სიჩუმე დამკვიდრდა.

ახალგაზრდა სტუდენტი შევარა, გაკვირვებულად მიმოიხედა, მაგრამ ხალხის ღრმა ფიქრით მოცულ სახეზე მომხდარის ამოცანა ვერ ამოიკითხა, — მისთვის უცნობი იყო ტარიელ გოლუას ოჯახის თავგადასავალი.

— მეც! — გაისმა შემდეგ ცოცხალი, კრიალა ხმა და ტარიელს გვერდში ამოუდგა კობტად შეიარაღებული ბეჟანა.

— გზა მომეცი, ყმაწვილებო! ტარიელს გვერდში ამოიყენეთ! გლახა ბაჩოს სული მაცხოვრებინეთ! მისი მკაცვრობა გამაწვინეთ, — გაისმა ტაგუს ხმავე.

ხალხი გამოერკვა, სულ მცირე ხანში, რაც კი იქ ახალგაზრდობა მოიპოვებოდა, ტარიელი-საკენ ყვირილით გაეშურა.

— ყველანი შენთან ვართ! მოვდივართ!.. ტარიელი მამა ჩვენი და წინამძღოლი! — აღფრთოვანებით ამბობდა ახალგაზრდობა და საყვარელი აღამიანს გარს ეხვეოდა.

ტარიელ გოლუა ისე იდგა მათ შორის, როგორც დროის ქარიშხლით ტოტემშემსხვრეული, აქა-იქ კანდაკორძებული, მაგრამ ფესვებმა-





გარი და ტანლიერი ძველი მუხა დგას ხოლმე ახალ ავარდნილ მწვანე, ნორჩ ტყეში\*.

არ შეიძლება არ შეენიშნოთ ღრმა პრინციპული სხვაობა ნინოშვილისა და ქიაჩელის მოთხრობების ჩვენს მიერ მოტანილ ნაწყვეტებს შორის. ქიაჩელის მოთხრობაში უკვე ჩანს ის რეალური ძალა, რომელსაც ეყრდნობა გლეხთა მასები უკეთესი მომავლის მოპოვებისათვის ბრძოლაში, ჩანს სოციალისტური რეალიზმის მეთოდის მომარჯვება, რადგან მიუხედავად გლეხობის მძიმე მდგომარეობისა, მოთხრობა სოციალისტური ოპტიმიზმით, ჩაგრულთა განთავისუფლების იმედითაა გაშუქებული, მაშინ, როდესაც ნინოშვილის მოთხრობაში გრძელდება კრიტიკული რეალიზმის ხაზი, მწერალი ამხელს ცხოვრების მახინჯ მხარეებს, სოციალური და პოლიტიკური უთანასწორობის მთელ საშინელებას, მაგრამ იმდენს კი ვეღარ ახერხებს, რომ ეს უბედურეკი აწმყო ნათელი მომავლის სიხვედით გაათბოს და გაანათოს.

არც ისე დიდხანია მას შემდეგ, რაც მწერლობაში, განსაკუთრებით კი ლიტერატურულ კრიტიკასა და ლიტერატურისმცოდნეობაში, დავას იწვევდა ის საკითხი, თუ როდის ჩაისახა და წარმოიშვა ლიტერატურაში სოციალისტური რეალიზმი. ერთნი ფიქრობდნენ, რომ სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა იწყება ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, როდესაც ჩვენს ქვეყანაში გაიმარჯვა სოციალიზმმა. ამის იმით ასაბუთებდნენ, რომ სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა მხოლოდ ის ლიტერატურაა, რომელიც სოციალისტურ სინამდვილეს ასახავს. ახლა უკვე ვარკვეულია, რომ ეს მოსაზრება არ იყო სწორი. მართლანი იყვნენ მეორენი, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა ჩაისახა იმ დროს, როდესაც პროლეტარიატის ბრძოლა ორგანიზებული ხასიათისა გახდა, როდესაც იგი სოციალიზმის იდეებით განაყოფიერდა, ანუ, რომ სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის ისტორია პროლეტარული რევოლუციების ეპოქიდან იწყება. ეს მოსაზრება ახლა უკვე უკვე აღარ იწვევს, რადგან მას ადასტურებს ლიტერატურის ისტორია. ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ მაგალითები იროდიონ ევლოშვილისა და ლეო ქიაჩელის ნაწარმოებებიდან, სადაც უკვე ჩანს ლიტერატურისათვის დამახასიათებელი ნიშნები სოციალისტური რეალიზმისა, ეს ნაწარმოებები კი ოქტომბრის რევოლუციამდეა დაწერილი. მაგრამ ამ მოსაზრების ყველაზე ურყევი საბუთი მაინც გენიალური რუსი მწერლის მაქსიმ გორკის ოქტომბრის რევოლუციამდელი პერიოდის შემოქმედებაა. მაქსიმ გორკი არის ის მწერალი, რომლის შემოქმედებაში პირველად მსოფლიო ლიტერატურის ისტორია-

ში ჩაეყარა მტკიცე საფუძველი სოციალისტურ რეალიზმს. ეს იმიტომ, რომ მაქსიმ გორკიმ მთელი თავისი შემოქმედება და სიცოცხლე მკიდროდ დაუკავშირა პროლეტარიატის ბრძოლას სოციალიზმისა და კომუნისმის იდეების განხორციელებისათვის. მაქსიმ გორკიმ თავის შემოქმედებაში შესანიშნავად გამოხატა რევოლუციური მასის ენერჯია, გამოხატა ხალხის, პროლეტარიატისა და გლეხობის შეგნებული ბრძოლა რევოლუციის გამარჯვებისათვის. გორკის ნოვატორობა იმაში გამოიხატა, რომ მსოფლიო ხელოვნებისა და ლიტერატურის ისტორიაში მან პირველმა გვაჩვენა თავის მხატვრულ ნაწარმოებებში რევოლუციური კლასის ფორმირების პროცესი, გვაჩვენა მუშათა მოძრაობასთან სოციალიზმის იდეების შეერთება და შერწყმა, გვაჩვენა რევოლუციურ მოძრაობაში ახალი ადამიანის ჩამოყალიბების პროცესი.

გორკის არა მარტო სწამდა მომავალი, არამედ უკვე ხედავდა და ასახავდა რევოლუციური მასების ბრძოლას ამ მომავლისათვის. მის ნაწარმოებებში პირველად ვხვდებით იმ ადამიანების მხატვრულ სახეებს, რომლებსაც შესწევთ ძალა და უნარი გარდაქმნან ცხოვრება, აი სწორედ ესაა ახალი მხატვრული მეთოდის, სოციალისტური რეალიზმის ნოვატორობა. ეს მეთოდი წარმოიშვა რუსეთში იმ დროს, როდესაც ვინაიღერ მწერალს გორკის შესაძლებლობა მიეცა დაეხანა სოციალისტური იდეალებით შთაგონებული მრავალმილიონიანი ხალხის მასები, რომლებიც პროლეტარიატის ხელმძღვანელობით მტკიცედ მიიწვედნენ რევოლუციისაკენ.

მაქსიმ გორკის შემოქმედებაში პირველად ვხვდებით ცხოვრების ისტორიულ-კონკრეტულ გამოხატულებას მის რევოლუციურ განვითარებაში, რაც ერთ-ერთი არსებითი განმასხვავებელი ნიშანია სოციალისტური რეალიზმის ნოვატორობისა.

ახალი პროლეტარული ლიტერატურის არსი, დანიშნულება, ბურჟუაზიული ლიტერატურისაგან განსხვავებით, გენიალურადაა ჩამოყალიბებული დიდი ლენინის კლასიკურ ნაშრომში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“, რომელიც 1905 წელს გამოქვეყნდა. ამ შრომაში ლენინმა მარქსისტული მოძვერება ლიტერატურის კლასობრიობის შესახებ განვითარა და გააღრმავა ახალ ისტორიულ პირობებში და პირველად დაასაბუთა ლიტერატურის პარტიული ხასიათი. ლენინური მოძვერება ლიტერატურის პარტიულობის შესახებ საფუძვლად დაედო სოციალისტური რეალიზმის მეთოდს, როგორც სწორედ პროლეტარულ-რევოლუციური, სოციალისტური მხატვრული ლიტერატურის მეთოდს. ეს მოცულო-



ბით პატარა ნაშრომი უდიდესი მნიშვნელობისა მსოფლიო კულტურისათვის, რადგან იგი სოციალისტური რეალიზმის ესთეტიკის ფუძემდებელ შრომას წარმოადგენს.

ასე რომ, როგორც ვხედავთ, ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე ჩაყარა საფუძველი სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურას და ჯერ კიდევ მაშინ არა მარტო იქმნებოდა ასეთი ლიტერატურა, არამედ მისი თეორიული დასაბუთებაც მოხდა.

რალა თქმა უნდა, სოციალისტური რეალიზმის მეთოდმა მთელი თავისი სიცოცხლისუნარიანობა განსაკუთრებით ნათლად გამოავლინა გამარჯვებული სოციალიზმის ეპოქაში, როდესაც იგი საფუძვლად დაედო მთელს მრავალეროვან საბჭოთა ლიტერატურასა და ხელოვნებას.

საბჭოთა ლიტერატურა, რომელიც ცხოვრებას მის რევოლუციურ განვითარებაში ასახავს, დიდი პარტიული და მოქალაქეობრივი გზებით, ფაქტურად შემართებით გვიჩვენებს იმ თემთა რთულ, მაგრამ ნათელ გზას, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ გაიარა კომუნისმის მუდმივობისათვის ბრძოლაში, დიდი სიყვარულითა და სიამაყით აღბეჭდავს ჩვენი ლიტერატურა მხატვრულ სახეებში საბჭოთა საზოგადოების მსოფლიო ისტორიულ გამარჯვებებს. ამის მავალითების მოტანა შორს უგაყვანდა. მთელი საბჭოთა ლიტერატურის ისტორია ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ ყოველი ეტაპი საბჭოთა ხალხის ისტორიისა რა ღრმად და მხატვრულად დამაჯერებლად აისახა ლიტერატურულ ნაწარმოებებში.

ფფერობთ უფრო მნიშვნელოვანი და საკურო იქნება, ამ შემთხვევაში, როდესაც საკითხი სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის ნოვატორობას ეხება, ხაზი ვაფუსვით იმ ვარემოებას, რომ საბჭოთა ლიტერატურის ნაწარმოებებში ცხოვრება ნაჩვენებია მის განუწყვეტელ განვითარებაში, ახლის ბრძოლაში ძველთან, დრომოჭმულთან, და სწორედ ამ ახლის, სოციალისტურის გამარჯვებაში. ეს დამახასიათებელი ნიშანი ჩვენი ლიტერატურისა განსაკუთრებით ნათლად გამოიყვანდა, თუ ვაგისენებთ მისი გმირების საქმეს, მოქმედებას, მოღაწეობას, განცდებს.

სოციალისტური რეალიზმის ნოვატორობა ხომ პირველ რიგში იმაში მდგომარეობს, რომ მან თავის გმირად აირჩია ადამიანი, რომელიც ხიხხლორცეულადაა დაკავშირებული ხალხთან, რომელსაც შესწევს ძალა და უნარი დააჩქაროს ცხოვრების წინსვლა და განვითარება, შეუძლია გაუძლოს ახლის გამარჯვებისათვის თუნდაც სასტიკ ბრძოლებს, ასეთი მხატვრული სახის შესაქმნელად საკურო ვახდა ახალი მხატვ-

რული საღებავები, რადგან აქამდე ლიტერატურის გმირი არასოდეს ყოფილა ისეთი ადამიანი, რომელიც თავის თავში აერთიანებს ხალხის ძალასა და რევოლუციურ აზრის სიღრმეს, მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ასეთი გმირები პირველად გორკის შემოქმედებაში გვხვდება. სწორედ მან გვიჩვენა, რომ რუსეთში რევოლუციური ქაირისხლების ეპოქაში ხალხის სიბრძნე და გმირობა აღწევს თავის უმაღლეს განვითარებას და წარმოშობს ახალი ადამიანის ტიპს, რომელშიც შერწყმულია რევოლუციური აზრის სიღრმე და ძალა, მორალური სიწმინდე, გრძნობებისა და განცდების მთლიანობა და სისხეტაკე. ვაგისენოთ მთელი პლედია გმირებისა გორკის რომანიდან „დედა“, და განსაკუთრებით კი თვით პავლე ვლასოვი და დედამისი, პავლე ვლასოვით და მისი მეგობრებით („დედა“), შემანქან ნილით (პიესა „მდობიონი“), ქართული სინამდვილიდან ლეო ქიაჩელის ლევან და ტარიელ გოლუგებით იწყება შესანიშნავი ვალერია ახალი ადამიანების მხატვრული სახეებისა ლიტერატურაში. დამოუკიდებელი გორკის, ქიაჩელისა და სტავთა შემოქმედებაში არის ხალხიდან გამოსული გმირი, რომლის ბრძოლას ხალხის ბედნიერი მომავლისათვის კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში ვხვდებით. აი ამაშია მთელი საბჭოთა ლიტერატურის და საერთოდ სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის ისტორიული ოპტიმიზმის საფუძველი. ეს საფუძველი ხალხის ნათელი მომავლისათვის შეგნებული ბრძოლა და თავგანწირვა — იმდენად ურყევია, რომ თვით უღარესად მძიმე სიტუაციებშიც კი, როდესაც მავალითა და ლევათა ლევან გოლუგა ან მთლიანად მთელი პარტიზანული რაზმი ლევინსონისა ფადეევის „განადგურებლან“, ან კიდევ, როდესაც ასე სასტიკად უსწორდებიან ახალგაზრდა გვარდიას ფადეევის ამავე სახელწოდების რომანიდან (ასეთი მავალითების მოტანა საკმაროდ შეიძლება), ასეთ შემთხვევაშიც კი უიმედობის ან გულგატეხილობის გრძნობა კი არ გვეუფლება, პირიქით, ნათლად შევიგრძნობთ ჩვენი მართალი საქმის, კომუნისმისათვის ბრძოლის მუუვალობასა და სიმტკიცეს. მსგავსი ნაწარმოებები მართალია, აღსაწევს მკოხვეუს, მაგრამ სიკვდილის შუშს სულაც არ ბადებს, პირიქით, გვესწავლის თავგანწირვას სიცოცხლის გამარჯვებისათვის.

ჩვენი ლიტერატურა საბჭოთა ადამიანს გვიხატავს მის მშფოთვარე საზოგადოებრივ შრომასა თუ ბრძოლაში, გვიჩვენებს მის სულიერ ზრდასა და განვითარებას. ამიტომაცაა, რომ დიდი აღმზარდლობითი მნიშვნელობა აქვს ისეთ წიგნებს, როგორიცაა ფერმანოვის „ჩაბაევი“, ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფო-

### ბურამ გვირდვინიძე

ლადი", შოლოხოვის „გატეხილი ყაშირი“ და „ადამიანის ბედი“, კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“, ფადეევის „ახალგაზრდა გვარდია“, ქიაჩელის „გვადი ბიგვა“ და „მთის კაცი“ და მრავალი სხვა, რომლებშიც დიდი მხატვრული სიძლიერით არის გახსნილი საბჭოთა ადამიანის ფორმირების რთული და საინტერესო პროცესი.

სოციალისტური რეალიზმის მეთოდი გულისხმობს ცხოვრების მთელი სისრულით ასახვას და გახსნას მის ტიპურ გამოვლინებებში. სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურაში უნდა მოგვეცეს თანამედროვეობის რთული და მრავალსახოვანი ცხოვრების მხატვრული სურათები, რომლებიც მთელი სიხედით გადმოგვცემენ და გავიხსნიან ეპოქის სულს. ამისათვის, კი, რაღა თქმა უნდა, პირველ რიგში საჭიროა, რომ მწერლები ღრმად სწვდებოდნენ ცხოვრების მდინარეებს, ერკვეოდნენ იმ პროცესებში, რომლებიც მის განვითარებასთან არიან დაკავშირებული, ამწვედნენ ცხოვრების კანონზომიერებებს, მისი განვითარების პერსპექტივებს. სოციალისტური რეალიზმის მეთოდი ამით სულაც არ ზღუდავს მწერლის შემოქმედების თავისუფლებას. მწერალი აბსოლუტურად შეუზღუდავია სინამდვილის წარმოსახვაში, ოღონდ ერთ პირობას არ უნდა არღვევდეს, — არ უნდა ამახინჯებდეს ცხოვრებისეულ დიდ სიმართლეს. ესაა ერთ-ერთი მთავარი პირობა სოციალისტური რეალიზმის მეთოდისა.

საბჭოთა ლიტერატურა, რომელიც ერთგულად მისდევს სოციალისტური რეალიზმის ნორმებსა და კანონებს, რომელიც ერთგულია ცხოვრების ძირითადი ტენდენციებისა და განვითარების პერსპექტივებისა, ბუნებრივია, თავის ძირითად ყურადღებას მიაქცევს ყველაზე უმნიშვნელოვანეს ჩვენს სინამდვილეში. სწორედ ამიტომაცაა, რომ ჩვენი ლიტერატურის ძირითად თემატიკას მშრომელი ხალხის ცხოვრება, მისი ბედ-იღბალი შეადგენს. მშრომელთა ფართო მასების აქტიური ბრძოლა სოციალიზმისა და კომუნისმის იდეების სრული გამარჯვებისათვის, საბჭოთა საზოგადოების განვითარების ეტაპები, ამასთან დაკავშირებით, ჩვენი თანამედროვე ადამიანის ფორმირების პროცესი — ყოველივე ამის წარმოსახვას ემსახურება საბჭოთა ლიტერატურის კლასიკური ნაწარმოებები, რადგან ესაა ჩვენი ცხოვრების დიდი სიმართლე, ხოლო კლასიკური მხოლოდ ის ნაწარმოები შეიძლება იყოს, რომელიც თავისი ეპოქის დიდ სიმართლეს გვიხსნის და გვიჩვენებს.

ქართულ ლიტერატურაში ასეთი ხასიათის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია კონსტანტინე ლორთქიფანიძის რომანი „კოლხეთის

ციცკარი“, რომელშიც მწერალი დიდი მხატვრული ოსტატობით გვიხსნის ჩვენი საზოგადოების განვითარების ერთ-ერთ კონკრეტულ ეტაპს — კოლექტივიზაციის პერიოდს და, ამასთან დაკავშირებით, გვიჩვენებს თუ სოციალისტური სინამდვილის გაკლენით როგორ იცვლება ადამიანის ბუნება და შეგნება. რომანში სოფლის მოჯამაგირის მექი ვაშაყიძის ცხოვრების კერძო მაგალითზე მწერალი დიდი დამაჯერებლობით გვიხსნის უღელბასნილი გლეხობის შემოქმედებითი ენერჯის მთელს სიძლიერესა და სილიაღეს. როდესაც ვუყურებთ დაბეჩავებულ მექის, რომელსაც მოჯამაგირებამ ყოველგვარი ადამიანური ღირსება დააყარა, ადვილად გვახსენდება მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობის ის მხატვრული სახეები, რომლებიც გლეხის დუხპირ ცხოვრებაზე მოგვითხრობდნენ. მაგრამ სამაგიეროდ ქართული კრტიკული რეალიზმის ლიტერატურას არ შეეძლო ეჩვენებინა თავისი გმირის ისეთი ძირეული გარდატეხა და გარდაქმნა, რომელსაც მექიში ვხვდებით. მხოლოდ საბჭოთა მწერლობას აქვს ამის შესაძლებლობა, რადგან ცხოვრება აძლევს საშუალებას დაინახოს და წარმოსახოს ასეთი შესანიშნავი ცვლილება და სულიერი ზრდა ადამიანისა. სოფლად კოლექტიური მეურნეობის დანერგვა იყო ის პირობა, რამაც მექისთანა ხალხში ერთბაშად გააღვიძა და აამოძრავა დიდი შემოქმედებითი ენერჯია და ნიჭი, რაც აღერ ვერ პოულობდა გამაბრტულებას. მწერალი დამაჯერებლად გვიჩვენებს მექის გარდაქმნისა და განვითარების მიმე და რთულ გზას, რომელშიც იგი ბეჩავი მოჯამაგირედ სოფლის მოწინავე ადამიანად, ახალი ცხოვრების ერთ-ერთ აქტიურ მშენებლად აქცეოა.

სოციალისტური რეალიზმის მეთოდი საშუალებას აძლევს ჩვენს მწერლობას არა მარტოდღევანდელი სინამდვილე ასახოს, არა მარტო ადამიანის შეგნებაში უკვე მომხდარი, გარდატეხები გვიჩვენოს, არამედ მომავალი ცხოვრებაც განვეჩრტოს, გვადინდეთ დღის ადამიანიც დავგვიხატოს. და ეს უკულოფერი გააკეთოს არა ბუნდოვან, უტოპურ ფორმებში, არამედ წარმოსახოს სრულიად კონკრეტულად, რეალისტურ ფერებსა და სახეებში. ამაში მდგომარეობს კიდევ ერთი განმასხვავებელი ნიშანთაგან სოციალისტური რეალიზმის ნოვატორობისა. ჩვენ ზოგჯერ პირდაპირ ვაოცდებთ ღრმა წინასწარხედვა, შორსმჭვრეტელობა საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებებისა. ამის საშუალებას ჩვენს მწერლობას აძლევს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება, რომელიც გვასწავლის და საშუალებას გვაძლევს ცხოვრება მის განვითარებაში დავინახოთ. საბ-



კოთა ლიტერატურის ამ ნოვატორული თვისებების დასამტკიცებლად ბევრი ნაწარმოები გამოგვაღებება, ჩვენ ერთ კონკრეტულ მაგალითს გავახსენებთ მკითხველს. ესაა გრიგოლ ჩიქოვანის მოთხრობა „შია“.

ამ მოთხრობის შესანიშნავი გმირი ქალი შიაა, რომელიც მოწინავე ბრიგადის ხელმძღვანელია, თავისი მოქალაქეობრივი გრძნობის კარნახით ჩამორჩენილ ბრიგადაში და ერთერთ მოუვლელ ნაკეთზე გადადის საძუქლოდ, რის შემდეგ ეს ბრიგადაც და მისი ნაკვეთიც ერთ-ერთი საუკეთესო ხდება მთელს რაიონში. მკითხველმა შეიძლება გაიკვიროს: დღეს ეს რაღა ვასაკვირველია, როდესაც ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში ათასობით გავანოვებელი იღვრიანო. საქმეც იმაშია, რომ გრიგოლ ჩიქოვანის მოთხრობის გმირმა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ეს ბრწყინვალე ნიმუში ბევრად ადრე მოგვცა მხატვრულ ნაწარმოებში, ვიდრე გვანოვამ ცხოვრებაში. ასე რომ საბჭოთა ლიტერატურა არა უბრალოდ უსწრებს ცხოვრებას წინ და მისი განვითარების პერსპექტივებს სახავს, არამედ ზოგ შემთხვევაში ხვალისდელი ცხოვრების ცალკეულ კონკრეტულ ფორმებსაც კი გვიჩვენებს.

ჩვენს დროში საზოგადოების განვითარება უჩვეულო სისწრაფით მიიწევს წინ. ამიტომაც ახლა განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ლიტერატურისა და ხელოვნებისათვის ამ ისტორიული ეპოქის სათანადო მხატვრული სიძლიერით ასახვას, ჩვენი თანამედროვე საბჭოთა ადამიანის, კომუნისტის მშენებელი ადამიანის მაღალმხატვრული სახეების შექმნას. ამჟამად ჩვენი ლიტერატურის წინაშე დგას საზასუხისმგებლო ამოცანა — ღრმად და საფუძვლიანად გააშუქოს ჩვენი მოწინავე ადამიანების შრომითი გმირობა და ამით ხელი შეუწყოს მასების კიდევ უფრო მეტ შემოქმედებითს მონაწილეობას კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

საბჭოთა ლიტერატურაში ჩვენი მშრომელები ყოველთვის პოულობდნენ იმის მაგალითს, თუ როგორ ეცხოვრათ და ემუშავათ უკეთ, ხედვებზე ნათელი მიზნებისაკენ მოწოდებას. ამით საბჭოთა ლიტერატურა აქტიურ დახმარებას უწევდა პარტიას კიდევ უფრო მჭიდროდ დაერაზმა მასეში დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანების გადაწყვეტის საქმეში. როდესაც ვკითხულობთ ახალ ნაწარმოებებს, რომლებშიც წარმოსახულია ჩვენი დღევანდელი ცხოვრების მხატვრული სურათები, ვახსენოდა ჩვენი თანამედროვე ადამიანების აზრი და მისწრაფებები, ჩვენ ვაღარავთ მათ ჩვენს საქმიანობას სადაც არ უნდა იყოს ეს — ფაბრიკებში, ქარხანაში, თუ საკომლექტურეო მინდვრებზე,

ეცდილობთ გავუტოლდეთ ლიტერატურულ გმირებს, ვისწავლით მათგან; ახლებურად ვაფასებთ ჩვენს მოქმედებას, საქმიანობას, გრძნობათა სიწმინდეს, გვსურს ვიცხოვროთ კიდევ უფრო სისხლსაც შემოქმედებთი ცხოვრებით. ამაშია სწორედ სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის ძალა და ამიტომაც მოუწოდებს დღეს პარტია ჩვენს მწერლობას კიდევ უფრო ღრმად ჩასწვდეს ხალხის ცხოვრებას, გამოაოვანოს ის შესანიშნავი თაოსნობა, რომელსაც იჩენენ ჩვენი მშრომელები კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გაშლილ ფრონტზე. პარტიული დოკუმენტები იდეოლოგიურ საკითხებზე, რომლებიც ამ უკანასკნელ წლებში გამოქვეყნდა, ამხანავი ნიკიტა ხრუშჩოვის გამოსვლები ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე სწორედ აქვთენ მოუწოდებენ დაბეჯითებით ჩვენს მწერლობას.

საბჭოთა მწერლობა, დღეს, ისე როგორც არასოდეს, ცდილობს გაამართლოს პარტიის ეს დიდი დავალება და ნდობა, იყოს მისი ერთგული თანამშემწე მასების კომუნისტური აღზრდის საქმეში. ამის საუკეთესო მაგალითია შოლოხოვის მოღვაწეობა, მისი შემოქმედება, რისთვისაც მწერალს შარშან უმაღლესი ჯილდო ლენინური პრემია მიენიჭა. შოლოხოვის „გატეხილ ყამირში“, რომლის მეორე წიგნი ახლახან დაამთავრა მწერალმა, „ადამიანის ბედში“ და სხვა ნაწარმოებებში მართლაც უმაღალითი მხატვრული სიძლიერით აისახა ჩვენი ხალხის ცხოვრების ღრმა მდინარება, მისი ბედი. მწერალმა შექმნა მთელი გალერეა „უბრალო, რიგითი“ ადამიანებისა, რომლებიც სწინადვილემი დიდ სახელმწიფოებრივ საქმეს აკეთებენ თავისი თავდადებული შრომითა და მოქმედებით. როდესაც მწერალი გვეხსნის მათს რთულსა და მდიდარ სულიერ სამყაროს, მოგვითხრობს მათს ბედზე, ამით იგი ვაყლენას ახლენ ჩვენს სულიერ სამყაროზე, გვასწავლის ვიით სპეტაკნი და მტკიცენი, მოგვიწოდებს ყოველთვის ვისწრაფოდეთ წინ. შოლოხოვის შემოქმედების მაგალითზე ჩვენ კიდევ ერთხელ ნათლად ვხედავთ, თუ რა მძლავრ იდეურ-არალს წარმოადგენს სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა.

ჩვენს დროში წარმოებს შეუთრეველი ბრძოლა სოციალისტურ და ბურჟუაზიულ იდეოლოგიებს შორის. ხელოვნებასა და ლიტერატურას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ამ ბრძოლაში. ბურჟუაზიის იდეოლოგები, რევიზიონისტები უკიდურესად შემფოთებულნი არიან მთელს მსოფლიოში ხალხის პოლიტიკური შეგნების, მისი აქტივობის ზრდით. ისინი ცდილობენ ჩამოაცილონ ხალხი პოლიტიკურ ბრძოლას, მოწყვიტონ დიდ საზოგადოებრივ მიზნებს, სოცია-

ლისტერ იდეალებს, ამიტომაც ყოველწარად აყალბებენ სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურას, ამ შეთოდის არსსა და ბუნებას; ცდილობენ დაუპირისპირონ მას ვითომდა უშუალო ბურჟუაზიული ლიტერატურა, რომელიც მიზნად ისახავს გადარბობის ადამიანის აზრი, მისი ბუნება, ადამიანებს ხატავს უკიდურეს ეგოისტებად და მხოლოდ პირადი გამორჩენის სურვილს აღიარებს ადამიანის უპირველეს მოთხოვნილებად. ბურჟუაზიული ლიტერატურა თავის გმირებად იჩენებს გულჩათხრობილ, გულგატეხილ ადამიანებს, რომელთათვისაც უცნობა ხალხის სამსახურის დიდი მიზანი.

საბჭოთა ლიტერატურა კი, პირიქით, ერთგულია ცხოვრებისეული სიმართლისა. იგი სულაც არ ცდილობს მიჩქმალოს ის სიმწელებები, რომლებსაც ადამიანი თავისი ცხოვრების გზაზე ხედება, მაგრამ ამასთანავე ჩვენი ლიტერატურა დამაჯერებლად აჩვენებს, რომ საბჭოთა საზოგადოებაში ადამიანი ყოველთვის პოულობს მხარდაჭერას და სულიერ მხნეობას შემოქმედებითს შრომაში, კოლექტივში, მეგობრობაში. საბჭოთა ლიტერატურა მოუწოდებს ადამიანს უყვარდეს ხალხი და იყოს მისი

ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლის აქტიური მონაწილე.

სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა და ხელოვნება არის უდიდესი ჰუმანიზმის მატარებელი და მქადაგებელი ლიტერატურა და ხელოვნება და ამიტომაცაა, რომ მისი ავტორიტეტი მსოფლიოს პროგრესულ ნაწილში დღით დღე იზრდება. ახლა სოციალისტური რეალიზმის მეთოდი მომარჯვებული აქვთ არა მარტო საბჭოთა ან სოციალისტური ქვეყნების, არამედ კაპიტალისტური ქვეყნების პროგრესულ მწერლებსა და ხელოვნების მოღვაწეებსაც.

სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა ესაა არა მხოლოდ და არა იმდენად თანამედროვე, რამდენადაც მომავლის ლიტერატურა, რადგან მისი პროგრესული ხასიათი, ცხოვრებისეული სიმართლის ერთგულება, ხალხის ფართო მასების სამსახური, ღრმა ჰუმანიზმი, ჯანსაღი პრინციპები კიდევ უფრო მტკიცედ შემოკრებენ მის გარეშე მსოფლიო მწერლობის ახალ-ახალ ძალებს. სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა მომავალში კიდევ უფრო მეტად მისწვდება და, მასთანადე, დაიპყრობს კიდევ მსოფლიო ხალხების გულს.





## დენა შენგელია

### ტიციან ტაბიძე

მუდამ მშფოთვარე, დაუცხრომელი შთაგონებით აზვირთებულ ცისფერ, გამჭრიახ თვალგამდე პოეტურად ჩამოვარცხნილ-ჩამოფხატული წაბლისფერი თმა ტიციანს ისე უხდებოდა, რომ ქუდს ოდესმე თუ ატარებდა, აღარც კი მახსოვს. ქალურად დაფერილი თლილი თითებით ბუნებას იგი თითქოს იმიტომ დაეჯილდოვებინა, რომ ხელში მხოლოდ კალმისტარი ან პაპიროსი სჭეროდა. კისერმოკლე მსუქანი ტანის ყოველი ნაწილი ისე ცალცალკე და შეუსაბამოდ ჰქონდა ასმული, თავიც როგორღაც ისე ეპირა, რომ ეტყობოდა თვითონვე გრძნობდა თავისივე კოლორიტული გარეგნობით უურადლებას როგორ იქცევდა. მუდამ ფაქიზად, მაგრამ მხატვრული დაუღვრლობით ჩაცმულ-დახტურულს კარგად შეეკრიბი კასტუმი ტანზე კოხტად ადგა და კიდევ არ ადგა. სიარულის დროს მთელი სხეულით იმნაირად მიიარწყოდა, რომ ფეხები მის უნებლიედ, თითქოს შემთხვევით და უცაბედლად შიკანებდა. მისივე ბავშვურად დაბუსხულ მსხვილ ტუჩებზე თეთლი და ვანუყურელი მიხაკი, ის რომ ყარამფილს უწოდებდა, მკერდზე მუდამ სისხლის კოშტივით ენთო და იმნაირად დაჰქონდა, თითქოს მისი ტარების ნება მხოლოდ მას ჰქონდა. სახელსაც ყვაილოვანს, უცხოს და ქედრადს ატარებდა: ტიციან ტაბიძე. თვითონაც მთელი თავისი გარეგნობით რაღაც ვეგება ტროპიკულსა და ზორიოვან-სურნელოვან ყვაილსა გავდა.

ტიციან ტაბიძე მუდმივი გზნების და შთაგონების პოეტი იყო. პოეზიის კვინტესენციის მოუსვენარ ძიებაში მან ყველა მცდარი და არამცდარი გზები თითქოს იმიტომ გაიარა, რომ აღმაღრენის მონაობის ნება რჩეულთა შორის მასაც ჰქონოდა, ბოლოს ლექსადაც ქცეულიყო. ფრანგული სიმბოლიზში, აგნოსტიციზმი და ბოლოს დადა, — აი მისი ოქტომბრის რევოლუციამდელი პოეტური გზა. ამ ნარეკლიან გზაზე გაწამდა ტიციანი. აქ განიცადა მან ყველა ტანჯვა აბსოლუტური პოეტურ ხატის ძიებისა

და საშინელი სულიერი ღრუნა შხამიანი სკეპტიციზმისა. და ბოლოს მაინც პოეზიამვე გადაარჩინა, ფეხებქვეშ მიწა — რელიზმის მყარი ნიადაგი რევოლუციამ აგძნობინა.

საუკუნეთა ბნელ სიღრმეებში დანთქმულ ქალდეას ყოფილ დიდების მისტიური მოლანდებები... ბორცების ყვაილების სუნთქვის შემკვრელი სურნელებითა და ჰაშის შხამით აკვამლებული მაკადამი... ანდრეი ბელის სპლინით მოწამლულ პეტერბურგის ვრცელი პროსპექტები... ძველი ორპირის ყანებიან-ლეყვობიან ქაობებში წამოფრენილი ცხენი ანგელოზით თავის განუყრელ მღვდლითა და მალარიით... არშინ-მალ-ალანის კივილით დაყრუებული კედლები სიონისა... დეზერტიკაში ხარახურასთან ერთად გასასყიდლად გამოტანილი მადონას იღუმალი ღიმილი...

და მერე?  
მერე პუშკინი და რუსთაველი. მერე მინდია და ფიროსმანი, გაგიჟება საქართველოთი. და არსად, არსად არ ჩანს მკაცრად ნათალი ცივი პარანაი, რაც ასე საგულისხმოა. საგულისხმოა აგრეთვე ისიც, რომ ტიციანს ჭაბუკობის დროინდელი გამართული სუფთა ლექსი სიმწიფის ხანაში აემღვრა და ეს ამღვრევა შემთხვევითი მისთვის არ იყო.

მისმა რთულმა შემოქმედებებმა მერიდიანმა სამშობლოს მიწა გადაიარა და ამდენ ძიების შემდეგ რელისტური გზა ბოლოს, როგორც იქნა, მაინც იპოვა.

მისი ლიტერატურული გზა ისე რთული და ხლართული იყო, იმდენ იზმის წინაშე იხდა მან პოეტური ხარკი, რომ ეს რადიოაქტიური ნაღები მის ლექსებში მაინც იგრძნობა. მისი ლექსის ხორკლიანობაც აქედან მოდის. ტიციანის ლექსს ენა იმიტომ ებორკებოდა, მის სტრიქონებსაც სუნთქვა ასტმით იმიტომ ეხუთებოდა, რომ მისი პოეტური გზა იმთავითვე ირბოდა იყო და ყოველივე ეს მისთვის ჩვეულ პოეტურ ალოგიზმთან ერთად რაღაც საოცარ

ლოგიკად იქცა, ეს ალოგიზმი და ლექსის ხორკლი მისი მსოფლგზნების ამსახველია. მისი ლექსი კიდევ ამიტომ, მხოლოდ ლექსი კი არა, რაღაც უთქმელის და ძნელად სათქმელის გამოშატველი კმინილებაა. მისი ლექსი თითქოსდა რაღაც სხვა სინამდვილის და სხვა განცდების მხოლოდ და მხოლოდ ზედაპირია და ამ ზედაპირის ქვემოდან ტიციანის ცისფერი თვალების უფსკრული იცქირება. ამიტომ იყო, რომ ლექსის წერის მას მუდამ ეშინოდა და, თითქოს ვიღაცას ეძახისო, რითმებს კითხვის დროს როგორღაც უსიამოვნო ყვირილითა და ხაზგასმით წარმოთქვამდა. ამ ხაზგასმული ძახილით იგი რაღაც იღვამალს და უფრო ნამდვილს თითქოს აქედან გადასძახავდა.

არცერთი სიტყვა არ დამცდენია  
მხოლოდ იმისთვის, რომ ლექსი შეთქვა.  
როცა ბწყარები ბწყარებს დევნიან,  
საქუთარ გულის მამინებს ფეთქევაო,

ამბობდა იგი, რადგან ბწყარების ქვემოთ რაღაც უფრო ღრმა აზრი უფსკრულივით გუგუნებდა და ეს უფსკრული მისთვის მუდამ ჩაუწყვეელი იყო, ამ უფსკრულის დანახვამ ათქმევინა მის დიდ სახლიაკს, გალაქტიონ ტაბიძეს: არ მინდა სიტყვა, არ მინდა სიტყვაო. როდესაც სიტყვა დაიბადება, სათქმელის ალი იკარგებაო. ტიციან ტაბიძესაც სიტყვა არასდროს არ ყოფნიდა, ენაც ამიტომ ებმებოდა, რადგან იგი ლექსის იმ მეოთხე განზომილებას, ასეთი ტანჯვით რომ ეძებდა, ვერ პოულობდა.

ტიციან ტაბიძისათვის ლექსი უბრალო რამ შაირს როდი წარმოადგენდა. მისთვის ის ელდა იყო, მეზუთე სტიქია იყო და ლექსს ამიტომ ხან წელავს, ხან რიარის და ხან გადავირდნას ეძახდა. ის როდი წერდა, უცდიდა, ლექსი-წელავი მის შთაგონებას როდის გაბალთავდა და მთელ მის არსებას უფსკრულში გადააგდებდა და რიარია გაიტანდა.

მე არ მწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს,  
ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს.  
მე ლექსს ვუწოდებ მოვარდნილ მეწყერს,  
რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარბავს.

ტიციან ტაბიძე ორი უფსკრულის პოეტი იყო. რევოლუციამდე თუ მის ქვემოთ გათხრილი უფსკრული წალეკით ემუქრებოდა, რევოლუ-

ციის შემდეგ ცის დიდი სივრცე მთელი სიღიადით აღიშართა და მისი ლექსები მას აქეთ აივსო იმ მაღალმოვან ოზონიან სუფთა ჰაერით, ახლა ყველას ასე რომ გვხიბლავს.

აქი, ამიტომ ამბობდა იგი:

მჯერა, გულშიაც გამჭრავს წელავი  
და ლექსი თვითონ წამოდუღდებაო,

და მერე იქვე უმატებდა:

სანამ წარმოსთქვამ, ლექსი შენია,  
იტყვი, სხვა უცხო მას დაიტაცებსო.

ლექსთან ერთად ტიციან ტაბიძეს რითმაც თავისებური ჰქონდა. ხანდახან ლექსის ამ თითქმის აუცილებელ სამკაულს იგი სრულიად გაუბრუნებდა. მას ალოგიზმი და ტექნიკური უსრულობა ისე არ აშინებდა, როგორც ლექსის უშუალობის დაკარგვა. მისი რითმა ამიტომაც რთულია, კონტრაპუნქტული და დისონანსური. რითმის შემადგენელ მარცვლებს ის ხანდახან მეტათეზურად გადაადგილებდა და წინა სტრიქონს ისე მიიართმავდა. მაგალითისათვის მივიტანოთ: ბარემ-ლა და ლამე.

ტიციან ტაბიძე უაღრესად განათლებული პოეტი იყო და კიდევ ამიტომ მან ბევრი პროზულემა, ბევრი თემა წამოაყენა პოეზიაში, მაგრამ ამ თემებისა და პროზულემების გახსნა ბოლომდე, სამწუხაროდ, აღარ დასცალდა.


სამშობლოს თავდავიწყებული სიყვარული მის პოეზიას მაინც ყველაზე ღრმა ხნულად გასდევს. საქართველო და სიცოცხლე, საქართველო და პოეზია, აი მისი შემოქმედების დედააზრი.

დავბადებულვარ, რომ ვეყო მონა  
და საქართველოს მედგას უღელი,  
მამ გამარჯვება, ტკბილო სიცოცხლე,  
დაჯერებით ერთად ჩვენ განუყრელი.

ანდა:

ჩემო ძვირფასო და ტკბილო დედა,  
ჩემო თბილისო, გულის ლახვარო!  
ძალი ძალღუერი ქებას გიბედავ,  
რომ მშის ამოსვლა ყვეფით გახარო.

და ეს პოეტი შუქურასავით უცებ ჩაჭრა, მაგრამ მისი ლექსები მაინც ცოცხლობენ და ამ ლექსებში ტიციან ტაბიძის ცოცხალი სუნთქვა მაინც მედვარად გაისმის.





## თაგავ ჭიქაძე

### ღმისი—მეწყერი

ტიციან ტაბიძის სახელი ყოველთვის ჭეშმარიტი პოეტების ასოციაციას იწვევს, იმ პოეტებისას, რომლებმაც თავიანთი გულის ფეთქვა წიგნებს გადასცეს და სამშობლოსადმი უანგარო ტრფილებს მიაგალითებად იქცნენ. ჩვენ ის ცოცხალი არ გვინახავს, მაგრამ მისმა შემოქმედებამ გავაცნო და დაგვაახლოვა კაცი, რომელიც ნამდვილი პოეტური ცხოვრებით ცხოვრობდა და უკიდურესად გამძაფრებული ლირიკული ხმით უმღეროდა თავის ქვეყანას. მას შეეძლო ბალახისა და მზის, მდინარისა და წვიმის, გაზაფხულის ფოთლებისა და მთების პირველყოფილი სილამაზის გაგება და თითქოს მუდამ ალტაცებული დადიოდა. ამ უარესად ადამიანურ სიხარულს იგი ასე გამოხატავდა:

თუ ჩემი ძმა ხარ, ერთიც მიმღერე  
და დაეჭოქებ მიწას მუხლებით,  
მამ გამარჯვება, ტკბილო სიცოცხლე,  
დაგრჩებით ერთად ჩვენ განუყრელი.  
ვინ მისცა ფერი მუხრანის ღვინოს,  
ვინ მისცა ფერი არაგვის ველებს,  
სანამდე უნდა, რომ მზედ ედინოს  
გაგარგარებულ ოქროს თაველებს!

მას უყვარდა «სვანეთის მთების ზვავთა შურღული», კახეთის ოქროში ჩასმული მშვენიერება, დედას ლევანას სიმღერა, არაგვი — «ბუმბერაზი მთების ტორილა», განთქმული ალავერდობა, და მაინც თბილისი ყველაფერს ერჩია. თბილისს ის «ტკბილ დედას» უწოდებდა და ლექსს კი არ ეუბნებოდა, არამედ მისთვის ლოცულობდა:

„ოქრო ყანიდან დავყურებ შენ ბჭეს  
და სიხარული ძვალ-რბილში მივლის,  
ასეთი ბედი რომ მომანიჭეს —  
პატარა ძალი გიცავედ თბილისს“..

მისი სიხარული თუ ტკივილი თბილისის სახელთან იყო დაკავშირებული და შემოდგომის ჭადრებით განათებულ ოქროყანიდან თბილისის დანახვა თავბრუს ახვევდა:

„ოქროყანიდან ვინც არ დახედავს,  
იმან არ იცის, რაა თბილისი! —“

ამობდა ის და თითქოს ყველას გვეძახოდა და გვიწვევდა, რათა ეს სილამაზე ჩვენც დაგვენახა. ტიციან ტაბიძეს ლექსი ქვეყნის გასანათებლად უნდოდა და მამულის სიყვარულს ასეთი სამახსოვრო სიტყვებით გამოთქვამდა:

„დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა,  
და საქართველოს შედგას უღელი“...

ის თერთსა და შავ არაგვს დღე და ღამეს აღარებდა და ამით, ისეთივე აღმოჩენას აკეთებდა პოეზიაში, როგორც დიდოსტატებს სწევდათ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ რომელიმე პოეტის მიერ აღმოჩენილი სახე ანდა სიტყვით გამოთქმული ადამიანური ფიქრის ნიუანსი ზშირად მეცნიერების კორიფეების აღმოჩენების სიმალეზე აღის და ისეთივე დიდ გამარჯვებად ითვლება ადამიანთა ცხოვრებაში. ადამიანებს პოეზია გასართობად კი არ უყვართ, არამედ ლექსებში მათ სწორედ ასეთი აღმოჩენები ხიბლავთ, რადგან პოეტი ზშირად იმ პირველ კაცსა ჰგავს, რომელმაც ქვის ცულით ტყე გაჩეხა და ტყის იქით დიდებული ზღვა დაინახა. ნამდვილ პოეტებს ახალი პოეტური სამყაროები მოაქვთ თან და ეს ყველაფერი ჩვენი შემეცნების საზღვრებს აფართოებს და კაცი გაშლილ სივრცეებში თავისუფლად სუნთქავს. როგორც ერთ კალენდარულ სისტემაში მოქცეული წელიწადები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, პოეტების ხმებიც სხვადასხვანაირია და სწორედ ეს განსხვავებაა, უდიდეს სიამოვნებას რომ ანიჭებს ადამიანს.

ტიციან ტაბიძის პოეზიას „პირტიტველი ყრმის“ გულწრფელი ალტაცება ახლავს თან და თითქო სამყაროს შექმნის პირველი დღის სიხარულითაა გამოთბარი. თითქო ადამიანმა ცა, მიწა, წყალი და ბალახი პირველად დაინახა და ეს გაუნელებელი სიხარული ჩვენც ვადმოგვლო. პოეტისათვის უპირველესი ნიჭია ხედავდე ქვეყანას, ისეთივე მშვენიერსა და ხელუხლებელს, როგორც თითონ ბუნებამ შექმნა. შეგეძლოს დაინახო ქვეყანა იმ კაცის



თვალბით, რომელმაც პირველად ცას „ცა“ უწოდა და მდინარეს — „მდინარე“. ყოველდღიურ ცხოვრებაში გართულს, შეგვეძლოს შეამჩნიო ღრუბლები, ხეები და ჩიტები და შენი არსების ნაწილად მიიჩნიო ისინი. მიწისმცენელის, მებღაურისა და მფრინავის სულის ნაწილი შენს სულში ფეთქავდეს და მათი სიხარული თუ მწუხარება საკუთარ განცდად ჩათვალო.

ტიციან ტაბიძის პოეტური გენეალოგიის ორი შტო უსათუოდ გრიგოლ ორბელიანსა და ფიროსმანს ეკუთვნოდა. მის ლექსებში ხანდახან ორბელიანის ხმა ვალაშაში მომწყვედულ ლომივით ბუხუნებდა და წარსული პოეზიის დაჯერებული ტონით ასევედა ლექსს. ბეჟანა მკერვალისა და დიმიტრი ონიკაშვილის დარღვიანდული, მსუბუქი იუმორით შეფერილი აღსარებანი აქა-იქ გამოძახილს პოულობდნენ მის ლექსებში და ტიციან ტაბიძე გრიგოლ ორბელიანივით გულგახსნილი პოეტი იყო. ის განცდილსა და ნახულს თითქმის შეუღამაზებლად და უცებ ჰყვებოდა და ინტიმური განდობის დროსაც დიდ აუდიტორიას გულისხმობდა. მისი პოეტური ფრაზაც, გრიგოლ ორბელიანის სტრიქონის მსგავსად, უმთავრესად ინტონაციას იყო დაყრდნობილი და თუმცა ხანდახან ოდნავი უხეშობაც დაჰკრავდა, მაგრამ ესეც თავისებურ მოხდენილობას მატებდა მას და, ჰუმორით ნიჟით გაბრწყინებული, მკითხველისთვის მახლობელი ხდებოდა.

მას თითქმის მუდამ საღდაც ეჩქარებოდა და მის ლექსებში აჩქარებული კაცი გულისცემა ისმის. ტიციან ტაბიძეს ლექსში, უპირველესად, აზრის სიციხად და ფრაზის სიმარტოვე ხიბლავდა და, დიდი შინაგანი ბრძოლის მერე, მრავალ ფორმალისტურ ცთუნებათაგან განწმენილი, თავის პოეტურ მრწამსს ასე გამოხატავდა:

„ისე უბრალოდ, როგორც მუხრანზე  
გაზაფხულისთვის მოდის ბალახი;  
ისე უბრალოდ, როგორც არაგვზე  
ალაპალდება მზეზე კალმახი;  
ისე უბრალოდ, როგორც მერცხალი  
დაუბრუნდება შარშანდელ ბუდეს;  
ისე უბრალოდ, როგორც ფშაველ ბიჭს  
დილის ცისკარი სასთუმლად უდევს.  
ისე უბრალოდ, როგორც ნავაზი  
სადარჯობს ფარებს და ცხვარის ფარას,  
როგორც დაწვება ნისლი მყინვარზე  
და ბრღელვალა თერგს კალთით დაფარავს  
ისე უბრალო და ისე სადა,  
როგორც ურმული გუთნის დედისა,  
როგორც გადიას დაკრული ქადა —  
ხმა მშობლიური მე დღეს მეღირსა.  
ისე უბრალოდ მინდა ვუმღერო  
ჩემს განახლებულ სამშობლო მიწას...“

ფიროსმანი მისთვის არა მარტო პოეტური ფიგურა იყო, არამედ ფიროსმანის ფერები ტიციან ტაბიძის ლექსებში ტაძრის კედლებივით შეისისხსობოცეს, თითქმის პოეტის კალამი მხატვრის ფუნჯის მოძარობას იმეორებდა. ტიციან ტაბიძემ ფიროსმანის ნახატებივით მკაფიო სურათები შექმნა, რომლებიც კომპოზიციითა და ფერთა თავისებურებით ძალიან ენათესავებოდა მათ:

„ამ დროს მოდიოდა გრიგოლ ორბელიანი ორთაქვლიდან.

ცხელი ცოცხალი საესეა ნავი,  
ეს ხმაა ჰიუყინასი ასე გულსაკლავი,  
თუ კრწინისიდან მოდიან თათრები.  
მეზურნეები დილას ებრძვიან გააფთრებით,  
შარვლის ტოტებში მთელი ჰქა ჩევა,  
მოდიან ვირები დატვირთულ შლიავით,  
მოდიან ვირები კოჯორის ნიავით.  
ასე აღვიძებდა საიათნოვა მტკვარს.  
დგინო მოუნდება გაცივებულ მკვდარს.  
გაბერილ ლოყები გაკვივის კარო:  
— „არუთონა მქვინა, საიაფნოვა ვარ,  
ლექსებს გეტყვი ცამ ქუხილი დაიწყოს“..“

ფიროსმანზე ტიციან ტაბიძე ასე წერდა:

„ჩვენ პირადად ეს ვგეხატება, როგორც  
გაღვიძებული გოლიათი, რომელმაც იგრძნო  
მაგიური ძალა საღებავისა, ნიაღვარივით გამო-  
ხეთქა მასში დაგუბებულმა გენიამ, რომ მად-  
ლით და ნიჟის ცეცხლით მოერწყო ჩვენი  
დროის საქართველოს მხატვრობის ყამირი მი-  
წა“. საინტერესოა ისიც, რომ თვითონ ფიროს-  
მანს გრიგოლ ორბელიანთან ბევრი რამ ჰქონდა  
საერთო და გრიგოლ ორბელიანის ლექსის

„დიმიტრი ონიკაშვილის დარღების“ ეს ადგილი:

„ქუდ ჩაქეით, ყელზე ჩით-მერდინითა,  
რა ქვე-ქვეით გავსწევ ორთაქალისკენ  
მტკვრის პირს, ჩარბთან, თავის ლახთავითა,  
სუფრა ვაშლით, დამხვდნენ იქ

დარღიმანდნი;

იქა მნახონ, რა შევქმნილვარ, ვინა ვარ,  
რა მადანი მიპოვნია ბედისა!  
საქინძ ჩამოხსნილი, ხელში ჯამითა  
სიხარულით ვსვამდე შენ

სადღევრქელის! —

თითქო მომავალში ფიროსმანის ფუნჯს ელოდა.

თავისი ქვეყნის უსაზღვროდ მოტრფილვე —  
ტიციან ტაბიძე ხალხთა მეგობრობის დიდი მო-  
მღერალიც იყო და მის ლექსებში თვალნათლივ  
იხატება მოწინავე მოქალაქის სახე. არასოდეს  
დამაიწყებდა ტიციან ტაბიძის ლექსების გახსე-  
ნება სომხეთში.

როგორც ყველა დიდებულსა და მრავალ-  
ტანჯულ ერს, სომხებსაც თავიანთი ტა-  
ძრები მტრისაგან დაქცეული აქვთ და საუკუ-

ნეთა ფერფლიდან ანათებენ ზეარტროცის ქვებზე ამოტივფრული არწივები და ბროწეულები, როგორც შერწყმული ძლიერება და სინაზე. საუკუნეთა ფერფლიდან ანათებს გენია მშრომელი, გაუტეხელი კაცისა და თითქო ჩვენი ბაგრატი ჩუქურთმებსა და დავით-გარეჯის მოწყენილ ფრესკებს ესტყევა. ეს არის ქვეების უხმო სიმღერა და როცა მათ უყურებ, ხალხის უკვდავება გჯერა და წუთისოფლიდან მარადისობის გზაზე გადადიხარ. თბილისიდან ჩასული სტუმრები ზეარტროცის ნანგრევებს შორის დაედოლით და ქვებზე ამოჭრილ ბროწეულებს ისევ ვეფერებოდით, როგორც ვახაფხულზე მცხეთის ბროწეულების ყვავილებს მოვეფერებით ხოლმე. აგვისტოს მზე აცხუნებდა ზეარტროცს და ქვეები წარუშლელი სილამაზით ელავენენ.

ამ ზეიანი ნანგრევების მოხუცებული დარაჯი ფეხდაფეხ დაგვეებოდა და ყველაფერს ისეთი ხალისით გვიხსნიდა თითქო ეს ლოდები მხრებით მოეზიდოს, ანდა ეს არწივები საკუთარი ხელით ამოჭრას ქვებზე. და უცებ მოულოდნელი სანახაობის წინაშე გავშეშდი: ბებერი დარაჯი იმ ადგილას შედგა, სადაც ცაიკტი საუკუნის წინ გუშავი დგებოდა და შუბზე დაყრდნობილი ზეარტროცს დარაჯობდა. მოხუცი კაცი წელში ამაყად გამართულიყო და ფეხი სწორედ იმ ადგილას დაედგა, სადაც ქვა დარაჯთა ნაფეხურებისაგან გავეთილა. ახლა მოხუცი აგვისტოს მზე კი არ უნათებდა დანაოქებულ სახეს, არამედ ზეარტროცის მაღალი კელაპტარების ციმციმი და აბჯრანის გუშავების ჩირაღდნების ბრალი. და სწორედ მაშინ, ოვანეს თუმანიანისა და ავეტიკ ისაკიანის ქვეყანაში, გაისმა ტიციან ტაბიძის ლექსი, რომელიც ზეარტროცის ნანგრევებში ფოლადივით წარიალებდა და მეგობრის ხმასავით მშვენიერი იყო:

„...და მეცოდება მე ჩემი თავი,  
როგორც საწყალი ჩიტი ნიბლია,  
როცა ამ ველზე წამოქცეულა  
გულგამეში და თვითონ ბიბლია.

როცა ვაღვია თავზე ზეინიბად ყოველი მხრიდან მთა აბარატის გჯერა, აქ ითქვა თვალდაპირველად უკვდავი სიტყვა — აწ და მარადის... მე უცხო თემში ვიყავი სტუმრად, მაგრამ იქ უცხო არაეინ არი. ვუსმენ ჩარენცის „ეპიურ დილას“, მზიბლავს მარტიროსს, მე, სარაინი, და ქართულ ლექსით ალაპარაკდა ისაკიანის „აბულ — მაარის“.

ტიციან ტაბიძეს სომხეთის ქაროშხლიანი წარსული თავისი ქვეყნის წარსულს აგონებდა და

ამ ორი მეგობარი ხალხის აწმყო სიხარულით უმღეროდა. ტიციან ტაბიძე დიდი მეგობარი იყო გამოჩენილი რუსი პოეტების ბალმონტის, მიოაკოვსკის და ესენინისა, და ეს მეგობრობა მის შემოქმედებაში მკაფიოდ აისახა.

შემოქმედების წაღლი ყველა ადამიანის სულის სიღრმეში ბუღობს; ის ზოგჯერ გულბრყვილოა და უმნიშვნელო ამბებით გამოიხატება, ზოგჯერ კი ბარათაშვილის მთრთოლვარე ხმით გვაუწყებს: „მე შინაგანი ხმა მიწვეს საუკეთესოს ხედრისაკენ, გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ აბლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებული: ნუ გძინავსო მე არ ძძინავს, მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა ღრეკლდეს გამოყვანოს, და დავდგე გაშლილს ადგილას. ოპ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ, რა ხელმწიფურად გადავხედავ ჩემს ასპარეზსა! აქედან ერთი წაბიჯილა მხოლოდ და დავუბუბულ არაგვივით ვაღმოსკლება „მერანის“, ბრინჯაოს მხედარი“ და „ნიკორწმინდა“. სწორედ ამ შემოქმედების მარადეამს დაუქმყოფილებელი სურვილითაა გაუღწეოლი ტიციან ტაბიძის მთელი პოეზია. ის ხშირად იხსენებდა ადრე დაწერილ ლექსებს, თავის ბუღეში შეფერვილ მერცხალივით მის კიდზე სულს იბრუნებდა და ხშირად კი რომელიმე ლექსში ნახმარი სიტყვა ახალი ლექსის დასაწერად აოგანებდა. მის ერთ ლექსში, რომელსაც „ლექსის დაბადება“ ქვია არის ასეთი ადგილი:

„მოსკლება წვიმა თქვეით და ქაფით  
და მოვარდება ლექსი წელკავად“.

ეს სახე ტიციან ტაბიძეს მეორე ლექსშიც აქვს ნახმარი და მთელი სისრულით გაშლილი: ვეწვარ ორპირში... ბავშვი სიტხემში. და უმღერიან წითელ ბატონებს. ვარდ და ია მოუსხამს ჩონგურს, დედის ცრემლები სიმებს ათრთოლებს.

გახვეული ვარ თავით ფოჩებში,  
ვირდის გამზნდილ წვიმაში ვცურავ;  
ეს საბანი — ასე ლამაზი  
თუ ანგელოსის ფრთები მახურავს?  
ებრძოდა ქარი ქალადიდიდან  
აბრიალებულ ატმების ტოტებს.

მაგრა, გულშიაც გამკრავს წელკავი  
და ლექსი თვითონ ამოღულდება...“

ლექსში ყველა სახე პოლანდიელი მხატვრის გულუხვობითაა შესრულებული და წიოველი ფერის განწყობა შესანიშნავადაა მიღწეული ამ სტრიქონებით: „ებრძოდა ქარი ქალადიდიდან აბრიალებულ ატმების ტოტებს“.

ტიციან ტაბიძე „ჰანტატარულის“ ავტორის დიდი მოყვარული იყო და მის ლექსში რაბ-

ლეს გოლიათების ფეხისხმავე ისმის, კახეთისა და ქართლის, თბილისისა და კოლხეთის გარდაქმნასა და აყვავებას ტიციან ტაბიძე ფიზიკურად განიცდიდა და ხშირად ალორძინების ხანის მწერლის ძლიერ მკლავებს იწვევლიდა და მისი გულში ჩაკვრა ეწადა. ტიციან ტაბიძე სულით-ხორცამდე ლორიკოსი იყო, მაგრამ ეპიკური ვანრიც ხიბლავდა და მისი პოემები: „რიონი — პორტი“, „ფრონტებზე“, „გულდაგულ“, „რო-ალე ამუნდსენ“ ქართული ლიტერატურის საინტერესო შენაჩენია.

ტიციან ტაბიძისათვის თითქმის ყველა სავანს მღუშარე ზარებისა და საყვირების მოლოდინი ჰქონდა და მან იცოდა, რომ როდესაც მათ პოეტის ხელი შეეხებოდა — რა უცნაურსა და მომხიბლავ ხმებს გამოცემდნენ ისინი. მისი გულიდან ლექსი ტიკვილით ამოდიოდა და ლექსებს ფასკუნჯებებით თითქოს საკუთარი შორციით ეკვებდა. მას ჰქონდა სიყვარულის ტრაგიკული განცდა და „ქვეზე გარჩენილ კალმახივით“ სიყვარულს, როგორც მაცოცხლებელ ტალღას ელოდა. მას ასე ეგონა, თითქო მისი სიყვარული ბუნების კანონს ეწინააღმდეგებოდა და ასე ჩიოდა:

„თეთრი არაგვი შავ არაგვს ერთვის ჩვენი გათიშვა კი ყველას სურდა“.

თამუნია წერეთლისაღმი მიძღვნილ ლექსებში ხშირად დემონის სახე გაივლევდა. ეს დემონი ვრუბელის დახატულსა ჰგავდა და უფრო ტრაგიკული და ამდენად ადამიანური იყო. „შემართულია ფეხზე ჩახმახიო“ — ამბობდა პოეტი და თითქო ყველა ამქვეყნიური ბედნიერების მოსწრება უნდოდა. მისთვის სიყვარული ყოვლისშემძლე ძალა იყო და როცა ის ჩნდებოდა, ყველაფერი იკარგებოდა და პოეტი ვედარაფერს ხელავდა:

„სულა ისე იყო მშვიდი და წყნარი, რომ აღარც მახსოვს იყო თუ არა!“

ის სიყვარულს სულში დარგულ ვაშლის ხეს აღარებდა და ყველას გასაგონად ამბობდა:

„სტირიან სულში ათასი ხმებით ვადამტკრეული სალაშურებო, სულში ვაშლის ხე ვილაყამ დარგო, სიყვარულისთვის ნუ შემდურები“

მაგრამ მის ლექსებში ბუნებისათვის ყოველთვის რჩებოდა ადგილი და მისი მარალი მშვენიერება პოეტს ნუგეშით ევლინებოდა. მის წარმოდგენაში მთებს ადამიანის სული ედგათ და ყოველთვის კეთილ გზაზე მიუძღოდნენ პოეტს: „მე ვბრუნდებოდი საქართველოში, წინ მომიძღოდნენ დაღესტნის მთები“.

ის წელიწადის სხვადასხვა დროს მეგობარივით ხედებოდა და მათი მონაცვლეობა ხასიათს უცვლიდა:


„დღეს აპრილია, აპრილმა იცის ვაშლის ხეებით სულის გატანაო“

ამბობდა ის და შემოდგომას უკვე სხვანაირი ლექსით ეგებებოდა:

„შორით კი მოჩანს თეთრი მყინვარი და გზაანუღელ ღრუბელთა ფარა, თითქო ქარბუქი სულში მძინვარებს, თითქო უსაზღვრო თოვლმა დამფარა“.

ტიციან ტაბიძეს ბუნების პირველყოფილი სილამაზე ხიბლავდა და ადამიანის მთლად პირველი, შეურყვანილი განცდები აღლევდა. ყველაფერ ამას ის პოეტური ინტუციით დღევანდელ ქვეყნს ანიჭებდა, რადგან არსებობს რალე საერთო საყვირზე ვირტუოზული დაკვრით გამოწვეულ გრძნობებსა და იმ კაცის გრძნობებს შორის, რომელმაც პირველად ჩაბერა ხარის რქას და შეეცადა დაბადებული ხმა გაიკვირვა.

ტიციან ტაბიძეს ეკუთვნის პოეტური სახე ლექსებში ცოცხლად დამარხული კაცისა და არც ერთ პოეტს ასე მკაფიოდ და ხატოვანად არ უთქვამს ლექსი თავის სიკვდილზე, ლექსი, რომელიც უსაფლავო, უდროოდ გარდაცვლილი პოეტის რეჟივით ვიდრეს და ასე გგონია — ამ კაცს თავისი სიცოცხლე ლექსებში გაზაფხულის ფოთლებით გაუბნევია და ამით მარადი სიცოცხლე დაუშახტურებია.





ნოღა ზაბიძე

ქართული პრესა ცენზურის რკაღში

(გაზეთი „შრომა“ და მეფის ცენზურა)

„მოსპო კარგი წიგნი — ნიშნავს მოსპო  
კარგი ადამიანი“

მილტონი

1881-1883 წლებში ქუთაისში დიმიტრი და-  
დიანის რედაქტორობით გამოდიოდა პროგრე-  
სული მიმართულების ყოველკვირეული გაზეთი  
„შრომა“, რომლის გარშემო თავს იყრიდა  
სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღ-  
მდეგ ჯებრძოლი საზოგადოება.

მოუხედავად ხანმოკლე არსებობისა, „შრომა“  
თვალსაჩინო კვალი გაავლო ჩვენი ერის ცხოვ-  
რებაში. იგი ეპოქის მაჯისცემის ნიჭიერი გა-  
მომხატველი იყო, გვერდს უშვებდა სამა-  
მულო ეურნალისტიკის დედაბოძებს და ამი-  
ტომ მრავალმხრივ იმსახურებს ყურადღებას.

„შრომის“ და ცენზურის ურთიერთობის ის-  
ტორია სცილდება ამ გაზეთის შესწავლის ფარ-  
გლებს და ძირითადად ქართული ეურნალის-  
ტიკის მარტიროლოგიის ტიპური სურათის  
გადმოშლის ფუნქციით იღუპრება.

„შრომის“ არსებობის პერიოდში მოქმედებ-  
და 1865 წელს დამტკიცებული საცენზურო  
წესდება, რომელსაც ზეუღვით სიტყვაზე ად-  
მინისტრაციული ზედამხედველობის გაძლიერე-  
ბის მიზნით თან ერთვისდა სხვადასხვა ოფიცია-  
ლური მითითებანი და რეზოლუციები<sup>1</sup>. წეს-  
დებაში ხაზგასმით იყო ფიქსირებული, რომ  
ცენზორს არ უნდა დაეშვა ისეთი ნაწარმოების  
ბუბლიკაცია, რომელიც ქრისტიანული მოძღვ-  
რებისადმი სკეპტიციზმს ბადებდა, ტახტისა და  
უმაღლესი ხელისუფლების საწინააღმდეგო მო-  
საზრებებს შეიცავდა, წოდებათა შორის სიძულ-  
ელისა და მტრობას აღვივებდა და ა. შ.

გაზეთ „შრომისა“ და ცენზურის უთიერ-  
ობის ისტორიას პირობითად ორ ნაწილად  
ვყოფთ. ერთი მოიცავს 1881—1882 წ. წ.,  
მეორე — 1883 წ. ასეთი კლასიფიკაცია გამარ-  
თლებულია არა მარტო „შრომის“ ცენზურის  
ჯერ ქუთაისში, შემდეგ კი თბილისში არსე-  
ბობით, არამედ უმთავრესად იმით, რომ ხსე-  
ნებულ ეტაპებზე გაზეთთან ცენზურის დამოკი-  
ლებულებაში ფრიალ განსხვავებული მომენტე-  
ბი შეინიშნება.

უმალესმა ხელისუფლებამ შეიწყინა „შრო-  
მის“ მესვეურთა თხოვნა და ცენზორად ადგი-  
ლობრივი მოხელე გამოჰყო, კერძოდ, ქუთაისის  
გუბერნიის სამმართველოს მდივანი, კარის  
მრჩეველი ს. აბულაძე. ჩვენთვის უცნობია  
აბულაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირი-  
თადი ეტაპებიც კი, მაგრამ, თუ გაზეთთან მისი  
დამოკიდებულების მიხედვით ვიმსჯელებთ,  
შეიძლება დავასკვნათ, რომ იგი ლიბერალურად  
განწყობილი მოაზროვნე ყოფილა, რომელიც  
ხშირად პატრიოტული გრძნობის კანახით მოქ-  
მედებდა და ღიად არ დაგიდევდათ კანონი-  
ზირებულ მოთხოვნას:

«Цензоры обязаны отправлять свою дол-  
жность по словам и разуму Цензурного  
Устава, не увлекаясь никакими личными  
видами, пристрастием или предубеждением,  
не смотря на лица и не потворствуя зло-  
употреблениям, кем бы оные замышляемы  
ни были!»<sup>1</sup>.

<sup>1</sup> სსსა, ფონდი 480, საქმე № 533, ფ. 1;  
№ 435, ფ. 1, 4, 12, № 533, ფ. 48.

<sup>1</sup> Устав о цензуре и печати, том XIV,  
изд. 1886, стр. 4.

მაგრამ არც ის უნდა დაევიწყოთ, რომ აბულაძე ოფიციალური პიროვნება იყო და, მიუხედავად პერსონალური ანტიპათია - სიმპათიებისა, საკმაოდ შებოძილი — ჩინოვნიკის მუდღირით.

ცენზორობა თავის არსობით და დანიშნულებით მეფის რუსეთში რეაქციულ თანამდებობას წარმოადგენდა. ამდენად, იგი ორგანულად ვერ იგუებდა ისეთ მოხელეს, რომელიც ცარიზმის საწინააღმდეგო შეხედულებების დაკინებით და სისტემატურ გატარებას შეეცდებოდა.

აბულაძეს არ შეეძლო სისტემატურად შეგნებული ანაბით მოქმედებოდა „შრომაში“ გამოსაქვეყნებლად წარმოდგენილ მკვეთრ სოციალ-პოლიტიკურ ნაწარმოებებს<sup>1</sup>. მაგრამ, რამდენადაც მდგომარეობა საშუალებას აძლევდა, ცდილობდა ნაკლებ შეხეზულა გაზეთის თანამშრომლები, ფართო გასაქანი მიეცა გულისინადების მკაფიოდ გამოთქმისათვის.

1881 — 1882 წ. წ. „შრომა“ გაცილებით მეტი თავისუფლებით სარგებლობდა, ვიდრე „დროება“, „იმედი“, „ივერია“.

ცნობილია, რომ 1883 წელს ისარლოვმა აკრძალა ი. მუჟიჟაძის „ბუნალების ტბა“, როგორც მთავრობის საწინააღმდეგო ტენდენციების შემცველი ნაწარმოები. ვფიქრობთ, 1882 წლის „შრომაში“ დასტამბული „საომარი“ უფრო პირდაპირ და „მთელის ხმით“ გამოხატავს ანტიცარიისტულ მოსაზრებებს, ვიდრე ილიას ხსენებული ლექსი.

„თუ რამ გვაქვს — ჩვენად არ ითქმის, თუ რამ გვეყავს არ ღირს ყოლადა! ჩვენსად წალკატში გეტყაუებენ, არ თუ გვიცნობენ ტოლად. კაცნი ვართ თავისუფლება ოღონდაც რომ ღირს ბრძოლად.“

„ვინც მტერსა ზურგი უჩვენოს, დედა შეერთოს ცოლად!“<sup>2</sup> ეს ხომ მინიატურული ფორმის აშკარა პროკლამაციაა, მოწოდება ამბოხებისაკენ და თუ აბულაძე ამგვარ ნაწარმოებს უცვლელად უშვებს, ის ბევრ რამეზე მეტყველებს.

კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი, 1882 წელს აკაკიმ ქართული პოეზია გაამდიდრა ახალი შედევრით — „ზარიით“, რომელსაც მთავრობის თვალის ასახვევად ხალხური ლექსი უწოდა და გამოსაქვეყნებლად „დროებაში“ მიიტანა. ცენზორმა ლ. ისარლოვმა ნაწარმოებს ყადაღა დაადო. მაშინ დიდმა პოეტმა იგივე თხზულება პოლიტიკურად კიდევ უფრო გაამაზვილა და

საკუთარი ხელმოწერით „შრომის“ რედაქციას წარუდგინა. აბულაძემ თამამად გასცა დაბეჭდვის ვიზა<sup>1</sup>

1882 წლის № 49 „შრომაში“ გამოქვეყნდა მოკლე ინფორმაცია ქუთაისის ქალთა გიმნაზიისათვის სახელმწიფო დახმარების მოსალოდნელი ლიკვიდაციისა და, აქედან გამომდინარე, ერთი ზედა კლასის გაუქმების შესახებ. რედაქცია კრიტიკული თვალთ უცქერის მთავრობის მოქმედებას, განიხილავს მას, როგორც ულტრარეაქციურ ზომას და მკითხველებს ანტიცარიისტულ შეხედულებებს სთავაზობს.

ეს ლექსმა ხსენებული ცნობა 17<sup>1</sup> დეკემბრის „დროებაში“ გადასაბეჭდლად მოამზადა, მაგრამ კავკასიის საცენზურო კომიტეტმა დააყადაღა.

ეს პატარა დეტალიც კარგად შეტყუვლებს, თუ როგორი შედავითთ სარგებლობდა ქუთათური პერიოდული ორგანო.

თუმცა „შრომის“ ფაქტიური და უშუალო ზედამხედველობა აბულაძეა ეკისრებოდა, მაგრამ გაზეთის სხვებიც მეთვალყურეობდნენ, პირველ რიგში — კავკასიის საცენზურო კომიტეტი. აბულაძემ. ვერ გაამართლა ხელისუფლების მოლოდინი. იგი არა ერთხელ აღმოჩნდა დაპირისპირებულ მდგომარეობაში ზემდგომ ორგანოებთან.

„შრომს“ თავიდანვე დაებედა საცენზურო კომიტეტის რისხვა.

მხედველობაში ჰქონდათ მოწინავე სტატია და ი. მუჟიჟაძის „თბილისის ქრონიკა“.

ჩვენ აქ არ შეეჩერდებით მოწინავე სტატიის დეტალურ ანალიზზე, გვიანტერესებს წერილის მხოლოდ ის მონაკვეთი, რომელმაც ცენზურის უკმაყოფილება დაბადა.

აეტორი ენება საქართველოს დუხპირ მდგომარეობას, ეკონომიურ სივიწროვეს, პოლიტიკურ ავებდითობას; ისტორიის, ენის ლიტერატურის დაეიწყებას და დასძენს: „უბედურო სამშობლო! რა კაცების ხელში ჩავარდი, ვინ გივლის და ვინ გაატრონობს?! არა, საყვარელო ძმებო, დაჩაგრული ჩვენი სამშობლო — საქართველო უკეთესის ბედის ღირსია, და თუ ჩვენს გულში კიდევ დარჩა მისი სიყვარული და მისის წარმატების იმედი, ჩვენგან საქირთა უმეტესი თავ-გამოდებული შრომა და სიმხნევე, ვინმე ჩვენ ვფიქრობთ.“

საცენზურო კომიტეტმა სწორად შენიშნა, რომ ეს ხელისუფლების მომავკდინებელი კრიტიკაა.

რაც შეეხება ი. მუჟიჟაძის „თბილისის ქრო-

<sup>1</sup> ამ მხრივ საინტერესოა ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული კლორთქიდანისის არქივი (საქმე № 49).

<sup>2</sup> „შრომა“, 1882 წ. № 37.

<sup>1</sup> ესაა, ფონდი 480, საქმე № 499, ფ. 38; აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებულის თხზომებ ტომად, ტ. 11, 1950 წ. გვ. 456 — 457.



ნიკას, იგი მიმართული იყო არა საერთოდ სომხების, როგორც საცენზურო კომიტეტი აცხადებდა, არამედ სომხური პლუტოკრატის წინააღმდეგ. ავტორი მხარში ამოუდგა ილიას, აკაკის და თავისი პირთფენელი სიტყვა სთქვა მშობლიური ერის დასაცავად.

ცხადია, საცენზურო კომიტეტი გულგრილი ვერ დარჩებოდა ასეთი პოლიტიკური ლიცენციებისადმი. მას არ შეეძლო თვალი დაეხუჭა ეროვნული კეთილდღეობისათვის მებრძოლი პუბლიცისტების მოქმედებაზე. იგი სათანადო მოხსენებას უდგენს მთავარი სამმართველოს უფროსს და მკაცრი ზომების მიღებას მოითხოვს. ეს უკანასკნელი კი ქუთაისის გუბერნატორს ავალებს სასტიკი საყვედური გამოუცხადოს აბულაძეს მასზე დაკისრებული მოვალეობის გულგრილად შესრულებისათვის, ხოლო „შრომის“ რედაქცია გააფრთხილოს, კანონის განმეორებით დამახინჯების შემთხვევაში გაზეთის ცენზურა თბილისში იქნება ვადატანილიო.

თითქმის ამ ინციდენტს უფრო ლოიალური კურსისკენ უნდა ემიშტა გაზეთის თანამშრომლებისათვის, მაგრამ რედაქციამ გააგრძელა აღებული პოლიტიკური ზაბი.

ცენზურა საქართველოში გაცილებით უხეში და დაუნდობელი იყო, ვიდრე იმპერიის შიდა გუბერნიებში. ეს კარგად ჩანს „შრომის“ მაგალითზეც. საცენზურო კომიტეტი კრძალავდა რუსულ პერიოდიკაში გამოქვეყნებულ ზოგიერთი მასალის ქართულად გადმობეჭდვას.

1881 წლის № 14 „შრომაში“ დისტამბა „განათლებული რუსის აზრი რუსეთთან საქართველოს დამოკიდებულებაზე“, რომელმაც ადგილობრივი ხელისუფლების შემფთხობა გამოიწვია.

ავტორი რუსეთ-საქართველოს შვიდრო კავშირის მომხრეა. ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ორი ერის თანამშრომლობა ძალადობას კი არ უნდა ემყარებოდეს, არამედ ურთიერთგაგებას და შეგობობას. იგი კატეგორიულად მოითხოვს ეროვნული გრძნობისადმი პატივისცემას. დასასრულ, მკაცრად აკრიტიკებს რა ადგილობრივ ხელისუფლებას, რომელიც განსხვავებულ პოზიციაზე დგას, წერს: „მაგრამ თუ ჩვენ კავკასიის აჭეთა მხარეში იმ ნაირს პოლიტიკას მივსდით, რომელიც ეხლა მეფობს განსაკუთრებით ბათუმსა და ყარსში და რომელმანაც ამ მოკლეს დროს ალაოხრა და გააუდაბურა ჩვენგან ახლად შექმნილი მშენიერი მიწები, მაშინ უეჭველი უნდა იყოს, ვერავითარი ძალ-დატანებით ღონისძიება, გარუსებისათვის ხმარებული. სარგებლობას ვერ მოუტანს ვერც ჰრუსეთს და ვერც კავკასიის აჭეთა მხარეს.“

თოკი და ჯაკვი, რაც უნდა იყოს. მხოლოდ ხელფების ბორკილია, ის ერთს გრძნობასა და

გონებას მეორესთან ვერ შეაკავშირებს, მთ შორის მეგობრობასა და სიყვარულს ვერ დაბადებს და უამისოდ კი ერთი ერთმანეთისათვის გამოსადეგი ცხოვრება შეუძლებელიაო“.

მთელს სტატიაში, და განსაკუთრებით ბოლო ორ აბზაცში, რომლებიც წითელი ფანქრით არის აჭრელებული, საცენზურო კომიტეტი ხედავს რუსეთის პოლიტიკური კურსის დაწუნებას. მის მოსაზრებას იზიარებს მთავარი სამმართველოს უფროსი და გაზეთზე მკაცრ მეთვალყურეობას აწესებს.

როგორც ირკვევა, აბულაძე მიინც წინანდელი „გულგრილობით“ ეკიდებოდა საპასუხისმგებლო მოვალეობას და აი, 1882 წლის № 1 „შრომაში“ კვლავ „გაიპარა“ ცარიზმის საწინააღმდეგო დებულებები. შერთალია, მეთაურ სტატიაში, რომელიც ვასილი წლის შედეგების შეჯამებას ისახავდა მიზნად, გაკრიტიკებულ იყო მთავრობა, მაგრამ იგი არ გამოიჩინოდა დიდი რადიკალიზმით და წამოყენებულ მოსაზრებათა სიმკვეთრით. მიუხედავად ამისა, საცენზურო კომიტეტმა საჭიროდ ჩასთვალა, ვრცელი მოხსენება წარედგინა მთავარი სამმართველოს უფროსისათვის, რომელმაც, თავის მხრივ, ქუთაისის გუბერნატორს გადაემტრელი ზომების მიღება დაავალა.

საპასუხო მიმართვაში ქუთაისის გუბერნატორი წერს: «На отношение от 12 сего февраля за № 595, имею честь уведомить Ваше Превосходительство, что по поводу напечатанной в № 1 издающейся в г.р. Кутаисе на грузинском языке газеты «Шрома» передовой статьи, заключающей против правительства, редактору этой газеты князю Дадияни объявлено содержание отзова Вашего превосходительства от 4 ноября 1881 года за № 4591, а Секретарю Губернского правления Надворному Советнику Абуладзе, за невнимательное исполнение им возложенных на него цензорских обязанностей, сделан мною строгий выговор»<sup>1</sup>.

ამაოდ დაშვრა გუბერნატორი. რებრესიები „შრომის“ ხელმძღვანელთა მუშაობის მანერას ცვლიდა და არა გაზეთის მიმართულებას. ამაში გვარწმუნებს რედაქციის მომდევნო ნაბიჯები.

1882 წლის 17 ნოემბერს საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე მოძალექსკი მთავარი სამმართველოს უფროსს ატყობინებს, რომ „შრომაში“ ჭარბად ქვეყნდება ცენზურული თვალსაზრისით ყოვლად მიუღებელი ნაწარმოებები, როგორცაა ლექსი „ნადული“ (№ 42), რომელში „რუსეთი“ № 37, „ზოგიერთების პასუხად“

<sup>1</sup> ცსს. ფონდი 5, საქმე № 7070, ფ. 43.

(№ 43), „ქუთაისი, 3 ნოემბერს“ (№ 43) და თხოვს ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას. მოსალევსის ასსნა-განმარტებას თან ერთვის მისწავლი ნაწარმოებების რუსული თარგმანები.

აეკის „ნადუღის“ ლეიტმოტივის გაცნობა გასაგებს ხდის საცენზურო კომიტეტის წევრთა აფორიაქებას. რაც შეეხება „რუსეთს“, მასში ლაპარაკია პოლონელთა დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვაზე (სიმბოლურად ქართველთა ანალოგიურ ტენდენციასაც ესმება ხაზი).

ცნობა ამოღებულია გაზეთ „გოლოსიდან“ და „შრომის“ ხელმძღვანელთა მიერ მომარჯვებულთა საკუთარი შეხედულებების საქადაგებლად. აქვე უნდა ითქვას, რომ ფიქსირებული მანერა, გამიზნული ცენზურის დებორგანიზაციისათვის, საემო პოპულარობით სარგებლობდა „შრომის“. რედაქცია ზოგიერთი მწვევე მოსახრების გამოსათქმელად შეგნებულად ეყრდნობოდა რუსულ პერიოდიკას. წყაროს მითითება ცენზურის მიერ მასალის გაშვების ვეფქტურ ხერხს წარმოადგენდა, ხოლო ძირითადი ტექსტი შეეკეთო, სათანადო კომენტარებით, ან, თუნდაც, თავისებური განლაგებით, მნიშვნელოვან ნიუანსებს, ახლებურ ელერადობას და ფერს იძენდა.

განსაკუთრებით საინტერესოა აეკის „ზოგიერთების პასუხად“. პუბლიცისტის აზრით, ქართველებისათვის ყველაზე აუცილებელი, თავიდაობა საქმე რიგიანი განათლების მიღებაა, ხოლო ვინც ამაში ხელს გვიშლის, იგი ჩვენი მოსისხლე მტერია, რომლის წინააღმდეგ აშკარა და შეუპოვარი ბრძოლა ვგმართებს.

ცენზურა კარგად ამჩნევს, თუ სად ურტყამს აეკი და ამიტომ ამხევილებს მთავრობის ყურადღებას ხსენებულ წერილზე.

კავკასიის საცენზურო კომიტეტი „შრომის“ კანონის სულ ახალ და ახალ დამხინჯებებს პოულობდა. მან 1882 წლის მე-40 ნომერში მოთავსებული მოწინავე სტატია და ლექსები ჩასთვალა «весьма неудобным в цензурном отношении». და ამის შესახებ ვრცელი მოხსენება წარუდგინა მთავარი სამმართველოს უფროსს.

ხელისუფლების წარმომადგენლებს საშინლად აუფორაჯებიათ აეკის „გამიღრმებულხარ ბაქონო“; გადაუხაზეთ მე-9, 13, 16, 25-29 სტროქონები, როგორც ყველაზე რელიეფური გამოხატველი ავტორის „მაგენ“ მიმართულებისა. ასევე, დაწუნებულია მეორე ლექსი „კურთხევა“, სადაც გადაშლილია ბოლო სტროფი.

საცენზურო კომიტეტი, რამდენადაც ხელი მიუწვდებოდა, საფუძველშივე ახშობდა მთავრობის საწინააღმდეგო მიმდინარეობებს.

მარტო ერთი წლის განმავლობაში „შრომი-

ში“ დაიბეჭდა ათამდე ისეთი ნაწარმოები, რომელთა გაშვება საცენზურო კომიტეტს დაუშვებლად მიაჩნდა. ეს ციფრი არც ისე პატარაა, მით უფრო, თუ გავიხსენებთ, რომ 1882 წელს თბილისში გამოშვებულ ქართულ ეურნალ-გაზეთებში („დროება“, „ივერია“, „იმედი“) დასასტამბავად წარდგენილ მასალებიდან საცენზურო კომიტეტმა მხოლოდ 22 დააყადალა.

საერთოდ, 1882 წელს კავკასიის საცენზურო კომიტეტმა უმადლეს მთავრობას 23-ჯერ მოახსენა ქართულ პრესაში კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების დარღვევაზე და აქედან 11-ჯერ „შრომის“ შესახებ.

1882 წლის დამლევს ზემდგომი ორგანოების წინაშე მთელი სერიოზულობით დაისვა „შრომის“ არცხოვრების საკითხი. გამოიტყუებოდა არ იყო, რომ აბულაძე ძველებურად წარმართავდა საქმიანობას, რითაც კვლავ მოხერხებულად ისარგებლებდა რედაქცია. „შრომის“ რადიკალიზმი, დემოკრატიული და პროტესტანტული განწყობილება მიუღებელი იყო ხელისუფლებისათვის, ამიტომ იგი ყოველ ღონეს ხმარობდა მოესპო ან, უკიდურეს შემთხვევაში, სასურველ კალაპოტში მოექცია გაზეთი. ამ მიზნით მიღებულ იქნა მეტიმეტად მკაცრი გადაწყვეტილება.

საქართველოს ცენტრალური არქივის ერთ საბუთში ხაზგასმით არის აღნიშნული რომ, მიუხედავად მრავალგზის გაფრთხილებისა, რედაქტორი დადიანი «не изменяет своего направления и продолжает помещать в газете «Шрома» статьи и стихотворения положительного и неудобных в цензурном отношении — Принимая во внимание, что обнаруженное газетою «Шрома» направление не может быть терпимо, что хотя князь Ладяни еще в феврале сего года предвдрил о возможности перенесения означенной газеты на цензуру в Тифлисе в случае повторения помещения статей подобного направления, но тем не менее он продолжает помещать таковой в своей газете, я в виду этого признаю необходимым теперь же издаваемую князем Дадяни газету «Шрома» подчинить цензуре Кавказского Цензурного Комитета»!

მთავარი სამმართველოს უფროსს სტაროსელსკის გადაწყვეტილი მქონია აბულაძისთვის აღმინისტრაციული სასჯელი დაედო, ჰუპტვახტში ჩაესვა, მაგრამ სხვადასხვა მოსახრების გამო თავი შეუტყებია ასეთი ნაბიჯისაკენ.

ამაო გამოდგა დ. დადიანის ყოველგვარ მეტადინეობა. არც კი მოისურვეს საფუძველი-

1 ცსსა, ფონდი 5, საქმე № 7070, ფ. 74-75.



ნად გაეცნობოდნენ მის ახსნა-განმარტებას, რომელშიაც საქმისთვის მეტად არსებითი დებულებები დამაჯერებლად იყო განვითარებული. მთავრობის გადაწყვეტილება ურყევი აღმოჩნდა. უფრო მეტიც, „დროება“-ს ნება არ ღირათ, მომხდარი ფაქტი („შრომის“ ცენზურის თბილისში გადატანა) მკითხველებისათვის ეუწყებინა.

ამრიგად, 1883 წლიდან „შრომის“ პირდაპირი ზედამხედველობა დაეკისრა კავკასიის საცენზურო კომიტეტს, რომელიც იმხანად ოთხი აკაცისაგან შედგებოდა: თავმჯდომარე აკიმოვის, წევრების დინგელ შტედტის, მერდარბოვის და ისარლოვისაგან (ისარლოშვილი). სწორედ ეს უკანასკნელი ითვლებოდა ქართული ენის სპეციალისტად.

ლუკა ისარლოვი ქუთაისის გუბერნიიდან იყო. 1883 წელს დაამთავრა თბილისის გიმნაზია და ერთხანს ლიტერატურულ საქმიანობასაც ეწეოდა. 1881 წლიდან იგი საფუძვლიანად მოკალათდა საცენზურო კომიტეტში და წარმოუდგენელი ერთგულებით ემსახურებოდა ხელისუფლებას. ეს არცაა საკვირველი, მით უფრო, თუ გავიხსენებთ, რომ მისი წლიური ჯალაბერი 2000 მანეთით განისაზღვრებოდა, მაშინ როცა ქუთაისის ქალაქის თავის ხელფასი 3000 არ აღემატებოდა. მაგრამ მართო ეს როდია გადაწყვეტი. იგი გაქანებით და მსოფლმხედველობით დახვსებული პიროვნება იყო, რეაქციული თვალსაზრისის მატარებელი.

ლ. ისარლოვის ხელი მალე დაეუბრა ვახუთს. რამდენადაც დიდი თავისუფლებით სარგებლობდა „შრომა“ 1881—1882 წ. წ., იმდენად მძიმე და სულსმეზხოვე მდგომარეობაში აღმოჩნდა მომდევნო წელს. საცენზურო კომიტეტი ყოველმხრივ ბოჰავდა რედაქციას, განსაკუთრებული სიფრთხილითა და სიმკაცრით ეუბრაობოდა მთავრობის თვალში ისედაც სახელგატეხილ ვახუთს.

ლ. ისარლოვი ოსტატური მანევრირებით ცდილობდა ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს მასალების აკრძალვა-შეკეცვაში სხვები იყვნენ დამნაშავენი, თავად კი ქართული ლიტერატურის წინსვლისთვის დაუღალავი მზრუნველია. ეს ფანდი კარგად ჩანს „შრომის“ მაგალითზეც.

პრაქტიკაში მიღებული იყო: თუ საცენზურო კომიტეტს აუკებდა რომელიმე მასალის სისწორედ და ავტორის კეთილანწყობილება, დახმარებისთვის მიმართავდა ეგზარხოსს, სასწავლო ოლქის მზრუნველს, პოლიციას და, უმეტესად, მთვან მიღებული დასკვნების საფუძველზე მოქმედებდა. მაგრამ, თუ იგი გულწრფელად იყო დაინტერესებული სტატიის ვაშვებით, ასეთი პროცედურისაგან (სხვა ინსტანციებში მასალათა გაგზავნა) თავს იკავებდა. მით

უფრო, რომ იქ სამართლიანობის პრინციპი ხშირად ილახებოდა.

1883 წლის 5 აპრილის „შრომისათვის“ მომზადდა სტატია ქუთაისის გუბერნიის სკოლებში არსებული მდგომარეობის შესახებ, რომელიც სასწავლო ოლქის მზრუნველმა „სიცრუისა და ცილისწამების“ შემკველად ჩასთვალა. ცხადია, წერილს შემდგომი მსვლელობა არ მისცემია.

ძალზე იშვიათად, რომ ეგზარხოსს, სასწავლო ოლქის მზრუნველს, გუბერნატორს თუ პოლიციის უფროსს განსახილველი მასალა უცვლელად გაეშვით. უფრო ხშირად კრძალავდნენ, ზოგჯერ კი საგრძნობლად კვეცდნენ.

ცენზურას ღრმად ჰქონდა შეგნებული, რომ ცარიზმის ძირითადი დასაყრდენის შესუსტებას ლოგიკურად თვითმპყრობელობის კრახი უნდა მოჰყოლოდა. ამიტომ, ვახუთში არ უშვებდა არც ერთ ცოტა თუ ბევრად მნიშვნელოვან წერილს, მიმართულს ბობოლა ჩინოვნიკთა წინააღმდეგ.

1883 წლის „შრომიდან“ ამოაგდეს პატარა ინფორმაცია. მასში მოთხრობილი იყო, რომ სტუდენტმა ვარშავის სასწავლო მაზრის მზრუნველს სილა გააწვია.

თუ ცენზურა ცალკეულ პიროვნებათა პრესტიჟს ასე იცავდა, ვასაგებია — როგორი მკაცრი იქნებოდა იგი არსებული სისტემის უშუალო მოწინააღმდეგეთა მიმართ. ამდენად, არავითარ გაცემას არ იწვევს აკაცი წერეთლის „დათვი და მელას“ აკრძალვა. ცენზორს წითელი ფანქრით დაუხანავს ლექსის ცალკეული ადგილები, არა მართო კონკრეტული სტროფები და ტაყებები, არამედ, მთელი ნაწარმოები თავისი იდეითა და ლეიტმოტივით, მიუღებელი იყო ხელისუფლებისათვის. პოეტო ეზოებს ენით, მაგრამ ნათლად გადმოგვეცემს მეტად გამახვილებულ პოლიტიკურ მოსაზრებებს.

1883 წელსვე ჩვენი ლიტერატურის ზოლერამ, როგორც მოსწრებულად უწოდებდა ს. მესხი ცენზურას, დააყადაღა დ. კეხელის ვრცელი სტატია „პოლშა“. თხზულების თითქმის ნახევარზე მეტი დახატულ-დამუშეულია. საცენზურო კომიტეტის საქმეებში იშვიათად შეხედებით სხვა წერილს, რომელსაც ასეთი დიდი ოპერაცია ვაგველოს.

ცენზურამ აკრძალა „პოლშა“ და რედაქციაც გულსიტკიცებელი აუწყებდა მკითხველებს: „გარემოებამ ნება არ მოგვცა ამ ნომრისათვის დაშვადებული ფელეტონი („პოლშა“) დაგვებეჭდა“<sup>1</sup>. ეს მცირე შენიშვნა ბევრის მოქმელია, იგი არაპირდაპირ მითითებებს საქმეში ზემდგომი ორგანოების ჩარევასზე.

1 „შრომა“, 1883, № 13.



საერთოდ, ასეთი ცნობების მოთავსება სპეციალური ნებართვის გარეშე აკრძალული იყო. ამიტომაც, რედაქციის თვითნებობამ საცენზურო კომიტეტის შრისხანება გამოიწვია. «Так как подобные заметки выражают собою как будто протест против цензуры и типография, напечатав оных нарушила 68 ст. Ценз. Уст., то уведомляя об этом Ваше Превосходительство, цензурный комитет в виду 1035 ст. улож. о наказ. имеет честь покорнейше просить привлечь типографию к ответственности за нарушение 68 ст. Ценз. Уст. вследствие нового нарушения не может выдать и билет на выпуск того № в свет»<sup>1</sup>.

როგორც ჩანს, ამ გაფრთხილებას შედეგი არ გამოუღია. რედაქციისა და ცენზურის ურთიერთობა დღითიდღე მწვავედმოდა.

მე-16 ნომრის პირველ გვერდზე, პირველსავე სვეტში დ. დადიანი ყოველგვარი ნებართვის გარეშე მსხვილი შრიფტით კვლავ ბეჭდავს ანალოგიურ შენიშვნას: — «ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ეს ნომერი ნახევარფურცლად გამოდის».

ამის დაემატა ისიც, რომ რედაქციამ იქვე დასტამბულ აკაის ლექსში — „ვაზაფხული“ ისარგოვის მიერ ამოღებული მ სტრიქონი მთლიანად შესცვალა წერტილებით. მას არც ამის უფლება ჰქონდა; დაჩეხილი ტექსტი ისე უნდა გადაეხა ურთიერთზე, რომ არ დარჩენილიყო ცენზურის მოქმედების კვალი.

ამასთან დაკავშირებით, 1883 წლის 30 აპრილს კავკასიის საცენზურო კომიტეტი ქუთაისის გუბერნატორს აცნობს საქმის მდგომარეობას და თხოვს პასუხისგებაში მისცეს პ. წულუკიძე, რომლის სტამბაშიც დაიბეჭდა ხელისუფლები-საგან ნებადართველი შენიშვნა და ლექსიც შეუფერებელი ფორმით, სათანადო აბრევიატურის გარეშე გამოქვეყნდა.

ჩვენ მკითხველთა ყურადღება დაყადაღებულ მასალათა მხოლოდ ნაწილზე შეეაჩერეთ. შეიძლება მათი რიცხვის ვაზრდა, მაგრამ, ვფიქრობთ, მითითებული მაგალითებიც საკმარისია მაშინდელი მდგომარეობის სურათის შესაქმნელად. ამასთანავე, საჭიროა ვაიხსენოთ, რომ ვაზეთში დაბეჭდილ მასალათა დიდი ნაწილი საქმაოდ დაჩეხილი და შემოკლებულია. ეს განსაკუთრებით იგრძნობა 1883 წელს გამოქვეყნებულ წერილებში. ბოსლეველის, ვოლსკის და სხვათა სტატიების გადათვალთვლებისას თვალში გეცემათ მრავალწერტილთა სიუხვე.

ცენზურამ განიხილა მეთაური სტატია „ვაი ნაშუსო!“ და დათანხმდა მის პუბლიკაციასზე.

მხოლოდ „შემცველი პოლიტიკური აზრის ამოვლებით“. ასეთი შემთხვევები მეტად ხშირია.

„შრომა“ საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალურ პრობლემებს ეხებოდა. მკითხველებს განსაკუთრებით აინტერესებდათ ეროვნული დამოუკიდებლობის, სწავლა-განათლების, კულტურული ცხოვრების, სოციალური ურთიერთობის საკითხები და რედაქციაც თავგამოდებით იღწვოდა მათ გასარკვევად, მასების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. რა თქმა უნდა, უფრო მეტსაც ვააქეთებდა, ცენზურის რებრესიებს რომ არ შეეშალა ხელი. ცენზურა კრძალავდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვან სტატიებს, რითაც წარმოუდგენელ ტყვიებს და ზიანს აყენებდა ავტორებს და რედაქციას. საწინააღმდეგოს არაფერს შეიცავდა, ისარგოვი შესამოწმებლად მაინც უგზავნიდა სხვადასხვა უწყებებს. წერილი კანცელარიიდან კანცელარიაში მოგზაურობდა, პასუხი კვირადღის, თვეობით იგვიანებდა და როცა დაბეჭდვის ნებართვა მოვიდოდა, აღმოჩნდებოდა — მასალას ყავივს ვსვლოდა, მნიშვნელობა დაკარგვოდა. ამდენად, რედაქციაც იძულებული იყო თავი შეეკავებინა მისი პუბლიკაციისაგან.

ზემდგომ ორგანოებს დასკვნისათვის, როგორც წესი, ყოველთვის რუსულად თარგმნილი ტექსტები ეძლეოდათ. თარგმანი შესრულებული იყო საცენზურო კომიტეტის წევრთა მიერ, რომლებიც ხშირად ვანგებ ამუქებდნენ საღებავებს, ამხინჯებდნენ ორიგინალს და ხელჩასაქიდ დეტალებს ქმნიდნენ მასალათა აკრძალვისათვის.

ცენზურა დაეინებითი და სისტემატური რებრესიებით არა მარტო ვაზეთს ასეამდა ღრმა ტვიფრს, არამედ ფსიქოლოგიურ და ნერვიულ ტრავმას აყენებდა ქურნალისტებსაც.

1881 წელს მწერალმა სიმეორსკიმ ტრავიკულად დაასრულა სიცოცხლე. ათავს ვიკლავ იმიტომ, რომ არ შემიძლია სხვები მოვკლა — წერდა იგი უკანასკნელ ბარათში. როგორც ვაზეთი „გოლოსი“ იუწყება, ამ საზარელ აქტს ხელი შეუწყო ცენზურამ.

„შრომის“ ხელმძღვანელები უფრო შეუპოვანი და წინდახედულნი აღმოჩნდნენ. პრეტეტის გამეფანებისათვის ვაცილებით სწორი გზა აირჩიეს. რედაქცია ყოველ ღონეს ხმარობდა თავისი ჩანაფიქრის მასეამდის მისატანად, თანაც ისეთი მანერით, რომ ცენზურის რისხვა აეციდინა; ხოლო როდესაც ეს შეუძლებელი იყო, აშკარად ებმებოდა ბრძოლაში, თუმც ისეთ ექსპანსიურ კომპანაის ვერ აწარმოებდა როგორსაც ნ. ნიკოლაძე (ცენზურათა დეულში გამოწვევა, სიკვდილით დამუქრება და სხვა).

ზემოთ ვნახეთ, რომ რედაქტორმა ხელისუფ-

<sup>1</sup> ცსსა, ფონდი 480, საქმე № 548, ფ. 19.



ლების ნებადურთველად რამდენიმე შენიშვნა გამოაქვეყნა და მკითხველებს გააცნო გაზეთის დამახინჯების მთავარი ფაქტორები. „გარეშე მიზეზების გამო ეს ნომერი ნახევარ ფურცელად გამოდის“ — წერდა რედაქცია და ამგვარი გამოსვლებით არა მარტო კერძო პროტესტს გამოხატავდა, არამედ საზოგადოებრივი აზრის სათანადო მობილიზაციასაც ახდენდა.

რედაქცია მარჯვედ იყენებდა თვითიველ ხელნასაჰიდ დეტალს გამახვილებული სოციალ-პოლიტიკური შეხედულებების გამოსათქმელად. ცენზორის ყურადღების მოსაღწეველად იგი ინტენსიურად სარგებლობდა ქართულ სინამდვილეში დაკანონებული ეფექტური საშუალებებით. ამასთანავე, შეინიშნება ახალი გზებისა და მეთოდების ძიება. „შრომის“ რედაქციამ, ერთ-ერთმა პირველმა სამამულო ჟურნალისტიკაში, წარმატებით და თავისებურად გამოიყენა „სოვრემენიკის“ ნაცადი ხელმძღვანელის ნეკრასოვის მეთოდი — ზედამხედველთა შეზღუდვა ამხანაგური დამოკიდებულებით. ნეკრასოვი მიმართავდა ცენზორთა მოსყიდვას კარტში ფულის ხელოვნური წაგებით თუ ჟურფიქსების მოწყობით. „შრომის“ ხელმძღვანელებს ცოტაოდენ განსხვავებულ სიტუაციაში უხდებოდათ

მუშაობა. აბულაძე სიმპათიურად იყო განწყობილი რედაქციისადმი და ეს განწყობილება რომ შეენარჩუნებინათ, გაზეთის მესვეურები კიდევ უფრო უახლოვდებოდნენ მას. აბულაძე რედაქციის მიერ მოწყობილი თითქმის ყველა სადილის საპატიო წევრი იყო, დ. დადიანის შეინახე და ამხანაგი. სხვათა შორის ამაზე მიგვანიშნებს ბოსლეველის ერთი კერძო წერილიც <sup>1</sup>.

მიუხედავად მკაცრი საცენზურო პოლიტიკისა, ხშირი რეპრესიებისა და შეზღუდვისა, „შრომამ“ მაინც მოახერხა გასაგებად გამოეთქვა მოწინავე იდეები და მნიშვნელოვანი წვლილი შეეტანა ქართველი ხალხის გათვითცნობიერება-ალზრდის საქმეში; მის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ 1881 — 1882 წლებში ბევრი ისეთი ნაწარმოები გააცნო მკითხველებს, რომელთა პუბლიკაცია სხვა ჟურნალ-გაზეთებში მარცხით დამთავრდა და რომ „შრომა“ არა, ალბათ, მიუწვდომელი იქნებოდა ფართო საზოგადოებისათვის.

<sup>1</sup> ბოსლეველის წერილები გრ. ვოლკისადმი, „ცისკარი“, 1959 წ. № 11 ს. ხუციშვილის პუბლიკაციით. ან საქ. სახ. ლიტ. მუზეუმი, საქმე № 10813.





როინ მეჩაქვიძე

ივანე ჯავახიშვილი და ქართული მუსიკის  
ისტორიის საკითხები

(ი. ჯავახიშვილის დაბადების 85 წლისთავის გამო)

ქართული მუსიკის ისტორიის, როგორც მეცნიერების განვითარება განუწყურელადა დაკავშირებული აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სახელთან.

ის ისტორიკოსები, რომლებიც ივანე ჯავახიშვილამდე შეეხნენ ქართული მუსიკის ისტორიას (ღვით მაჩაბელი<sup>1</sup>, პოლიევტოს კარბელაშვილი<sup>2</sup>, დიმიტრი არაყიშვილი<sup>3</sup>, ზიგფრიდ ნადელი<sup>4</sup> და სხვ.) ქართული მუსიკის ისტორიის ცალკეულ საკითხებზე მუშაობდნენ, მათი ნაშრომები ქართული მუსიკის ისტორიის ცალმხრივ, ზოგ შემთხვევაში ზერელე გაშუქებას იძლეოდა და, ბუნებრივია, ქართული მუსიკის ისტორიის საფუძვლიანი და ყოველმხრივი შესწავლა მომავლის საქმედ რჩებოდა.

ივანე ჯავახიშვილმა ხელი მოჰკიდა ამ მეტად მნიშვნელოვანს, მაგრამ ამავე დროს ძნელ საქმეს და ძალზე შრომატევადი მუშაობის შემდეგ ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები მეცნიერების ცოდნის გარკვეულ ჩარჩოში მოაქცია.

აქად. ივანე ჯავახიშვილს უყურადღებოდ არ დაუტოვებია მისი წინამორბედი ავტორები. იგი გულმოდგინედ იხილავდა მათს შრომებს და საქმიან კომენტარსაც უკეთებდა. ივანე ჯავახიშვილი განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევდა დ. არაყიშვილის დეაქოს, რომელიც „მართო ქართული ხალხური სიმღერების ჩაწერით კი არ დაკმაყოფილდა, არამედ მუსიკის თეორიისა და ისტორიის თვალსაზრისით ამათი შესწავლა და დახასიათება სცადა“.

<sup>1</sup> დ. მაჩაბელი, „ქართული ზნეობანი“, „ცისკარი“, 1864 წ. მაისი.

<sup>2</sup> პ. კარბელაშვილი, ქართული საერო და სასულიერო კილოები, ისტორიული მიმოხილვა, თბილისი, 1898 წ.

<sup>3</sup> დ. არაყიშვილი. Краткий очерк развития грузинской народной песни.

<sup>4</sup> Dr. Ziegfried V. Nadel, Georgische Gesänge, ბერლინი, 1933 წ.

დ. არაყიშვილი ყურადღებას აქცევდა, როგორც საერო, ისე საეკლესიო სიმღერებს, როგორც ხშიერ, ისე საკრავის მუსიკასაც და, ბუნებრივია, ეს მრავალმხრივი შრომა წინ სწევდა ქართულ მუსიკისმცოდნეობას. დ. არაყიშვილის შრომებს ჰქონდა მნიშვნელოვანი ნაკლი, საერო და საეკლესიო სიმღერა-ვალზების განხილვის დროს არ ჩანდა წყაროების ჯეროვანი ცოდნა. სწორედ ამ ნაკლზე მიუთითებდა ივანე ჯავახიშვილი ავტორს.

ქართული მუსიკის ისტორიის შესახებ არსებული ყოველგვარი წყაროს ღრმა და საფუძვლიანი შესწავლა, ამავე დროს გათვალისწინება ამ საკითხზე არსებული წინამორბედი ავტორების მოსაზრებებისა ამ ავტორთა შრომების კრიტიკული განხილვის საფუძველზე — აირა მიაჩნდა აუცილებლად აქად. ივანე ჯავახიშვილს ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხების დამუშავებისათვის.

აქად. ივანე ჯავახიშვილი უპირველესად ეხება მუსიკის ძველ ქართულ ტერმინოლოგიას.

მუსიკალური ბგერის აღმნიშვნელად ძველ ქართულში არის ხ მ ა ე თ ხ მ ა. ეს ტერმინი იხმარებოდა, როგორც ადამიანის ყელის, ასევე ყოველგვარი საკრავის მუსიკალური ბგერის აღმნიშვნელად. თამარ მეფის პირველ ისტორიკოსს ნათქვამი აქვს, რომ თამარის მეფედ კურთხევის დროს „აღიღეს ხ მ ა მგალობელთა“<sup>1</sup>. „ხ მ ა მგალობელთა“ გვერდით გვხვდება „ხ მ ა საყვირისა“, რაც ადასტურებს შემოთთქმულს, რომ ხ მ ა ბგერის ზოგადი აღმნიშვნელია.

არსებობდა სპეციალური ტერმინიც გალო ხ მ ა და მღერა (საგალობელი და სიმღერა), ამასთანავე ორივე ეს ტერმინი არსებითად ერთი და იმავე ცნების გამომხატველია, მაგრამ მათ შორის გარკვეული განსხვავებაა. სულხან-საბა ორბელიანი აღნიშნავს: „სიმღერა

<sup>1</sup> „ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი“ აქად. კ. კეკელიძის რედაქციით, თბილისი, 1941 წ. გვ. 43.



მსოფლიო ხმებიანობა“, ხოლო „გალობა არს ხმა ავაჯიანი შეწყობით აღტყვებული თვინიერ ორღანოსა, გინა ორღანოთა და მწყობრითა... გალობა არს მართლმადიდებლობითა მიერ ღვთისმეტყველება“.

ამგვარად, საბას მიხედვით სიმღერა საერო მუსიკაა, გალობა კი — სასულიერო.

როგორც აკად. ი. ჯავახიშვილი მიუთითებს, ტერმინმა „გალობა“ გვიან მიიღო ეს მნიშვნელობა. წყაროები ადასტურებენ, რომ გალობა ყოველგვარი ყელისმიერი მუსიკალური ბგერის ზოგადი აღმნიშვნელი იყო. ამის კვალი დღესაც ნათლად ჩანს. სალიტერატურო ქართულში ფართოდ იხმარება გამოთქმა „ბულბული გალობა“. დავით გურამიშვილსაც აქვს ნათქვამი „ამბობს ტორუა, გალობს ბულბული“. ქართულ ზეპირსიტყვიანობაში მგალობლად ფრინველები გვხვდება. აქ ბულბულის გვერდით მგალობლად შაშვიცაა მოხსენებული — „გაზაფხულსა პირხედა შაშვი დაიწყო გალობა“ ე. ი. გალობა ძველად მხოლოდ სასულიერო (საეკლესიო) სიმღერის აღმნიშვნელი კი არა, არამედ ყელისმიერი მუსიკალური ბგერის ზოგადი სახელი ყოფილა.

რაც შეეხება ტერმინ მღერას, იგი წინათ თამაშობის აღმნიშვნელი იყო. ამის საილუსტრაციოდ აკად. ი. ჯავახიშვილს მოჰყავს გიორგი ხუციშვილის „ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა“, სადაც გიორგი მთაწმინდელი ამბობს: „ვიყავ რა მდინარისა ში ღიღისა პირსა, რომელსა ქცია ყუღრების, წილდერკო მდინარეს ვიხილე ყრმა მიხმობდა—მოვდე და ვიმღეროთ“. აქ სიტყვა „ვიმღეროთ“ უდრის „ვითამაშოთ“. ამავე მნიშვნელობითაა იგი ნახშირი „ვეფხისტყაოსანშიც“. მაგრამ პოემამ იცის „მღერას“ მეორე მნიშვნელობაც — „გალობა“.

ქართულ წყაროებში გვხვდება ისეთი ტერმინიც, როგორცაა ძნობა (აქედან ძმნობარი (ძმნობრი) საბა ორბელიანთან გვხვდება „ძნობით — შეწყობილი ხმით“, რაც საბასევე განმარტებით სიმღერას ნიშნავდა. „ძმნობელი ძნობის მოქმედიო“, — ხსნის საბა. როგორც აკად. ივანე ჯავახიშვილი სხვადასხვა წყაროები I განხილვის შემდეგ ასკვნის, ეს ტერმინი მე-11 საუკუნემდე აღნიშნავდა მოცეკვავეთა გუნდს, ხოლო აქედან მოყოლებული უკვე მუსიკასთანაა დაკავშირებული: „ძნობა და ძმნობარი, თუ ძმნობრი უძველეს ხანაში გუნდობრიობის ცნებასთან ყოფილა დაკავშირებული და უფრო სარწმუნოებრივ ცეკვის ამს-

რულებელ გუნდებსა ჰგულისხმობდა, მაგრამ, რაკი ყოველი ასეთი როკვა ჩვეულებრივ გალობა-საქრავების აყოლებით იცოდნენ, ამიტომ მგალობელთა გუნდის აღმნიშვნელადც ქეილა“<sup>1</sup>.

როგორც წყაროები გადმოგვცემენ, მაშინდელ საქართველოში მხიარულებაში მგოსანიც იღებდა მონაწილეობას:

„ისმის მგოსანთა, ვით საფირონთა ხმანი ენისა და წინწილისა“, — ნათქვამია შავთელის „აბდულმესიაში“. „მგოსანი“ „ვეფხისტყაოსანსა“ და „ვისრამიანშიცა“ მოხსენებულია. აკად. ი. ჯავახიშვილი არკვევს, რომ ეს სიტყვა ქართულში ძველი სპარსულიდანაა შემოსული (სანსკრიტულად გოშა ხმას ნიშნავს, გოშანა ხმააღლა ლაპარაკს ეწოდება, გუსან ახალ სპარსულშიც მომღერლის სახელია). ქართულს ამ ძველი სპარსული სიტყვისათვის მ ფორმანტი დაერთავს მხოლოდ და დროთა განმავლობაში ამ სიტყვისათვის მნიშვნელობაც შეუცვლია. მე-12 საუკუნის საქართველოში მგოსანი ჩვეულებრივი რიგითი მომღერალი კი აღარაა, არამედ საკუთარი შიარებისა და ლექსების გამომთქმელია.

მე-12 საუკუნის ძეგლებში სხვა ტერმინებთან ერთად გვხვდება მუტრიბიც, რაც არაბულად გამართობს, გამამხიარულებელს ნიშნავს. „მუტრიბს“ რუსთაველი ასხვავებს მომღერლისაგან — „მომღერალნი და მუტრიბნი არ იყვნენ სულდაღებულნი“. მე-12 საუკუნეში მომღერალი ხმით მგალობელსა ნიშნავდა, ხოლო მუტრიბი კი იმით განსხვავდებოდა მომღერლისაგან, რომ ერთსა და იმავე დროს დამკვრელიც იყო და მომღერალიც.

ამრიგად ძველ ქართულში სიმღერის აღმნიშვნელად სხვადასხვა ტერმინები გვხვდება; საგულისხმოა ისიც, რომ მომღერალ-მუსიკოსნი სხვადასხვა სახელებს ატარებდნენ (მგოსანი, მუტრიბი, ძმნობარი). ეს ქართული მუსიკის დაწინაურებაზე მიუთითებს.

აკად. ივანე ჯავახიშვილი იხილავს წყაროებში არსებულ ქართული სიმღერის ხმების სახელებს და ადგენს, რომ სამხმან გუნდში მე-13, მე-18 საუკუნეში ერთი მხრით პირველ ხმას წვრილი ხმა, ანუ მაღალი ხმა, მეორეს საშუალო ხმა და მესამეს ბოხი ხმა ანუ დაბალი ხმა ეწოდებოდა, მეორე მხრით პირველ ხმას მთქმელი (ანუ ვინც „მღერის“, თუ გალობს), მეორეს — მოძახილი და მესამეს ბანი ერქვა“.

ე. ი. ქართული მუსიკა მრავალხმანი იყო და ეს თავისმხრივ ქართული მუსიკის განვითარების მაღალ დონეზე მიუთითებს.

I ეს წყაროებია საბა ორბელიანის ნაწარმოებები, ჩაბრუნების „თამარიანი“, შავთელის „აბდულმესია“, „ისტორიანი და აზმანი შარავანდელთან“ და სხვ.

<sup>1</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1938 წ. გვ. 52.

ქართული სიმღერების მრავალმხარეობასთან ერთად აღსანიშნავია ქართული მუსიკის მრავალგვარობა<sup>1</sup>.

ხალხური სამუსიკო საკრავები, ისევე როგორც თვით ხალხური მუსიკა, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა გადმოგვცეს და შემონახულია უძველეს, დროიდან, წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვან საბუთს, რომელიც გვიჩვენებს გარდასულ საუკუნეებში ხალხის ამა თუ იმ კულტურის დონესა და გზებს, რომლებიც გაუძლია ამ ხალხს თავისი კულტურული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე.

აკად. ი. ჯავახიშვილი ირკვევს, როგორც საკრავიერ მუსიკას ზოგადად, ასევე ცალკეულ საკრავებს და აქედან გამომდინარე იძლევა ქართული მუსიკალური საკრავების კლასიფიკაციას. ამას თავისთავად ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ქართულ წყაროებში შემორჩენილი მთელი რიგი საკრავების სახელები გურტყვევლი იყო — როგორც ტიპის საკრავს აღნიშნავდნენ (ეთჟვათ, საეცის თუ ჩამოსაკრავს), ივანე ჯავახიშვილმა კი გაარკვია მათი მნიშვნელობა და სათანადო აღგილიც მიუჩინა. აკად. ივანე ჯავახიშვილი ძველ ქართულ საკრავიერ მუსიკაში შემდეგ სახეებს არჩევდა:

**1. ძალეზანი<sup>2</sup> საკრავები:**

- ა) ძალთა რაოდენობის აღმნიშვნელი საკრავების ჯგუფი (ორძალი, სამძალი ანუ სამძალიანი, ოთხძალიანი, ხუთძალიანი, ათძალიანი).
- ბ) მოზიღვითი და ძალთსაცემიანი საკრავების ჯგუფი (ებანი, ქნარი, საფსალმუნე სავალობელი, ორლანი, ჩანგი, მულნი, ყამუნი, სანთური).
- გ) ჩამოსაკრავი საკრავების ჯგუფი (ფანდური, ზარბითი, ჩანგური, და ჩონგური ქართული და ყიზილბაშური, გურული და მეგრული ჩონგური, ცანგალა, უდი, სეთაი, თარი, საზი).
- დ) შეილდაკიანი საკრავების ჯგუფი (ჩაღანა, ქამანჩა, ჭიანური, ქუნირი).

**2. ჩასაბერი საკრავები** (საყვირი, ბუკი, ყვირსტირი და სტირი; ზროხაკუდი, გულასტირი, სალაშური, სოინარი, ნალარა, ზურნა და სხვ.).

**3. საჩხარუნებელი და ელარუნები** (წინწილა, ლინი, ზარი, სარეკელი, ეფანი).

**4. საეცემელი ანუ სარტყმელი საკრავები** (ბობლანი, ნოზა და დაბდაბი, ტაბლაცი, სპილენძ-ჭური, დუმბული).

მოცემული კლასიფიკაცია თვალნათლივ მიუთითებს, რომ საქართველოში ძველთაგანვე იყო განვითარებული სხვადასხვა ტიპის მუსიკალური საკრავები, ხოლო ეს ცალკეული ტიპები თავის მხრივ მოიცავდა მრავალ მუსიკალურ ინსტრუმენტს. ყოველივე ეს მიუთითებს საქართველოში საერთოდ მუსიკისა და კერძოდ საკრავიერი მუსიკის განვითარების მაღალ დონეზე.

აკად. ივანე ჯავახიშვილი დიდ ყურადღებას უთმობდა ქართული მუსიკის წარმომავალ-განვითარების საკითხს. ქართული მუსიკა ისე, როგორც ბევრი სხვა ერების მუსიკა, უძველესს დროშია წარმომდგომი. ბერძენ ისტორიკოსს ქსენოფონტეს მოგოვება ცნობები, რომ წარმართობის ხანაშიც, IV საუკუნეში ძვ. წ. ქართველ ტომებში გავრცელებული ყოფილა საერო მუსიკა (სამხედრო და საეკლავო სიმღერები). ეს რამდენადმე მტკიცდება დღევანდლამდე დაცული წარმართული სიმღერებით, რომელთა ჰანგები და სიტყვები შეიცავს ძველი დროის ანარეკლს.

მუსიკის განვითარების საქმეში ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქრისტიანობას, რომელმაც შემოიტანა თავისი წირვა-ლოცვები და გალობანი.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქრისტიანობასა და წარმართობას შორის სისხლისმღერელი ბრძოლა იყო, და ბუნებრივია, ბრძოლა იქნებოდა წარმართულ და ქრისტიანულ სიმღერებს შორისაც. ასეთი ბრძოლა საქართველოშიც იყო. აკად. ივანე ჯავახიშვილი არც ვეცს, რომ საქართველოში ბრძოლა წარმართული მუსიკის წინააღმდეგ ჯერ კიდევ არჩილ მეფის დროიდან დაწყებული (V საუკუნე). მაგრამ ამ საქმის ვადაწყვეტა ასე მაღე არ შეიძლებოდა და ეს ბრძოლაც საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა. 1103 წლის რუმისურბნის კრებამ ყოველგვარი წარმართული ზნეჩვეულებანი აკრძალა, მაგრამ ამ დადგენილების განხორციელებაც მასწინვე არ მომხდარა. წარმართული ზნეჩვეულებანი მხოლოდ ჯარში იქნა მოსობილი — „საეშვაკინი, სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი და ვინება, ღმრთისსაძლეველი და ყოველი უწყესობა მოსპობილი იყო ლაშქართა შინა მათთა“ (დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი).

ხშირად ბრძოლა წარმართულსა და ქრისტიანულ სიმღერებს შორის იმით მთავრდებოდა, რომ მელოდია იგივე დარჩებოდა, სიტყვები კი, რომელიც ქრისტიანობისათვის იყო მიუღებელი, ახალი სიტყვებით იცვლებოდა. ხანდახან ისევე ხდებოდა, რომ სიმღერა სულ უსიტყვოდ რჩებოდა. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მიუთითოთ ისეთ სიმღერებზე, რო-

<sup>1</sup> დ. არაყიშვილი, ხალხური სამუსიკო საკრავების აღწერა და ვაზომვა, თბილისი, 1940 წ. გრ. ჩხიკვაძის რედაქციით.

<sup>2</sup> ძალი ძველი ქართული სიტყვაა და ნიშნავს სიმს.



გორიცაა მაგალითად ო დ ო ი ა (სამეგრელოში და ო დ უ რ ი (ჯახეთში). ორივე ეს სიმღერა სრულდება ხენა-თესვის ან თონის დროს. მათში გამოხატულია ვედრება ოდისადმი (მოსავლის დემერთისადმი), რათა მოლბეს იგი და ქვეყანას წაყოფიერება მოჰქონოს. როგორც ოდოი, ისე ოდური ძველი ქართული სიმღერებია და, ბუნებრივია, მათ სიტყვებიც ეწინააღმდეგება, მაგრამ შემდეგში, უკვე ქრისტიანობის ხანაში, როცა წინანდელი სიტყვები მიუღებელი იყო იდეოლოგიურად ქრისტიანობისათვის, ისინი ჩამოაშორეს და ეს სიმღერები დღემდეც უსიტყვოდ იმღერება<sup>1</sup>.

ყოველივე ზემოხსენებულთან იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ ქართული მუსიკის ისტორიის სათავეები გარდასულ საუკუნეებშია ფესვებგადგმული. ამ დებულებას საფუძველს უმაგრებს ასურეთის მეფის სარგონის (VIII საუკ. ძვწ.) ცნობა იმის შესახებ, რომ ურარტურ შრომის პროცესებს სიმღერებიც თან ახლავს.

აკად. ივანე ჯავახიშვილი ყურადღებას აქცევდა იმ გარემოებას, რომ ქართული სიმღერები ძველთაგანვე მრავალგვარი იყო. ჩვენში ოდითგანვე ფართოდ ყოფილა გავრცელებული სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სიმღერები. ბასილი ეზოსმძღვარი აღნიშნავს, რომ თაშარის დიდებს ისეთი სახელი ჰქონია საქართველოში გავარდნილი, რომ „ყრმანი მემროწლანი განაბებასა შინა ორნატასა თაშარის ქებასა მეღვქსეზობდიან“, ე. ი. მიწის ხვნის დროსაც სიმღერებში (გ უ თ ე რ შ ი) თაშარის საქებარ ლექსებს ჩაურთავენ.

საქართველოში სხვადასხვა სიმღერების შესრულების გრცელი აღწერა მოგვცემა XVII საუკუნის იტალიელ მოგზაურს არქანჯელო ლამბერტს. აღნიშნული ავტორის ცნობებიდან შეიძლება გაირკვეს, რომ იმ დროის საქართველოში გავრცელებული ყოფილა თონხური, მგზავრული და სუფრული საგუნდო სიმღერები.

პურის ჰამის დროს რომ თავისებური სიმღერები არსებობდა, ამას ადასტურებს მთელი რიგი ცნობებიც. ფარსადან გორგიაჯანიძე მოგვითხრობს: „შეიქმნა ლინის სმა და ლინი და ჩანდა კერა და მეჩანგეთა შუშპარი და სიმღერა ა გაახშირესო“.

მშინდელი მრავალფეროვანი სიმღერების ერთი დარგთაგანი იყო სამიოჯნურო ლექსები. თეიმურაზ მეორეს აღნიშნული აქვს,

რომ ნიშნობის დროს საქართველოში ჩვეულებად ჰქონიათ:

„მუშაითთაგან კერანი და ხმატკილად ამღერებანი, თქვან მუნასიბი, ლექსები, ყმისა და ქალის ჰქებანი“.

გარდა ამისა, თეიმურაზ მეორეს დაცული აქვს მეტად საინტერესო ცნობა, რომ საქორწილო კაზების გამოჭრის დროსაც კი აუცილებელია სინღერა, „მაყრულის თქმა“.

აკად. ივანე ჯავახიშვილი მუსიკას სასველით სამართლიანად მიიკეთებენებს სამგლოვიარო მოთქმით ტირილს ე. წ. ზ ა რ ს. არქანჯელო ლამბერტის ცნობით, კარგი ხმის პატროს რამდენიმე პირს ამოარჩევდნენ და მათგან ადგენდნენ მოზარეთა ორ გუნდს. მოზარეები მღერიან ნელი ხმით თითქოს კიდევ მღერიან და კიდევ ტირიანო, ხოლო სიტყვებს არ ამბობენ და მხოლოდ იძახიან „ოჰი, ოჰი, ოჰი“-ო. ზემოთმოთხანილი მაგალითებიდან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ ქართული სიმღერათვის სიტყველესთან ერთად მრავალგვარი იყო.

აკად. ი. ჯავახიშვილი მრავალი სახის ისტორიული წყაროების განხილვა-გაანალიზების საფუძველზე ასკვნის: „ქართული ხმები მუსიკა თავდაპირველად თამაშობასთან ყოფილა განუყრელად დაკავშირებული და იქ ყოფილა სწორედ მისი სათავე“. აკად. ი. ჯავახიშვილი საფუძველიანი დაკვირვების შემდეგ მიიჩნევს, რომ პირველად დასაქრავ-დასარტყმელი საკრავებია წარმოშობილი, ხოლო შემდეგ ძალეობიანი და ჩასაბერი.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული მრავალხმიანობის სადაფრობის დადგენას. ივანე ჯავახიშვილი დასაბუთებულად უარყოფს იმ თეორიას, რომელიც მიიჩნევდა, რომ მრავალხმიანობა ქართულ მუსიკაში დასავლეთ ევროპის გავლენითაა შემოსული. იგი მრავალხმიანობის წყაროს თვით საქართველოში ეძებს. ივანე ჯავახიშვილს მიაჩნია, რომ ქართული მრავალხმიანობის ისტორიისა და სადაფრობის საკითხს ვარკივია შესაძლებელია მხოლოდ ყოველმხრივი განხილვითა და ყოველგვარი წყაროს გამოყენებით. თვით ივანე ჯავახიშვილი, ითვალისწინებს რა ძველესში სავალობლებსა და გალობის შესახებ დაცულ ცნობებს, საკრავიერი მუსიკის ტერმინოლოგიას, ადამიანისა და საკრავების ხმების სახელების თავდაპირველ მნიშვნელობას, ასკვნის, რომ „მრავალხმიანობა ქართულ მუსიკას წარმართობის ხანაშივე უნდა ჰქონოდა და იმ დროითგანვე უნდა ჰქონდეს საუკუნეთა განმავლობაში შენარჩუნებული“. გამარჯვებული ქრისტიანობისათვის ჰანგი კი არა, არამედ სიტყვები იყო მიუღებელი, ხოლო როცა ძველ ჰანგს საეკლესიო საგალობელს

<sup>1</sup> აღნიშნულ საკითხზე საინტერესო წერილი აქვს გამოქვეყნებული ვ. ბერიძეს „ოდი, ოდი-ში, ოდოი“, მნათობი, 1959 წ. № 12.



სიტუებს მიუმარჯვებდნენ, ჰანგი უკვე ეკლესიისათვის აღარავითარ წინააღმდეგობას არ წარმოადგენდა. როგორც ჩანს, საქართველოშიც „ამავე გზით უნდა იყოს ხალხისათვის ჩვეული წარმართულ-საერო სიმღერების ჰანგები და ორ-სამხმარიანობა ქართული საეკლესიო გალობის მიერაც შეთვისებული“.

აკად. ივანე ჯავახიშვილი სხვადასხვა გარემოებათა და მოსაზრებათა კრიტიკულმა განხილვა-გათვალისწინებამ იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ მრავალხმანიანობა ქართული მუსიკის შინაგანი განვითარების ნაყოფია!

1. აღნიშნულ დებულებას ამაგრებს და შემდგომ ასახულებს ცნობილი ქართველი მეცნიერი პავლე ინგოროყვა, რომელიც სხვადასხვა წყაროების განხილვის საფუძველზე აგრეთვე აკეთებს დასკვნას, რომ „თვითმყოფი დამოუკიდებელი ეროვნული სახეობა ქართული მუსიკისა მის სამხმარიანობაში მდგომარეობს და, როგორც დასტურდება, ეს სამხმარიანობა ქართული მუსიკისა უძველესი ხანიდან მომდინარეობს“ („ანტიკური ხანისა და საშუალო საუკუნეთა ქართული მუსიკალური დამწერლობის ახსნა და ძველი ქართული მუსიკის აღდგენა“, მნათობი, 1958 წ. № 2, გვ. 124).

ამრიგად, როგორც დაინახეთ, აკად. ივანე ჯავახიშვილმა დიდი წვლილი შეიტანა ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხების შესწავლა-დამუშავების საქმეში, განიხილა და დაადგინა როგორც ხმერი, ისევე საკრავიერი მუსიკის ზოგადი ტერმინოლოგია, მოგვცა საქართველოში ძველად და ახლა გავრცელებული საკრავების დაჯგუფება-კლასიფიკაცია, ჩამოაყალიბა ქართული მუსიკის განვითარების მთავარი საფეხურები, ხაზი გაუსვა რა ქართული მუსიკის, ქართული სიმღერის სიძველესა და მრავალხმანიანობას, გამოამჟღავნა ქართული მუსიკის თვითმყოფი ხასიათი — მისი მრავალხმანიანობა და ახსნა ამ მრავალხმანიანობის წარმოშობა და სადაურობა.

აკად. ივანე ჯავახიშვილს, ისევე, როგორც ქართული ეროვნული მეცნიერების ყველა სხვა დარგში, მუსიკის ისტორიაშიც ფასდაუღებელი ღვაწლი მიუძღვის — იგი ისეთივე დიდი მუსიკის ისტორიკოსია, როგორც საქართველოს ისტორიკოსი და წყაროთმცოდნე.



აზრ

ცალხელა პინისტი

ნიუ-იორკის ერთ-ერთ სა-  
ვადმუფოვში გარდაიცვალა 78  
წლის ცალხელა პინისტი პა-  
ულ ვიტგენშტაინი. მას მარ-  
ცხენა ხელისთვის სპეციალუ-  
რად უწერდნენ საფორტებიან  
კონცერტებს მსურის რა-  
ველი, რიხარდ შტრაუსი და  
სერგეი პროკოფიევი.

გერმანი

გერმანიის დემოკრატიული  
რესპუბლიკა

ჯილდოების ბადაცემა

ამას წინათ გერმანიის დე-  
მოკრატიული რესპუბლიკის  
კულტურის მინისტრმა აბუშ-  
მა დაჯილდოებულთ გადასცა  
1960 და 1961 წლის ლენინის  
სახელობის პრემიები.

1960 წლის ჯილდო მიი-  
ღო გერმანელმა დრამატურგმა  
ჰედა ცინერმა თავისი პიესი-  
სათვის „რა იქნებოდა, რომ...“  
ჯილდო გადაეცა აგრეთვე  
ახალგაზრდა მეცნიერს მანს  
კოხს საყურადღებო ნაშრომე-  
ბისათვის ლიტერატურის თე-  
ორიის დარგში.

1961 წლის ლენინის სახე-  
ლობის პრემია მიენიჭა მწე-  
რალს ერვენ შტრიტმატეს ახა-  
ლი რომანისათვის: „პოლან-  
დიის სარძლო“. მეორე ჯილ-  
დო გადაეცა ელიზაბეტ ჰაუპტ-  
მანს (ბეროლდ ბრეტის უახ-  
ლოეს თანამშრომელს) თარგმა-  
ნებისათვის; საბჭოთა დრამა-  
ტურგიისა და ძველი კლასი-

კური ნიმუშების საუკეთესო  
თარგმანებით მან მნიშვნელოვ-  
ნად გაამდიდრა გერმანიის  
ლიტერატურული საგანძური.

გერმანიის ფედერაციული  
რესპუბლიკა

აღმანაუარი არისტოვანას  
წინააღმდეგ

უღიღესი ბერძენი კომედიო-  
გრაფი არისტოვანე ალბათ  
ვერც კი წარმოიდგენდა, რომ  
2.400 წლის შემდეგ მისი ნა-  
წარმოების წინააღმდეგ ვინმე  
გაილაშქრებდა. მაგრამ ასე კი  
მოხდა.

ადენაუერის რადიოსა და  
ტელეს მმართველებმა მიუნ-  
ხენში, შტუტგარტში, ბადენ-  
ბადენსა და კელნში აკრძალეს  
ტელეეკრანზე არისტოვანეს  
კომედიის მიხედვით გადაღე-  
ბულ ტელეფილმ „ლიძისტრა-  
ტეს“ ჩვენება იმ მოტივით,  
რომ ზედმეტად ეროტული და  
ამორალურია, მაგრამ თურმე  
ძალის თავი სხვაგან მარბია;  
საქმე ისაა, რომ არისტოვანე  
„ლიძისტრატეს“ ომის წინა-  
აღმდეგ ქადაგებს, და სწორედ  
ეს მოხვდა გულში ატომური  
ომის გამჩალებლებს. ამ ფაქ-  
ტმა დიდი აღშფოთება გა-  
მოიწვია დახავლეთ და აღ-  
მოსავლეთ გერმანიის მოსახ-  
ლეობაში. აი რას წერს და-  
სავლეთ გერმანიის გაზეთი  
„ფრანკფურტის მიმომხილ-  
ველი“:

„სინტერესოა, რა წარმოდ-  
გენა აქვთ მორალზე იმათ,  
ვინც „ლიძისტრატეს“ წინა-  
აღმდეგია; ვანა შეიძლება ან-  
ტიმლიტარისტული ნაწარ-  
მოები ამორალურად ჩათვა-  
ლოს? ეს კი ცხადია, ლიძის-  
ტრატეს გადაცემა არ ესია-  
მოვნათ ატომის სტრატეგებს,

რადგან მისი მთავარი დედა-  
აზრი ასეთია — ყველამ უნ-  
და იბრძოლოს მშვიდობისათ-  
ვის“.

ინგლისი

„სვასტიკის ბრძოლი“

„ნაცვლად იმისა, რომ ნა-  
ციხტური რეჟიმის სიმბეცე  
ერვენებინათ, როგორც ერთი  
აღმნიანის მიერ“ მერის აბუ-  
ჩად აგდების სანიმუშო მაგა-  
ლითი, მას ლეგენდარული შა-  
რავანდელით მოსავენ“ —  
წერს ინგლისური ჟურნალი  
„ფილმ ენდ ფილმინგი“. ამის  
საილუსტრაციოდ ჟურნალს  
მოჰყავს ფაქტები:

1960 წელს ინგლისის ცენ-  
ზურამ აკრძალა გერმანული  
ანტიფაშისტური დოკუმენ-  
ტური ფილმები: „შევბუღება  
ზილტერე“ და „ოპერაცია  
„ტეტკონთა მახვილი“, რომ-  
ლებიც ნილაბს ხდიან ზოგი-  
ერთ ფაშისტ გენერლებსა-  
და მეთაურებს.

ბრიტანეთის პრესა იუწყე-  
ბოდა აგრეთვე, რომ ბრიტანე-  
თის კინონსტიტუტმა ლექ-  
ციების წასაკითხად მოიწვია  
ყოფილი ნაციისტი, ლენი რი-  
ფენშტალი (ფაშისტურ-პრო-  
პაგანდისტული ფილმების —  
„ნების ტრიუმფისა“ და  
„ოლიმპიას“ შემქმნელი), და  
მხოლოდ საზოგადოებრივი  
აზრის ზეგავლენით გააუქმა  
ინსტიტუტმა ეს მოწვევა,  
თუმცა ამავე დროს ინგლისის  
კინოთეატრებში თავისუფლად  
უჩვენებდნენ ყოფილი ნა-  
ციისტის ვეიტ შარლანის „საჰა-  
გელ გოგონას“ (1939 წ. შარ-  
ლანმა გადაიღო ერთ-ერთი  
უადრესად ანტიფაშისტური  
ფილმი — „ბრძელი ზიუ-  
სი“).





„სვასტიკის აირდილი“ — ასე ახათურებს „ფილმ ენდ ფილმინგი“ სტატიების ციკლს ამ თემაზე. ამ ციკლის მომდევნო სტატიაში უფრო ნაღვი მოუთხრობს, თუ როგორ იბრძვიან პროგრესული კინომატოგრაფისტები ფაშიზმის აღორძინების შინაგანი საფრთხის წინააღმდეგ (სტენლი კრამერის „გაქცევა ბორკილებში“, „უკანასკნელი ნაპირი“, „ნიურნბერგის პროცესი“, „ანდგაზრდა ფლორენტიანო ვენჩინის“ „43-ე წლის გრძელი ღამე“ და სხვ.).

კუბა

ფილმი დღეს

მსოფლიოს ახალგაზრდა კინომატოგრაფებს შორის კუბას კინო ყველაზე ნორჩია. თანამედროვე კუბას კინომ ფეხი აიდგა კინოს ინსტიტუტზე, რომელსაც ცნობილი კუბელი რეჟისორი ალფრედო გუვიარა ხელმძღვანელობს. პატისტას დროს ამ რეჟისორმა გადაიღო ფილმი „ნახშირი ცაპატან“, რომელიც აკრძალული იქნა, ვინაიდან იგი უჩვენებდა ერთი მხრივ მოსახლეობის სიღუპს, და მეორე მხრივ ერთი მუშა პრივილეგიებული კლასის ფუფუნებას.

ამჟამად კინოს ინსტიტუტში მომავალ დიდ გეგმებზეა ლაპარაკი. ბილმოტარში შენდება კინოქალაქი, მიმდინარეობს მუშაობა პირველ კუბურ სცენარზე მხატვრული ფილმისათვის, ეს არის 5 ნოველისაგან შედგარი სრულმეტრე ეპიკური სცენარი, რომელიც ასახავს გმირული ბრძოლების რამდენიმე ეპიზოდს. ფილმის რეჟისორია თომას გარსია ასკოტი. მზადდება აგრეთვე ფილმები: „კუბა ცეკავს“, „მეამბოხებია“, კომედია „პატარა დიქტატორი“ (სცენარის ავტორი ძავაკინი), ფილმები კუბის სახელგანთქნილი რეჟი-

სორები, დღევანდელ ჰავანაზე და სხვ.

„ის, რომ დღეს კუბაში ფილმს ვიღებთ, ფილმს კასტროს დამსახურებაა, — წერს კუბელი კორესპონდენტი გარგენტერი. — მან ქვეყანა გაათავისუფლა პატისტას რეჟიმისაგან. პატისტა მხოლოდ იმით იყო დანატრესებული, რომ კინოპროდუქციის მისი რეჟიმისა და საკუთარი თავის განდიდება ყოფილიყო ახასუთი. კუბელ ხალხს უნდა ვაშროთ უცხო, დასავლეთისა და პოლიციის ფილმები და ვიფიქროთ საკუთარ პროდუქციაზე, რომელიც მსოფლიოს უჩვენებს ახალ კუბას“.

რუმინეთი

„X X სსშპუნა“

გამოვიდა ახალი ხალიტრატორი უფრო ნაღვი სახელწოდებით — „X X საუკუნე“. მისი მიზანია ყოველთვიურად გამოაქვეყნოს მსოფლიოს შემოქმედთა საუკეთესო ნაწარმოებები.

ურნალის პირველ ნომერში მოთავსებულია შოლოხოვის, ჩერკასოვის, კორნეიჩუკისა და ანა ზეგერის ნაწარმოებები. მომდევნო ნომერში გათვალისწინებულია ლუი არაგონის, პაბლო ნერუდას, ილია ერენბურგისა და ჰემინგუეის ნაწარმოებების დაბეჭდვა. მე-4 ნომერი მიეძღვნება ესპანეთის სამოქალაქო ომის 25 წლისთავს და გამოქვეყნდება ფაშიზმისაგან ესპანეთის გათავისუფლებისათვის მებრძოლი ინტერნაციონალური ბრძოლების ისტორიული ბრძოლების ამსახველი დოკუმენტურა.

საზრანგეთი

„ძინა ვანოს“  
წარმართება

პარიზში „კომედი ფრანსეზ“ თეატრში დიდი წარმატებით

მიდის ჩეხოვის პიესა „ძინა ვანო“, რომელიც დადგა რეჟისორმა ვაჟ მოკლერმა. მთავარ როლს ასრულებს დანიელ ივანე. პიესა თარგმანა ელზა ტროლემ.

„სბალი ტალღა“

უკანასკნელ ხანს მრავალი კრიტიკული წერილი გამოქვეყნდა ფრანგული კინემატოგრაფიის ახალი მიმართულების — „ახალი ტალღის“ შესახებ. დამახასიათებელია, რომ თითქმის ყველა წერილი მიუთითებს ეროტიულ ელემენტს, რომელსაც უჩვენებდა დიდი ადგილი აქვს დამოუბილი „ახალი ტალღის“ რეჟისორთა ფილმებში. როგორც ვადიმის ახალი ფილმი „და მოკვდი სიტყვებში“ (ანტა ვადიმის, ელზა მარტინელისა და მელ ფერერის მონაწილეობით) კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ აზრის სიმართლეს. თვითონ სცენარის ფსიქოპათოლოგიური ხასიათისა — გამოყვანილია ქალიშვილი, რომელშიც ვამპირმა დაიბუდა. „ვადიმი აქაც, ისევე, როგორც თავის წინა ფილმებში, გვიჩვენებს ეროტიზმს, რომელსაც ბევრი არაფერი უყვია პორნოგრაფიას“, — აცხადებს ერთ-ერთი კრიტიკოსი.

შვეიცარია

თომას მანის არქივი

ციურხში ვაიხსნა თომას მანის არქივი. აქ მოთავსებულია მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეობის უმეტესი ნაწილი, მისი უზარმაზარი ბიბლიოთეკა და 38 ხელთნაწერი; აქვე დაცულია სამუშაო ოთახი იმ სახით, როგორც იყო მწერლის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში. არქივი მოთავსებულია ციურხის „ბოდმერ პალატი“ — იქ, სადაც ცხოვრობდნენ ვილჰელმ კლოპშტოკი და გოეთე.



ՅՆՆՈ 60 ՅՅՅ.

б. 11/135



**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-  
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ**

**„Ц И С К А Р И“**

**ИЗДАТЕЛЬСТВО  
„САБЧОТА МЦЕРАЛИ“**